

**ბიზანტიური მწერლობის
ქრესტომათია**

(X-XII საუკუნეები)

ტომი III

ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია

(X-XII საუკუნეები)

ტომი III

თბილისი
1996 წ.

პასუხისმგებელი რედაქტორი

ლიანა კვიციანიანი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები:

თინათინ ჯახიანიანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
მამია რაჭვანიანი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

მხატვარი

ლევან ხარანაული



წინათქმა

თავად ბიზანტიური მწერლობის განვითარების კარნახით ქრესტომათიის მესამე ტომის X-XII საუკუნეებში მოქცევა რამდენადმე არღვევს მაკედონულთა და კომნენოსთა დინასტიების მმართველობის წლებით ე. წ. მაკედონურ და კომნენურ აღორძინებათა პერიოდის შემოზღუდვის გულბერყვილო პირობითობას, ვინათგან ჭეშმარიტი ოსტატი თვითონ ქმნის დროს და ლადირსაც გადის, რის განმარტებასაც ქვემოთე კოვებთ. ქრისტიანული ანტიკურობის და წმინდა შუა საუკუნეების შემდგომ, როცა წარსულად იქცა ხატუმებრძოლობის და „ხატების მალლად დასკვნების“ ისტორიული ფონი და თავისი სათქმელი დაახრულა კონტრასტულ საწყისთა - არისტოტელური გონებითობისა და მისტაგოგიის - ურთიერთგანმსჭვალვამ¹, სვიმეონ კრძალულის მოწაფის - სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის - ეპოქალური ეგზალტაციის შემდგომ ბიზანტიურმა ხიტყვის ტრფიალებამ, თუ საზოგადოდ აზრის ხელოვანებამ ისევე კლასიკური ანტიკურობის ხიბლი მოიგონა, ოლონდ ეს არ ყოფილა უბრალოდ გატაცება ანტიკური კულტურით; ეს იყო ხინატიფის და მშვენიერების ძლევაშემოსილობის აღიარებაც, ქრისტიანული დოგმატების საბუთიანობისთვის ანტიკურ ნააზრევზე დაყრდნობაც, ჰუმანისტური იდეალების ზეობაც.

მართებულად თვლიდნენ ხიმ. ვაუხნიშვილი და შ. ნუცუბიძე, რომ ბიზანტიური რენესანსის ხასიათის ახსნა შეიძლებოდა მხოლოდ ბიზანტიის იმპერიაში შემავალ აღმოსავლეთის ხალხთა მონაწილეობის გათვალისწინებით. ამას მოწმობს X საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის, იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მემკვიდრეობის და „ვეფხისტყაოსნის“ ფენომენის, როგორც „აღმოსავლური რენესანსის“ ხახის, ღღეს ხაყოველთაოდ გაზიარებული შეფასება. ამდენად, რაკი ჩვენი ქრესტომათია ქართული მწერლობის ფაქტია, მან ორმხრივი სარგებელი უნდა მოიტანოს ბიზანტიური რენესანსის კვლევისათვის.

¹ С. С. Аверинцев, Философия VIII-XII вв., Культура Византии (вторая половина VII-XII в.), Москва, 1989, гл. 39.

ჩვენ განვიზრახეთ, ამ ნაკვეთში რითმე თხზულებით წარმოგვედგინა შედარებით კარგად ცნობილი ისეთი დიდი მოაზროვნენიც, როგორც იყო, ვთქვათ, მიქაელ ჰსელოსი - „ქიპატოსი სიბრძნისმეტყველთა“, რომლის ადგილი ქართულ მწერლობაში ხიმ. ყაუხჩიშვილმა სპეციალურად განიხილა „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“ /ცალკე პარაგრაფი მიუძღვნა/.

მესამე ტომი შეიცავს მასალას ჰიმნოგრაფიიდან, დრამატულ თხზულებას, სატირულ ძეგლს „ტიმარიონს“ სრულად /იგი მომზადდა პროფ. ა. ალექსიძის ხელმძღვანელობით/, ბელეტრისტიკულ პროზას, ეგზეგეტიკურ თხზულებებს, ფილოსოფიურ ექსცერპტებს, საისტორიო მწერლობის /პროზის და პოეზიის/ და სამეცნიერო პროზის ნიმუშებს.

სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი

სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი X-XI სს. მოღვაწეა. დიდი სტუდიური სპირიტუალისტის საგალობლებში გადმოცემულია მისტიური ფრთოვანება სულისა. ოღონდ „ახალმშვენიერი მსხვერპლი“ მისთვის არის ახალი ადამიანი, რომლის სულთან ერთად ხაუკუნოდ განღმრთობილია სხეულიც /იხ. ქვემოთ 42-ე საგალობელი, სტრ. 8-9 და სხვ./ ღმერთთან საუბრის უშუალოდ აქ საკვირველ ზღვარს აღწევს. ე. წ. „ერთხელ ნათქვამები“ ტექსტში თითქმის არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, სტილი ხან ზატებიანია, ხან - სიფრიფანა, წრფელი და უფრო სიტყვა-დაწმენდილი. პოეტის საუბარი ისეთი გზებით მიემართება, სხვანი რომ არ გააკარებთან, და, როგორც ყველაფერი ღვთაებრივი, თან მარტივია და თან უჩვეულოდ რთული - სულისმიერი ხილვებით.

სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის სხვა ჟანრის თხზულებებიც.

41-ე საგალობელი

სამაღლობელი ღვთისაღმი მისგან ქნირ კეთილ საქმეთა გამო და
კურება, რათა განსწავროს, რისთვის არის დაშვებული ხრულ-
ქნირთა წამებით გამოცდა ეშმაკთაგან; და სწავლება და წესად
დალება, ღვთისგან თქმული, ამა ხოელის კარმყოფელთათვის.

უპოვარება და სიგლახაკე ჩემი უწყი, სიობლე იცი;
დამყარებულია შენით ერთება; ჰხედავ უძლურებას ჩემსას
და შეუძლოობას, - ღმერთი ჩემი, რომელმან შემქმენ;
არ მიუარებ, არამედ გადმოხედავ და ყოველი უწყი.

- 5 იხილე გული დამდაბლებული, იხილე შემუხრვილი,
მიხილე უსახობასა შინა მოახლებული, ღმერთო ჩემო,
და მომეც მაღლით მაღლი შენი, მომეც სული შენი ღვთიური.
მომეც მეოხი, მაცხორარო, მომივლინე, როგორც დამპირდი,
წარმომიგზავნე აწცა მჯდომარეს

- 10 მაღალთა შინა, მბრძანებელი, ქუშპარიტად ზესთა
 ყოველი მიწიერი საქმისა, გარე ყოველი საივაროსი
 შენ რომ გეძიებ და შენს ხელს რომ შევიტყობ.
 ნუ დააფოვნებ, მწყალობელი, მზერას ნუ ამარიდებ შენ, რომელს
 ჩემი სატყვივარი გელმის,
 ნუ დამივიწყებ, რომელი ხელით შენ გეძიებ და შენ მწყურიხარ,
- 15 ნუ მომაკლებ სიცოცხლეს, რომლის ღირსი არა ვარ,
 და ნუ მომიძაგებ, ღმერთო, და ნუ დამაგდებ.
 შენს გულს ვიფარებ, თანაგრძნობას ვითხოვ
 და კაცთმოყვარება შენი მშველის შეხარიგებლად შენთან.
 არ დაველიღვარ ჯაფით, არ მიქმნია სამართლიანი საქმე,
- 20 არათუ აროდებ არ დამიცავს ერთიც კი მცნებათაგან შენთა,
 მთელი სიცოცხლე წარწყმედილმა განველე,
 მხოლოდ შენ თავად არ მოგირიდებია მზერა, არამედ მეძიებდი
 და მხოვე
 ცთომილი, მომაქციე ცთომილების გზიდან
 და შენი მაღლის ნათელით უჩრწუნელ მხრებზე
- 25 შემიხვი, ქრისტე, მხრებზე ამიფიქანე შენ, რომელს ჩემი სატყვივარი
 გელმის,
 და წამების განსაცდელად მთლად არ დამაგდე,
 არამედ მე, როგორც დაფრდნობით დასვენებულს,
 მომეც მსუბუქად გასაღელელად გზები ველიანი,
 ხანამ ფარეხში დამიბრუნებდი შენს ცხოვართაგანს,
- 30 ხანამ შენებთან შემაერთებდი და მიმათვლიდი მონათა.
 ვქადაგებ შენს მწყალობლობას, ვუგალობებ სახიერად
 თანამტყვივრეულობას შენსას,
 მაღლიერს, მიკვირს შენი სიტყბოების სიმდიდრე,
 შენ მაძინევებ, როგორც თქმულა, ღმერთო ჩემო,
 და ვარ ესლაც, როგორც მხედავ, მთლად მონა-ქმნილი,
- 35 ნათელით მოღურსმული და შენზედ მოჭედებული და მოკრული,
 შენი სურვით ძლეული და სიყვარულით შებორკილებული.
 უგზოობა მიჭირს, ლტოლვილი ვარ და ცნობა არ ძალმიძს;
 როგორ ეხება ჩემს საბრალს ხელს წამება,
 როგორ განვიმსჭვალე მწუხარებით, როგორ შემძრავს და
 შემამღვრევს მთლად,
- 40 როგორ მაკლია შენი სიტყბოება, ღმერთო ჩემო,
 და ხიზარულს როგორ არ მანებებს მიწიერთა საწამებელი.
 მე, ესრეთ შემცოდეს და დამნაშავეს, რაღად მიმეტებ,

ან შენს თავს, მით უფრორე ხარისხვოდ, ჩემო ქრისტეე,
რად იმეტებ, ხახიერო, მწუხარებისთვის უფრო მეტის,
45 ვიდრე ახლახან განიცადე, როცა სული ჩემი ვნებული იყო.
მითხარ და მასწავლე აწ შენთა განსჯათა და განკითხვათა
ხიღრმე,

მითხარ და ნუ მომიძაგებ უღირსად მოუბარს
შენ, რომელი უწინ ცოდვილთა და შეძავთა თანა წვეული იყავ,
თანამყინანაჲ, მბრძანებელი, უხაშველოთა და მეხარკეთა.
50 - ამაზედ მბრძანებელმა მომიგო და მითხრა:
მე სამყაროთგან შენ, ვითარცა ყრმა, აღვაძალდე,
მკლავები შემოგზვიე და იხე გზიდე, - შენ სრულად უწყვი, რახაც
გიაძმობ.

ხაზეველიც შემოგავლე და დაგიფარე მთლად ყველა ასო,
რძე გასვი ზესთა ხაზრდელი და ხასმელი,
55 /გამოუთქმელია ჩემთვის, განუმარტებელია ყოვლად/
მსწავლელს მიგვი /აქ ვიზეც ვამბობ, ეზეც იცი/
და, როგორც ყრმა უახაკო, დაგიმოწაფა დრომდე,
ღამაზად გემსახურა და ღირსად გამოგზარდა.
უკვე მოგწიფინენ დღენი და იქმენ ჭაბუკი,
60 უწყვოდი თავად, რომ მარადლე შენთან ვიყავ
და შენში ვიზრდებოდი და შენ გიფარავდი,
ხანამ მშვენიერად არ იცვალე ჟამი მოწიფულობისა.
ახლა არათუ დაეაჟაკდი, არამედ ჭეშმარიტად ფრიად მხნე
მამრი

ხარ და, უკვე სიბერისკენ დახრილს,
65 როგორღა გხურს, უახაკო ყრმის მსგავსად, ახლაც მკერდს
მიგიკონონ.

როგორღა ითხოვ, ხაზეველში გამოკრული გატარონ კვლად.
როგორღა გასვას რძე მსწავლეულმა,
რომ იარსებო. მითხარ, ამის თქმაზედ თუ წითლდები.
მწუდ ექმენ ხეგათა, უშველე, მიეც საჭმელი
70 და ყველაფერი იღონე მათს გამოსაზრდელად.
განუწივე წინააღმდეგ მტერთა და გვემულმა გვიმე
/უწყვი, მტრებად რომ ვიგულევი ეშმაკთა მწყობრნი/,
თუ იპყრა, დაუნანებლად დათრგუნე, დაცემული კვლად აღდეგ,
მსროლულთათვის ისრების უკანვე ტყორცნას ნუ მოერიდები,
75 რამეთუ გტყორცნიან და შენ წინააღმდეგ მანქანებას იხმარენ;
ისინი უიმედობით გააფავენ,
დე, შენგან წარკვეთილი იმედით დაიჭრენ,

რისხვით მუშტის მკერელთა შენთა და სიავეთ ერთად შეყრილთა,
დუ, შენი სიწყნარით თვალი უბრძავედებოდეთ,
80 დუ, შენს სახლს გარედანვე მოშორდებოდნენ.
მე ხომ გითხარ, ყრმა უახაკო ანუ ბაღლი აღარა ხარ,
ახლა ვერც შეუძლოობას იჩივლებ სულისას
და სულ ახლახან არც შენი გონება ყოფილა უძლეური პირისპირ
მტერთა.

უწყი მტერთაგან ლტოლვილობაც და კვალად ძლევის შემოსევაც
მათზე
85 და ბრძოლის დროს მე გყავარ საქმით ერთგული და წინამდგომელი
და, ძლიერი ხაფარიდან ლტოლვილს, სიმაგრედ მე მოგიხვეჭივარ
და, რა გაწუხებს შენ მიწიერი, ანუ რომელი ხაწუთო, მითხარ:
ანუ ოქრო, ანუ ვერცხლი, ანუ თვალნი პატიოსანნი;
ანუ ნათელით ვინ დამემეტა, ანუ ვინ არის უფრო მნათობი,
90 ანუ რომელი ძვირფასი თვალი ბრწყინავს, როგორც მე, საუკუნოდ
უპატიო.

ადგილ-მამულს რომ მოაკლდი, ეს გიმძიმს, თუ უპურობა
და ღვინის ნაკლებობაა შენი ხადარდელი?
ან სხვა სამოთხე, ჩემი მხგავსი, არის კი განა
მიწისქვეშეთში და წყალთა ქვეშე, ვით ხააღერსო დედამიწა?

95 რა პურია განმზადებული ქვეყანაზედ ანუ ღვინო,
ვით მადლი ჩემი, ვით სული ღვთიური,
ვით პური არსობისა, რომელსაც მე ვთავაზობ –
სისხლს და ხორცს ჩემსას, – გულ-წმინდათა
და რწმენა-უცვალებელთა, რომელნი შიშით და თრთოლით

100 იღებენ საზრდელს საცნაურად და შესაგრძნებად.
მითხარ, რა განცხრომა, რა ხინარული, რა პატივი
უფრო მეტია დედამიწაზე, ვიდრე ჩემი, მხოლოის, მზერა,
ჩემი, მხოლოის, როგორც ივავში, სარკვეში მზერა,
ჩემი დიდების ათინათის, მხოლოის, ჭკრეტა

105 და იმავე ათინათით სწავლა ამის და ამაზე მეტის
ზედმიწევნით, რომ მე ღმერთი ვარ, შემოქმედი ყოველისა,
საცნობელად და გულისხმის-საყოფელად, რომ ჩემთვის დადევს
კაცი მჯდომარე მღვიმეს ქვესკნელში
და უშუალოდ მომმართა სიტყვით, ვითარ მოყვასმა მოყვასს,

110 გადააბიჯა მოქირავნობის წესს და მონობის შიშს,
დაუღლეულად მემონებოდა და სიყვარულით მივლიდა
და მცნებათა გაგონებით მოყვასად და ახლობელად მექმნა.
მე არ ვამბობ მათზე, სასყიდლით რომ მემონებიან,

- არც მათზე, კვალად მონურად რომ შემვირდებიან,
 115 არამედ გველისსმობ მოყვასთა და ახლობელთა და შეიღთა ჩემთა
 საქმეებს;
 ესენი, რაც კი ქმნილა, აღწერე მალედ:
 გამოაჩინე ყველაზე უბრალოს უპირატესობა საქვეყნოდ ქმნილთა
 ზედა
 არა მხოლოდ თანაწერთნილთა და მსოფლიოთაგან,
 არამედ აგრეთვე წარმართთაგან, – საკუთარი თავის ჭეშმარიტად
 ხელთ აყვანება;
- 120 შეცდომის ჩათვლა საუკუნო ცხოვრების
 ერთი უმცირესი მცნების სულ მცირე გადახრად;
 უასაკო ყრმათა მოწიფულ ვაჟკაცებად
 მიჩნევა და თაყვანება მათი, ვითარცა დიდებულთა;
 ბრმათათვის ასევე პატივის მიცემა,
- 125 რამეთუ ზეგარდმო მოვიზილაე ყოველი ადამიანის საქმეებს,
 და ამათი ქმნა ჩემ გამოთ სწორედ რომ კვალადაც აღსაწერია:
 სულ უქონლობა გულში ვინმის მიმართ
 რისამე უმარტივეს მღელვარებამდე ანუ უმცირეს უნდობლობამდე;
 დაღლილი გულით სულისშიერი ლოცულობა
- 130 თანაგრძნობის გამო ყოველთა შენ წინაშე ცთომილთა,
 ისე როგორც ჩემ წინაშე ესოდენ ამპარტყაანთა,
 ცრემლებით თხოვნა ამათი მოქცევისა;
 ამასთანავე, კურთხევა შენთა მანყვეართა,
 ქება მარადლე შენთა მკიცხველთა შურით
- 135 და მოქადულთა ყოლა ვითარცა საქმით ხათნოთა,
 ხოლო, რომელნი არ გმორჩილებენ და არ გიგონებენ
 და სულ უარს ამბობენ ჩემი, როგორც საკუთარი მბრძანებელის,
 გამუდმებით დატირებასა და გლოვაზე, მათი შეგონებისთვის ნუ
 დასცხრები:
- ხომ გითხარ, „რომელმან შეგიწყნარნეს თქვენ, მე შემიწყნარა“,
 140 და თქვენი გამგონე ჩემსას სრულად გაიგონებს.
 რომელი თრთოლით სიტყვათა და შეგონებათა თქვენთა
 არ შეიწყნარებს და არ შეასრულებს მათ სიკვდილამდე,
 არცა მიიღოს ჩემგან ზიარებად საუკუნო დიდება,
 არცა მომეთვალოს ჯვარცმულს,
- 145 რომელი ვეგონებ მამას სიკვდილამდე,
 არცა დადგეს მარჯვენით, არცა თანა-მკვიდრ
 ექმნას იგი საკუთარი თავის ჯვარცმელთა.

ბოლოს, შეუხვეწებლად შეაგონებდე; ბოლოს, შეუხვეწებლად
დამტბროდე,

- ბოლოს, შეუხვეწებლად მათხ მაცხოვარებას ეძიებდე,
150 რათა, თუკი გაიგონებენ და შემოიქცევიან,
გყავდნენ ვითარცა ძმანი, მოიპოვო ნაწილნი შენნი
და მომიფიქრო იხინი, გამგონე ახლობელნი,
რათა მეც შეეწყინარო შენ გამოთ და ვადიდო
და მამას ჩემსას შენთანავე, როგორც საბოძვარი, მივართვა.
- 155 და თუ არ იუარებენ თავის სურვილებს,
და თუ არ მოიძაგებენ ხულთა მათთა, ვითარცა ვთქვი,
და საკუთარი სურვილით მომკვდარნი არ იქნებიან
და შენი ნებით იცოცხლებენ და ცხოვრებასა შინა
შენის შესვეობით ჩემს ნებას აღასრულებენ,
160 არ წარჩდება მიზდი და სასყიდელი შენი, არ მოგაკლდება,
არამედ ერთის წილ ორკეცად მოგართმევ,
რომ შენ, გაუგონარმაც, არ იუარე მითვლა,
თუმცა უფრო მეტადაც მოგიძულეს და ზურგი შეგაქციეს
და მოძაგებულ იქმენ, როგორც იგი ვარ მოძულებული
- 165 მათგან და მათ მსგავსთაგან უწ... ი და აწცა.
ამგვარ საქმეთათვის მსურს მსახურება,
ამგვართათვის და ამათ მსგავსთათვის გულმოდგინედ ეშურებოდე
ჩემს მოხაწონად: მე ხომ ამათ შეეხარი ფრიად.
ნუ გერჩინება უმოქმედობა და ნუ ამჯობინებ
170 ხელისათვის სარგებელად სხვას რასმე ქვეყნიურს.
რა სარგებელს ნახავს მომპოვებელი ხოფლისა,
ანუ ამა ხოფლად მყოფთა აღმზრდელი ანუ მსწავლეული,
ანუ გინდ მაცხოვარი ყოველთა, თუ თავადაც არ ცხონდა.
მაშ, ვინ ხელმწიფობს, თუ სხვათა მხსნელი ვერ დაიხსნის
- 175 თავის ხელს და წარწყმდება უბადრუკად.
დამარღვეველს მცნებისა ჩემის - ყოველთა მბრძანებელისას,
თითქოს ეუაროს იგი და ფეხით გაეჭქლოს
და გადაეხვიოს კანონთაგან ჩემთა და უგულებელყოფს განჩინებანი
და მცნებათა ეზოს და ზღუდის გარე
- 180 ქმნილიყოს, - თუ გადაერჩინოს ხოფელი ესე და მას შინა მყოფნი,
უცხო იქმნეს იგი ჩემთვის და შორი - ცხოვართათვის ჩემთა,
მეტადრე როგორც ეზოს ზღუდის დამარღვეველი,
რომელმან ცხოვართა განუხსნა გამოხახელელი არა მხოლოდ
კართგან
- და უსამართლოდ გზა მისცა ნადირთა,

- 185 ხამართალს გამოუთქმელს წარუღებს ყოველთა ცხოვართა,
 ორად განსკვეთება ცეცხლისათვის და ტარტაროსისა
 და ჭია-მატლის სახრავი გახდება საბრადლო.
 - ეს თქვა მამამ ძისა მიერ და სული
 ისიტყვა, რომელი პირი არს მბრძანებელისა,
- 190 ანგელოზნი მშვენიერად შევნიშანენ დაუცხრომელის ხმიანობით,
 მართალთა ესმათ, მუხლმოყრილნი შეუკრდნენ და თქვეს:
 მოუხედველია განსჯა შენი და უეჭუა არჩევანი,
 რადგან მოუდგომელად განვისჯია, ღმერთო, ყველას სატყვირიანო.
 როგორღა იქნება იგი, რომელს თავისი მონახურეები არ დაუგდია,
- 195 რომელმან შენი ზესთაობა არ აღიარა¹ და ჭმნილს შენგან,
 მბრძანებელისგან,
 მეტი პატივი მიაგო და უიარებოდ შეინახა,
 როგორც თავად შენ დაიცავი, სატყვირიანო, მამისა შენის
 თანა-მკვიდრი შენად იხილვა მთლად თანაზიარად
 და სრულ თანა-დამწესებულად ამისა სიკვდილამდის:
- 200 უქმნელობა მონახურეებისა რისამე საკუთარის,
 შეუერთებლობა ხისხლით, მეტი პატივით შეუმოხაობა ჩორცთა,
 რაც არის ნათესაობა და ბუნებითი კავშირი,
 სივარული, რომელიც დედამისაზე მყოფთ ერთიანად მიანიჭებს
 ნაუარებთა
 და უკან შემოაქცევს ყოველ მათგანს.
- 205 მარტვილთა იღალადეს: „მართალ და ჭეშმარიტ არიან სასჯელნი
 შენი“.
- ხოლო რომელმან წამებას მისცა თავი გულმოდგინებით,
 მერმე მოდიოდნენ ნათესაენი, დედა-წულინი,
 და მწუხარებით ამას ეტყვიდნენ: არ გეწყალებიან შვილნი შენი,
 არცა შეინანებ, უგულო, დედაკაცის შენის ქერიობას?
- 210 არცა უპოვარება და სიგლახაკე მათი მოვლრეკს გრძნობის
 თანაობისთვის,
 არცა წარწყმედა მათი გუფიქრება და გენანება,
 არამედ დაგიგდია ობოლნი, უცხონი, გლახაკნი, ქერივი -
 ცოლი შენი, და მხოლოდ თავის დახსნა გირჩენია?
 და როგორ არ ელოდები უარეს განაჩენს, ვითარცა მკვლეელი,
 215 რადგან წარწყმედად და აღუზვრად გაგვიმეტე ჩვენ ყველანი
 და მხოლოდ შენი სულის დახსნას ეძიებ? - არცვის სჭირდება
 მთლად მათი ხმის მიყურადება, სულ წყმისაც კი,

¹. εχθροπαρουστος etc.

- მათს გასაგონად ხულ მიდრეკა სატირალისკენ
 და თუნდაც ძღვენით გაცლა საპყრობილისგან და საკრველთა
 220 ან ამათი გამოსხნა შენი უარყოფით, ქრისტე,
 ოღონდ, ვითარცა უკვე მომკვდარის, კვალად წამება,
 ტყვეობის, შიმშილის და წყურვილის გაძლება
 უჩხუნებულად და მოუგონებულად მისთა ?/ საქმეთა
 და საპყრობილის გარეთაც შეუჩებულად გება,
 225 თუ შესაძლოა, თავისი ფიქრის, ხულ მცირედაც კი შეუჩებულად,
 ხოლო ფიქრში შენი ჭკრეტა, მბრძანებელი ყოველთაო,
 და შენი ხულისმიერი ხედვით გატაცება,
 სიკვდილამდე ძალმობილება შენი, მხოლოის, ხურვით
 და მთლად დაუსაჭიროებლობა მზერისა გადახრილთა,
 230 უარყოფელთა შენთა და კვალად მიქცეულთა
 არცთუ შორეული ნათხევარისაკენ, არცთუ შორეული
 საქმეებისაკენ,
 ხანაღვლეულისაკენ დედამიწისაგანთა დედა-წულთა;
 არც რამ პირობით საჭიროა მათ შორის ტყვეობა,
 მოკლება თავისი ხულის უფლების -
 235 ამის გამო საპყრობილენი განხსნილ იქმნენ შენგან
 და სხეული - საკრველთაგან ყოვლად განსვებული,
 არცა პყრობილნი იყვნენ მონანი შენნი, არამედ მთლად
 თავისუფალნი,
 არც გაქცეულან, არამედ იდგნენ როგორც შებორკილებულნი.
 ო, მაცხიარო, აწ ამა სოფლად მყოფთ
 240 და უარყოფელთ სოფლისა, ამასთანავე ნათესავთა ყოველთა,
 მოყვასთა და თანამდგომთა ყოველ საამსოფლო საქმეში, -
 უარყოფელთ თვით-ხურვიელად და გაცხადებულად ყოველთა ამათ
 წინაშე,
 მთლად აღარა აქვთ თავის უფლება,
 მაგრამ, თუ წინამძღვარნი [განდევილური ღვაწლისათვის] არ
 დააბრკოლებენ,
 245 დაცვა ჰმართებთ აღთქმულის შენდამო, მბრძანებელისა.
 მორჩილებისა და მონად შევრდომილობის დასაცავად
 მიჰმართავენ არა სოფლიოთა,
 არამედ ღმერთს, წინამძღვართა და ყოველთა
 მათ თანავე ბერებად აღკვეცილთა ძმათა, თანა-წერთნილთა.
 კუნძულის, ვითარცა შუაგულ ზღვაში მარტოდ-სამყოფოს,
 250 დამკვიდრება ჰმართებთ და მთელი ამა სოფლის
 აღიარება მათთვის მიუვალად,

რადგან დიდი უფსკრული დაინდა

მთელი მათი მარტოდ-სამყოფოს ირგვლივ, ისე რომ ვერც

სოფლიონი

აღწევინ მარტოდ-სამყოფოს, ვერც კუნძულზე მყოფნი

255 გადადიან იქით და ისე გაჰყურებენ,

არც გულში ივლებენ, არც აზრად მოხდით მათი მოქცევა,

მხოლოდ როგორც მიცვალებულებს სჭირდებათ მიცვალებულებთან
დასვენება,

შეუმჩნევლად იგივე შეგარძნება აქვთ მათ მიმართ

და არიან ვითარცა ჭეშმარიტად ნებით შეწირულნი ცხოვარნი.

260 მოწამეთა ეს ყოვლად წმინდა სიტყვანი,

მბრძანებელის წადილით და სიყვარულით აღვხილნი,

ესმათ ქერუბიმთა და დასძინეს შიშით საგალობელი:

დიდება შენდარო, — უთხრეს, — მეუფეო, დიდება შენდა, ყველას

სატკივრიანო,

რომელმან ხელმწიფეთაგან გახლეჩილ დედამიწაზე მოწამენი

გამოაჩინე,

265 ერთადერთის — შენი მოწამეობის — მოხურნენი თავისდროულად.

დიაღ, თქვა კვალად მამამან ძისა მიერ და სულმან

მიუთხრა: ჭეშმარიტად, გულით ღვთის-მოყვარენი

და მხოლოდ მისი სიყვარულის ერთგულნი

და საკუთარი სურვილით მომკვდარნი თავისდროულად,

270 მოყვასნი ესე სიხელ-ხორცინი, ესე თანა-მკვიდრნი,

ესე არიან მოწამენი მხოლოდ ნებით და აღრჩევით,

გარეშე ასხეპეისა, დამოკიდებისა, სამსხვერპლო ცეცხლში

გამოვლისა და ფერფლად ქცევისა,

ანუ ცეცხლს მიცემისა და მახვილით კვეთისა.

ამათ თანავე ზესთა-სოფლურთა ყოველთა გუნდთა

275 კიჟინით ილაღადეს: მართალია და ჭეშმარიტი სახველი შენი,

ყველას სატკივრიანო.

დე, დაწერილ და დაბეჭდილ იქმნეს აწ და სამარადლეოდ. ამინ.

42-ე საგალობელი

რომ შერთუნნი ღმერთთან ღმრთისგანვე, ხელმწიფის მონა-
წილეობით, აღხრულებუნნი, საკუნოდ ღმერთთან იქნებან მი-
სივე ძალით—

საწყისი სიცოცხლისა აღსასრულად შექმნა და აღსრულება
საწყისია ჩემი.

- საიდან მოველ, ვერ მიცენია და, ხად ვარ, არ ვუწყო
და, ხად მივიტყევი კვალად, ვერ ვიგუღვე მე, საბრალომან.
ვიტყნები მიწა მიწისაგან და სხეულისაგან სხეული,
5 განხრწნადისაგან ყოვლგნით განხრწნადი და მთლად მოკვდავი ვარ;
ხორციელად ხანამ ვცოცხლობ, მცირედ ვყოენდები დედამიწაზე და
კვლები

- და გარდახული ვიწვებ სხვა სიცოცხლეს.
ვტოვებ დედამიწაში სხეულს, რომელს აღდგინება ელის
და აღუსრულებელი ცხოვრებით სიცოცხლე საუკუნოდ.
10 და აწ მომხედე, ღმერთო, აწ გეწვადებოდე, მხოლოო,
აწ შემიცოდე. აჰა, მომაკვდა ძალი,
სიბერეს მივეახლე, მაცხოარო, და სიკვდილის კარიბჭეთა.
მთავარი ხოფლისა მოვალს, რათა ეძიებდეს სურვილით
საქმეთა და მოქმედებათა ჩემთა, უშვერთა და შეგინებულთა;
15 ჯალათნი მოდგებიან, მკაცრად შეიძებელი ჩემნი,
და განწინებას მიიღებენ, აღიღონ და დანთქან
გეპენისი უფსკრულში, მაცხოარო, სული ჩემი ხაცოდავი.
შენ, ბუნებით გულმოწვადემ, კაცთმოფარემ მხოლომან,
ვევლას სატვიერაინმა უფალმა, შემიწვადე მაშინ
20 და მოგონება-ბოროტი ნუ იქმნები ჩემდამო, ნუ დამაგდებ,
ნუ მოუშვებ ჩემზედ მტერს ჩემსას მზაკვარს,
რომელი ყოველ-ქამ მირისხლება და შექადის,
დამღრიალებს, აღრჭუნს კბილთა
და, ვით თავს-იღებო ამპარტაენებას, მეუბნება, ჩემგან ასახსლელტად
25 რით გეიმედებო ჩელები შენ, რომელმან დამაგდე და მიუხველ
ქრისტეს და ჩემი მტნებები სულ ეხლახან ცთომით განსაჯეო.
მაგრამ ვერაგზით ვერ გამისხლტები, ხადაც არ უნდა წახეიდე;
ჩემგან გაქცივას სულ ვერაოდეს ვერ შეუძლებო;
მე ხომ ადამი და ევა სამოთხიდან გავაძევე
30 და კაინი ძმის მკვლელი გაუხადე,
წარღვნის დროს ვველა რომ საცთურს
და ხაშინელ სიკვდილს გადაჰეროდა ხაცოდავად,
საბოლოოდ მე მივიტყე და შევაცდინეო,
დავითიც ჩემგან ცთომილია სიძვად და კვლად,
35 მე აღვძარ ბრძოლა ვველა წმინდასთან
და ბერი მოვაკვდინეო, გახსლტომას ჩემგან როგორდა
ბედავ და ფიქრობ, არას შემძლეო.

— გესმა ესე, მბრძანებელი და ღმერთო ჩემო და დამბადებელი,
შემქმნელი ჩემო და მსაჯული, რომელს ხელთ გაქვს ძალი და

უფლება

- 40 ხულისა ჩემის და სხეულისა, ვითარცა ორთავ შემოქმედს,
ვძრწვივარ მთლად და მეშინის, მთლად კანკალმა ამიტანა ბედშავი.
ბრალს მდებს და მეუბნება მზაკვარი, ჩემო ქრისტე,
რომ — აჰა, არა ხარო მღვიძარე, აჰა, ვერ იკაუებო თავს,
აჰა, ღოცვას ვერ ეუფლე, არცა იქმ თავვანებას,
- 45 არ გაგიმფლავნებია გვემულება და ტანჯვა, რითაც უწინ
მსხვერპლად მიმიტანისხარო,
მხოლოდ ამის გამოც შენ ქრისტესგან გამოგარჩევ
და განუქარწყლებულ ცეცხლში ჩემთან ერთად გამყოფები.
— ახე რომ უწყის, მბრძანებელი, მე არახოლეს საქმის
ანუ მოქმედების წილ ხულისა ჩემის ცხოვნება არ მომინდვია,
50 არამედ შენი წყალობით შეგივრდებოდი, კაცთმოყვარეო,
და გიბედავდი, რომ ჩემი გადარჩენა საბოძვარად გენებებინა, ვველას
სატყვირიანო,
და შეგწყალებოდი შენ, ღმერთს, ვითარცა როსმე მეძავი
და ვითარცა უსაშველო ძე, რომელმან, შეეცოდეო, თქვა.
აგრე ვინამე და მოგაშურე, აგრე გაკვადნიერდი და მოვედ,
55 აგრე იმედით შემომეურე, მბრძანებელი, შენთან გაეჩნდი.
და აწ თავს ნუ მოიწონებს ჩემ გამო, მონისა შენის,
ნუ იტყვის: ხად არისო შენი ქრისტე, ხად არისო შენ გამოთ
მაგოურის მიმცემი,
მან თავად არ მომცაო ხელთ შენი თავი?
— თუ შემაცდენს კიდევაც და ტყვედ წამიყვანს,
60 ეს ჩემს აღრჩევანს ან დაუღვერობას
კი არ მიეწერება, არამედ მიტოვება და არ-გაფრთხილება
შენგან იქნება მიხეზი ვველაფრისა, რასაც მეტყვის ასეთს:
შეხე, ვის გაუბედე, შეხე, ვისთან მოხვედი,
შეხე, ვის იგულვებდი მეტრფედ შენად, ვიზე ჰვიქრობდი, რომ
უყვარხარ,
- 65 მმად და ახლობლად, ძედ და თანა-მკვიდრად
თითქოს მოუპოვებინე, მით თავი მოგქონდა; როგორ დაგაგლო,
ჩემ ხელთ, მტრის ხელთ, მიგცა
და მოულოდებლად ზურგი გაქცია, მოულოდებლად მოგიძულაო.
— ამის მოსახსენად ნუ დამაგდებს, მაცხოვარო,
70 ნუ დამთმობს სასაყვედუროდ შენსას, ღმერთო ჩემო,
ნუ, შეუფლო, ნუ, უფალო, რომელმან მე უწინ ბნელებისგან

და ხელთაგან და ხაჩითგან მისით გამოძიებან
და, თავისუფალი, შენს ნათელს მიძახელე.
შენ რომ გხედავ, გული მეკაფება

- 75 და მზერა შენი არ ძალმიძს, ხოლო, რომ არ გიმზერდე, ვერ ვითმენ:
მიუწვდომელია მსვენიერება შენი, შეუღარებელია ხახე და იერი,
განუკითხველია შენი დიდება, და ვინ გიჩილა ოდესმე
ანუ ვინ შეძლო მთლად, ეჩილე შენ, ღმერთო ჩემი?
ყველაფრის მოხილვას რა თვალს შეუძლებს?
80 ზესთა ყოვლისა მყოფს რა გონება მისწვდება?
ძალას მოიკრებს, რომ შემოველოს და მოიცვას ან დაისაჯოს!

მრთელი

მრთელის პირისპირ და უყუროს მას, რომელი ყოველთა შეპყრის
ყოველთა გარე და ყოველსავე და თითოეულს აკვებს
და შორს თავად მრთელია იხვე მოულოდებლად?

- 85 და ვითარ მზეს გხედავ და ვითარ ვარსკვლავს გიმზერ
და ვითარცა მარგალიტს წიაღით გატარებ
და ვითარ ხანათელს გიმზერ, ხელის ჭურჭელს შიგან ანთებულს.
ხოლო რომ არ განიბნო, მრთელ ხინათელედ მე რომ არ
მქმნა და შეჩვენო მრთელი, იხეთი, როგორიც
90 ჰგიე, მთლად არ მგონია, რომ შენ მყავხარ, სიცოცხლე ჩემი,
არამედ ვტირი; ვითარცა ვინმე, გლახაკად და უკოვარად ქმნილი
მდიდართაგან

და დიდებულთაგან უპატიო და იმედის არ-მქონე.
ამის შემყურე მტერი მეუბნება: შენ ვერ გადარჩები,
ვინათგან განგდებულხარ, იმედ-მოშლილი,

- 95 რამეთუ არა გაქვსო ღმერთის მიმართ ძველებური სითამამე.
— ვის მიმართაც საქებელ სიტყვას ვერ წარმოვთქვამ, ვერ ვადიდებ,
ღმერთო ჩემო,
მაინც სულს ვუბერავ და სწორედაც დაფარულად წმინდა
აღსრულდება

და ასე გვედრები, მბრძანებელი, ასე შემოგლალადებ,
წყალობა შენი მოილე და მაშინდა, მაცხოვარო ჩემო,

- 100 ოდეს სული ჩემი გაეყაროს სხეულს, განმიძლიერე
მხოლოდ მობერვით, რათა ვარცხვინო ყოველი,
რომელი იზრახავს დევნას ჩემსას, შენი მონიხას,
და აღვემაღლო შენი ხულიწმინდის მოუკლებელსა და ნაკრძალ
ნათელსა შინა

1. რისთვისაც /ღმერთის პირისპირ მზერის გამო/ აღბათ ტირებსა და სხვანი იხუბოდნენ.

და დავადგრე წინაშე შენი საბრძანისის;

106 ო, ქრისტე, მაღლი შენი, რომელი მაქვს, ჩემთვის ღვთაებრივი

კერძია,

მიფარავს და შეურცხვენელად გამომაჩენს მრთელს.

რამეთუ ვინ თავს-იდებს წინაშე შენსა იხილვებოდეს,

თუ მაღლი არ ჰმოსავს, თუ მაღლი მის წიაღ არ

აკაკებს და მაღლითვე არ არის განათებული? [ანუ] დიდების

110 დაუფარავის მზერას ვით შეუძლებდა ყოველი მრთელად?

ღმერთის დიდების მოხილვად კაცი ან ღმრთეების ბუნების

წვდომად საწყალობელი ბუნება კაცის ვით განძლიერდეს?

რამეთუ არს ღმერთი შეუქმნელი, ხოლო ჩვენ ყველანი —

შექმნილნი,

იგი ჰგიეს უხრწნელი, ჩვენ — განხრწნადნი და მტკერი,

115 იგი სული ქმნილა ზესთა ყოველი სულისა,

ვითარცა შემოქმედი სულთა და მბრძანებელი,

ჩვენ — ხორცნი განქარვებადნი და დედაძიწისაგანი არსი,

იგი — ყოველთა შემოქმედი, დაუსაბამო და მიუწვდომელი,

ჩვენ — მატლნი და ამასთან ტალახი და ნაცარი;

120 და ვინ შეუძლებს ჩვენგანი, ესე როსმე მრთელად იხილოს

საკუთარის ძალით ან მოქმედებით,

თუ თავად არ წარმოუგზავნა სული თვისი ღვთიური

და მით უძღურს არ შეაშველა ბუნების

ძალა, ღონე და შეძლება და არ აკმარა და არ შეაფერა

125 კაცი ხილვად მისი ღვთიური დიდების?

სხვარიგად ვერ იხილავს, არცა ხელ-ეწიფების

კაცთაგანს ხილვა დიდებით მომავალი უფლისა

და ესრეთ განირჩევიან უმსჯავრონი და უსამართლონი

მართალთაგან

და ბნელთ დაიფარებიან ცოდვილნი და ყოველნი,

130 რომელთაც არ ექნებათ ნათელი ამიერ.

ხოლო მასთან შერთულნი ესრეთ მას ჟამსა შინა

საიდუმლოდ ღმერთს შეერთვიან ვითარ ღვიძლნი

და მისი ნაწილობისაგან განუყოფელნი იქნებიან.

და რომელნი წარვლენ, მისი ნათლისაგან გამორჩეულნი,


135 მაშინ ვითლა ანუ რაგვარად შეუერთდებიან,

ვიზრახვ, თქვენგან შევისწავლო, ანუ შეგასწავლოთ.

ღმერთი იქმნა კაცი და შეუერთდა კაცთა,

ეზიარა კაცებას და უწილადა ყოველთა,

რომელნი მას ერწმუნნენ და სარწმუნოება საქმეთა-შინა



- 140 აჩვენებს, მისი ღმრთეების მონაწილეთა.
ეს თქვა ხსენიხათვის მხოლოთა მონაწილეთა
მისი ღმრთეების, ვითარცა თავად გაინაწილა და ეზიარა
ჩვენს ბუნებას, შემოქმედი ყოველთა,
ვით პავლე მოწმობს ქრისტეს ეკლესიისათვის,
- 145 რომ ესე იქმნა გვამი მბრძანებელის და ღმერთის,
შეუბღალავი და უმანკო, რომელს არა აქვს „არცა ნაოჭ
ბრძკლისაჲ“;
- ვინც არ უნდა იყენენ მორწმუნენი, თავი ქრისტე არს.
და თუ ეს, როგორც არის, იხე იქნება,
რომელი უწმინდური ჰკადრებს მაშინ მას მიკარებას,
- 150 ან რომელი უღირსი მიემთხვევა და მიეკვრება?
თუკი ესლაც განაგდებენ მათ ეკლესიიდან
და ზიარებად სულ აბრკოლებენ ცოდვილთა,
ხოლო უფრორე თუ ღვთაებრივ არსთა სახესაც მოაკლდებიან
არ-არსებული წმინდანები, ო, მაშინ როგორღა
- 155 შეუერთდებიან ღმერთის ყოვლად უმანკო სხეულს
და ასონი ქრისტესნი ვით იქმნებიან შებღალულნი?
ახე არ არის, ძმანო, და არ იქნება არასოდეს.
რომელნი ღვთიურ გვამს, ანუ ეკლესიას,
და რჩეულთა გუნდს გამოერჩევიან, მითხარ,
- 160 სად წავლენ, რომელ სამეფოში,
განმიმარტე, იმედად სად აქვთ დაკარება,
რადგან სრულად სამოთხეც და წიაღნიც აბრაჰამისნი
და საშვებელი ყველა ადგილი დახსნილთ ეკუთენის;
ხოლო დახსნილი და ცხოვნებული არის სრულიად ყველა წმინდანი,
- 165 როგორც მოწმობს და გვასწავლის მთელი საღმრთო წერილი.
საკანენიც მრავალ არიან, მაგრამ – საქორწინო პალატაჲ შინა,
რამეთუ ვითარცა ერთია ცა და მასზედ „ვარსკულავი
ვარსკულავსა ჰმატს დიდებითა“,
ახევე ერთია საქორწინო პალატი და ერთი – სახუფეველი,
- 170 რამეთუ სამოთხეც და წმინდა ქალაქიც
და საშვებელი ყველა ადგილი ღმერთია მხოლოდ.
ვითარცა წუთისოფელში შვება არა აქვს კაცს,
რომელი არა დაადგრეს ღმრთისა თანა, ხოლო ღმერთი – მის თანა,
ახევე სიკდილის შემდეგაც, გარეშე მის მხოლოისა,
- 175 აღბათ არ ექნება შვება, არცა ადგილი უმწუნარებო,
კენებისა და წამებისაგან სრულ თავისუფალი.
მამ, მივისწრაფოთ, ძმანო, მივისწრაფოთ, რათა აღვესრულნეთ,

- მიკონებულნი და მიკრულნი ღმერთის, ყოველთა შემოქმედს,
 რომელი ჩვენთვის, ბედშეათათვის, მოვიდა მიწაზე,
 180 რომელმან მოდრიკა ცანი ანგელოზთაგან დაფარულად
 და წიაღში დაიკარვა წმინდა ქალწულის
 და განხორციელდა მისგან უცვალეებლად და გამოუთქმელად
 და მოგვიპოვა ჩვენ ყოველთა მაცხოვარება.
 ხოლო მაცხოვარება ჩვენი თავად არს სრულიად,
 185 ვითარცა ხშირად გვითქვამს და აწ კვლავ ეიტყვიით
 არა ჩვენ თავად, არამედ ღვთიური პირი
 გამოაჩენს დიდ ნათელს მოშავალი საუკუნისას.
 სასუფეველი ცათა დედამიწაზედ გადმოვიდა,
 უმაღ ყოვლად მეუფე ზესკნელისა და ქვესკნელისა
 190 მოვიდა და იხურვა ჩვენ დაგვესგაგესებოდა,
 რათა ყოველნი, რომელთაც ნათელი მისგან გავინაწილეთ, ვით
 ნათლისაგან,
 გამოეჩინილიყავით [ნათელ] მეორე, მსგავს პირველისა
 და ცათა სასუფეველის ზიარნი და დიდების
 მონაწილენი ვქმნილიყავით და თან დაგვემკვიდრებინა.
 195 საუკუნო სიკეთე, „რომელი თუალმან არა იხილა“.
 ესე არიან, როგორც მჯერა, მწამს და ვამბობ,
 მამა, ძე და სულიწმინდა, სამება წმინდა,
 ესე წყარო კეთილთა, ესე სიცხოველე მყოფთა,
 ესე სიტკბო და შვება, ესე სამოსი და დიდება,
 200 ესე სიხარული გამოუთქმელი და მაცხოვარება ყოველთა
 მონაწილეთა მისგან გამოღებული გამოუთქმელი ნათელის
 და შემგრძნებელთა მასთან ერთად ზიარების.
 ისმინეთ, მაცხოვარს ასე ხომ მისთვის უხმობენ,
 რომ ყველას, ვისაც უერთდება, მაცხოვარებას ანიჭებს;
 205 ხოლო მაცხოვარება დახსნა ყველა ბოროტისაგან,
 ყველა სიკეთის და ხილამაზის ერთად პოვნა საუკუნო,
 მომღები სიკვდილისაგან სიცოცხლის, ბნელისაგან ნათელის,
 ვნებათა და ფრიად შესაკდამებელთა საქმეთა მონობისაგან
 სრული თავისუფლებისა ყოველთათვის,
 210 რომელნი შეერთვიან ქრისტეს, სრულიად მაცხოვარს.
 მაშინ ისინი წაურთმეველ სიხარულს იძენენ,
 სრულ ხილადეს და სრულ მხიარულებას,
 ხოლო მეორენი მისგან მთლად გამოორჩეულნი არიან,
 არცა შეძიებულნი მისნი, არცა მასთან შერთულნი
 215 დაქსნისიან ვნებათა მონობას და სიკვდილს;

- თუნდ შეფენი იყვნენ, თუნდ მთავარნი, თუნდ დიდებულნი,
 თუნდ ნებიერობა, თუნდ შეება და თუნდ ტებობის სიამე ჰქონდეთ
 იმედად და სიკეთით ფუფუნეულად თავს მიიჩნევდნენ,
 ვერასოდეს შეიძენენ ისეთ სიხარულს,
- 220 როგორც აქეთ ქრისტეს მონათა, თავისუფალთ ყველა
 შეუფერებელი გულისთქმის, სიამისა და დიდებისაგან, —
 სიხარული ყოვლად გამოუხატველი და გამოუთქმელი,
 რომელს ვერასოდეს ვერავინ შეიცნობს, ვერავინ გაიგებს და ვერავინ
 იხილავს,
 თუ, ვითარცა ღვიძლთაგანი და ახლობელი, არ გაათბო ქრისტესთან
 შერთვამ,
- 225 არ შეეზავა გამოუთქმელი შეერთებით მას,
 რომელს ქშენის დიდება და პატივი, ქება და ყოველი საგალობელი
 ყველა ქმნილისაგან და აღმომფშინავისა სამარადლეოდ, ამინ.

55-ე საგალობელი

**რომ მათთან, ვინც წმინდა ნათლისღება შეუბღალავად დაიცვა,
 რჩება ხელწმინდა, ხოლო შემბღალავთა ნათლისღებისა იგი გა-
 ნესორება.**

- შენ მიცნობ, ქრისტე, ყოველი უსჯულოების
 მოქმედს, ჭეშმარიტად ყოველგვარი ბოროტების ჭურჭელს,
 რაიც თავადვე ვუწყვი ყოველგნით და აღვსილვარ კდემით
 და სირცხვილის და წამების ტკივილი მომიცავს
- 5 და ჩემს გულს დაუთმენელი შრომა სძლევეს,
 მაგრამ ნათელი პირისა შენისა საიდუმლოდ მინათებს
 და სჯათა ჩემთა უკან სდევს, წმენდს ნაშრომს
 და სიხარულს მიაგებს საწყალობელ სულს ჩემსას.
 მსურს, რომ ვეწამო, ქრისტე, და წამება არ მეზება,
- 10 მე ვეწამები, ხოლო ამით უფრორე
 არ წარვხდები და მომავალ სიხარულს არ მოვაკლდები;
 ოღონდ, მბრძანებლო, შენ ნურასოდეს მას ნუ მომაკლებს,
 ნურც ახლა და ნურც მომავალს ცხოვრებასა შინა, მეუფევე ჩემო;
 რამეთუ სიხარული პირისა შენისა ღმერთის ხედვაა,
- 15 შენ არ ხარ მხოლო მრთელი სიკეთე, ღმერთო ჩემო,
 არამედ მხილველთაცა შენთა მრთელ სიკეთეს ანიჭებს,
 მონაწილეობით და ზიარებით აღავსებს, რომელთა უმზერ,

არა მხოლოდ მომავალსა /მძულს ამის მთქმელნი/ [ცხოვრებასა
შინა],
არამედ ახლაც, სხეულებრივი ყოფნით, რომელნი შენი ღირსნი
არიან,-

- 20 რომელნი განწმენდილან სინანულით,
ჰხედავ და შენს ნათლად ხილვას მათაც შეაძლებინებ,
არა ძილისშორისით, ანუ სულს ფიქრით რომ ეჩვენება,
არცა მარტივი ხსენებით, როგორც ზოგნი წარმოიდგენენ,
არამედ საღმრთო კმედების და საშინელი საქმის სიძარტლით,
- 25 [რაც სჭირდება] საღმრთო ეზოს-მოძღვრობის გაწვევას;
რამეთუ მაშინ შეაერთებ განშორებულთა
შენ, ღმერთი, ვითარცა ყოველთა ცოდვილთათვის მაცხოვარება.
რომელთაც სიყრმითგან ნათელ-იღვს შენი ნათელი
და უღირსად განვლეს ცხოვრება,
- 30 ექნებათ უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე მოუნათლავთა,
მკაცრად დაისჯებიან მაგინებელნი, ვითარცა სთქვი, შენი წმინდა
სამოსის;
და რაკი ესე უეჭვოდ და ჭეშმარიტად უწყვი, მაცხოვარო,
მოიღე სინანული მეორედ განწმენდისათვის
და მით განსაზღვრე ხულის მადლი,
- 35 რომელიც ნათლისღებისას მივიღეთ პირველ;
და შენ სთქვი, რომ არა მხოლოდ წყლით არის მადლი,
არამედ უფრორე სამების სულის ხმობით.
როდესაც ჩვენ, უგუნურთა ყრმათა, ნათელ-ვიღეთ
ვითარცა უმწიფარსა, ბოლომდე ვერ შევიტყბეთ მადლი,
- 40 პირველ დანაშაულს აწ გამოვისყიდით;
მე ვთვლი, რომ მხოლოდ ამის გულისთვის განგვიწყესე
გახრულება, მბრძანებელო, ღვთიურ ემბაზში განბანისა
და ნათელ-ღებულნი ვენახში
შეკვდივართ, განბანილნი და ბნელისა და გეჰენისაგან
- 45 და სიკვდილისა და ზრწნილებისაგან მთლად თავისუფალნი;
ვენახი სამოთხედ მომეგონება და არის კიდევაც,
რომლიდანაც გამოძევებულნი ვართ და კვალად ხმობილნი;
და ვითარცა მაშინ ადამი იყო შეცოდებამდე,
ეგრეთცა ყოველნი ვიქმნებით შეცნობით და მეცნიერებით
ნათელ-ღებულნი,
- 50 გარეშე მათსა, რომელთაც არ მიუღიათ უგრძნობელად საცნობელი
გრძნობა,
რომელს მომავალი სული იქმს მოქმედებით.

- მსგავსადვე მცნებანი მივიღეთ ჩვენ, ყოველთა,
 ვითარცა ადამა, საქმედ და დაცვად –
 სულში სულიერი და ღვთიური წესით მდგომარე მცნებანი,
 55 სხეულში – სხეულებრივად, საქმეში განსახორციელებელი წესით.
 რამეთუ ორმხრივია კაცი და ორმხრივივე მისჭირს წესი და შჯული
 და, ამისთვის რომ არ ინაღვლოს, სხვას რასმე კარგავს.
 ვინათგან მხოლოდ სულს ქმნა არ ძალუძს კეთილთა და მშვენიერთა
 საქმეთა, სხეული შექმნილია არა თანახმად საღვთო შეცნობის და
 მეცნიერების,
- 60 ვითარცა ხარი მაშვრალად ითვლება, ანუ სასაპალნე ცხოველად.
 ახე რომ შენს კენახში თუ სამოთხეში
 შენგან ნათელ-ღებით უკანვე ხმობილნი
 და სრულიად უცოდველად ანუ განწმენდილად
 შესულნი, იქმნენ ვითარცა პირველი ადამი;
- 65 მერმე უღებ-ყვეს და არად ჩააგდეს, რომ ესოდენ აცხოვნე
 და რომ ესოდენ უფრთხილდებოდი, ქრისტე, გამოუთქმელად,
 ადამის საქმეთა უძვირესნი ქმნეს საქმენი,
 შეურაცხვეს შენი კაცთმოყვარება,
 არცა საშინელი ეზოს-მოძღვრობის საქმედ იგულვეს
- 70 სანათლისღებო ბანა განახლებითა სულისა წმიდისაჲთა.
 ვითარ ფიქრობენ ბევრნი კაცთაგან,
 ეწინენ შინაგან ყოფნას და შემცოდებობას
 და მიტოვებულ იქმნენ წმინდანნი და კვალად შეიბღალნენ
 და შენი ქიტონი ბოროტად შესვარეს, მაცხოარო ჩემო,
- 75 და ამათში მკვიდრობა შინაგან უწმინდურისა გულისა
 შენ, განსპეტაკებულმან და წმინდამან, ნუთუ სულ ოდნავაც
 შეიწყნარე?
 – იყუნე, – მითხრა ღმერთმა, – ნეტარ მე არ მყოლოდა, შეილო.
 ხომ უწყი, რომ შენც ნათელ-ილე, მაგრამ შეიბღალე
 და, მსგავსად ფაწვილისა, შესცოდე; ვით უგუნური, ცთომილი ხარ
- 80 და უწყი, რაბამ მოსთვლიდი გოდებით, რაბამ ეწამებოდი,
 ვით იუარე მთელი სოფელი და თითქმის
 თვალმოჭრილი და განმფრთხალი იყავ მამისა შენის, სვიმეონის,
 ლოცვებით,
- დასაბამითგან მხოლოდ გონებით, საცნობელი გრძნობით
 გასაგონი ხმის ღირსი გაგზადე, მას მერე სხივისაც
- 85 და ამის შემდგომ ეღვარებად მოგეზილვე კაცთმოყვარებით.
 მერმე ღრუბელი ვიქმენ სულ მცირე, ცეცხლის სახისა,
 შენს თავითთ ზეგარდმო დადგრომილი,

- და ხაჩის მხოლოდ ღვთაებრივი ხილვა მოგანიჭე
და ძრწოლით ცრემლის ღვრა და გულის-წუხილი ფრიადი;
- 90 ენთებოდა ვნება ზორციელი, გონებას ბნელი ედებოდა
და, თითქოს ცეცხლში წვისაგან, სურნელება იღვა,
ხორცის მსხვერპლვით თავისთავად მონანქრევი, ვითარცა იცი.
ამის შემდგომი ბოროტებანი და სივიწროე,
რაოდენიც მაშინ თავს-იღვე, სულ დაივიწყე.
- 95 მე, ღმერთმან, რომელმან ყოველი ეუწყი, გაკამყარე
შენი რწმენა, თავის დამდაბლება მაშის წინაშე
და შენი სურვილის უარყოფა შეგაძლებინე ყოველსავე შინა,
რასაც მოწამეობად მივითვლი და არის კიდევაც.
საკუთარი სურვილის არ-მქონე სრულ კვდება,
- 100 ხოლო ჩემს სურვილში იპოვება და ცოცხლობს.
და ასე შენც და იგიც თითოეულად აღარ
მომეძალებით ცრემლებით მე, რომელი ბუნებით კეთილი ვარ;
ამიერ უფრო ვრცელად და გამუდმებით გეჩვენები, ვითარცა უწყი,
დაწერილებით განვწმენდ შენს სულს სინანულით
- 105 და ცეცხლით შევმუსრაე ვნებათა მივიწვებულ ნალექს,
არა ზორციელს, არცა ნივთიერს, არამედ უნივთო კვლებს,
ვით ღრუბელს - სიბნელეს, ვითარცა ხშირ ღრუბელს - ჯანლსა და
წვედიადს
შენსას მარხვის-ჭვრით სიხშირე ეცლება და ზორცი გეწრიტება და
დაშვრები
- მღვიძარებით, ლოცვით და ათასნაირი წამებით
- 110 და ყოველ ცისმარე ცხელი ცრემლებით განიბანები,
ცრემლიანია შენი ლოცვა, საჭმელი და სასმელი უფრორე
და ძლივსლა გქმენ დამტყვენელ ჭურჭელად,
არა მხოლოდ დამტყვენელად, არამედ განწმენდილად
/აქ ყურადილე ცეცხლის გულში შეუწველად დარჩენა/.
- 115 ასეთი გაგზადე, რომელმან იხილე მაშინ
შენში აალებული და შენზედ შემოგრაგნილი ნათელი,
შეპოვიდა მრთელად შენში, მიუწვდომელი - ბუნებით,
და მშვენიერი შეცვალებით უცხოდ შეგცვალა.
თუ ყველა საქმით მე არ მმსახურებ, ეს ნათელი
- 120 მცირედ მაინც მიითვალე და შეიტკბე გულით,
ანუ აკურთხე უსიამო, ანუ დარჩი უენო,
კეთილი სიტყვა მიაფერე, ბოროტ ფიქრს ნუ მიუყვნებ,
რომ არ მოინანიო ცხელი ცრემლებით,
და ამ ფიქრსაც სინანულით ამოიძირკვავ;

- 125 ყოველი სიავე, გულში გაელეებული,
დასარჩენ ფიქრად ზომ არ ქმნილა; ვინათგან სული ღვთიურია,
ჩემი თანა-არსი და მამისა, ვითარცა ჩემი ერთ-არსება,
და შეფარვით და მოულოდებელად მიქჳრის, ვით მზე დამავალი,
და დაფარული ღვთიური სული წამიერად აღარ იხილვება.
- 130 როგორ იქნება სულში, რომელიც მრთელად არ განწმენდილა,
რომელი არცა სულთა ურთიერთ-დანანების შეგრძნებამდის
მისულა როსმე?
ან კიდევ როგორ გაუძლია გაშიშვლებული ცეცხლის ბუნებისა
და ვკლებიხთვის სულს, ვნებებით და ცოდვით აღვსილს,
ნეტარ არსება ვით დაიტია, ყოველად დაუტყვენელი,
- 135 ვით შეერწყა წყვდიადი ნათელს მიუწვდომელს
ან არ განიქარვება მისი თანაარსობით?
არა არს, შვილო, ესე არაგზით სრულად შესაძლო.
მე ზომ ქმნილთაგან ყოველთა ვარ გამორჩეული;
რა გავხდი ქმნილი, ყოველთა შემოქმედი,
- 140 ზორცით ვემსგავსე კაცთა,
ამათ მსგავსად სული აღვიორძინე და გონება.
ამით ღმერთნი ყოველნი კაცებად ზომ
არ მიქცევიან, არამედ კაცად ვიშვე მე
და სარწმუნოებით და ჩემთა მცნებათა დამარხვით
- 145 და ნათლისღებით, ჩემთა საშინელ საიდუმლოთა
საღვთო ზიარებით და განაწილებით ყოველს ცხოვრებას ვანიჭებ.
ცხოვრება რომ ვთქვი, გავაცხადე სული ჩემი ღვთიური;
მაინც ამასაც შეისწავებდნენ, ვითარ თქვა პავლემ,
რომელთ სული ჩემი აქვთ გულთა შინა თვისთა,
- 150 სანათელი და მღალადებელი აქვთ მამისა ჩემის მიმართ
და მათი მუშევრობით ჩემდამო იტყვიან: აბბა, მამაო ჩემო!
რამეთუ შეიღნი არიან ღვთისა და სითამამით
მცნობელნი მისნი, მე მიმზერენ და მამას უხმობენ;
ზოლო ეტყვიან თითოეულად, ვისაც ის სული აქვს ეხლა
- 155 გულში ყოველად ჭეშმარიტად: შვილო, ნუ გეშინინ.
აჰა, ვითარცა-ესე მხედავთ, მე თქვენში ვარ
და თვენთანა ვარ და ხრწნილებიხა და სიკვდილისაგან ერთბამად
გათავისუფლებთ და გაჩვენებთ, ვისნი შვილნი და მოყვასნი
გქმნით თქვენ; გიხაროდენ უფლისა მიერ.
- 160 ესე იქნება ჭეშმარიტი ნიშანი კაცთათვის,
რომ ძენი ქმნილან და მკვიდრნი ღვთისა,

- რომ მიუღიათ და აქეთ სული ჩემი ღვთიური
და მას აქეთ ნამდვილად ქრისტიანებად იწოდებიან
ჭეშმარიტების აღსაარებით და საქმით, და არა მხოლოდ სახელით.
- 165 ხარწმუნოთა ამათ და საწადინოთა მიემთხვევიან, ჩემო ქრისტე,
რომელნი წინასწარ იცან ცხადად და ჰყავ
თანა-მსგავსად შენის ხატისა სულისა მიერ ღვთიურისა,
და მათთვის ყოველივე შესაძლებელ არს, რამეთუ იწვევი
სამარადღეოდ სინარულიხთვის გამოუთქმელის.
- 170 ხოლო ყველა დანარჩენი ამას შეუძლებელად ჰრაცხს,
არ სწამთ ყოველი წიად-მოსულთაცა,
რომელნი თავს იტყუებენ, ანუ შეშლილთა,
ნუგეჰმინსაც რომ ეპირებიან გაქარწყლებულ იმედთა გამო,
მაღლად და თითქმის მოხდენილად მეტყველებენ თავის მოხაწონი
სიტყვებით
- 175 და საყვარელთა თვისთა იგავით უყვებიან ამას
და საშინელთა მცნებათა შენთა მოძაგებენ სრულიად.
არ სურთ გეძიებდნენ, ვინათგან პოვნილად გთვლიან;
ხოლო თუ თავისად არ გაღიარეს, ღმერთო ჩემო,
მაშინ შენს ყოვლად მიუდგომლობას საქვეყნოდ იქადაგებენ,
180 თითქოს არაეინ გიხილა კაცთაგანმან, არცა ხილვად ზელ-უწიფების,
არ ყოფილიყოს თითქოს ვინმე მათგანი მეცნიერებით დამეტებული.
ანუ ყოველთა კაცთათვის შენს მისხველობას და მისაწვდომობას
ასწავლიან, ანუ ყოველად მიუდგომლობას და მიუწვდომლობას;
მაგრამ ორკერძოვე ცდებიან, რამეთუ ვერ უცხნიათ
- 185 ღვთაებრივი და კაცებრივი დაბნელებულთა.
გაუნაწილე მათ ნათელი მეცნიერების, მიეც ზელი, ღმერთის შიში
ჩაუკდე,
- ბოროტი გამონაგონის ორშოითგან აღმოიყვანე,
რათა ერთბაშად იგრძნონ, რომ ორშოში იმყოფებიან,
ბნელში სხედან და ღმერთის ნათელს ვერ ხედავენ.
- 190 ამ ნათლის მოწამენი და აღმსაარებელნი არიან,
მაგრამ არ სჯერათ აწ არსებობა მხილველთა შენთა.
თუ დაუფარავ მათ შენს ნათელს და ვერ იხილავენ მეცნიერებით,
ვითლა იწამონ ცხადად, რომ ეწვენები ღირსთა
და ესაუბრები და აწ და მარადის ჰვიე მათთან,
- 195 ვითარცა მოყვასთა თანა, ვითარცა შენთა ხარწმუნო მონათა და
მეგობართა თანა, თქმულისაებრ შენის.
მაგრამ მორწმუნეთა ღმერთი ხარ შენ, და არა ურწმუნოთაცა,
რის გამოთაც მრთულად მათ არ მოიხილავ.

- მათ, რომელნი უარგყოფენ და იტყვიან, რომ არ ანათებს ნათელი შენი საკუთარი და ვერ აღწევს ღირსთა ხულებში,
 200 როგორ აჩვენებ მაგ ნათლის სახეს, მაცხოვარო ჩემო?
 არცრანაირად, თუ დიდ ხარწმუნოებას არ შეიძენენ, ვითარცა

სთქვი,

- და შენს შჯულის ხაღეთოს გულმოდგინედ არ შეინახავენ და სიკვდილმდე შენ გამოთ თავს არ დახდებენ ბრძნულთა მცნებათა შენთა ჭეშმარიტი მუშაკობისთვის.
 205 ეს ხსნა და მაცხოვრება ყოველთა გადარჩენილთა, სხვა გზა არ არის, ვითარცა სთქვი, ო, ღმერთო ჩემო. გეწყალებოდეთ, გეწყალებოდეთ, რომელნი გნატრობთ, მაცხოვარო, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მე-3 ხ ა გ ა ლ ი ბ ე ლ ი

ვინ არის მონაზონი, რას წარმოადგენს მიხი ღვაწლი და ჭკრეტის რა ხიმაღლეზეა იგი ახული

- მონაზონია ის, ვინც სოფელს განუდგა და მხოლოდ ღმერთს ჭკრეტს მარადის მასთან მყოფი. მხედველსა ზედაეს, მოყვარული ღმერთს უყვარს და გამოუთქმელ ნათელშია დანთქმული.
 5 ხანელმონვეჭილს თავი გლახაკად მოაქვს, შეილად მირქმული¹ გარიყულივით დადის. საკვირველია ფრიად, გამოუთქმელი! მრავალ ხიმდიდრეს შორის ვარ უქონელი. უპოვარი ვარ, ყოვლის მქონეც და ვამბობ:
 10 წყურვილს ვერ ვიკლავ წყალუხვ წყაროსთან მყოფი. ვინ მომცემს, რაც მაქვს გულში დაუნჯებული? ხსნაგან სად ვპოვო ჩემში დაჯანებული? როგორ ვიტყვირთო სულში ღრმად დამარხული და მთელს სოფელში თვალთაგან უხილველი?
 15 ვისაც აქვს ყურნი სახმენელად, ისმინოს² და გულისხმა-ყოს უხწაველელისგან თქმული!³

¹ გალტ 4,5-7.

² იხ. მთ. 11, 15; მრ. 4,9; ლ. 8,8 და სხვ.

³ მღრ. სჟმ. 4,13; 1 კორ. 1,20.27. ა. 7,15.

57-ე საგალობელი

ღვთის მეტრეხს სძულს ხოველი

ჩრდილს დაუჟყვივარ, თუმც მართლის ვარ მხედველი,
სხვა არარაა, სასოა უეჭველი¹.

რა არის სასო? რასაც თვალნი ვერ ჰკრეტენ²,
რაც ცხოვრებაა, რასაც ელტვის ყოველი.

- 5 ცხოვრება რაა? – ღმერთი ყოვლის შემქმნელი³.
ღმერთის მოხურნეს სძულს მარადის ხოველი⁴.
მკვდარია იგი, მაგრამ რაა უცვლელი?

¹. II კორ. 1,6; I კორ. 13,13.

². I კორ. 2,9.

³. იოანე 14,6.

⁴. I იოანე 2,15.

ბიორგი სკილიცა

XII საუკუნის ნაკლებად ცნობილი მოღვაწეა. გამოქვეყნებულია იამბური ტრიმეტრით გაწვობილი მისი 100-პნკარიანი ეპიგრამა, რომელიც 1172-1180 წლებით თარიღდება /ეს არის ალექსის მეფედ კურთხევის და მანუელ კომნენოსის გარდაცვალების წლები/ და რომლის ზედწერილშიც ავტორი იხსენიება პროტოკუროპალატად. გამოქვეყნებულია აგრეთვე ჰიმნოგრაფიული კანონები წმინდა გიორგისადმი, წმინდა დემეტრიოსისადმი, ცხებულის საფლავის ქვისთვის თხზული გალობანი მეოთხე ხმისა /დაწერილია კონსტანტინეპოლში იერუსალიმური რელიქვიის გადმოსვენებასთან დაკავშირებით/ და სხვ. ქრესტომათიისთვის ვირჩიეთ გალობანი წმინდა გიორგისადმი. მისი დაწერის თარიღად ხ. პეტრიდისი აცხადებს 1166 წ., როდესაც მანუელ კომნენოსმა ერთდროულად მოიგვრია უნგრელები და თურქები /ტექსტში ლაპარაკია მტრის ოთხივე მხრიდან შემოდგომაზე/. წმინდა გიორგის გალობანი ვირჩიეთ აქ წარმოსადგენად, ჯერ-ერთი, ბერძნული დედნის მხატვრულ ღირსებათა გამო /ლერო ალაციუსი ამ ძეგლს უწოდებს ფრად დახვეწილ კანონს: *canonem elegantissimum*/ და, მეორეც, იმიტომ, რომ წმინდა გიორგი ქართული ეთნიკური სამყაროდან გამოსული მოწამეა. მსოფლიო ეკლესიის გიორგობის დღესასწაულის გარდა, ქართველი ხალხი მრავალ გიორგობას ზეიმობს, ხოლო მეტადრე ურმის თვალზე გაკვრას /10 ნოემბერს, ძველი სტილით/. გიორგი მთაწმინდელის განმარტებით, ეს წინათ მსოფლიო ეკლესიის საზეიმო თარიღიც ყოფილა, მერმელა ბერძნებს თანდათან „არა დიად“ უდღესასწაულიათ და დაჰვიწყნიათ, ჩვენში კი შემონახულა და, 10 ნოემბრის ხსენების შესაბამისად, თქვასც /ნოემბერს/ გიორგობის-თვე დარქმევია.

გიორგი სკილიცეს „გალობანი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ ლიტურგიკული პრაქტიკიდან განუღვენია დავით ჰიმნოგრაფის კანონს. ამ ავტორს აიგივებენ პოლემიკოს დავით დისპიატოსთან /XIV ს./ რაც შეეხება ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების ზოგად ასპექტებს, აშკარაა გალობანში, ეპოქის შესატყვისად, ანტიკური ჰიმნური პოეზიის

ტრადიციათა აღორძინების კვალობაზე, თხრობითი ელემენტის ზრდა, მინიშნებათა გამჭვირვალე ხასიათი, რაც უთუოდ ღმრთისმსახურების დამსწრეთა ფართოდ განსწავლულობას ემყარებოდა და ეს წმინდანთა ცხოვრების რამდენადმე გაცხადებულად ქების ახალი ტალღაც იყო, განსხვავებული ბერძნული საეკლესიო პოეზიის განვითარების კლასიკურ ხანაში /VII-IX სს./ „მიმოგდებით თქუმის“ პრინციპებისგან /ტერმინი დადასტურებულია მიქაელ მოდრეკილის იადგარში/. თავის მხრივ, სქოლიასტებს XII საუკუნის შემდგომაც დიდი შრომა დასჭირდათ, რათა ყოველივე საღმრთო წერილზე დაყრდნობით გაეაზრებინათ.

გალობანი წმიდისა მთავარმონაქმისა და ძლევაშემოხილისა გიორგიხნი

თავნი იტყვიან: მარტვილს გიორგის საგალობელს მივართმევ-
გიორგი ხკალიცა.

**უგალობდითხა, ხმა შეოთხე გვერდითი.
ძლიხპირა ეტლთა მფლობელი.**

სიყრმითგან გულის კვალსა და ორნატში მომუშაკებული რწმენა შენ-
დამო და მით გამოხვარბლული საიდუმლო თაველი სიყვარულისა და აწ
გამოღებული შენთა ახოვანებით ძლევათა საგალობლები წყალობით შე-
იტებე და შეიწყნარე, მოწამეო შარავანდელო გიორგი.

ღმრთისგან შობილი ზეგარდამო, დედაშვილური სიყვარულის კვალს
შეუდეგ და საღმრთოდ აღორძინდი წყლისაგან და ხულისა და შეგონებე-
ბით ძედ მადლის გამოაჩინე შენ, ყრმამ, მამა – გერონტიოსი.

თითქოს საქმით იხილვე მიწის მუშაკად, შენთა სიტყვათა თესლით
საკერპო საცთურისაგან განსწშიდე სული მამისა და ღვარძლი ამოხძირ-
კვე მისგან და თმათა სითეთრე სამკალის მოლოდინად გამოაჩინე.

სიტყვა ღმრთისა ვით ღებსული მახვილი იშიშველე მამაცურად და მა-
მეული ძირისაგან მოჰკვეთე კვალ-ბარდი და ხულით შეაერთე, რომელნი
შეერთდნენ შენში, და ქრისტეს მიაახლე, გიორგი, პოლიქრონიას თანა
გერონტიოსი.

ღმრთისმშობლისა: ადამიანთა მოდგმის პირველი დედა ვეა ღმერ-
თმა გვერდისაგან ადამისა შექმნა, გარეშე სხეულით შერთვისა, და მით
სასწაული შენი წინახწარ დაწერა, ვინათგან უზესთახსად ადამიანურ
რჯულთა, ქალწულო, კშვე აღმდგარი ხამი დღის შემდეგ.

განძლიერება ძლიხპირი: განსაძლიერებულ მექმენ.

რათა უამსა თვისსა ნაფოფი გამოსცე შენ, დანერგულმან თანაწარსა-
დინელსა წყალთა, ქრისტეს – წყალისა ცხოველის – წმინდა მცნებათა,
აღჰვეავდი ვითარცა ფინიკი სახლში უფლისა, გიორგი.

რა გაიგონე ღვთაებრივი პაელებს სწავლანი, მთართვი თავი შენი მეუ-
ფეს ვით მხედარმან, რამეთუ ხაწყისი ყოველი რჩეულ არს ღმრთისგან¹,
და სიძნითი სძლიე შენზედ აღმდგართა, გიორგი.

ახოვანება სხეულისა იხილა და მკლავთა შენთა ღონე და პირისახის
მშვენიერის დამწვაზრულობა, მაშინ ხანაცკლოდ მიწიერი ძღვენი გიბო-
და მეუფემ; ხარტყელი მხედართმთავრის შემოგარტყა, გიორგი.

ქრისტეს მიყოლა მოიწადინე და მოიძაგე წარმოსადეგობა და ყოველი
ხაცხოვრებელი, განუყავ გლახაკთა და უპოვართა სიმდიდრე შენი, გი-
ორგი, და მოახპარეზეთა შემსგავსებულად შიშველი შეხვეულ ხარბიელს.

ღმრთისმშობლისა: ედემს ხიტყვა ღმრთისა და ფეხისხმა ვეამ აღამ-
თან ერთად გულისხმით ცნა და შეეფარა, ხოლო მენელსაცხებლეთა
გუნდმა, ქალწულო, შენით განიხარა, რამეთუ აღმდგარი ქრისტეს ფე-
ხისხმა ესმა და განძლიერდა.

კათიზმა, ხმა პირველი. გუნდი ანგელოზთა.

მეფეთა უხაწმინდართა მკაცრი აღმფხვრელი, კაცთათვის კეთილ-
მოსავთა მგზებარედ სიკეთის მქმნელი, დიდი – ხასწაულთა შინა და
მრავალძალი, გამომსვიდეული ტყვეთა სიმრავლის და მათებელი მტრის
მწყობრთა, – პატივით შეიმოსოს გიორგი.

ხსვა კათიზმა, ხმა მეოთხე გვერდითი. ხიბრძნე და ხიტყვა

სამების რწმენით გამაგრებულმა და ჭეშმარიტების შურდულით შე-
ჭურვილმა, მოიშორე ცთომის აშპარტაენული უცხოობა და მტერს გა-
მოსტაცე ხიტყვათა მახვილი და მით მოსჭერ სიცრუის წინააღდგომა,
რის გამოც ძლევაშემოსილი ზარზეიმით მოდიხარ; სხეულით მომკედარ-
ხარ, ხოლო სულით განცხოველდი, მძლედ მოახპარეზეო გიორგი.
გვითხოვე ქრისტე ღმერთისგან, მოიღოს ცოდვათა მოტყვევა ჩვენთვის,
რომელნი სიყვარულით ვდღეხასწაულობთ შენს წმინდა ხსენებას.

¹ შტრ. - ჭელწიფებანი ღმრთის მიერ განწესებულ არიან". რომაელთა, XIII, 1.

ღმრთისმშობლისა: ჭეშმარიტად მუცლად-იღე შეუწველად სიბრძნე, დედაღვთისაჲ, — მაცხოვარების მიზეზი, რომელს მრთელად უპყრია სოფელი, და შენი წიაღი ჰქონდა სამყოფოდ მას, რომელი მოიცავს ყოველს, საზრდელის მომღებელი ყოველათვის და შემოქმედი ქმნულის; რის გამოც გვერძალვი, ყოვლად წმინდა ქალწულო, და რწმენით გადიდებ, რათა დამხსნა ცოდვათაგან; რაჟამს განმიმზადებს წარდგომას მყოობადი, ქალწულო დედაე-ბატონო, რომელი ხარ კრავაი, მეოხება შენი მამინ მომმადლე; ხოლო ძალგიძს, რაოდენი გხურს, ყოვლად საგალობლო.

უფალო მესმახა ძლისპირი: შენ ძალი ჩემი უფალო.

ჟამსა თვისსა სხვა ვინ გექმნაო უფროისად საფერი, თავს შეუძახებდი, გიორგი, რამეთუ აწ ზრახვა არს უმოკრძალებოთა და ჩარადოვანთა დასაყდრება და მეფენი შეთქმულ იქმნენ უფლისათვის შენისა; ამათ სამხილებლად უღელი გადაიგდე და აღდეგ.

ჭეშმარიტებისთვის მებრძოლი ჰქვამდები: რად შეყრილა საშინელი საკრებულო? რად ინაღვლით ამაოდ ქრისტეს შარავანდის დასათქერად თქვენ, რომელნი დასდებთ რჯულს კერპთა სისხაძაგლის პატივით შემოსვის? ხოლო მე ერთადერთს ვუმსხვერპლებ: ჩემს ღმერთს მსხვერპლს ქებისას მივართმევ.

შენი სიტყვებით რისხვის ცეცხლი აღატყდებოდა მეფისად, მაგრამ ფარავდა იგი საპირფერო სიტყვების მომარჯვებით და ღირსად ამალღების დაპირებით ეშურებოდა, დაურღვია შენი გოდოლი სულისა, ხოლო დაიმსხვრა თავად, შენდამო — დაურღვეველისად — შემოვრდომილი, გიორგი.

დაუძლეველი ძალი შეიძინე, ხარის ძარღვებით გვემულმა, და შენი სისხლის ნიაღვარებით განჰბანე დედამიწა და ვითარცა უხორცო დაპრანი; ხსენებისათვის და მაგალითისა ჰრჩეობდი ქრისტეს, რომელს შოლტი სცეს და ლახვარი უგმირეს გვერდს და სისხლისაგან დაწრიტეს, გიორგი.

ღმრთისმშობლისა: შენ, ოქროცურვილმა ტრემა კიდობანისამ, ზეთისნილის რტოს რომ ეზიდები, ქალწულო, — ქრისტეს, რომელმან თავის ხორცს ღმრთეების ზეთი სცხო და რომელი აღმდგარი იხილე მენელსაცხებლეთა თანა, მშვიდობა აუწვე ხოფელს.

ღამით განხა

ძღვისპირი: რა მხატვს განმიშორებ.

საკანი გექმნა ვითარცა სინას მთა, რამეთუ ღმერთი გამოვიჩინა; ღოდის ქვეშ მდებარე, მკერდს დადებულისა, და მისი სიმძიმით დაწუხებულნი, მხედავდი ღმერთს, რომელი უენებელად გინახავდა, გიორგი.

საკირის ცეცხლში შთაგაგდეს, — რომელს დაუშრეტელ ცეცხლად გქონდა გულში ქრისტეს სიყვარული, და შეუხებელი დაქრნი და სიმრავლე ერისა, რომელი ვერ მხედავდა, ქრისტეს სურვილამდე აღამაღლე რწმენით, გიორგი.

როგორც დავით მეფსალმუნე წერს, მსგავსი ღმერთთა მისთა იყო მეფე: თვალნი მქონდა, მაგრამ დაუსალამოებელ ნათელს ვერ ამჩნევდა; შთაგადო ქებაში, რომელი ხავსე იყო გახურებული ტყვიით, და კვლად მრთელი გინილა, გიორგი.

მძლე ყავ რითა შინა მეფე რომაელთა, დიდებულო, სკვითთა მომწყდართა და სპარსთა და ბარაბაროსთა მწყობრის მამაცურად შემმუსრველი, ძლევით შემოსე ძრიელი, რომელი უენებელად შეინახავს შევრომილთა.

ღმრთისმშობლისა: კარი დაუბეჭდავი — ქრისტე — ყოველთა მომავალთათვის განხსნილ არს, ქალწულო, შენი ბჭე რომ განგლო და დახსული დატოვა და საფლავის კართაგან დაბეჭდულთა საიდუმლოდ აღმოსხლდა და „შევიდა კართა კმულთა“.

ღაღაღეკა

ძღვისპირი: მომიტყვენ ხასიერ.

გცნა უძლურად ურწმუნომ და უმოკრძალებომ და მხილება ინება შენი, მგზებარისა, გულ-ღვიძლი ვეე [გამდნარი] ტყვიის შთახსმით სცადა, გიორგი, მაგრამ სირცხვილულ იქმნა, ვინათგან შენ უენებელად გადაქრნი.

მოყვსობა მოაჩვენე უმოკრძალებოს, გიორგი, თითქოს მხსვერპლის მხატანად მიეახლე ბომონს და არა ხელით შენით, არამედ მხოლოდ სიტყვით შემუსრე მთელი კერპი.

მწამლკველმა ათანასიოსმა უგონოდ შეგიშხადა ხასიკვდილო ხასმელი, მაგრამ ვერცრა დაგიშავა, ხოლო ქრისტე ირწმუნა შენგან, ნეტარო, და შესვა თასითგან მოწამეობის.

სიტყვათა მრთელ ძალს და ზრახვას სძლევეს დამეტებით სულისა შენის თმენა, რამეთუ ვითარცა უსულომ გაუძელ წამებათა ათასფერთა მოძალებას, ჭირში გამაგრებულო ჩემო, გიორგი.

ღმრთისმშობლისა: ჰუმშარიტად ვითარ მიუწევდომელ არს სასწაუ-
ლი შენგან შობისა, ქალწულო, რამეთუ წმინდამან კრავმან ჰმევე ლომი,
რომელმან საფლაგში მიიძინა და აღდგა და საფლაგს ეუფლა.

კონდაკი, ხმა მეოთხე გვერდითი. შენს მფარველობას.

შენს მფარველობას და მგზებარედ მეოხებას სანაცვლოს დავეშურეთ
მორწმუნენი და გამოსყიდვისათვის გემუდარებით, დაუმარცხებულად
ძლევაშემოსილო, და, ვინათგან სიტყვის გაცხადებას ჰბედავ, გამოგვის-
ყიდუ აწ ყოვლისაგან საბრხისა და ბოროტებისა, რათა მოგვიოდეთ: ნე-
ტარ იხარებდე, მარტვილო გიორგი.

იკოხი

შემღებით დიადი გამოსწინდი ქვეყანაზე, ქრისტეს მსახურო და ახლო-
ბულო, რამეთუ მორწმუნე ერს საფარად შემოევლე და სცხოვნდები მა-
რადლე, დიდებულო; ჩვენც რწმენით და სიყვარულით გილადადებთ, ბევ-
რგზის მძლეველო:

გიხაროდენ, ვისგან სოფელს მოესწავება და ენიშნება;

გიხაროდენ, ვისგან მხედრობა მნათობია;

გიხაროდენ, ძალო ტყვე მორწმუნეთა გამოსყიდვისაო;

გიხაროდენ, ჰყრობილთა დიდო მეოხებაო სანაცვლოვ;

გიხაროდენ, ხილვაო ცხოველო მათთვის, რომელნი სარწმუნოებით
შენ მოგაშურებთ;

გიხაროდენ, რომელი წამება ხარ მათი, შენდა მომართ რომ ილტვიან,
და წამებასა შინა სიხარული;

გიხაროდენ, რომ ჰგიე სიმაგრედ მეუფის;

გიხაროდენ, რომ ბრძოლაში ძლევეს ანიჭებ;

გიხაროდენ, ვარსკვლავო, მანათებულო მრავალთაო;

გიხაროდენ, ყოველგვარი ავობისაგან განმარინებულო;

გიხაროდენ, რომელს ყოველი მორწმუნე შეგიერდება;

გიხაროდენ, ვისგანაც შემოქმედი იკეთილსიტყვება;

გიხაროდენ, მარტვილო გიორგი.

კერთხეულხარხა

ძღისპირი: ხაღმრთოხა შურისაგან.

დადგრომილ იყავ გახარებული საშინელ საჰყრობილეში, ვითარცა
საქორწინო ჰალატში, ვინათგან გულისა შენის გქონდა სანათელი, განა-
თებული ცეცხლით ხაღმრთო სიყვარულისა, - სანათელი, ქრისტე, შენი
ნეფე, რომელი შუალამისას იხილე, შარავანდს რომ გაველებდა.

საფლავით აღადგინე მომკვდარი კერპთმსახური, ქრისტეს მოხელამ-
დე მომკვდარი, და ნათელ-ღებული ესე ღმერთს წარუდგინე, მაგრამ
დასტური ამის მოვთხოვა მეფემ და ბოროტების საფლავში თვით დარჩა
მკვდარი ცოცხლად.

სამკაულო, სიქადულო, ზღუდეო და საფარო და მორწმუნეთა მეოხო,
რომაელთა მეფეს უწინამძღვრე მარადლე ბარბაროსთა ძლევად, ვინათ-
გან სიმდიდრედ შენ ეგულები, — მფარველი და წინამბრძოლი ვაჟსა
უსასოობის და შეჭირვების, ბრძენო.

განძლიერებული შენთა სახწაულთა სიყვარულით, დედოფალი გან-
თქმული — აღექსანდრა — შეგივრდა შენ, შემწვედუელს, და ქრისტე
ცხებულის ხელად ქმნულმა, საცხებელის სურნელებით მიიზიდა სიმრავ-
ლე დედათა, ნეტარო გიორგი.

ღმრთისმშობლისა: იშვა განხორციელებული შენგან უთესლოდ,
ქალწულო, ახალი ადამი და, მომკვდარი ნებით, შიშველი დარჩა საფ-
ლავში, რომელი არს წალკოტსა შინა; ხოლო აღმდგარმან განუხსნა
პირველ-ქმნულ ადამს სამოთხე, უწინ რომელი დაუჩმო.

აკურთხეველითხა ძლიხპირი: შვეწილ აღაგზნა.

რომელს შენთან ზიარი ზრახვა ჰქონდა, იგი განიკითხა მეფემ, ნეტა-
რო, — აღექსანდრა, მეუღლე თვისი, და უგონოდვე დარჩა, ოდეს თავის
მოკვეთა განუჩინა დედათა, დედოფლის კვალს შედგომილთა; ხოლო
მან, ვითარცა დედოფალმან, მახვილის მიკარებამდე განუტკეა სული და
უფალს წარუდგა მშვენიერი.

გლიკერიოს მიწის-მუშაკმან გუთანში შებმული ხარი ნახა უეცრად
სულამომხდარი და შემოგავედრა, გიორგი, აღგედგინა იგი და, ცოცხალი
რომ ჰოვა კვალად, მეორე ხართან დაუღლებული, იქადაგა ღმერთი და
მახვილით მომკულ ყანად უპირველესი დაეუნჯა ღმერთის ბეღელში.

შენ ხარ, ქრისტე, ღმერთი ჩვენი, მოქმედი სახწაულთა, და მარტვილი
შენი გიორგი, მახვილებით განკაფული ძვლებამდე და გულ-ღვიძლამდე,
შენვე აღადგინე ცოცხალი, რამეთუ ხმამ გრგვინვისა შენის შემუხრა
ურმის თვალი და დახსნა საკრველნი და ანგელოზის თანაობამ განამ-
რთულა და განკურნა გიორგი.

გვირგვინშემოსილი, წარმართული ცათა ხანეფო და საქორწინო პა-
ლატისაკენ — შეაწიე მეფეს ჩვენსას, ღვთით გვირგვინოსანს, ვინათგან
უცხო ტომის მხედრობა დასავლეთით და სამხრეთით, ჩრდილოეთით და
აღმოსავლეთით შემოგვდგომია; მხედართა ამათ ვით ნადირთა აღამ-

ღვრევს ჩვენი შთანთქმის სურვილი. მაშ, ვითარცა ხანდო მფარველმან, წაგვიმძღვარე [წმინდა იგი] საბრხეთა შინა.

სახჯელთა შენთა ვერ განადღეს მეფე, ბოლოს სპილენძისგან ქმნილი, მთლად მაჩვილებით მოქვედილი ხარით ინება შენი დაფქვა, გიორგი, რომელი ურმის-თვალმან ფქვილად ვერ დაგაწველილა; ბრძანა გამოღება და, ვითარცა უსულოს, დაგდება, მაგრამ ღმერთი, სულის ჩამდგმელი შენი, კვალად შემოქმედად გამოვიჩინდა.

ღმრთისმშობლისაჲ: ურჩების გამო ადამისა, რომელს ტყავის ქიტონი ემოსა, უზესთავისა შეიმოსა ხორცი შენგან, ყოვლად უმანკო; ხოლო საფლავში უფშვინველად მდებარე და მურის სურნელებით გაჯერებული ტილოებით შეგრაგნილი, იგი სამი დღის შემდეგ აღდგა, განიძარცვა ესე ტილონი და შეიმოსა სამოსელი თვისი პირველი.

ა დ ი ე ბ ხ ა

ძ ღ ი ს პ ი რ ი : განკრლხ ზესკნელს.

ელვარების მოსალოდებელის სახე-ჩატნი გაჩვენა ქრისტემ და გამოგვიჩადა საკანში, სადაც ნათელი შემოგადგა, მრგულიად მანათობელი, და მიგაწოდა და გითხრა: მორკინალო ყოვლად უღრტვინველოო, სრბა აღვისრულებია, სარწმუნოება დაგიძარცავს; აჰა, მიიღეო ძლევის გვირგვინი.

მოწამებრივი შენი ოფლით განასპეტაკე ხორცის ქიტონი, გიორგი, მაჩვილით აღესრულე და მეწამულ ჰქმენ ესე შენი სისხლის ნაკადულით, მით შეკლებე გონებითი საქორწინო პალატის ღირსი საფარველი; ამის გამო შენის ნეფის სიხარულის კარი განგეხსნა.

მეუფეს, რომელმან მხედრად მივიხმო, საქმეებით აამებდი, გიორგი, და დამასურალობის და წამების საზღაური მიიღე ღმრთის საფერი; ამიტომ ყრმაც გაიტაცე დატყვევებული, სპარსთა მეფის ღვინის მწდუ, და შენი დღესასწაულის დღეს მშობლებს დაუბრუნე.

საუკუნო ცხოვრებას ეზიარე და, ვითარ ცოცხალი, მშოქმედებ და იწერები; ჭეშმარიტად, როსმე შენს ტაძართან მომდგართა სპარსთა, რომელთაც სტოას ზემოთგან [ისარი] სტყორცნეს და კვალი დააჩნიეს შენს ჩატს, მოუხილვე წინააღმდეგომად, შუბი ჰკარ და აჰხი: კვ. ნეტარ მადლის გამოღებას შენსას, გიორგი.

შენი ჩხენების დღესასწაულზე, მოწამეო, შეკრბნენ მეფენი, მღვდელთმთავარნი და მთავრობანი, ერნი, ტომნი, გვარნი მართლმადიდებელთანი, შენს დღესასწაულს იხდიან და ელვარედ გამოაჩენენ; ხოლო შენ ყოველთა ღოცვანი აღასრულე, მეფეს ძლევა მოეც, მღვდელთმთავართა-სადმართო ნათელი და მორწმუნეს თითოეულს - მაცხოვარება.

ღმრთისმშობლისა: შენ, ქალწულმა მარიამ დედოფალმა, უმთაერე ჩემს ოდას აღდგომის ძალით ძისა შენისა; მას ზომ ლახვარი უგმირეს გვერდს, ვინ სისხლისა და წყლის ღვარებში დაძირა მღვკარი და მორწმუნენი აუობისაგან, ვითარცა ეგვიპტიდან, გამოიყვანა.

გამოავლენი, ხმა მეხამე. რომელმან ცა ვარსკვლავებით.

ნათლით მბრწყინვალე ვარსკვლავს, დედამიწის განმაცისკრებელს — გიორგის, მარტვილთა დამამშვენებელს, კეთილ-შქებარენი ვექმნებით; ეუგალობებ ვკლესიის დიდ წინამძღვარს საღმრთოს.

ხზვა გამოავლენი, ხმა მეორე. დედანო, განთქმულ ყავთ.

დადგა საჩარებელი და წმინდა დღესასწაული, რომელი მგალობელთა ქოროების თხზვად მოუწოდებს მწყობრს მორწმუნეთა: მოდით, აჰა, მოისწრაფეთ და სიყვარულით შემოკრბით, რათა ყველამ ფხალმუნებით და საგალობლებით სულიერად ვიდღესასწაულოთ ძღვევაშემოსილის ჩხენება.

ღმრთისმშობლისა: წყალობანი შენნი აწ უხვად მოგვივლინე შენთა პატივის მმოსავთა სიყვარულით, ღმრთისმშობელიო ქალწულო, მოიგონე ყველა და დაგვიფარე განკითხვის ქამს, ოდეს მსაჯულად დაბრძანდება ძე შენი და უფალი ანგელოზთა თანაობით.

იოვანე გეოგრაფი

საგალობელი ზესთა-წმინდა ღმრთისმშობელისადმი (1)

- გიხაროდენ, ქალწულო მადლშემოსილო, მეშვეო მადლიანო,
ხარებაო მეშვეთაო,
ხარებაო დიდო მიწიერთაო, ხარებაო დიდო ცისიერთაო.
გიხაროდენ, ქალწულო სახარულევანო, ხარებით ხარებულო,
ქალწულო მოუღლეულო, დედაო მოზესთავევ ტყვიელისაო.
- 5 გიხაროდენ, შრომათაგან დამხსნეულო, მზაკვარებათაგან მძლავრისა
განმარინებულო,
თანავე დედაო უხრწნელებისაო, დედაო თავისთავის ყუნებისაო.
გიხაროდენ, კავშირო ცა-და-მიწისაო, კეთილო მეშვეო, უთესლო
ადგილობანო,
დედაე-ხელმწიფეო ხარწმუნო, დედაე-ხელმწიფეო სიხარულისაო.
გიხაროდენ, საძირკვეულო და საყრდნობეულო კედომაღი ტომის
კაცთაო, სიკეთეთაო,
- 10 თანშობილო უხრწნელებისა, მისვე ჰასაკისაო, ნაშობო
ქორწინება-შვენიერებით.
გიხაროდენ, ნიჭო სიბრძნისაო, მიმადლებულო დედაო, დია
გიხაროდენ,
ქალწულო, შვენიერების მეშვეო, დედაო, ყოველად მამრ-განუცდელო.
გიხაროდენ, სახუმეულო, ყოველი მიწიერის დაღონებათა
დასავიწყებულო,
დედაო უწყინარო, დედაო ცისმარისა მარადლეობისაო.
- 15 გიხაროდენ, კიბუო აღსავალო ვარსკვლავიან ცაღმდე,
კაცთათვის ღმრთის მომპოვნებულო და ღმრთისთვის კაცთა.
გიხაროდენ, სანათელო მოკვდაეთაო, დემონთა მეკვალეო,
გიხაროდენ,
რომელი ცეცხლისათვის ცეცხლ იქმენ და სწკავდი და არა
იწვებოდი.
გიხაროდენ, ყოლად შეურევნელთა შეზაგებაო ცისმარ
მარადისობაში მყოფისა ღმრთისა...

„წამებული ქრისტეს“ შესახებ

რომანოვ მაგლობელის კონტაკიონთა მძაფრი დრამატიკაში შემდგომ ვითარდება მარიამ ღმრთისმშობელისა და მთავარანგელოზის დიალოგის ხანით თხზულ ჰიმნოგრაფიულ კანონებში, ხოლო XI-XII საუკუნეებში, როცა ბაძეა ანტიკური ხელოვნების ნიმუშებისადმი განსაზღვრავს ქრისტიანული მწერლობის ხასიათს, იქმნება ტრაგედია „წამებული ქრისტე“ /ანუ „ქრისტეს ვებანი“/. ბუნებრივია, „წამებული ქრისტე“, გარდა ანტიკური დრამისა, ეყარება აგრეთვე კანონიკურსა და აპოკრიფულ ქრისტიანულ სამწერლო ბეგლებს. ტრადიცია მას გრიგოლ ნაზიანზელს მიაკუთვნებდა. გრიგოლის ავტორობის საკითხი დიდი ხანია გადაწყდა. სპეციალისტები მართებულად წერენ, რომ ამ დრამაში არ დასტურდება გრიგოლ ნაზიანზელისთვის ჩვეული ელეგანტური სტილი, ის განსხვავებული ფერადონება, დარბაისლური კილო /თუ სიტყვის სიმძიმე/ და სხვ.

მთავარი მოქმედი პირი მარიამ ღმრთისმშობელია. იგი წმინდა, ზოგად-ადამიანური საზომით ზომავს იუდა ისკარიოტელის საქმეს, რომელიც არანაირად მინიშნებულიც კი არ ყოფილა ღმრთისგან შექმნილ ქვეყნიერების მოდელში. არავინ იცის, რომ არა იუდა ისკარიოტელი, რა დაუსალამოებელი ნათელით იქნებოდა სავსე ადამიანის სამყარო და როგორ გათენდებოდა მომავალი კაცობრიობის დღე, რომლის მოსამზადებლადაც ადამიანი პირველი, უნაზესი და სიბრძნით შემკრთალი დედის — ევას — ცოდვას იმყოფინებდა.

„წამებული ქრისტეს“ მკვლევართ მიაჩნიათ, რომ ეს დრამა შექმნილია არა სცენაზე დასადგმელად, არამედ სწავლულთა წრეებში წასაკითხად.

რაც შეეხება ბიზანტიური იამბური ტრიმეტრის ქართულ მეტრულ ადექვატს, სახე უეცვალეთ ძველ ქართულ მწიგნობართაგან. მიყენებულ იამბიკონს, რამდენადაც, ჩვენი რწმენით, თორმეტმარცვლოვანი იამბიკონი, მასთან ხმარებული სხვა ხაზოშები ძნელად ასახავენ, ანუ, რაგინდ მოკრძალებით ვთქვათ, ვერ გადმოგვეყვან ბერძნული იამბური ტრიმეტრის წყობას. თავისთავად ძნელი წარმოსადგენია ქართული ლექსის ღონეში უცხო ლექსი გამოსჭვიოვებს. ისიც ცნობილია, რომ ეფრემ მცირემ ბერძნული ლექსის აბსოლუტური /მეტრულ—ტრანსკრიპციული/ ადექვატის ძიებაში „კულ-კუეთილი სიტყუა“ დაისაჭიროვა /„კულ-კუეთილსა სიტყუასა ზედა ნიშანი უზის, რამთა სცნა, ვითარმედ ნებსით მომიკვეთია, რამეთუ ბერძულადცა ეგრეთ არს“/.

ამ გამოცდილების საფუძველზე ჩვენი თარგმანის მეტრული სქემა ასე აეკეთა:

სძალი უსძლოო სძალი//არს განკრძალუელი/ სძალი

ყოველი პწკარი ცეზურით განიკვეთება ორ შვიდ-მარცვლიან მონაკვეთად. თითოეულ მათგანში ერთი სრული მუხლია /ხუთმარცვლიანი/ და ერთი ნახევრად ჩამონახსლეტი /ორმარცვლიანი/, გნებავთ, ტრადიციული ლექსმეტყველებით – ტერფი. სადაც ცეზურაა აღნიშნული, იქ ხასურველია აზრობრივი პაუზა. ხაერთოდ ყოველი მუხლი აზრობრივადაც უნდა იკვეთებოდეს. მესამე მუხლში /„არს განკრძალული“/, ხუთმარცვლიანთან ერთად, მხოლოდ ერთ- და ოთხ-მარცვლიან სიტყვათა ვარირებაა დახასვეები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ აქაც „სძალი უსძლოოს“ ავიღებთ, შეიძლება პწკარი ჩვეულებრივ თოთხმეტმარცვლიან ლექსად იქნეს წაკითხული:

სძალი უსძლოო სძალი სძალი/ უსძლოო სძალი.

ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია აზრობრივი განკვეთა ნახევარსტრიქონებისა და მესამე მუხლის მეტრული მთლიანობა. ხოლო მთავარი ის იყო ჩემთვის, რომ მეტრული მოდელით გატაცებულს სათქმელი არ დამეკნინებინა და შინაარსი ფორმისათვის არ შემეწირა, მით უფრო, რომ ბერძნული დედანი წარმოადგენს პოეტური სახეებისაგან თითქმის მთლიანად განყენებულ ტექსტს, რომლის მხატვრული მეტყველების ერთადერთი საფუძველია სიტყვის დაძველება /არქაიზაცია/, მეტწილად მზა შესიტყვებათა და მთელი პწკარების პირდაპირი სესხება კლასიკოსებისაგან /თავად ავტორი ვერიპიდეუს ახახელებს/ და, ამასთან ერთად, გასაოცრად შთამბეჭდავი რიტმული წესრიგი, რომელიც ტექსტს განარიდებს ერთგვარად გულუბრყვილო პროზისაგან და პოეზიის კუთვნილებად აქცევს.

წამებული ქრისტე

(ტრაგედია)

შ ე ს ა ვ ა ლ ი

- ღვთისმოსავლობით ოდეს თქვენ გაიგონეთ თხზული,
აწ შაირობის გხურით სამოკრძალებოდ სმენა,
გულმოდგინეო, გესმას შენ ვერიპიდეუს კილო,
რომლით გამოვთქვამ ვნებას ქვეყნიერების ხსნიხთვის;
- 5 მით შეისწავებ უფრო მეტ საიდუმლო სიტყვას,
როგორც პირითგან დედის, სულ ქალწულად რომ ჰგიეს,
მოდღვარს და უფალს თვისას ვინ საიდუმლოდ სწადის.
უპირველესად თავად მას წარმოგიდგენთ სიტყვა,

- ვით დედას შეჰფერს, მტირალს იმ წამებათა ჟამად,
 10 ბედით მიმხვდართა, — დედას, დასაბამითგან მაღლით
 ძიხთვის მკვნესარეს, ვითარ გამოჩინებულ მიზეზს,
 რის გამოც სიტყვის დედად ხახელდებულ არს მართლად, —
 განუკითხველი ვნება წარმოგიდგებათ ვისიც.
 რომ არ ვეძლიეთ კაცნი უგულისყუროდ ცოდვას
 15 და იმთავითვე სახელს არ მიემთხვეოდით კვდომის,
 არ განვეხრწენით ზაკვით იმ უხსენებელ მცურავს,
 ხრწნად არ განგვეხსნა კარი საცთურისათვის მხეცის,
 დაეჯერებოდით წილხვედრს სამართლიანი განსჯით,
 რომ განუხრწნელად შთენილს არ მოვსწრებოდით ბოროტს,
 20 არ დაითმენდა სიკვდილს, არც განკაცება იყო
 ღვთის დასათმენი მაშინ, — ცხოველყოფელი უფლის;
 სიკეთის ტრფობით უხრწნელს ჩვენ ვიხილავდით მედინს,
 მოკვდავთა კუთვნილს ყოველს — ცხოველყოფელად შექმნილს,
 ხოლო ლოგოსი, სიტყვა, არ დარჩებოდა უქმი
 25 და აღარც უფლის დედა იხილვებოდა თავად
 ურჯულოებით შვილის ამ წამებათა მომსწრედ,
 აწ კი გოდებით მძიმედ ხორცდაწრეტილი მოსთვლის.
 მოქმედ პირებად დრამის, მაშ, ქვემოთნი მითქვამს:
 დედა ქალწული წმინდა და ასულები, რომელ
 30 უფლის შემსხვერპლე დედას განუშორებლად ჰყვანან.

მოქმედი პირნი

ქრისტე	პილატე
ღვთისმშობელი	მღვდელმთავართა კრებუ-
იოსები	ლი
ღვთისმეტყველი	ქალწულთა ქორო
მაგდალინელი	ნახევარი ქორო
ნიკოდემოსი	ყრმა
მაცნე	მცველნი

ღვთისმშობელი: ლიმონარ-მღვლოს ნეტავ არ ეხებოდეს გველი,
 არ იმონებდეს ზაკვა მის ღელეებში მცურავს,
 გონება-ღვლარჭნილს, ესრეთ რტო, ნეკნისაგან ქმნული —
 ის უნაზესი დედა — არ შემცდარიყო ეგებ;

- 5 უკადნიერეს საქმეს კადნიერებით განსცდის,
 40

- ნაყოფის ტრფობის გამო ვინ განმკრთალა სულით,
 იმ ნაყოფისგან სწამდა ვის გაღმერთება თვისი,
 მას გემოს ხილვად ქმარი არ მიექცია ნეტავ,
 რადგან უჯერო იყო ის მეყსეული ხილვა,
- 10 ორნივე ლიმონარ-მდელის მშვიდს განაშორებს, სვიანს,
 საზარელ წილხვედრს უძლებს სირცხვილ-მისჯილი მდებრი,
 ესმის შვილების დედას: ვინ საშობაო ტყივილს
 შავ სარეცელზე ითმენს და განმსჭვალულ არს ლმობით,
 მან დაიმკვიდროს ოფლით ეს წარწყმედილი მიწა
- 15 ქმრისა და შვილთა თანა, მათ შერისხულთა ბოლოს,
 წუხვით და კვნესით ვისთვის განჩინებულ არს შობა
 და თაობათა ყოფნის მონაცვლეობის წესი
 და იპოვება ამით დამეტებულად მცვლელიც;
 არ წაწყმდებოდა იქნებ ადამიანთა მოდგმა:
- 20 ძალი შესწევდა ძლიერს უიარებოდ რჩენის,
 სახიერებით თვისით რომ მოვლენოდა მიწას
 და აეტანა ახლად განკაცებულის ვნება,
 აღარც ქალწული დედა შევიქმნებოდი ალბათ
 და არ ვნახავდი შვილის მხჯავრდასადებად ზიდილს;
- 25 იშვა კუთვნილი ცის და შეურევენლად მიწის,
 შემზარა იმის მიმართ ქედფიცხელობის ხილვამ,
 უშუგუნზლებოდ ვზიდე მე საშინელი ცეცხლი,
 აღაწყდებოდა ჩემთვის, მეგრაგნებოდა გულზედ,
 თითქოს ზელკეტი დიდი განმიწონიდა გულმკერდს,
- 30 ვით ღაღადებდა უწინ მოხუცებული სვიმონ,
 შორად მხილვარი თვალით რომ გასაზრავდა ყოველს;
 იპოვება კი სადმე მაცხოვარება მეტი,
 რომ დედაკაცი მამრთან დაუმტერებლად ეგოს.
 მართლმსაჯულების წესით ვარ შემკრებელი ყოველის,
- 35 არც შეჩხენება სხვისგან შეირაცხება უქმად,
 რაიც ზჯულიერ ქმართან თანაზრახული არის;
 ხოლო ყოველი სამტრო, სნეულებას რომ აშლის,
 ქალმან ამზილოს ქმრისა, ვინ ძალმოსილად იცნან,
 ძველი კვლავ ახლის შობას ურცხვისოებით ელტვის
- 40 და ცრემლებიდან ცრემლნი დაიმცვრევიან ისევ, —
 განუზომელად ბევრი, აღურაცხელი ცრემლი,
 ავს კი თავადაც ავი დაედარება სწორედ
 და მბრძანებელი მიტომ პატივაყრილი ტირის:
 ბუნება შეჰკენებს ნანახ ბიწიერების მიზეზს,

- 45 შეკვენეს მტვირთველთა ზურგით აუტანელი შრომის, -
 ყოველჯამ ცრემლის მცვერვით შედღელებული მათთან,
 რაც რომ განსცადა მტრისგან უსამართლობის კერძი
 და ვნება თავად დედის - პირველცოდვილის - წილად,
 რაც რომ მიუპყრნა მამამ მდებდრს სასმენელნი თვისნი, -
- 50 დედას, ყოველნი რომელ გეშვა ქვეყანასა ზედა.
 იგი ღალადებს ფიცით და შენაპირებს ითხოვს,
 ნაწამებია რწმენით და ემოწმება ღმერთი,
 რადგან შემთხვეულ ჭირში მისანდობელად ცნა მან,
 არ დაუგდია რომელს ეს მამეული მიწა,
- 55 უფროთხის ქვეყანას, ხილვაც არ უხარია მისი
 და მიაძინა ახლაც საწამებელი ტყენა,
 რომ მე აღმძვროდა ნდომა - სამყაროსათვის მეძცნო
 ბუნების ყველა ვნება, რაც წარსულისგან მიჰხვდა;
 რადგან საბრალო ჯერაც დაუცხრომელად აჩენს,
- 60 შობს თუ არა შობს, იხვე მშობიარობა ჰზარავს.
 მე ვიგულისხმე ჩემად ის უნაზესი დედა,
 შობს თუ არა შობს, სიტყვის უზესთაესად ეგონებ,
 ხვდა რაღა გითხრა? შობა ხომ უშობელად ვიცან,
 განრიდებულმა ხრწნას და დამაშვრადლობას, ვნებას.
- 65 ტკობა არ ვუწყვი და არც საყვედრელი მაქვს სიტყვა
 მამრისგან, როგორც წყალში გასაგრილებელ სპილენძს.
 ხრწნა არ ეხება არსით ჩემს სიქალწულის ყვავილს;
 ვითარ ვშევ ნეტავ წული? საკვირველია დიდად.
 წარმოვადგინო უნდა ნათავხედები¹ ესე.
- 70 როგორ მიკვენესის გული დაშვრომისაგან დახსნილს!
 კიჟინა როგორ დავეც სიხარულისგან უწინ,
 როცა მოვიდა მაცნე, მახარებელი შობის,
 აღამიანთა მოდგმის მან გადარჩენა მამცნო.
 ო, რა სიხარულს მგერიდა გასახარელი ფრიად!
- 75 არ ვგავდი მისი სიტყვით მე მშვენიერად ცთომილს;
 თავით მივეყრდენ, ჰქონდა ვის საკვირველი სიტყვა,
 არა განმთქმელი ზვარად დაბადებისა ჩემის,
 არამედ მცნობი მთელის ქვეყნიერების უფლად,
 თუმცა საკლავი ვწირე დედაკაცურის წესით,
- 80 სულის შიგნითგან კიჟინს მე გიგზავნიდით ხოტბად,
 სიხარულისგან კვივი, გიღალადებთ და გამცნობთ,

¹ შდრ.: „ეს გული, სარკელ ჰყუელი, ბუნების ნათავხედია“.

- რომ მსხვერპლვისათვის ვზიდე სურნელოვანი ცეცხლი, რომლითაც უთქვამთ ზორვა ღვთის შესაფერის მამებს, — იმ ცეცხლიანი შურით და განკაფული სულით,
- 85 ფრიად მსურველ ტრობით, დასაოკებლად მხელით, რაც ჩვენ სასიტყველ მსხვერპლად და საქებულად ვუწვიოთ. გულ-ღვიძლი ჩემი ვითლა განიწონება ისრით? ღამითვე მოხვლა თქვენთან სულმოუთქმელად მინდა და სიავისგან შვილის განაწამების ხილვა,
- 90 თუმც მარწმუნებდნენ, სჯობსო გათენებამდის მოცდა.
ქორო: აწ შეაფარე თავი, დედაე-ბატონო, მალედ.
ღვთისმშობელი: აი გამოჩნდნენ კაცნი, ბჭით გამორბიან, ვხედავ. რა უნდა მოხდეს? ნუთუ გვაუწევებენ, რომ მტერი მალვით საფარში იდგა მოყურიადედ ღამე?
- 95 **ქორო:** ხმაურობს ღამით მრავლად მოჯარებული ხალხი; ღაშქარს და სრულად ქალაქს მე ვაკვირდები ბნელში; აქვთ საჭურველად ხრმალნი და ჩირაღდნებიც მოაქვთ.
ღვთისმშობელი: ვინ მოიჩქარის ეხლა გამალეებული აქვთ, იქნებ ახალი ამბის საამბობელად მოდის.
- 100 ვნახო, რა სიტყვით გვამცნობს, რას მოგვიყვება ნეტავ.
ქორო: დედაე-ბატონო, ყოვლად მოგვეკრძალებით ქალწულს, აჰ, აჰ, აჰ, აჰ!
 განთქმულხარ კაცთა შორის, არ უსახელოდ ჰგვი, ყოვლად უმანკო კრავად შენ იწოდები მიწის
- 105 მოსახლეთაგან, ნათელს რომ შეკყურებენ მზისას.
 აწ საცოდავი, იყავ უნეტარესი უწინ.
ღვთისმშობელი: რა ხდება? ნუთუ ვისმე სურს მოკვდინება ჩემი?
ქორო: არა, გიკვდება შვილი უწმინდურების ხელისთ.
ღვთისმშობელი: დიაცო, ო, ეს რა სთქვი? ვით გამიმეტე, ვაჰმე!
- 110 **ქორო:** აღარ-მყოფულად უკვე წარმოიდგინე შვილი.
ღვთისმშობელი: საშინელს რასმე მამცნობ, არ დაიწუნხავ პირს და სულ არ დააგდებ ამბის შეუფერებელს სიტყვას? ვით იტყვი აღარ-ყოფნას მარადიულად მყოფის? გქონდეს კრძალვა და რიდი, თუ დაიჭირებ თხრობად,
- 115 თქვი, როგორც შეკფერს, ღმერთი მოსაკრძალებად გიჩნდეს, აღმოშიცენდა მართლად ყრმა ოქროვან რტოდან. ახლად მიცენია, ღმერთი მოკვდავთაგან რომ სისხლს ღვრის, ხოლო უკვდავის კვდომა გამოუთქმელი რჩება. იგი დაებადე თავად, ვით დაებადებდი — ვუწვი.

- 120 **ქორი:** ო, უბედურო, ვერ გრძნობ, ჭირს მიემთხვევ რარიგს, იმიტომ ამტვრევ ასე და ატრიალებ სიტყვებს. გათენებისას სიკვდილს შენ მოეხწრები შვილის, ვით განუსჯიათ ღამე კლვით შესვარულთა კაცთა. და ჩანს კიდევაც აქეთ მომავლებული ერთი
- 125 მონათაგანი ფრმისა, მთლად შეძრულია ხელით, სწორად გამოჰვლის გზას და მოეშურება ჩვენკენ, გვანიშნებს, თითქოს რასმე შეგვატყობინებს ახალს.
ღვთისმშობელი: მაშ, რა ამბავი მოაქვს ხანიშნებულად ჩემთვის?
ქორი: ენახო, დაღალულს რა ხწადს საამბობელად შენდა.
- 130 **მაცნე:** ოპ-ოპ-ოპ-ოპ-ო!
წმინდა მარიამ დედავ, მოსაკრძალებო ყოველად,
აპ! აპ! აპ! აპ!
არა მემტერის ხელით დავიღუპენით სრულად.
ღვთისმშობელი: რას შემომტირი მაღლად? რას მიღალადებ სიტყვით?
- 135 მარკვი, რა ახალ ამბავს ზარდაცემულად განსცდი?
ქორი: ეპა, ისმინე, იგრძენ; აწ მიაყურე მთხრობელს, ვინ მისცა შენი შვილი კლვით შესვარულთა ხელში.
ღვთისმშობელი: ავი ამბავი ნუთუ საუწყებულად სხვაც გაქვს? ნუთუ მტერია, ვისაც ვით მოყვასთაგანს ვესავ?
- 140 **ქორი:** მათხოვარიო ვერცხლის, მესაიდუმლე კერპი, შეუნჯე ვერცხლის, ხოლო მომეტებულად გაჩმის.
ღვთისმშობელი: ვაი, მძიმეა რარიგ! ავს ემატება ავი, თუ მოყვრებად რომ გვიჩნდნენ, გაუყვიდივართ იმათ. მაშ, ამ უკადრის საქმეს ის კადნიერი იქმდა?
- 145 სრულ კეთილისთვის გამცემს რა დაუღვია ბრალად?
ან რა საბაბი საქმის თავაწყვეტილმა ჰოვა?
ქორი: მას მიაყურე, ნათლად ვინ განგიცხადებს ყოველს.
მაცნე: ვესმას, ბედშავო, უწინ ვინ ბედნიერი იყავ, გესმას, სიტყვანი შენთვის ბედუკულმართნი მომაქვს.
- 150 **ღვთისმშობელი:** განქარვებულვართ, ვაჰმე, ვით განმიცხადებ სიტყვით;
მოსულხარ, როგორც გატყობ, მაუწყებულად ავის.
მაცნე: რა გითხრა? ბოროტს გამცნობ, თან სიმართლეა თუმცა. რომ მიექცევა ჭამად კრავს სააღდგომოს ახალს, თვით მოწაფეებს დასხამს სერობისათვის დიდის,
- 155 იგავით თავის გამცემს გამოაჩინებს მაშინ,
მერმე დაჰბანოს ფერხნი მან შედგომილთა თვისთა,

- კვლად გამოვალს მთაზედ, სად ზეთისხილი ჰყვავის,
და მოწაფეებს ეტყვის, რა განსაცდელთა განსცდის,
და აღასრულებს ყოველს თვით ხელთდამხმელი წმინდა
- 160 და წახთა თანა სხვათა ღმერთს შექალაქდებს ლოცვით:
„მამაო, აწ დიდ სახელს რომ მოიღებდე ჩემთვის,
მარადლე შენად ყოფნის არ მომაკლებდე პატივს,
მე ავამღლები, – მტერის მიწისაგანის მკვლელი,
შენგნით ყოველის მქონე – წინამძღვარად მყავ ერთა,
- 165 ოდეს მივიღებ ყოველს, – ვით სანაცვალო ჯიღღოს,
სამთავროდ შენად მითვლილს, ხელთ დამარჩენდე შენთავ.
მე სიმამაცით ჩემით სახელიანი მნახო,
მოყვასნი პურად დასხი. შენ ნეტრეული ჰგვი,
ნეტრეულადვე დაჰსთე, რა გაასრულო საქმე“.
- 170 მანაც იქუჩა თავად, ხმას გამოსცემდა გრგვინით;
როგორც დიდების მოწმე, ცას ღალადებით სძრავდა:
„მე განგადიდე უწინ და განგადიდებ უფრო“.
და ეს ხმა რაჟამს მისწვდა მის მოწაფეებს უცხოდ,
თვით მიეჩნია იმათ, სად ნაღვარევი იყო,
- 175 წაღკოტს ეწვია, სადაც იკრიბებოდნენ ხშირად,
ხოლო სცოდნოდა გამცემს, შუალამისას ბაღში
დაესწრო მისვლა, ხროვა კლვით შესვარულთა ახლდა,
მახვილშებშულთა ჰქონდათ ამპარტავნული ზრახვა.
როგორც მოყვასი, მოძღვარს მიეჩნია და „რაბი“,
- 180 კვლავ სიტყბო ჰქონდა ხმაში, „გამარჯობაო“, – უთხრა.
ღვთისმშობელი: უფრო ხამძიმოს, აბა, ვინ იკადრებდა აუგს?
და შეიღმა ჩემმა გამცემს რა უპასუხა, მითხარ.
მაცნე: „მოყვასო“, – პრქვა მას მხოლოდ, – „ვის ჰხლებიხარო შენ
აქ“.
- და ხელი სტაცეს მოძღვარს კლვით შესვარულთა მყისვე,
185 განვიბნინით მაშინ ჩვენ, დამგდებულნი მისნი.
და უარყოფდა სიტყვით სახელგანთქმული პეტრე;
მხოლოდ მიკრული მკერდზედ სულ უდრტვინველად მიჰყვა,
თუმცა ჰხედავდა ცხადად, რომ შესმენილი იყო,
ჩუმიად იტყოდა და ეს მას მიჰპართავდა მშვიდად,
- 190 ვინაც მოძღვარი თვისი ზნენაკლულობით გასცა:
„უმოკრძალებოდ ბედშავს არ გეშინია ღვთისა?
არც ადათისა გრცხვენის ადამიანთა მოდგმის?
არც ადამს ჰრიდე, მთესველს მიწისმიერი ხორბლის,
და არც კრძალვა გაქვს რჩეულ მამათმთავართა გვარის?

- 195 მოწაფეობით უჩნდი თანა-მოწაფეთ კდემად:
ვერცხლზე გასცვალე ურცხვად შენ ხელთდამხმელი წმინდა,
კლვით შესვარულთა რომელ მოსაკვდინებლად მიეც-
არცრა წინასწარ უთქვამს? არც ნაგულეები ჰყავდი?
რის გამოც ნებით იღმო, არ უფიქრია მასზედ?
- 200 შენ ვერ ამაღლდი სურვით; მაშ, გულისხმა-ჰყო მალე.
სატფურებაა მამის კეთილმოსხავი გვარის.
რომ არ შეეკრა პირი თვით აბრაჰამსაც ფიცით,
არ ექნებოდა არცრა გადაუხდელი როხმე,
არ ეგებოდით თქვენაც გამოუტანლად მსჯავრის.
- 205 მიუკერძებდი განა ამ განსაცდელის თმენას,
რომ არ გენახა დიდად ხარგებლიანი საქმე?
და კვლავ რომ შეძლოს სწრაფად ამოვიდოდეს მიწით,
ახლად ამოვა. ჩუმად, მან სამართალი ხაჯოს
მამისა თანა, ცოდვას ვის განუცხადებს შენსას,
- 210 უშიშობასაც ამცნობს თავაწყვეტილი ერის,
ვითარ დავითის ენით ჰრქვა წინაისწარ ძველად
მას, ვის ყოველი უწყის, ჰრქვა უშიშობის გამო.
აღვსებას მთელი ქვეყნის იქმს დიდებული სიტყვა
და სანაქებო საქმე და სახწაული ბეერი.
- 215 კვლად იხილავთ, მოვა ის სიღიადით მამის,
მოვა სამართლის მსჯელი ცოცხალთათვის და მკვდართა
და თითოეულს მისცემს ღირსებისამებრ კუთვნილს.
როგორ შეხედავთ შენ და კლვით შესვარულნი კაცნი
და ან რა სახჯელს დაგდებთ, რომ უსამართლო იყოს?
- 220 დაისჯებოდით დღემდეც სამართლიანი მსჯავრით,
რომ არა მუდმივ ბანა კლვით შესვარულთა ხელთა
/ზოლო ამ ხელთა ცნობას თუ ინებებდით დღესაც,
ჩამოირეცხდა თავად ნიაღვარების წყალით/.
აწ შეისწავე, თვისის გამბედაობის მცდელმა,
- 225 გგულისხმობ შენთან ერთად ბოროტმოქმედთა ხროვას.
ერთი დღე დარჩი ახლა, თუ საჭიროა დარჩე,
თუკი არცარას განსცდი, რაც საშიშია მეტად,
მნახავ სიტყვათა ამათ წინასწარმეტყველს მაშინ.
გამეცლებოდე ოღონდ და იფიქრებდე შენთვის,
- 230 რადგან თავისთავს კაცი მსჯავრს გამოუტანს უკეთ.
ბოროტს სიკვდილიც გელის, ვით ბოროტმოქმედს შეჰტყერს,
პირველ ყოვლისა, მაღლად ჩამოგვიდებენ ყულფზე,
სწრაფი შთახსლდომით შთაჰხსლდე შენ ჯოჯოხეთის ცეცხლში,

- 235 გახვევებული ჯავრით, ვით გამყიდველი ვერცხლზე,
 ყოვლის დამნთქმელი ცეცხლის ძირს დაგიტანოს ღვარმა.
 შენ ხომ არც გინდა ახლა, რომ განერიდო სასჯელს.
 რაც ეთქვი, გადაგჩდეს ყველა. მე მოგახსენებ ამას:
 თვალს არ მოჰხედები ნათელს ამიერიდან ღვთისას,
 ვერცა აღმდგარის მკვდრეთით გამოღვიძებას ნახავ,
- 240 უგუნურებას რადგან მიწვეწული ხარ იმგვარს,
 რომ შესაძლოა ისევ ძველ ნათათბირევეს მიჰყვე,
 რაც გაპატია, ყველა კვლავ შეამთხვიო მოძღვარს
 და თვალუბიდან ცხელი გაღმრაფრქვიო ცრემლი
 ჩამოსახრჩობად ყელზე გამონასკვეული ყულუფით
- 245 და განუტევეო ხული მოშურნეობით გვემის /?/.
 არ მოგიშორა მაინც, შენს დასარჩენად მხოლოდ
 მან წინასწარვე ხული გამოიძია შენი,
 რადგან არ შესწევს კეთილს უსიკეთობის ძალი;
 არც მოპოვება ჰსურის, თუ უწადინოდ გპოვებს:
- 250 არც ხჯულისმღებელს ძალად არ დაუდვია სჯული,
 არც სარგებელი მისი ტირანიული ქმნილა.
 შენს გულს განჰკაფავ ბოროტს, ვინ სამარცხვინოდ გკაფეს, -
 არა მით, რითაც კიდეე /არ გეწვევება არსად/
 ახპარეზზე ხართ შენ და კლეით შეგვარულნი კაცნი,
- 255 მცირე არ ჰხედება შრომა თანამოსაქმეს არცერთს;
 განსცილდეს შრომათ მათვე აზვავებული ერი,
 რა მომკვდარ იქმნეს [ქრისტე] ან მომზირალი ნათლის,
 დაიტანს იმათ შერმე ის ნაღვარევი ცეცხლი.
 სიტყვა უმცთარი ესე გამოიგება სწორად.
- 260 იუდა, გესმას შენთა ბოროტებათა გამო,
 თუნდ ვერ წაეწიო საქმე, საფუძველიდა დამრჩეს,
 გონს მოსაგებად არცრას დაგისაბუთებს ღმერთი;
 არჩევაში კი საქმის, ნებისყოფაში კაცთა
 იგულისხმება მუდამ გონიერულობა სრული“.
- 265 ეს უთხრა და მან ვერ ცნა, ანგელოზი თუ კაცი
 მას მიჰმართავდა, რომელს ძე გაეყიდა ღვთისა.
ღვთისმშობელი: ჰოი, დედაო მიწავ და სხივგაშლილო მზეო,
 ეს რა სიტყვათა შესმა გამოუთქმელი ძალი!
 იქნებ გასრულდა საქმე იმ მოწაფისგან, შვილო,
 270 შენ იგაგებით მოყვასთ რომ ანიშნებდი ხშირად;
 დავიწყებიხარ განა ბოროტებათა მიზეზს?
 ეს მაქვს სათქმელი შენთვის, ო, მწიკვლევეანო ყოვლად,

- რომ შენ გაკვიდე სწორედ წყალობიანი შენი.
 უშენოდ ამას, ეშმაკ, ვინ ჩაიდუნდა როსმე?
- 275 შენი საქმეა, რადგან ეს გითათბირა მტერმა.
 მაშ, დამნაშავე წარხდეს; მას განაჩენი ულის
 და შედგომილი გლისპი ღირსს გადაიხდის სახჯელს.
 ვერცხლზე გამცველულო, რისთვის ემოწმებოდი ლოგოს?
 შენ ცოცხალი ხარ კიდევ, საშინელების მქმნელი?
- 280 ტარტაროსს, მიწის ქვეშე, არ დამარხულხარ ჯერაც?
 გარდუვლია ანუ მიწისქვეშეთში დანთქმა,
 ან მოკვდინება შენი აწ აითერის ცეცხლით.
 ო, საძაგლობაე მძიმევე, უბოროტესო მტერო!
 ხათქმელი ჩემი — უფლის გამყიდველობა თვისის.
- 285 მოყვსურის წესით მოძღვარს შენ მიახლება ჰკადრე?
 მიხველი მასთან? მიხველ მოკიდებულს მტერად
 თავად მამის და მთელის ადამიანთა მოდგმის?
 ან როგორ უთხარ? გაეც ამბორის-ყოფით როგორ?
 ენით უთხრობდი, ხოლო მწიკვლს ინახავდი გულში?
- 290 ეს ჩაიდინე და თან მოშზირალობას მზისას
 და დედამიწის, ურცხვო, არ შეიკდიმებ კვალად?
 ეს არც სიმხნეა და არც გამბედაობად ითქმის,
 როცა გამცემი ბედავს წყალობიანის კნებას;
 აღმატებული ყველა ადამიანურ სნებას —
- 295 უკდემულობა არის, სულ არაფრისთვის ხარგოდ
 მომეგონება შენი ხირცხვილეული ყოფნა,
 გინდ მოკვდებოდე შორად, გინდ უფურებდე ნათელს.
 რაკი ამოვთქვი, ესლა აღვისუბუქებ სულით,
 სიმართლე გითხარ; ნუთუ არც დამტირებულს გესმის?
- 300 გაიგებ, როცა ჰპოვებ შენ შესაფერის სახჯელს.
 უპირველესი საქმის მე შევეუდგები თხრობას.
 გესმას, იუდა, შენთვის რა სიკეთენი ქმნა მან.
 შეუცნობლობის წყვდიადს გამოგარიდა მხსნელმა,
 ნათლის ჩვენებად ღირს-გყო მაცხოვარების თვისის,
- 305 ვით მადლს, გაწვდიდა ისე საკვირველებას მრავალს.
 პრქა მოწაფეებს, მათთან რა დაგიპირა დასმა
 განსჯად გვართა და ტომთა ისრაელისა სრულად;
 ვერცხლი ხელთათვის შენთა მისანდობელად სურდა,
 უკერცხლობისა შენის ჩახჭიდებოდა მიზეზს.
- 310 ნუ ჰფიქრობ იმის მალვას, რომ იპარავდი მუდამ;
 არ გიმეტებდა იგი საშინილებელად სიტყვით

- არც მაშინ, როცა შენგან უსამართლობა ნახა და ცხადად გიცნა, არცლა ამპარტაუნებით გაგოქვა; დაგბანა კიდეც ფერხნი მან მეწინარნი ყოვლად,
- 315 ლუკმა ნატეხი პურის მტრად მოკიდებულს მოგცა და შეამთხვიე ვნება – უბოროტესმან კაცმან, გაჰყიდე იგი, ჯილდო შენ მოიხვეჭე მოკვლის, დამსწრე ბეგერია; ხოლო თუ უვერცხლობას ერჩი, მოიძიებდი ძალედ მაგ მისწრაფების მიზეზს.
- 320 არც პირობა გაქვს რამე გასამართლებლად თავის, პირს ვედარ გახსნი ისე, რომ საფუძველი გქონდეს. ქმნას ამგვარისა საქმის ვერ შეუძლებდე როსმე, ეშმაკთა მთელი გვარი შემოგიერთდეს თუნდაც და აღავსებდეს ხოფელს საგულბოროტო სიტყვით,
- 325 რამეთუ უწყის ქმნილმან, რომ სახიერი ჰგიეს, და გულისხმა-ჰყო ყველამ და საქმეთაგან იცნა. ხოლო ვერცხლისკენ ღტოლვამ ხარბს შეგინუთა სული, ყველა ბოროტი თითქმის ამ ძირიდანვე ქმნილა, ვერცხლმა გააქრო რწმენა, რომ დაგიგდია უწინ.
- 330 და უბადრუკი ნათელს მოშზირალობას ჰკადრებ? არც უწინდელი ღმერთის კვლავ მეუფების გჯერა? უქმად მიიწნეე განა მართლმსაჯულების სასწოროს? შენ, ბოროტ ნაყარს, კაცის არ გაგანსია ძირი, მწარე ძირთაგან ვიტყვი აღმოცენებას შენსას:
- 335 უწმინდურების, შურის, მკვლელობისაგან იშვე, – რა ბოროტების თესლსაც ეს დედამიწა ჰკვებავს. ვერასდროს ვიტყვი, თითქოს ხარ ღმერთისაგან ქმნილი, თუნდ ეუწყოდე, რომ ყველა გამოირჩიე ნებით; ხელ უწადინოს ღმერთი არ გადაარჩენს ძალად.
- 340 ო, უბადრუკო ყოვლად, კლვით შესვარულო ბილწით, როგორ გაჰყიდე იგი, წყალობიანი გაეც! მან, რომელს უწინდი, შეიღოს რომ ეიმედება მამის, თავად შეგმუსროს ცეცხლით და ძირიანად აღფხვრას. შორს, უსირცხვობის მქმნელო, ვინ მეგობრობას ჰბღალავ,
- 345 მომძაგებინარ, უნდა დაგეუმძრანო მკვდარსაც, რამეთუ თავად ღმერთიც არ გაიკარებს მზაყვადს. შეიღო, რას ნიშნავს ოქრო, ნაყალბევი რომ იყო¹, შენ ხომ ნიშანი მიეც ადამიანებს ცხადი,

¹ ლათინური იარგმანით: quod sit adulterinum /მოკვებული სიკივი?/.

- რითაც ბოროტი კაცი გამოარჩიონ უნდა;
- 350 არცრა ქარაგმა როსმე უტარებია სხეულს?
თავად უწვი და არ გსურს, რომ გულისხმა-ჰყოს ვველამ.
წარხდეს ბოროტის მქმნელი, ხამართლიანად წარხდეს!
განვედ, ბოროტო ყოვლად, კლვით შესვარულო, განვედ.
მოისპობოდუ! და მე შეილს დავინახავ ცოცხალს,
- 355 ვინ აწ მკენესარე ფრიად და დარდისაგან გვემით
ვარ დაღალული, ცრემლი მდის შესაბრალისს ყოვლად,
დედაკაცი ვარ რადგან და ცრემლვისათვის ვიშვე.
ქორო: აჰ! აჰ! აჰ! აჰ!
იყურე, შენს შეილს მეტად ვერ დაინახავ ცოცხალს.
- 360 **ღვთისმშობელი:** ვაი! რად სტირი, მითხარ; რად მისცემიხარ
წუხილს?
ქორო: არ ვიცი, მაგრამ მაცნე, რომ მოგეახლა, ალბათ
გეტყვის იქაურ ამბავს შენ საყვარელი შეილის.
მაცნე: რომ მოგვედომოდა ამ დღით, გადაეწვიტა თურმე
მოხუცებულთა მამრთა და მწიგნობართა კრებას.
- 365 **ღვთისმშობელი:** ო, სასოება მავსებს, რომ ვეშვივოდი უწინ;
მყოობადისთვის გული მე განვიკაფე მოთქმით.
ქორო: რა შერკინება იყო ან ებრაელთა სიტყვით
რად ეღებოდა ბრალი? რად მოითხოვდნენ სიკედილს?
ღვთისმშობელი: დიაცნო, რომელ ქმნილხართ უბედურების
მომსწრედ,
- 370 თქვენ ვერ გაუძლებთ ამას, ვერ დავითმინო ვერც მე.
აჰა, დავაგდებ სხეულს, განვეშორები ღტროლვით
სიცოცხლისაგან შორად; გემშვიდობებით, ექრები.
მითხარ, მისჯილი ჰქონდა შეილს რანაირი კვლომა,
უსაჯეს განა კვლომა ქვის დამკრებელი ხელით,
- 375 ანუ მახვილით მიძხვდა მას განტევება სულის?
მაცნე: მინდვრიდან მიველ, შინა შემიღწევი ბჭვთა,
დიად, ამბავი მისი რომ მომესმინა, მსურდა:
მუდამ მის მიმართ შენის კეთილმოსურნე ვიყავ,
ეუყურე, კაცთა შორის რა ხასწაულებს იქმდა,
- 380 ჩინი მიეცათ თვალებს და აღმეხილნენ მისგან.
გზედავ, მოგროვდა ხალხი, მიეშურება მთისკენ,
კვითხე ქალაქელს ვისმე, თავშეყრილნი რომ ენახე:
„რა მოუვიდა ციხეს? დამტერებულებს ნუთუ
უცნობებიათ, რაიც სძრავს ებრაელთა ქალაქს?“
- 385 მითხრა: „იესო ვერ სცან შენ ახლობელი განა?
50

- განმზადებულ არს იგი, რომ შეერკინოს სიკვდილს“.
 არ მოვსწრებოდი ნეტავ ამ მოულოდნელ ხილვას!
 ქრისტე მწუხარედ იდგა დადუმებულის პირით,
 ვხედავდი, ვითარ ძაღლებს, მოსწყურებოდათ სისხლი,
 390 შემოსდგომოდნენ ირგვლივ და დასცინოდნენ მწარედ;
 ოდეს კმა იყო რიცხვით იუდეველთა ზროვა,
 ბედშავ მთავარსაც ფლიდი გამოუძებნა სიტყვა,
 შეუფერებელ სათქმელს ის უგუნურად გრენდა,
 თქვა შეილის გამო შენის განცვიფრებულმა ბოლოდ,
 395 რაკი უნაკლო ნახა და შეუმღვრეველად წმინდა,
 რომელი ბრძნულად ყოველს მოიძარჯვებდა სიტყვას,
 ქება არ უთქვამს მთავარს მათ ურჯულთა მკვლელთა;
 „მე ვერ ვპოვებო, — უთხრა, — მის მოსაკლავად მიზეზს“.
 დიად, იკითხა ესეც: ვინ ისურვებსო გვითხრას,
 400 საჭიროა თუ არა, რომ აღესრულოს ქრისტე.
 მიხი გაშვება სჯობს თუ კლვით შესვარულის კაცის,
 ავაზაკთაგან ერთის, ბორკილები რომ ადევს.
 ბრბო კიყინებდა, ქრისტე მოვაკვდინოთო ძელზე,
 ხოლო გაშვება სურდა ავაზაკის და მკვლელის.
 405 და თქვა მთავარმა სიტყვა ბრბოს წინააღმდეგ მაშინ,
 ვერ დააჯერა, თუმცა ეუბნებოდა მართლად;
 რამეთუ წართქვა სხვამან საპირისპიროდ მთავრის,
 ბრბოს ღალადებას და ბრმა კადნიერებას ენდო.
 არ შეუქია მთავარს, წინააღმდეგომნი მისნი
 410 დრტვინავდნენ და მათს ენას არ ეღებოდა ძვალი;
 ძის მოკვდინება შენის ბრბოს განაჩენი იყო.
 მრავალთა შორის მარჯვედ ბოროტმოქმედი იტყვის,
 რომელი ითხოვს შენის ძის მოკვდინებას ძელზე.
 გათენებულმან დღემან რა განაქარვა ბნელი,
 415 კარიბჭის გარეთ უმაღ გამოათრიეს ქრისტე
 და, განუმზადეს რაჟამს სრბად ასპარეზი სულის,
 მისთვის სიკვდილი უკვე განწინებული იყო
 და ჭეშმარიტად იგი სულს განუტყვებს იმ დღეს.
ღვთისმშობელი: ო, ბოროტების ძირად გამოაჩინებ სიტყვას.
 420 ვაი, საბრალლო ვხედავ ზღვას ბოროტების ისეთს,
 ველარასოდეს კვალად გამოვერიდო მისგან,
 უბედურების ტალღას ვერ დაეაღწიო თავი.
 ჰოი, სადამდე აღწევს ურცხვ ებრაელთა ზრახვა!
 ამპარტავენებას ეგზომს რა დაედება საზღვრად,

- 425 თუ ჩაიფიქრებს მოკვლა და გაუბედეს ღმერთსაც?
 მე არა ვნაღვლობ მისთვის, დაემტება რადგან
 ვერსით სიკვდილი იმას, ვინ მოაკვდინებს სიკვდილს.
 როგორ დაებადე იგი – დამბადებელმან ეუწყვი,
 როგორ ვეველტოდი, მაჩსოვს, მკაცრ საშობაო ტკივილს.
- 430 ვიგლოვ, ვინც უნდა ზიდოს უბედურების ტვირთი;
 მისთვის მოელის მკვლელებს სამართლიანი ზღვევა,
 რაც ღმერთს ურჯულოდ ჰკადრეს უმოკრძალებო შურით.
 აჰ! აჰ! აჰ! აჰ!
- განა პირველად მოხდა, ანაკლულებდა მრავალს
- 435 ხშირად უწინაც არა ღვთის მოყვასობის შური, –
 ხულ ხეგა, რომელი ავნებს აწ ებრაელთა კრებულს.
ქორო: რატომ აღვიძებ სიტყვებს და ძირიანად რად სძრავ?
 შვილმკვლარი დედა ისევ ბევრს ატრიალებ სიტყვებს.
ღვთისმშობელი: საშინელს რასმე მამცნობ; არ შეგვეკრება პირი?
- 440 მაცხოვარს ქვეყნის ნუთუ შენ დაღუპულად ჰგონებ?
ქორო: მაშ, დაიცადე წუთით, შვილს განამებულს ნახავ.
 სრბად განუშადავს რაჟამს მას ასპარეზი ხელის,
 აწ მნახო, იქვე მოკვდა თუ გადაგიორჩა ცოცხლად.
ღვთისმშობელი: ვაი, რას ვხედავ, ვაი! ბოროტმოქმედთა ხელში,
- 445 ძვე ღვთივ შობილო ჩემო, შენ ხათრეველად ქმნილხარ.
 შებორკილებულს გსურის, მაგ ბორკილებით მიძვევ,
 ვინც ხალხს საკრველი აძხენ, ათავისუფლე ვინაც.
 აჰ! აჰ! აჰ! აჰ!
- მაცნის წინათვე ნათქვამს არ ეხამება ესე
- 450 და არც იმედებს ჩემსხას ეხადაგება, შვილო.
ქორო: შესატყვისია ოღონდ ის წინაისწარ თქმულთა,
 რომ გვაუწყებდა თვითვე ავაზაკთაგან ვნებას.
ღვთისმშობელი: ვაჰაჰაიმე, რა ვქნა, რომ ვალალებს გული.
 საით მიდინარ, საით? მე ვილუპები, შვილო.
- 455 რა მიზეზი გაქვს სრბოლის აწ გასრულების სწრაფად?
 კვლავ ქორწილია განა, რომ ეშურები კანას,
 იქ წყალი უცხოვ რათა გარდააქციო ღვინოდ?
 შენ თან გამოგვე, შვილო, თუ დაგელოდო კიდევ?
 ლოგოსო მამა ღმერთის, მაშ, მიზიარე სიტყვა,
- 460 შენი მხვეალი დედა არ მიმატოვო უბრად,
 რადგან პირითგან შენით ხმას გამოძავალს ახლა
 რომ მივაყურო, შვილო, და გესაუბრო, მიმჭირს.
 და თავად მამის ნებით ნუ მიუარებ ამას,

- რომ მივაკარო ხელი შენს მოხაკრძალვებ სხეულს,
 465 ანუ შევეხო ფერხთა და შემოგველო, შეილო.
 რა გავაკეთო? ღღვება ეს დაღალული გული.
 მოდით, დავაგდოთ შიში, ო, საწაღელნი, მოდით,
 გარს შემოველეთ ვველა და დაუქამბვეთ და თან
 მარჯვედ ჩაჰკიდეთ ხელი. რა შესაბრალო გავხდი,
 470 რომ ვცრემლოდეთ ამ წუთს მე, აღვსებული შიშით.
 აჰ, დაღუპული სრულად, საბრალობელი კვედები.
 ქალნი, ვიხილე რადგან დაღონებული შეილი,
 ვერ გამძლია ცოცხალს და სიკვდილილა მინდა.
 ხელთ გასახსნელტომად ხალხის რა გავაკეთო, ვაჰმე!
 475 ხმარობენ ყოველ ღონეს მოკიდებულნი მტრებად
 და ამ ჭირითგან არ ჩანს გამოსავალი სწორი.
 როგორ ვარდო თავი მტრის ღონეობას ამგვარს?
ქორო: არ ვუწყვი, მით რომ ვშიშობ, უხათნოეხო დაო,
 მეც ამის გამოთ ცხელი არ დამედიწოს ცრემლი.
 480 [ქრისტეჲს] მხლებელი, განვედ, იარებოდე ჩუმაღ.
 გასცდი საშინელ საქმეს; შენს ხულგრძელეობას სცდიან,
 ხოლო მოგვეებით უკან სვლით უმძიმესით ჩვენაც.
 მას შემორტყმია ირგვლივ თავაწყვეტილთა გუნდი
 და უჯერო ჩანს ყოფნა გულისხმიერთა თანა,
 485 რადგან ვერ შესძლებს ხილვას დამძიმებული ხული.
 მოკიდებული მტერად, კლვით შესვარული ხროვა
 საშინელია სწრაფვით, მკაცრს შეწონილი ნებას;
 ბუნებითია მისთვის ბარბაროსული განსჯა.
 იმას ვეშიშვი, ახლად არ განიზრახოს, რაიც
 490 დაემეტება სიმწრით უბედურებას შენსას.
 თანთან მეშინის მეტად, ამ განსაცდელის მხილველს,
 ბასრად ნალეხი ხრმალი არ გამოყარონ გულში
 და არ შევიქმნე მეტის უბედურების კერძიც,
 არ შეერიოს გზაზედ მტკვრს შიგნეული შეილის.
 495 გადაუჩვიეთ მცირედ ბოროტმოქმედთა ამბავს,
 მოდით, გავხინჯოთ საქმე კლვით შესვარულთა კაცთა.
 მოდით, სეობას ტყიანს, მამ, მივაშუროთ კვალად.
ღვთისმშობელი: სტრის თქვენი სიტყვა, რადგან ეს ვამება ვველას;
 მო, გავემართოთ იქით, სად გეჩვენებათ ხარგოდ.
 500 **ქორო:** იქიდან ვზომოთ საქმე, ვით სამზერიდან შორით.
ღვთისმშობელი: ძეს რომ ვერ ვხედავ ჩემსას, მოწამებობით დიადს,
 ხანამ მიიღებს მიწა, ვარ დაზაფრული რწვეით,

- მისაწვდომობის რიდით გაერიდებივარ ბრბოთა.
 ჩემს სიცოცხლეში განა რამ სარგებელი ყრია?
- 505 ო, განაჩენი ბედის დამარღვევინა ნეტაჲ,
 მე დაბერება თუკი ლაზათიანი არ მხვდა,
 ბე რომ აღდგება მკვდრეთით, ის საიმედოდ რჩება,
 შეყაროს ყველა ტომი და სამართალი საჯოს,
 ვის ებრაელნი ჰკლავენ, მეთვისტომენი, შურით.
- 510 ჩემთა; ბედშავი დედის მეთვისტომეთა, ვიტყვი,
 და არა მამის, ვისიც განკაცებულ არს სიტყვა,
 ჩემგან უთესლოდ იშვა, უზესთაესად სიტყვის,
 და მე ვეულტოდი, მახსოვს, მკაცრ საშობაო ტკივილს.
 და მოწამე ვარ, რაგინდ სატკივრიანი ვიქმნე,
- 515 და ველარ ვუძლებ მისი დასათმენელის ხილვას.
 ვშვე იგი თავად, მახთან, ვით გაგაჩინე, ვუწყი.
 და უბრალო ვარ წმინდა საიდუმლოთა განთქმად,
 უბედურების ჟამს კი გარდაუვალი იყო,
 რომ დაშეკარგა ენაც. ჯერ შევეუდგები თხრობას,
- 520 რაც მომაგონებს პირველ, რომ შევიქმენი დედა,
 დღემდე უმანკო იგი მე დავიტეი ხორციით.
 არც დაამება ვუწყი, არც გაგონება სიტყვის,
 ვერც ნაწერს ვარჩევ და ვერც მოვიწადინებ, ესე
 დასაკვირვებელ იქნას; მაქვს ქალწულებრი სული.
- 525 მე დაეფიცებ ყოვლის გაცხადებულად მცოდნეს,
 არც სანატრელად მქონდა, არც მიფიქრია წამით,
 რომ, მოკლებული პატივს, დაველუპულიყავ ისე,
 სხეული ჩემი არც ცას, არც დედამიწას, არც ზღვას
 რომ არ მიეღო, ხოლო განაწამები შვილის
- 530 ხელთ ყოფილიყო სული, ვით ლოცვანიდან დამრჩა.
 იმედი მანვდის საზრდელს და უკდემელად მარჩენს.
 ვუწყი ყოველი ესე; აწ შეიძლება გითხრათ
 მგლოიარობის წესით. მე დაცრემლების ღირსი
 სრულად ყოველი ჭირი და განსაცდელი ენახე.
- 535 ჯერი დგებოდა თუშცა კეთილგნებობის ჩემის,
 ბოროტის მქმნელთა უფრო მეტ სადარდებელს მიმცეს.
 მე ქალწულადვე დავრჩი, მამრს შეურთველი მდედრი;
 რაც საპოვნელად უნდა ქალს გონებიერს უჩნდეს¹,
 მიმიღწევიდა მისთვის, წყალობიანი ღმერთი

¹ ეს და შემდგომი პწყარები ანდროპაქს სიტყვაა /Troas. vers. 640 და ა. შ./ და ღვთის-
 მშობლის სათქმელისათვის მისადავსა ძლიან ქირს.

- 540 მით მადლს განჰზომავს მარად და უშურველად გასცემს.
 გინდ შეხებოდა საქმე, არ შეხებოდა თუგინდ
 შესაკდომებელს ქალთა, გამოჩნდებოდა ესე
 ბოროტად მისთვის, სიტყვის ვის შემოზღუდვა არ სურს.
 უსურვებლობა დავთმე, არ გადავმცდარეარ მიტომ
- 545 იმ წმინდა საზღვარს. მდუღრთა მე მოხდენილი სიტყვა
 არ გავიკარე ახლოს და განმსწავლეელი მისი /ავის?/.
 გონი ცხებული ვირგე და ვიმყოფინე სრულად.
 ყველა საქმეში სიბრძნის მშვენიერება ვიცან,
 სიდიადე და ქება მას ყოვლით-კერძო მოაქვს,
- 550 ყველას უჩუმებს ენას, მეც მიწყნარებდა თვალებს,
 ვუწყოდი, რითაც უნდა დაემეტებოდი ასულთ,
 რითაც დამეთმო უნდა ხან გამარჯვება მათთვის.
 მიმიღო ღვთისგან კაცმა ხელუხლებელად წმინდა,
 ხელუხლებელი მქონდა კვლავ სიქალწულის ბჭენი,
- 555 ოდეს მას მიმცა, ხოლო არ იპოვება სიტყვა,
 იმ საქმეთათვის ჩემდა სასაყვედუროდ ვარგი.
 და დავიმარხე თავი დაწინდებულმან ღმერთის.
 შეიღი როგორ ვშვე მერე, მე დამიჰამბვეთ, მოდით.
 ყოფილა ქალი, შობით არ მოეწონოს თავი?
- 560 **ქორო:** დედავ-ბატონო, ლამაზს, სათაყვანებელ ქალწულს,
 დედად უსძლოოდ გიცნობთ, შეუუღლველად მამრთან.
 გამოერჩევი მხოლო მიწისაგანთა დედათ;
 ხელს ხომ ბებია-ქალის მოლოგინებად შენთვის
 არ უშველია, ვითარ დამტკიცებულ არს სანდოდ,
- 565 ღმერთის და კაცის შობა ანგელოზისგან გესმა.
 მომხდარი არ ჰგავს საქმეს მიწისაგანთა ჯიშის
 და ვნება კაცთა ვნებით საკვირველია ღვთისგან.
ღვთისმშობელი: შენ საოცრად სთქვი, თუკი უჩნს მართებულად
 მამას,
- სიკეთე ღმერთის ვნებით ადამიანთა ჰპოვონ,
- 570 ეს წამალი აქვთ რადგან სიკვდილისაგან შველის,
 სიავეთაგან ხრწნისა რომ დააწყნარებს ბედშავთ.
 და მეც გასწავლით, ამას რა სილამაზე ჰშვენის,
 რადგან ლოგონი, კაცის მეცნიერებით მწვრთნელი,
 რათა გამიყოს მადლი, დაკარგებულა ჩემში.
- 575 რაც მიწისაგან კაცი თვით შემოქმედმა შექმნა,
 ოსტატად ქმნილთა მოვლის ღიმონარ-მდელოს დასუა,

მერმე აყვანა სწადდა ხასუფეველში ცათა
და აღიშურვა გველმა, აცთუნებინა დიაცხ,
რომ მოსწყვეტოდა მდელოს, ღმერთს გადმოემზო ციდან.

580 და გასაზრავდა ღმერთი საპირისპიროდ ზაკვის,
რომ დაჰბადებდა მდედრი და დარჩებოდა ღმერთად,
ხოლო ხორცშესხმულს, ცოლვით მას სამოკვდავოდ აღვხილს,
სრულ აჰკაფავდნენ მხხვერპლად, გადათელავდნენ ფეხით.
მაშ, იწამე და ღმერთი შენ შეიწყნარე, ქვეყნად

585 მოსული, რათა კაცთა ცად აიყვანოს მოდგმა.
აქე სიწმინდის მცვერევით და აკურთხეველე ამახ.
შენი სამზერი ქვეყნის ჰგავს საქორწინო პალატს,
ჰნახავ ასხლეტილს მიწით და ამაღლებულს ზეცად, —
ვით თქვა, უწინაც უთქვამთ ღვთის შესაფერის მამებს

590 და მეც ამიტომ თავი იმედინად ვიგრძენ.
ზესთა ყოველთა, ვინც კი მსახობელი რჩება,
მშთება იმედი და არც ნაცთუნები ვარ სულით,
რომ დავინაღველო; ტყბილი არს საფიქრალი ესე.

ხოლო იმედი მტყიცე რომ ყოფილიყო უფრო,
595 რა ხარებაა! მაგრამ გულს სატანჯველი მანვეს
და ვჭერეტ წინასწარ ყოველს, მოსალოდებელს მალედ,
და მწუხარება დიდი ხმლევს ხასობას ჩემსას.
ქორო: შენ, სახელიან ასულს, უმშვენიერეს ქალწულს,
მუცლად-გილია რომელს დაუნჯებული ღმერთი,

600 გიცნია ესე, ხოლო აწ დანარჩენი ნახე,
რამეთუ სიბრძნით მოკვდავთ დამეტებულად გიცნობთ,
მხილველმა ამის, უნდა წარმოიდგინო ბოლოც.
ვითარ ეშიშვის ყოველს ადამიანთა მოდგმა!
გაუგონარი ვინ ცნას, თუ ღუდაღვთისამ არა.

605 **ღვთისმშობელი:** რარიგ ბედმაუი კქმნილვარ სატყვიართაგან ჩემთა!
ბევრი რამ ვუწვი, ოღონდ, ვით განუაცხადო, ვერ ვცან.
საკვირველია რარიგ, შვილს ვუყურებდე ჯვარცმულს,
თანავე მომკვდარს, იყოს თუნდ ნაწამები ნებით.
ვაიმე, ვაი! აჰ, აჰ!

610 **ნახვარი ქორო:** რას გააკეთებ, გვითხარ, მაშ, უსაშველოდ ვნებით.
ღვთისმშობელი: გზა არ ჩანს, გარდა კვდომის, თუ მოსწრაფებით
საშველს

მე არ მოენახე ჭირთა დღეს მოწვეწულთა გამო.
და უმტყიცესი ყოველის ხასობაა ჩემი.

ხოლო ერთი დღე მმართებს, რომ მარტოდმარტო დავრჩე,

615 რათა დამთავრდეს სრულად, რა ხაზრუნაჲც მტანჯავს.

უშენოდ ნუ მხდი ტიაღს, ო, ხავეარელი შვილო.

ნახევარი ქორი: არას გვანიშნებ ნათლად შენ, მგოდებელი ფრიად.

როგორ მაუწყებ იმას, რის გაგონებაც მზარავს?

როგორ ენდობი სიტყვებს, შემაშფოთებელს მეტად?

გვაძინებებ, მაგრამ ცხადი აღარაფერი დარჩა

და ა. შ.

ტიმარიონი ანუ მის ჰემატოა უესანჰა

წინახიტყვა

„ტიმარიონი“, რომელიც სატირული κατάνυξις-ის ქანრს განეკუთვნება, საინტერესო ნაწარმოებია. იგი ლუკიანეს მშრალ მიბაძეას კი არ წარმოადგენს, არამედ თვითმყოფადობით გამოირჩევა. მისი უცნობი ავტორი, ვისი ვინაობის დადგენაც ძნელია, ნიჭიერი მწერალი და საინტერესო პიროვნება უნდა იყოს.

ის ფაქტი, რომ „ტიმარიონის“ ავტორის კრიტიკის ობიექტები ისინი არიან, ვისაც კომწენოსების კარზეც აკრიტიკებდნენ, გვაფიქრებინებს, რომ ეს ნაწარმოები იმპერატორის კართან დაახლოებული პირის მიერ არის შექმნილი. მწერალი იზიარებს ანა კომწენეს თვალსაზრისს იონანე იტალოსსა და მის მიმდევრებზე, ასევე ემთხვევა მისი აზრი მიქაელ ჰსელოსზე ანა კომწენეს აზრს. კომწენოსების საკარო ლიტერატურასთან „ტიმარიონს“ აახლოებს ჰომეროსის ციტატების ფართო გამოყენებაც. ეს ჰომეა ხომ კარზე დიდი ჰომულარობით სარგებლობდა, მას კითხულობდნენ და მიბაძვის საგანიც იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მწერალი მხოლოდ თესალონიკეს ჰეგემონს, იმპერატორის ოჯახის ნათესავს, პალეოლოგოსს – ახსენებს სათანადო მოწინებითა და აღფრთოვანებით. ყოველივე ამის გამო არ არის გასაკვირი, რომ ნაწარმოებში ვერსად ვერ ვნახავთ უკმაყოფილებას, გამოთქმულს არსებული საზოგადოებრივი წყობის გამო.

საიქიოს აღწერისას ავტორი აღნიშნავს, რომ იქაც, როგორც მიწაზე, არსებობენ მდიდრები და ღარიბები. ამათგან უკანასკნელნი არ არიან მწერლის ყურადღების ღირსი. ნაწარმოების ენაც ძალიან არის დაშორებული სალაპარაკოს; ლუკიანეს მიბაძეაა. ეს ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ავტორი მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელია.

„ტიმარიონის“ ავტორი თავისუფლად მოაზროვნეა რელიგიის საკითხებში, რაზეც ჯერ მარტო ის მიგვანიშნებს, რომ მიწისქვეშა სამეფო სატირულადაა დახატული. ქრისტიანები და წარმართები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ჰადესში, ხოლო მიცვალებულთა სასამართლოზე ერთადერთი ქრისტიანი მოსამართლე სატთ-მებრძოლი თეოფილეა.

აგტორის სუბიექტური დამოკიდებულება გმირებისადმი, მისი იდეები გამოძახილია XII ს. ბიზანტიის საიმპერატორო კარზე გავრცელებული შეხედულებებისა.

ტიმარიონი ანუ მის ვნებათა შესახებ

1. **კიდიონი.** ტიმარიონ, კეთილო მეგობარო! „შენ, ჩემო სინათლე, ტელემაქე დაბრუნდა“. აქამდე რა გიშლიდა ხელს, რომ დაბრუნებულიყავი? ხომ დაგკვირდი, რომ მალე გამოჩნდებოდი. „თქვი, ოცნებაში ნურაფერს მაღავე, დაე, ორივემ გავიგოთ“. ახლა კი მოველის საუბარი შენს ძველსა და ახლად მოპოვებულ მეგობართან.

ტიმარიონი. ძვირფასო კიდიონ, რადგან ჩემს უბედურებათა მოსახმენად მომზადებულმა, გამახსენე ჰომეროსის ქსნილებები, მეც მომიხდება ჩემს თხრობაში გამოვიყენო ტრაგიკოს პოეტთა ლექსები, რათა ამაღლებულ ტანჯვათა ამბავი გადმოგცე ისეთივე ამაღლებული სიტყვით.

კიდ. მაშ, ილაპარაკე, ტიმარიონ, ნუ აფოვნებ, ამით ნუ აჩელებ ჩემს წყურვილს და მეტს ნულარ მაწამებ.

ტიმ. „ვაი, რისთვისღა შეეზე, კვლავ გინდა გახსნა“. და რატომ, „რატომ გვარიდებ ილიონის კედლებს?“ დე, ჩემი მოთხრობის პროლოგი გახდეს ევრიპიდეს ლექსი, მისგან ხომ ადვილი იქნება გადახვლა იმდენადვე სევდიან ამბავზე. „არ არსებობს საშინელი უბედურებანი და არც სიტყვა მათ გამოსახატავად, მძიმე ტანჯვა-წამებისა, რომელსაც ღმერთი გვიგზავნის და რომლის ტვირთვაც არ შეუძლია მოკვდავის მხრებს“. „არ არსებობს ქვეყნად ადამიანზე ბედკრული არსება“. დაიჯერე, ძვირფასო მეგობარო, მე რომ გიამბო ყოველივე, რაც გარდამხდებოდა დღითი-დღე, შენ რა თქმა უნდა არჩევ, რომ გავჩუმდე და საერთოდ აღარ ვილაპარაკო, თუმიცა ეხლა მოუთმენლად ელი ჩემს მოთხრობას.

II **კიდ.** მაშ დაიწყო, ძვირფასო, შენი ამბავი, ხანამ არ ჩაესვენა მზე და არ დადგა ხარების აშეების დრო; მე ხომ აუცილებელი საქმის გამო გამოთენიისას სახლში უნდა ვიყო.

ტიმ. კიდიონ, მეგობარო, შენ ჩემგან გაგიგია, იქამდეც, ხანამ დაგემშვიდობებოდი, თუ რაოდენ სასიამოვნო და ღვთისხათვის სახურველი იყო ჩემი მოგზაურობის მიზანი, ამიტომ არ არის აუცილებელი, რომ მე გავიმეორო, შენ კი ისმინო უკვე ნაცნობი სიტყვები. მაშ ახე, მას შემდეგ, რაც დაგემშვიდობე და დაგტოვე ქალაქი, ღვთის წყალობა მდევდა, რამაც გამიმზადა ბედნიერი გზა და იზრუნა ყოველ წერილმანზე, რაც გზად შემხედებოდა. მოკლედ რომ ვთქვა, მიუხედავად ჩემი, ფილოსოფოსის, საწყალობელი შესახედაობისა, მეფურად მიღებდნენ და მეფერებოდნენ.

ღვთის მფარველობამ მომცა შესაძლებლობა მენახა ყველა ჩემი ძველი მეგობარი, ვინც გზად ცხოვრობდა. ერთი მინდორში მიმაველი მხედობოდა, მეორე — სახლისაკენ გზაზე, მესამეს ჩემს მოხვლას ატყობინებდა მონა, რომელიც შემთხვევით გაივილიდა და წამაწყვდებოდა ან იმ მინდორში მუშაობდა, ხადაც მე გზად გავივლიდი; მოკლედ, არ მინახავს არავინ, რომ ჩემს დანახვაზე დიდი სტუმართმოყვარეობა არ გამოეჩინა, რატომღაც ჩამოვთვალე ყველა არაჩვეულებრივი და უმდიდრესი მიღება, მე ხომ უკვე ვუწოდე მათ მეფური და ბრწყინვალე. აქედან შენ შევიძლია დაასკვნა, ძვირფასო მეგობარო, რომ არსებობს რაღაც განგება, რომლის შესაბამისადაც ცხოვრების სიკეთენი იმათ ეძლევათ, ვინც ფილოსოფოსობა არჩია. მეც კი, რომელმაც თან არაფერი არ წავილე და არ მოვიმარაგე არც საჭმელი, არც სასმელი, გზად პირველი გაჩერებიდანვე არ ვიყავი მაგ სიკეთეს მოკლებული, არაფერი არ მაკლდა. თესალონიკეებში ყველაფერი კარგად და ბედნიერად იყო; ხოლო რაც შეეხება ჩემს დაბრუნებას, იგი იყო ზომაზე მეტად სამწუხარო, და მართლაც რომ ტრაგედიას მოგაგონებდათ.

III. კიდ. როგორ ჩქარობ, ჩემო მეგობარო, როგორ კვეცავ შენს მოთხრობას და ყველაფერს ზედაპირულად ეჩები, არაფერს არ მიყვები დაწერილებით! ჯერ არ დაგმითაერებია ხანლიდან გამგზავრების ამბავი და სიტყვაც არ გითქვამს უცხოეთში შენი ცხოვრების შესახებ, „ფიქრით უკან მიქრინარ“, თითქოს ძაღლები ან სკვითები მოგდევნენ, ჩქარობ დაბრუნდე ბიზანტიონში, თითქოს იქ არის შენი ერთადერთი ხსნა და თავშესაფარი. დამშვიდდი, ძვირფასო; არაფერი საშინელი არ მოხდება, თუ დაწერილებით მომიყვები ყველაფერს, რაც თავს გადაგზდა.

ტამ. რა ცნობისმოყვარე ხარ, ჩემო მეგობარო: ვერ ძღები უცხო ქვეყანათა შესახებ მოთხრობის სმენით. კარგი, მაშინ თანამიმდევრობით მოგიყვები ყველაფერს, მაგრამ ნუ განაწყენდებით, თუ გამომჩნება რომელიმე ყვავი, რომელმაც გვერდით გამიფრინა, ქვა, რომელიც ცხენს ფლოკებში შეუგორდა, და გზისპირა ვკალი, რომელიც ტანსაცმელზე გამომედო. ასე რომ, მივდიოდი სახელგანთქმულ თესალონიკეში და მინდოდა იქ მოხვედრა წმინდა დიმიტრის დღესასწაულამდე. სული ჩემი ღზენით იყო აღსავსე, სხეული კი სიმხნევით. უსაქმურობა, შენ კარგად იცი, ჩემთვის იგივეა, რაც ღორის ზორცი იუდეველისათვის; წიგნების კითხვა შეუძლებელი იყო, სამაგიეროდ ნადირობის შესაძლებლობა მქონდა და დაედიოდი აქსიის ნაპირას. ეს არის ყველაზე დიდი მაკედონის მდინარეთა შორის; იგი სათავეს იღებს ბულგარეთის მთებში, კატარა ნაკადულებად, ჩამოსვლისას ერთდება ერთ დიდ კალაპოტში და მიე-

დინება, როგორც კომპროსი იტყობდა: „ფართოდ და მძლავრად“, ძველი მაკედონიის გავლით პელისაკენ და მის მახლობლად ზღვას უერთდება.

ეს მხარე ღირს იმად, რომ მასზე შეეჩერდე: მხენელს იგი მიწის მრავალ ნაყოფს ჩუქნის, სტრატეიკებს – სივრცეს ცხენებზე საჯირითოდ, სტრატეგოსებს – მეტ სივრცეს ჯარების დასაწყობად და გადასაწყობად; იგი თითქოს შექმნილია სამხედრო ვარჯიშებისათვის, რადგანაც რიგები არ წყდება: ადგილი ხომ სწორია, არხად არ არის არც ქვა და არც ბუჩქი. ყველა, ვისაც კი იქ უნადირია, გაიგებს, რომ ფედრას იპოლიტე რომ არც ყვარებოდა, მაინც სიამოვნებით იჯირითებდა ამ დაბლობზე, მოიხმობდა ძაღლებს და დაედევნებოდა ჭრელ ფურირმებს.

IV. ასეთია აქსიის შემოგარენი. აქ ცცხოვრობდი მე ძველსა და ახალს მეგობრებთან ერთად და დღესასწაულამდე გართული ვიყავი ნადირობით, ხოლო როდესაც იგი დადგა, დაებრუნდი თუხალონიკეში. მას შემდეგ რაც მოვიხაწულე იქაური წმინდა ადგილები და ტაძრები და ვიცი მათ სათანადო პატივი, გავემგზავრე ბაზარზე, რომლის კარებიც ქალაქის ჭიშკარს იქით არის გაშლილი; ეს ბაზრობა იწყება დღესასწაულამდე ექვსი დღით ადრე და კვირა დღის შემდეგ მთავრდება.

კად. ჩვენი ტიპარიონი ისევ თავის თავს ემსგავსება. როგორც კი მეთვალყურეობა მოაკლდება, უბრუნდება თავის ძველ ჩვეულებას: მოთხრობაში ხცნობს მხოლოდ დასაწყისსა და დასასრულს და ტოვებს ყველაფერს, რაც მათ შორისაა. აი ეხლაც, თითქოს დაივიწყა ჩემი თხოვნა და თავის დაპირება, ისე რომ არც მოუყოლია ყველაფერი ბაზრობის, მრავალრიცხოვანი კარვების, ბრწყინვალეების, ტომების, სიმდიდრისა და საქონლის მრავალფეროვნების შესახებ, პირდაპირ გადავიდა მისი დასაწყისიდან დასასრულისაკენ და გადაწყვიტა ამით შემოფარგლულიყო, მაგრამ „ვერ გაეჭეცი არესის რჩეულის მზერას“.

ტამ. ძვირფასო კიდიონ, მეშინია, რომ, თუ შენ მოგისმენ და ჩემს მოთხრობას შენი გემოვნების მიხედვით აეაგებ, დილამდე მოგვიხდება აქ ყოფნა. მაგრამ რა გაეწყობა. მეგობართა თხოვნა, როგორც ჩანს, კანონია და ტირანთა ბრძანებისაგან დიდად არ განსხვავდება. არ შეიძლება არ დავემორჩილოთ მას, როგორიც არ უნდა იყოს, ამიტომ დავიწყებ.

V. წმინდა დიმიტრის დღე ისეთივე დიდი დღესასწაულია, როგორც პანათენეები ათენში, და პანიონიები მილეტში, ეს უდიდესი მაკედონური დღესასწაულია და მასზე ხალხი მოედინება არა მხოლოდ იქაური, მაკედონელები, არამედ ყველანაირი და ყველა ადგილიდან; ბერძნები – ელადის სხვადასხვა კუთხიდან, მისიური ტომები, რომლებიც ცხოვრობენ ისტრამდე და სკვითების საზღვრებამდე, კამპანელები, იტალიელები, იბერები, ლუსიტანელები, კელტები ალპების იქიდან. მოკლედ რომ ვთქვათ, ოკეანეს სანაპიროც კი გზავნის მლოცველებს, რათა თაყვანი ხცენ ამ

წმინდანს — იმდენად დიდია მისი სახელი მთელ ვეროპაში. მე კი, შორეული კაპადოკიის მაცხოვრებელი, არ ვიყავი ნამყოფი ამ დღესასწაულზე, მხოლოდ გაგონილი მქონდა მასზე და გულთ მინდოდა თვითმხილველი გამეხდარიყავი ამ დიდებული სანახაობის. მე ვიზრუნე იმაზე, რომ არაფერი არ გამომჩენოდა. ამისათვის ავედი გორაკზე, რომელიც აღმართულიყო საბაზრო მოედნის გვერდით, და დაუბრკოლებლად ყველაფერს ვათვალიერებდი. ბაზრობა ასე გამოიყურებოდა: ერთმანეთის პირისპირ აღმართული ვაჭართა კარვები სწორ რიგებად იყო გაჭიმული; ერთმანეთისაგან დაშორებული ეს რიგები შუაგულში ქმნიდნენ ფართო გასასვლელს მრავალრიცხოვანი ხალხისათვის, რომელიც ბაზარზე მიდიმოდიოდა. ამ გადატვირთული სწორი ქუჩების შემყურე, იტყოდი, რომ ისინი პარალელური ხაზებია სხვადასხვა წერტილებიდან შორს გადაჭიმული.

მათთან კუთხეს ქმნიდნენ სხვა კარვების სწორი რიგები; ისინი არ იყო ბევრი, ასე რომ უმნიშვნელოდ ჩანდა და გამოიყურებოდა როგორც რომელიმე ქვეწარმავლის მოკლე საცეცები, ეს ძალიან საყურადღებო სანახაობა იყო: კარვები სინამდვილეში ორ რიგად იყო განლაგებული, მაგრამ მათი განლაგების სიმეტრიულობა და სინშირე ერთიანი სხეულის შთაბეჭდილებას ქმნიდა, თვალწინ წარმოგიდგებოდა ზანდუკებისაგან შემდგარი ურჩხული, რომელიც თათებივით ვერდნობოდა კუთხეში განლაგებულ კარვებს. ჩვენს მეგობრობას გეფიცები, რომ, როდესაც გორაკიდან ამ ფარდულთა რიგს ვეყურებდი, ისინი წარმომიდგებოდნენ მრავალფეხად გრძელი სხეულით და უამრავი მოკლე საცეცებით შეცულზე.

VI. ხოლო თუკი შენ, ჩემო ცნობისმოყვარე მეგობარო, გაინტერესებს, რით იყო სავეს დახლები და რა დაეინახე მე, როდესაც დავესუი გორაკიდან, — მაშინ წარმოიდგინე ყველაფერი ამ ქვეყნად, რაც იქმნება ფეიქართა და მრთველთა ხელით, ყველა შემოტანილი საქონელი ბეოტიიდან და პელოპონესიიდან, ყველაფერი რაც სავაჭრო ზომაღლებს მიაქვთ ელინებისათვის იტალიიდან. დიდი წილი შეაქვს ასევე ფინიკიას, ეგვიპტეს, ესპანეთს და პერაკლეს სვეტებს, რომელიც განთქმულია მსოფლიოში საუკეთესო ხალიჩებით. ყველაფერი ეს ვაჭრებს ჩამოაქვთ პირდაპირ ძველ მაკედონიასა და თესალონიკეში, ხოლო ეგვიპტის პონტოს ქალაქები თავის საქონელს ჯერ ბიზანტიაში გზავნიან და მხოლოდ ამის შემდეგ ამდიდრებენ ბაზარს: მრავალ საუღლე ცხენსა და ვირს მიაქვს ბიზანტიიდან მათი ძღვენი. მართალია, ყველა ეს ნივთები მე მოგვიანებით ვნახე, როდესაც ჩამოვედი, მაგრამ ჯერ კიდევ ზემოთ ყოფნისას მათი ცეცხლა უამრავი სხვადასხვანაირი ცხოველი, რომელთა ხმები, გაერთიანებული

მძლავრ მრავალხმოვან ღრიალად, სმენას მიხშობდა: ცხენები ჭინვინებდნენ, ხარები ბუბუნებდნენ, ცხვრები ბლაოდნენ, ღორები ღრუტუნებდნენ, ყუფდნენ ძაღლები, რომლებიც პატრონებს ახლდნენ და იცავდნენ ხან მგლებისა და ხან მძარცველებისაგან.

როდესაც გული ვიჯერე ყველაფრის ყურებით და დაეტკბი ნანახით, სხვა სახის სანახაობათა და პირველ რიგში საეკლესიო დღესასწაულთა მოთაყვანემ ქალაქს მივაშურე. წმინდა დიმიტრის დღესასწაული გრძელდება სამი დამე ზედიზედ; მღვდელთა და ბერთა დასი, რომელიც ქმნის ორ ნახევარგუნდს, წმინდანს უგალობებს. ამ დასს თაოსნობს მღვდელმთავარი, რომელიც აწყობს დღესასწაულს, როგორც შეჭფერის, და მეთვალყურეობს წეს-ჩვეულებების შესრულებას. დღესასწაული მთელი დამე გრძელდება სანთლების და ჩირაღდნების შუქზე. „გამობრწყინდა როგორც ვარდისფერი ცისკარი აღრეული ბინდიდან“ – ჰომეროსის სიტყვებით რომ ეთქვას; ტაძრის კარიბჭეში გამოდის თესალონიკეს ჰეგემონი, მკველთა ბრწყინვალე ამალით გარშემორტყმული; მრავალი ცხენოსანი და არამცირე ქვეითნი შეადგენენ ამაღას და ამზადებენ მის ბრწყინვალე გამოსვლას.

VII. რადგანაც ხალხი ქალაქის ჭიშკარს იქით დარაზმული ელოდებოდა ჰეგემონს, ცნობისმოყვარეობით იგრძელებდა კისრებს დიდი ხნით ადრე მის გამოჩენამდე, მეც შევერიე უსაქმურთა ჯგუფს, დაახლოებით სტადიონის სიშორეზე შევამჩნიე სადღესასწაულო მსველელობა და დიდად ვისიამოვნე ამ სანახაობით. რადატომ აღვწერო ჯგუფი, რომელიც ჰეგემონს მოჰყვებოდა, არაფრით არ არის აღსანიშნავი იგი, შემდგარი ნაწილობრივ გლეხებისაგან და ნაწილობრივ ქალაქელებისაგან. სამაგიეროდ ჰეგემონის დაახლოებული პირნი, რომელთაც უნდა ვუწოდო „ერთგულთა მწყობრი“, არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდნენ. ყველანი ჭაბუკები, ძალით აღხავსენი, მებრძოლი არეხის მოსწავლეები და თანამოღვაწენი, აბრეშუმის ჭრელი მოხასხამებით მორთულნი, ხუჭუჭები და ქერები იყვნენ, ნებისმიერისათვის რომ შეგებდა, გაგახსენდებოდა სიტყვები „ოდისეადან“: ბუნებამ ხომ მათ კვფაზე „დალალები რგოლებად გიაციტის ყვავილებით დაუხვია“. ცხელი არაბული იორლები ყრმების ქვეშ ამაყი ნაბიჯით მომავალნი, ჭენებისას თითქოს მიწას სწყვდებოდნენ და ზეცისაკენ მიისწრაფოდნენ. თითქოს იხინიც თვლიდნენ თავს მონაწილეებად ამ ბრწყინვალეებისა, რომელიც მათს ოქრო-ვერცხლით მორთულ აკაზმულობაშიც იგრძნობოდა; თითქოს თავის სილაძაზით ერთობიანო, იხინი მკვეთრად ატრიალებდნენ კისრებს, რათა თავისი ოქროს და ვერცხლის ბრწყინვალეობა დაენახათ. ყმაწვილები თანაბარი ნაბიჯით ახლოვდებოდნენ და მწყობრით ამთავრებდნენ გზას. მათ მცირე მანძილით ჩამორჩებოდა და საზეიმოდ მოემართებოდა ჰეგემონი, რომელსაც

ახლდნენ და წინ უსწრებდნენ ეროტები, მუზეები და ქარიტები. ძვირფასო კიდიონ, რომელიც სიტყვებით გადმოგვცე ის ნეტარება და სინარულით თრობა, რამაც ჩემი სული აღავსო.

კიდ. მითხარი, მეგობარო, ვინ არის ჰეგემონი, როგორია, როგორ შეამჩნიე იგი გზაზე და საერთოდ ვველაფერი დანარჩენი, მომიყევი და შეასრულე ჩემი ძველი თხოვნა.

VIII. ტომ. რაც შეეხება ჰეგემონის წარმომავლობას, როგორც ჩემს შეკითხვებზე მიპასუხეს, მამისა და დედის მხრიდანაც იგი მდიდარი და დამსახურებული ოჯახების ჩამომავალია.

მისი პაპა, მამის მხრიდან, მნიშვნელოვანი სიმდიდრის მქონე და გამოჩენილი კაცი, პირველთა შორის პირველთაგანი იყო დიდ ფრიგიაში.

ძველი თქმულებების ან მონათხრობების მიხედვით ამ პაპას მეტსახელად *παισιόχοσ* დაერქვა. ჰეგემონის მამა არა მარტო „ძველი სიმრძნის ზელოვანია“, არამედ იგი მამაცი მეომარია და სახელგანთქმულია როგორც სტრატეგოსი. ჯილდოდ გმირობისათვის მან მიიღო მშვენიერი მეუღლე, რომელიც ახევე წარჩინებულთა შორის წარჩინებული გვარისაა, მის ძარღვებში მეფური სისხლი ჩქეფს, იგი ჩამომავალია დუკების სახელგანთქმული საგვარეულოსი (ეს გვარი, როგორც მოგეხსენება, დიდი საგმირო საქმეებითაა ცნობილი; მრავალთა აზრით, იგი დასაბამს იღებს იტალიაში ენეასის შთამომავლებისაგან, ზოლო შემდეგ დასახლებულია კონსტანტინეპოლში). არ არსებობს ადამიანი, რომ მისი მამის შესახებ არ სმენოდეს, რომელიც შემკულია ჰიპატოსის ღირსებითა და სტრატეგოსის უდიდესი დამსახურებით. მან უბოძა თავის ქალიშვილს არა მარტო წარჩინებული ჩამომავლობა, არამედ ყოველგვარი სულიერი სრულქმნილებაც. ყოველივე ეს მე გავიგე ჩემი მაშინდელი თანამგზავრებისაგან, რომლებიც მისი გვარის ისტორიას იცნობდნენ. ალბათ ბევრიდან ცოტაოდენი და დიდიდან მხოლოდ მცირე შევიტყვე დროის უკმარისობის გამო, მაგრამ ისევ დაუებრუნდეთ შეწყვეტილ მოთხრობას და განვაგრძოთ.

IX. ამ საზეიმო სვლის სათავეში, როგორც აღვნიშნე, მეომართა რაზმი მოდიოდა, რომელიც გზას კაფავდა. მხოლოდ შემდეგ, თითქოს გაწყდაო ეს ერთიანი ჯაჭვი, ყმაწვილებს ოდნავ ჩამორჩენილი ბრწყინვალე დუკა გამოჩნდა. არც საღამოს ვარსკვლავი, არც ცისკრის მნათობი არ გამოჩენილა ისე ხაოცრად, როგორც მაშინ გამოგვეცხადა იგი. „მისი თვალები თითქოს ღვინისგანაა გაბრწყინებული, კბილები კი რძესავით თეთრია“. დუკა ტანადია, მაღალი, მშვენიერი და თანაზომიერი აქვს სხეულის ვველა ნაწილი, ასე რომ მასზე შეგვიძლია ვთქვათ ცნობილი სიტყვები: „ვერაფერს ვერც გამოაკლებ და ვერც მიუმატებ“. მაღალია და ტანადი, როგორც კვიპაროსი, მაგრამ კისერს იმდენად ლამაზად ზრის,

თითქოს ბუნებამ, რათა მისი უზარმაზარი სიმაღლე გაეზომიერებინა, მოაღუნინა, იმისათვის რომ დეკა თავისუფლად მიტრიალებულიყო ყველას შესახვედრად. ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ შორიდან შეამჩნევდი მის მზერას. ხოლო როდესაც დეკა მოგვიახლოვდა, გზაზე მდგომთ და მისი გამოჩენის ბუნებრივი მოწინებით მომლოდინეთ, ყველაფერი მასში მოგვეჩვენა ცვალებადი და შეუმჩნეველი. ემსგავსა სასმელს, რომელიც „სასარგებლო წამლებთან ერთად ბევრ სიმწარესაც შეიცავს“. მისი თვალეზის გამომეტყველება იცვლებოდა, იგი ხანდახან აფროდიტეს მშვენებას გამოაჩენდა. თუ დაფიქრებით ჩააცქრდებოდი, მისი გამოხედვა არეზის სიმკაცრეს გამოხატავდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ თვით ზევსის სიდიადეს. შემდეგ ჰეგემონის თვალეზი, რომლებსაც იგი დაფიქრებით მიაპყრობდა თავის გარემომცველ სამყაროს, ემსგავსებოდნენ ჰერმესის თვალთ — იმდენად მახვილნი და ცოცხალნი იყვნენ ისინი, გამოხედვა თითქოს ხსნიდა მის მეტყველებას და მას დამაჯერებლობას აძლევდა. ღირსებათა ასეთი ბრწყინვალეობით წარმომიდგა დეკა ამ დღეს. მისი თმები, არც მთლად შავი და არც ძალიან ღია, ამ ფერთა სიმკვეთრეს არბილებდა და მათი შერევა ქმნიდა რაღაც საოცრად სასიამოვნო ელფერს. შავი თმა ხომ აწეწილი და უშნო გვეჩვენება ხოლმე, ქერა კი ქალურია და ზედმეტად ნაზი, ხოლო ამ ორივე ფერის აღრევას ვაჟკაცურ იერში რაღაც სირბილე შეაქვს.

არა ნაკლებმა ხელოვანმა, ვიდრე თვით საფოა, — ბუნებამ, ბრილიანტების ოქრომჭედლის გულმოდგინებით შეამკო მისი მეტყველება, სრული დამაჯერებლობით, მშვენებით და მუსიკალური თანაზომიერებით. მისით აღფრთოვანებული, აუცილებლად შესძახებდი სპარტელების მსგავსად; „მართლაც ღვთაებრივი მამაკაცია“. რა თქმა უნდა, შენც გესიამოვნებოდა მისი მოსმენა.

X. და აი, როგორც კი ამ სახელოვანმა კაცმა ფეხი შედგა წმინდა ტაძარში და ლოცვით მიმართა წამებულს, ხალხმა ჩვეულებისამებრ დაიწყო თავისი ჰეგემონისათვის ხოტბის შესხმა. დეკა დადგა მისთვის განკუთვნილ ამაღლებაზე და არქიერევს თავისთან მოუხმო, — ეტყობა, ასე იყო დაწესებული კანონით ან ადათით. შემდგომ, როდესაც უდიდესი გულმოდგინებით (რადგანაც ესწრებოდნენ ესოდენ მაღალი წოდების წარმომადგენლები) შეასრულეს ამ დღისათვის შესაფერისი ყველა წესჩვეულება, გაისმა ნამდვილი ანგელოზის გალობა, რომელიც თავის რიტმის, ტონის და ელფერის ცვლის სრულყოფილებით თანდათან უფრო ტკბილი ხდებოდა. მღეროდნენ არა მარტო კაცები; ქალები, წმინდა მონაზვნები, ტაძრის მარჯვენა ფრთაზე მყოფნი და ორ ნახევარგუნდად გაყოფილნი, ასევე მონაწილეობდნენ წამებულისათვის ხოტბის შესხმაში. წირვისა და სულის მოხახხენებელი წესების დამთავრების შემდეგ მე 5.

შეკვლავად წმინდანს და შეკითხოვე მას ბედნიერი დაბრუნება, შემდგომ ხალხთან და დუკასთან ერთად გამოვედი ტაძრიდან და სახლისაკენ გავემართე. რა სიტყვებით გადმოვცე, კიდიონ, ყველა ის საშინელება, რომელიც შემდგომ დაემართა? თუ მხოლოდ მათ ჩხენებაზე საშინელი სევედა მიპყრობს, წარმოიდგინე, თუ რა გადავიტანე საშინელ უბედურებასთან და დამღუპველ სსუელებასთან შეჩვედრისას.

კიდ. ილაპარაკე, ძვირფასო ტომარიონ, და მოვეყი შენი ტანჯვა-წვალების შესახებ, მე ხომ მათ გამო მინდოდა შენი ამბის მოსმენა. ყოველივე სხვა შენ უკვე საკმაოდ დანერვილებით მიაამბე.

XI. ტომ. ასე რომ, კიდიონ, როდესაც ღვთისმსახურების შემდეგ ჩემს სასტუმრომდე მივედი, თავს დამატყვდა საშინელი ციებ-ცხელება. ერთ ღამეში მან ღამის სიკვდილამდე მიმიყვანა და, როგორც არ ვცდილობდი მალე დაკბრუნებულყავი მშობლიურ მხარეში, მაგრად მიმაჯაჭვა ღოვინზე. სწორედ იგი, ძვირფასო მეგობარო, იყო მიზეზი შეფერხებისა, რომლის შესახებაც შენ მეკითხებოდი ჩვენი საუბრის დასაწყისში. აუცილებლად მიმანხნდა დავლოდებოდი შეტყვის დასასრულს, რათა ავადმყოფობის ხასიათის დადგენის შემდეგ დამეწყო სათანადოდ მკურნალობა. ის დღე ასატანი იყო ჩემთვის, აღბათ, იმის გამო, რომ მხოლოდ მწვანით და ძმრით ვიკვებებოდი, ხოლო შემდეგ (ე. ი. შესამე დღეს ავადმყოფობის დაწყებიდან) ციებ-ცხელება კვლავ განმეორდა და ნათელი გაჩდა, რომ იგი შენაცვლებადი თვისებისაა, რადგანაც საექიმო ხელოვნებამ ზუსტად დაადგინა მისი თავისებურებანი. ამ წუთიდან მე ჩავთვალე ჩემი ავადმყოფობა უსაფრთხოდ და იმედი მქონდა, რომ მეჩუთე შეტყვის შემდეგ იგი მთლიანად გამოვიოდა (რადგანაც ასეთია მისი ბუნება), ყოველივე ამის გამო თამამად დავადექი გზას იმის იმედით, რომ მალე გამოემჯობინდებოდი და მშვიდობიანად დაკბრუნდებოდი სახლში. მაგრამ ეს შეება მხოლოდ წამების დასაწყისი და სიკვდილის მაუნწყებელი აღმოჩნდა. როდესაც ციებ-ცხელების შეტყვამ გამიარა, მას მოჰყვა ღვიძლის ანთება და ძლიერი სისხლიანი ფალარათი, რომლის შედეგადაც სისხლთან ერთად კვარგავდი ორგანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს - ნაღველს; ფალარათი ღრღნიდა ჩემს სხეულს და გველაყით გლეჯდა ჩემს კუჭს.

XII. ამგვარად, მრავალი უბედურება ერთად დაეუფლა ჩემს სხეულს. უპირველეს ყოვლისა - მოგზაურობის სიმძიმეები, რომელთაც ავადმყოფობაზე არანაკლებ შეუძლიათ ჩემზე უფრო ძლიერი აღამიანის დაგდებაც, შემდეგ - ღვიძლის ანთება, ეს გაუთავებელი შინაგანი მხურვალება, ფალარათი, რომელიც სიკვდილს უდრიდა, ტყვილები (ჩხელეებები) შინაგან ორგანოებში, თითქოს რკინის ბრჭყალებით გხერავენო, და ამას-

თან ერთად – ხანგრძლივი მარხვა, რომელსაც პირდაპირ მიეყავი ხა-
მარეში.

საუღლე ცხენი მიმათრევდა ბიზანტიონში, გატანჯულს მთელი ამ
უბედურებით, იხე როგორც უსიცოცხლო ფუთას. რაღაც ღრობის განმავ-
ლობაში, ძვირფასო კიდიონ, გზის უმეტესი ნაწილი, ჩემი ხაცოდავი და-
უმძღვრებელი სჩუელი ამას იტანდა, მაგრამ როდესაც მიეუახლოვდით
ჰებროსს, თრაკიაში ყველაზე სახელგანთქმულ მდინარეს, მოგზაურო-
ბასთან ერთად შეწყდა ჩემი არსებობაც. მე არ მეწერა მეტხანს სი-
ცოცხლე.

აქ ძილმა, მამამ..... სიკვდილის, მომიცვა და არც ვიცა, როგორ მოგიყ-
ვე ამის შესახებ, თავისთან ერთად ჰადესში ჩამიყვანა. მე კვანკალებ ში-
შისაგან, როდესაც მაჩვენებდა ყოველივე განცდილი და თავზარდაცე-
მულს ხმა მერთოქვა.

კიდ. ჩემგან ვერ წაჩვალ, ძვირფასო მეგობარო, ხანამ არ მომიყვები
შენს ყოფნას მიწისქვეშეთში.

XIII. ტომ. ასე რომ, კიდიონ, რადგან ჩემი სხეული საბოლოოდ იყო
დასუსტებული ფაღარათით, უფრო მეტად კი ოცდლიანი შიმშილით, მე
თავი მივეცი, როგორც ჩანს, უკანასკნელ ძილს. ქვეყნად, როგორც ცნო-
ბილია, არსებობენ ღემონები – შურისმაძიებლები, რომლებიც ღვთის
განგებით ხჯიან მის კანონთა დამრღვევთ, ასევე არიან კეთილები, სიკე-
თით რომ უზღავენ ღვთისმოსავთ, არსებობენ ღემონი – გამცილებლე-
ბიც, რომლებსაც სხეულისაგან გამოცალკეებული სულები პლუტონ-
თან, ეაკოსთან და მინოსთან ჩაყავთ, რათა მიწისქვეშა სამეთოს წეს-
ჩვეულებების მიხედვით გამოცდის შემდეგ განისაზღვროს იქ მათი ბედი
და ადგილი. ასე დამეძარტა მეც; შუალამემდე ჩემს საწოლთან, რომელ-
ზეც მწილარე მხოლოდ მაშინ მივდიოდი ბურანში, ზემოდან ჩამოვიდ-
ნენ ბნელი საჩის აჩრდილისმაგვარი არსებანი. როგორც კი შევამჩნიე
იხინი, გავიყინე მოულოდნელობისაგან და წამერთვა მეტყველების უნა-
რი; როგორ არ ვძაბავდი ხმას, მაგრამ იგი არ შემორჩილებოდა.

ცხადი იყო ეს თუ სიზმარი, მე ვერ გეტყვი, რადგან შიშისაგან წამერ-
თვა ნათელი განსჯის უნარი. ყოველ შემთხვევაში, ეს მოლანდება იმდენ-
ად მკაფიო და განსაზღვრული იყო, რომ დღემდე თითქოს თვალწინ
მიდგას. დიახ, აი ასეთი საშინელებანი დამეძარტა მაშინ, კიდიონ, მეგო-
ბარო, ჩემი საწოლის თავზე მდგარმა ღემონებმა თითქოს დაადეს ჩემს
ბაგეებს ურღვევი ბორკილი, ან თავის საშინელი შესახედაობით, ან რა-
ღაც ფარული ძალის მემუქობით, წამართვეს მეტყველების უნარი და და-
იწვეს ერთმანეთში ჩურჩული: „ეს სწორედ ის არის, – თქვეს მათ, –
ვინც დაკარგა თავისი არსების ერთი ელემენტი, რადგანაც დაკარგა მთე-
ლი ნაღველი; მას არ შეუძლია მეტხანს სიცოცხლე, რადგანაც მხოლოდ
სამ დანარჩენს ფლობს. ჰადესში ხომ სტელაზე ამოტვიფრულია ასკლე-

პიოსის და ჰიპოკრატეს გამონათქვამი, რომელიც ამბობს, რომ ადამიანი ვერ იარსებებს, თუ დაკარგავს ორგანიზმის შემადგენელ ოთხ ელემენტთან ერთ-ერთს, თუნდაც მისი სხეული სხვა მხრივ ჯანსაღი იყოს. ამიტომ, უბედურო, — დაამატეს მათ ეხლა უკვე ხმამაღლა, — მოგვევი ჩვენ და როგორც მიცვალებული შეუერთდი მკვდრებს“.

XIV. მართალია, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ მაინც გავყვი მათ (ან კი რა დამრჩენოდა, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე მყოფს?). მათ მსგავსად მიეჭროდი ჰაერში, მსუბუქად, ძალდაუტანებლად, უწონადი, ისე რომ ფენსაც კი არ გამოძრავებდი, ზურგის ქართ მსროლავი გემივით, დაბრკოლების გარეშე, მივისწრაფოდით ხულ წინ და წინ, ისე რომ გაიგებდი ჩვენი ფრენის მსუბუქ სტვენას, რომელიც მშვილდიდან გასროლილი ისრის ხმას ჰგავდა.

როდესაც ჩვენ, სრულიად დაუსველებლად გადავლახეთ მდინარე, რომელსაც აქერონტს უწოდებს ხალხი და ასევე უწოდებდნენ ჩემი თანამგზავრები, მიუჯახლოდით რაღაც ზერელს, რომელიც ოდნავ დიდი იყო ჩვეულებრივ ჭაზე. იქიდან გამომტოლი უკუნეთი იმდენად საზიზლარი და საშინელი მომეჩვენა, რომ არაფრით არ მინდოდა იქ ჩასვლა. მაგრამ დემონებმა მაიძულეს, მათ შორის ვყოფილიყავი, და შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც თვით გაექანა წყვდიადში, მუქარის გამოძახებული გამოხედვით მიბრძანა, რომ მიველოდი მას. მე წინააღმდეგობის გაწევა ვცადე, ხელებით და ფეხებით ვეჭიდებოდი ჭის კიდეებს, ამ ხნის განმავლობაში ზედაპირზე მყოფი დემონი მირტყამდა ღოყებში და ზურგზე, რის შედეგადაც ჩამაყუდა ამ შავ ზერელში. შემდეგ ჩვენ გავიარეთ დიდი გზა, პირქუში უდაბნოს გავლით, და ბოლოს მივალწიეთ რკინის ტიშკარს, რომელიც მიწისქვეშა სამეფოს შესასვლელს კეტავს. ვერავინ ვერ გაიქცევა აქედან, ტიშკარი საზარელია, როგორც თავის სიდიდით, ისე სიმძიმითა და მტკიცედ ნატყედი გარეშემოსვით. მასში არაფერია ხისა, ყველაფერი მტკიცე რკინისაა; იგი ყრუდ იკეტება რკინის ურდულებით, რომლებიც უჩვეულო ზომის, სიმძიმისა და სისქისაა.

XV. ტიშკარის წინ დაცვაა: ურჩხულები ცეცხლის მფრქვეველი თვლებით და ეშვებიანი ძაღლი, რომელსაც ელინები კერბერს უწოდებდნენ, — მემინია ვთქვა მისი მრისხანების და საშინელების შესახებ, იქითა მხარეს კი, აჩრდილების მსგავსი პირქუში მცველები ამაზრზენი სახეებით, თმით დაფარულნი და გამხმარნი, თითქოს აქ პირდაპირ მთებში მყოფი ავაზაკების ბუნაგიდან ჩამოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ესე საშინლად გამოიყურებოდნენ, ჩემი მეგზურების დანახვისას მათ თავზიანად გახსნეს ტიშკარი. კერბერი, აქეთ-იქით კედის ქნევით, ალერსიანად აწკმუტუნდა, ურჩხულები მშვიდად აშიშინდნენ და დემონებმა შემეიყვანეს მე, უკვე სრულიად დამორჩილებული. ან კი როგორ უნდა გა-

მეწია წინააღმდეგობა, როდესაც ვერავისგან ვერ ვპოვებდი მხარდაჭერას და უკვე განწირული ვიყავი საშინელი და ჩემთვის უცხო არსებობი-
ხათვის? როგორც კი ჭიშკარს იქით გადავადგი ფეხი, მცველებმა, რომ-
ლებიც დაკვირვებით მიყურებდნენ, თქვეს: „ეს სწორედ ის არის, ვის შე-
სახებაც საუბრობდნენ გუშინ ეაკოსთან და მინოსთან, რომ იგი ორგა-
ნისმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის დაკარგვის შემდეგ
ცოცხლობდა დანარჩენი სამით, ე. ი. ნაღველის გარეშე, იგი რჩებოდა
დედამიწაზე ჰაიოკრატეს, ასკლეპიოსის და მთელი ხაქქიმო დასის
მომღვრების საწინააღმდეგოდ.“

მამ, შემოიფეხანე ეგ ხელელი, რომელიც თავს უფლებას აძლევს იმ-
ჯულოს ადამიანის ორგანიზმის თავისებურებების შესახებ! სად ნახულა,
რომ მოკვდავი ერთ-ერთი მთავარი სითხის გარეშე აგრძელებდეს არსე-
ბობას დედამიწაზე და იქაური ცხოვრებით ცხოვრობდეს?!”

XVI. კიდ. ყველაფერი ეს, ძვირფასო ტიშარიონ, ძალიან საშინელია,
მე მეხმის და მაკრთობს შენი მონათხრობის მოსმენაც კი, მაგრამ,
მითხარი, როგორ შესძელი ასეთ უკუნეთში მცველების საჩუქების და
სხვა ყველაფრის დათვალღიერება?

ტიშ. პადეხი, ჩემო მეგობარო, ჩაძირულია სრულ და თვალშეუვალ
უკუნეთში, მაგრამ იქ სარგებლობენ ხელოვნური სინათლით – კვარე-
ბით, ნახშირით, ჩირაღდნებით – ამას იყენებენ უბრალო ადამიანები,
ხოლო ისინი, ვინც წარსულ ცხოვრებაში სახელოვანნი და მდიდარნი
იყვნენ, ლამპრებს ანთებენ და კაშკაშა განათებით ცხოვრობენ. მე ბევრს
შეგხვდი ასეთს, როდესაც მკვდართა საცხოვრებლებს და მათ ტრაპეზებს
ვეწვეოდი ხოლმე.

კიდ. ენლა ყველაფერი მომიყვი, თუ შეგიძლია!

ტიშ. ასე რომ, როდესაც რკინის ჭიშკარი ჩვენს ზურგს უკან დაიკეტა,
ჩვენ შევეწყვიტეთ ჰაერში ქროლა, როგორც ადრე, სტყენითა და სიჩქა-
რით, თითქოს ვცდილობდით, რომ მტერთა საშფოთბელო გაგვეარა, და-
ვიწვეთ ნელა გადაადგილება, ფეხით, აუჩქარებელი ნაბიჯით, შეიძლება
იმიტომ, რომ ჩემი მეგზურნი დაიღალნენ შეუწვევტი სრბოლით, ან შეიძ-
ლება იმიტომ, რომ შეუბრალებლებს მაინც შეეებრაღე. ჩვენ ჩავეარეთ
უამრავ უბადრუკ ღატაკთა ქოხს, ყველგან გამოდიოდნენ მათი მცხოვ-
რებნი, ეგებებოდნენ ჩემს მეგზურებს და მოწინებით ეჭიმებოდნენ მათ,
როგორც ბავშვები მასწავლებლებს.

XVII. უეცრად მიუეახლოვდით სინათლით გაციხკროვნებულ ხახლს;
მის წინ, პირდაპირ მიწაზე, იწვა მოხუცი, რომელსაც ჰქონდა პატარა
წვერი. გვერდით ედგა დიდი სპილენძის თასი, რომელიც საკვს იყო დამა-
რილებული ღორის ხორციით და ფრიგიული კომბოსტოთი, რომელიც
ცურავდა ცხიმში. ჩაფიქრებული მოხუცი ყოფდა ამაში ხელს და საჭ-

მელს იღებდა არა ორი ან სამი თითით, არამედ ხუთივეთი და ხარბად მიჰქონდა ტუჩებთან, თითქოს ფრენისას იჭერდა. გარეგნულად იგი კეთილგანწყობილი და უბოროტო ჩანდა და გამკლავლებს კეთილად და თითქმის აღერსიანად უყურებდა. მან შემოიხედა მშეყდად და მეგობრულად და მითხრა: „მოდი აქ, დაჯექი ჩემს გვერდით და მიირთვი, გასინჯე აქაური საჭმელი“.

მაგრამ მე არ დაეთანხმდი — იმიტომაც, რომ ბედის ცვლილებამ წონასწორობიდან გამომიყვანა, და იმის შიშითაც, რომ ჩემი გამცილებლები მუშტიკრივზე არ გადახულიყვნენ. ისინი ყოველ ნაბიჯზე ესალმებოდნენ მიცვალებულებს, თითქოს ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნდნენ, და ყოველ წუთს ჩერდებოდნენ ხალაპარაკოდ, რითაც მეც მძლევდნენ საშუალებას დაგკვირვებოდი აქაურ ცხოვრებას.

სანამ ამ მოხუცს ვათვალიერებდი, მომიახლოვდა ვიღაც უბრალო კაცი, რომელიც თითქოს რიგიანად გამოიფურებოდა და დაწვრილებით ყველაფერი გამოიკითხა: ვინ ვარ მე, საიდან ვარ წარმოშობით, რა ხაზის ხიკვდილმა მიმიყვანა ჰადესში. მე მას ყველაფერი მოეუფვეე გულწრფელად და თანმიმდევრობით.

XVIII. რადგანაც ეს კაცი გამომელაპარაკა, მე, ჩემის მხრივ, კვითხე, თუ ვინ იყო ეს მოხუცი და რა ერქვა მას. ხოლო ჩემმა კეთილმა თანამოსაუბრემ, რომელიც ჩემი მეგობარი გახდა, მითხრა: „ნუ შეკითხები, გადამთიელო, მის სახელს, იმიტომ რომ შენთვის უჩიფათო არ არის ამ შეკითხვის დასმა, ჩემთვის კი — მასზე პასუხის გაცემა. ეაკოსის და მინოსის კანონებმა მკაცრი სახველი განუსაზღვრეს მათ, ვინც კითხულობს ან ატყობინებს ვისმე ამ მოხუცის სახელს. მათი ბრძანების თანახმად, ბევრი რამ, რაც მახთან არის დაკავშირებული, საიდუმლოდ უნდა იყოს შენახული, ხოლო, რაც შეიძლება, იმას მოგიყვები. წარმოშობით იგი დიდი ფრიგიიდანაა და, როგორც ამბობენ, დიდგვაროვანი და სახელგანთქმული ოჯახის ჩამომავალია. მან ღირსეულად განვლო სიცოცხლე, ჭარმაგი მოხუცი იყო, როდესაც გარდაიცვალა, და ეხლა, როგორც ხედავ, აქ ცხიმში ბანაობით ატარებს დღეებს“. ასე თქვა ჩემმა ახალმა ნაცნობმა; ამ დროს მე მოვიჩუქე და შემეფთა ორი ქონიანი, მსუქანი, ბზინვარე თაგვი, რომლებიც ისეთ გოჭებს გავდნენ, პატრონები პურის ფქვილსა და ქატოს რომ აქმევენ. ამ მოულოდნელი ხანახაობით აღვუვებულმა, მე კვლავ დავიწყე ლაპარაკი: „კეთილო მეგობარო, ეს პადესი მართლაც რომ ისევე საშინელი და საძაგელია, როგორც ამას ცოცხლები გამოიჩატვენ წველა-კრულვაში. მაგრამ ის, რომ თქვენთანაც არის თაგვები, აუტანლად მენევენა. მე ხომ თაგვები იმდენად მეზიზღება, რომ აქ გადმოსახლებასთან იმის იმედით ვიყავი შერიგებული, რომ მათგან დავიჩხნდი თაგვს. რადგანაც მე აქაც მიწერია მათთან ომი,

დაე, ხელახლა მოგვეღებ და მეორეჯერ ჩავიდე, უკვე აღარ ვიცი, რომელ სამეფოში!”

XIX. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გულკეთილმა კაცმა ისევ მომმართა: „მე მაკვირვებს, მეგობარო, შენი გაუნათლებლობა და გაურკვეველობა ყველაზე მარტივ რაღაცეებში. ნუთუ არ იცი, რომ თავგები მიწისხანი არიან და რომ გვალვის დროს, როდესაც მინდვრები ბზარებით იფარება, ისინი ამ ბზარებიდან ამოდიან ზედაპირზე? მათ ხომ უფრო მიწისქვეშ ვკუთვნიან ყოფნა და ჰადესში ცხოვრება, ვიდრე ზევით, ცოცხალთა სახლებში, რადგანაც ისინი აქ იბადებიან და შემდეგ აქედან ცოცხლებიან ზედაპირზე. ამიტომ გიკვირდეს არა ის, რომ აქ თავგები გვყავს, არამედ ის, რომ ისინი მოშინაურებულები არიან და ადამიანების გვერდით ცხოვრობენ კატების შიშის გარეშე. ნუთუ ვერ ხედავ, როგორი სიხარულით ადევნებენ ისინი თვალს მოხუცს, რომელიც დამარილებულ ხორცს ჭამს, როგორ მიხარულობენ, აცმატუნებენ ყბებს და ილოკავენ ენით დრუნის, თითქოს მათ ერგებათ მეტი ცხიმი, ვიდრე მათ პატრონს“. და მართლაც, როდესაც დაეკვივრდი თავგებს, ყველაფერი იხე აღმოჩნდა, როგორც მან მითხრა. „ამხნევე თუ არა, - აგრძელებდა ჩემი თანამოხაუბრე, - როგორ უმისნებენ მის წვერს და მხოლოდ იმას უცდიან, როდის დაიძინებს. როგორც კი გაიგონებენ ზვინვას, რომელსაც მოხუცი ძილში გამოხცემს, ისინი უკვე იქ არიან; ლოკავენ მის ნიკაპს, რომელიც ცხიმისანი საჭმლისაა დახვრილი, მიირთმევენ უამრავ შერჩენილ ნამცეცებს და ნარჩენებს და, როგორც ხედავ, არც თუ იხე ცუდად ცხოვრობენ ამით“.

XX. ჩემ გამცილებულთა მცირედმა შეფერხებამ მომცა მე საშუალება, ეს ყველაფერი გამეგო; მალე ისინი დაიძრნენ ადგილიდან და კვლავ გაუდევრით გზას, ჩვენ გავიარეთ ოთხ სტადიონამდე და მრავალი სახლი გამოვიარეთ, ხანამ არ აღმოჩნდით ქათქათა კარავთან, რომელიც გაჩირალდნებული იყო კაშკაშა ლამპრების შუქით. იქიდან მძიმე კენესა ისმოდა. მე ირგვლივ მიმოვიხედე და, როდესაც დავინახე, რომ ჩემი თანამგზავრები ისევ შენერდნენ მკვდრებთან სასაუბროდ (რომლებიც, როგორც ჩანს, მათი კარგი ნაცნობები და მეგობრები იყვნენ), შეუშინველად, მათ თვალს მოფარებული, მივედი კარავთან და დავიწყე თვალთერება, თუ რა ხდებოდა შიგნით, ვინ კენესოდა ასე მტანჯველად და მწარედ. იქ მიწაზე იწვა ვიღაც თვალმდამახრბილი კაცი, იგი ესვენა მარცხენა გვერდზე, იდაყვზე დაყრდნობილი; ხარეცლის მაგივრობას ლაკონური ჩაღინა უწევდა. უცნობი იყო საქმალე მალალი და, თუმცა არა ჩანდა ძალიან მკვრივი, მაგრამ მსხვილძეგლა და მძლავრი მკერდის პატრონი იყო.

„მთელ სიგრძეზე იყო გართხმული, დავეიწვივინა თავისი ეტლები“. „...ჰგავდა იგი არა კაცს... არამედ ფრიადლო, ტყით დაფარულ კლდეს“.

მის გვერდით იჯდა ვიღაც მოხუცი, რომელიც რჩევა-დარიგებებითა და შეგონებებით ცდილობდა მისი უმძიმესი ტანჯვის შემსუბუქებას. მაგრამ უბედურს თითქოს არ უნდოდა მისი შესმენა; იგი აქნევედა თავს და ერიდებოდა მოხუცს. მისი პირიდან ნაკადად მოედინებოდა შხამი.

XXI. როდესაც კარგად დავათვალე იერე კარვის შიგთავსი, მოვბრუნდი ჩემი გამცილებლების მხარეს, სწრაფად გამოვედი და დაეიწყე მათი ძებნა, შევხვდი ვიღაც ძველ, თუ ვიმსჯელებდით მისი შესახედაობით, აქაურ მცხოვრებს, სრულიად გამხმარს, როგორებიც არიან ხოლმე ისინი, ვისაც სამარეში აწვევს დამაუძლურებელი ციებ-ცხელება. როგორც კი შემომხედა, სახის ფერით მაშინვე მიხვდა, რომ აქ ძველი მაცხოვრებელი არ ვიყავი (მიცვალებულები ხომ ჰადესში მოხვედრასხას რაღაც დროის განმავლობაში ინარჩუნებენ ცოცხალ სიწითლეს და ამ ნიშნით მათ ადვილად ასხვაკვებენ). მომიახლოვდა და მითხრა: „მოგესალმები, მოხულო, მომიფევი, თუ რა ხდება ზევით; რამდენ სკუმბრიას იყიდი ერთ ობოლად? რამდენია სხვადასხვა ჯიშის თინუსი და ქაშაყი? რა ღირს ზეითუნის ზეთი, ღვინო, პური და სხვა დანარჩენი? კინალამ დამავიწყდა, რომ მთავარი მეკითხა – როგორაა წელს სარდლების საქმე? ოდესღაც, იმ ცხოვრებაში, მათ მივირთმევედი და უპირატესობას ვაძლევდი კბილანებთან შედარებით“. ასე მეკითხებოდა ის და ყველა შეკითხვაზე სწორი პასუხი გავეცი. მას შემდეგ, რაც მოვეყვი, თუ როგორია მდგომარეობა ღუდამიწაზე, მე მოვიხურვე გამეგო, თუ ვინ იყო კარვის ბინადარი, ვინ იყო ის მოხუცი, მას რომ ედგა თავს, და რა იყო მიზეზი კვნესისა.

XXII. ამ კეთილმა კაცმა დაიწყო მოყოლა: „ამ კარვის მცხოვრები, რომლის გოდებაც შენ გესმოდა, – ცნობილი დიოგენე კაპადოკიელია.

იცოცხლეში შენ, რა თქმა უნდა, იცოდი მისი ისტორია: როგორ მიადწია მან მეფობას, როგორ წავიდა ხალაშქროდ აღმოსავლელი სკვითების წინააღმდეგ, როგორ ჩავარდა ტყვედ და შემდგომ როგორ მოიპოვა თავისუფლება, მაგრამ ბიზანტიონში დაბრუნებულმა ვერ დაიბრუნა ტანტი. ომის დროს იგი ჩავარდა თავის მტრების ხელში და ეხლა, როგორც ხედავ, დაბრმავებულია მათი ღალატის გამო და ამასთან ერთად მზაკრულად აქვს მიწოდებული დამლუპველი შხამი. მის გვერდით მჯდომი მოხუცი ერთ-ერთი გამოჩენილი კაცთაგანია დიდ ფრიგიასში, იგი დიოგენეს უახლოესი მრჩეველი და თანამოღვაწე იყო სიცოცხლეში. და ეხლა, მის ხვედრზე დადარდიანებული, იგი ძველი სიახლოვის გამო, მუდმივად დიოგენესთანაა და მიისწრაფის, შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქოს მას ეს ღალატნილი ტანჯვის მოგონებები შესაფერისი სიტყვებით“.

ასეთი რამ გამანდო მე ამ გულუბრყვილო კაცმა. ამ დროს ისევ გამოინდნენ ჩემი მეგზურები და დამიწვეს დაჩქარება, თან მეუბნებოდნენ: იჩქარე ხასამართლოს წინაშე წარსადგენად და გაკვათავისუფლე“.

„აქაც, — შევძახე მე, — ხასამართლოები, განხილვები და მსჯავრია, — ზუსტად ისე, როგორც დედამიწაზე!“.

„მათი ადგილი აქ არის, — მიპასუხეს დემონებმა, — რადგანაც აქ გულმოდგინედ იწონება ადამიანის მთელი ცხოვრება, და ყველას მივზღვება დამსახურების მიხედვით, ამ ხასამართლოს გადაწყვეტილებანი გარდაუვალია“.

XXIII. ასე ეხაუბრობდით გზადაგზა, ხოლო კიდევ ცოტა რომ გავიარეთ, შეგვხვდა მაღალი კაცი, სრულიად თეთრთმიანი და ღონემისდილი; სხვათა შორის, იგი ძალიან კეთილმოსურნე და მოლაპარაკე იყო, ლაპარაკის დროს კი ღოყებს ბერავდა და ფართოდ იღიმებოდა.

„სალამი თქვენ“, — უთხრა მან ჩემს მეგზურებს და ჰკითხა: „ვინ არის ეს ჰადესის ახალი მკვიდრი, რომელიც ეს-ესაა შემოგვავთ აქ?“ ამ სიტყვებით უცნობი მომიტრიალდა და დაჟინებული მზერით დაიწყო ჩემი სახის შესწავლა.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მან ხმაძაღლა და სიხარულით შესძახა: „მოწყალეო ღმერთებო, ეს ხომ ტიმარიონია! ჩემი ძვირფასი ტიმარიონი, რომელთან ერთად არაერთხელ გამიზიარებია ბრწყინვალე ტრაპეზები, რომელიც ესწრებოდა ჩემს ლექციებს იმ დროს, როდესაც მეჭირა რიტორიკის კათედრა ბიზანტიაში“. იგი მომეხვია ორივე ხელით და მთელი სულითა და გულით მაკოცა. მე კი გავირიინდე — ესოდენ მეგობრული მიღების გამო იმ კაცის მიერ, რომელიც მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, და რომელსაც მე, მიუხედავად ამისა, ვერ ვცნობდი. მე ვერ გავიგე, თუ ვინ იყო იგი და ვერც ის, თუ როგორ უნდა მივსალმებოდი. მან შეამჩნია ჩემი დაბნეულობა და შეეცადა ვეხსენი მისგან სიტყვებით: „ნუთუ, ძვირფასო მეგობარო, ვერ ცნობ თეოდორე სმირნელს, ცნობილ რიტორს, ვისი დიდბაც ბრწყინვალე, საზეიმო სიტყვების წარმოთქმის ხელოვნებაში მთელ ბიზანტიაში ქუხდა?“.

ეს რომ მოვიხსინე, შემზარა თეოდორეს ეხლანდელმა სიგამხდრემ და მისმა სახემ.

„მასწავლებელო, — ვთქვი მე, — მახსოვს ხმაც, მეტყველების ბრწყინვალეობაც, ლაპარაკის მანერაც და მოხდენილობაც, რომელიც სიცოცხლეში ახასიათებდა თეოდორე სმირნელს. მაგრამ რომ მისი სხეული ნეკრების ქართაა შეპყრობილი, რომ იმპერატორის წინაშე იგი ლაპარაკობდა მხოლოდ მაშინ, როცა იგი მიჰყავდათ ხაკაცით, რომ ჭამაც კი მას ლოგინში უნდებოდა, იდაყვზე დაყრდნობილს — ამას ვერ ვუკავ-

შირებ მე შენს ძველ ჯანმრთელობასა და ჯან-ღონით ხავსე შესახედრობას“.

XXIV. „ძვირფასო მოსწავლევე, მე გაეფანტავე ამ შენს გაუგებრობასაც, — თქვა თოდორემ. — მიწაზე, იმ ცხოვრებაში, იმპერატოროთა წერის საამებლად წარმოთქმულ სიტყვებში მე ჯიღლოდ ვღებულობდი უამრავ ოქროს და მივადწიე მნიშვნელოვან სიმდიდრეს, რომელსაც ვხარჯავდი ბრწყინვალე სუფრებსა და სიბარიტულ ნადიმებში.“

შენ ხომ თვითონაც, როგორც ჩემმა ხშირმა სტუმარმა, იცი, როგორი მართლაც რომ მეფური ფუფუნებით გამოირჩეოდა ეს ტრაპეზები. აქედანაა ჩემი ნეკრესის ქარი, ნასკეები თითებში, უჩვი ღორწო, რომელიც ბორკაეს ჩემს სახსრებს და მათ უმოძრაოდ აქცევს. ამან წარმოშვა ტვივილები, რომლებიც მიღრღნიდნენ სულსა და სხეულს; მას შემდეგ დავიწყე ავადმყოფობა და დაეუძლურდი. აქ, ქვემოთ, ყველაფერი სხვანაირადაა მაქვს: ფილოსოფიური ცხოვრების წესი, უბრალო სუფრა, მშვიდი და, შეიძლება ითქვას, უზრუნველი ცხოვრება. მე ავლავებ ჩემი გაუმძღარი კუჭი წიწმატით, ბალბითა და ასფოდელოსით და მხოლოდ ეს-ლა ჩავწვდი ბრძენი ბეოტიელის სიმართლეს. ხალხმა ხომ არ იცის, რომ „ძლიერ ხასარგებლოა ასფოდელოსი და ბალბა“. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემი წარსული მიწიერი ცხოვრება — ეს იყო სოფისტური ხრიკები და ბრბოს გამაჩაღისებელი სიტყვათა თამაში. ეხლანდელი კი ფილოსოფიაა და ჭეშმარიტი ცოდნა, რომლისთვისაც უცხოა ვებუობა და ამიო პატივმოფარეობა.“

ეს ყველაფერი გაგანდე შენი გაკვირების გახაფანტად და რათა გაგვე-ახლებინა ჩვენი ყოფილი სიახლოვე, ესლა შენ ჩემს შესახებ ყველაფერი იცი; შენის მხრიდან, მომიყევი შენს მასწავლებელს, თუ როგორი სიკვდილით მიბარდი სამარეს და რა არის მიზეზი შენი აქ გადმოსახლები-სა“.

XXV. „სიბართლემ რომ ვთქვათ, — უკაახუხე მე, — არანაირი საბაბი საამიხოდ არ ყოფილა, ძვირფასო მასწავლებელი; არც მტრის მახვილი, არც ყაჩაღების თავდასხმა, არც უბედური შემთხვევა, არც ხანგრძლივი ავადმყოფობა, რომელიც ჩემს სხეულს შეღრღნიდა, არამედ, როგორც მე მგონია, მიზეზი მხოლოდ თვითნებობაა ამ ჩემი მეგზურებისა, რომლებმაც ძალით განმდევნეს სხეულიდან, როდესაც ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანი ვიყავი. ყველაფერი რომ თანმიმდევრობით იცოდე, თავიდან ბოლომდე, გეტყვი, რომ თუხალონიკეში ყოფნის შემდეგ უკან გასამეზავრებლად რომ ვუმზადებოდი, დამცა სასტიკმა ციებ-ციხელებამ, რომელიც გამოიწვეული იყო ღვიძლის ანთებით და მასზე დართული საშინელი ფადარათით. მე ვიცლებოდი ნაღველისაგან, რომელიც ოდნავ იყო შეფერადებული სისხლით. ფადარათი მაცამებდა განუწყვეტლივ ჰებროსამდე.“

შენ, რა თქმა უნდა, გაჩხოვს ეს ყვართო და ხანაოხნო თრაკიული მდინარე. მის ნაპირზე მე გაეჩურდი რომელიღაც სახტუმროში, მინდოდა დაშეხვეწებინა ჩემი თავი და ცხენებიც; ამ ხალამოს მე არ მაწუხებდა ავადმყოფობა. ამის გამო იყო, რომ გადავწყვიტე იქ კიდევ ერთი დღე გამეტარებინა და მართლაც რომ ასე მოვიქცევი. დადგა დამე, ხახლში ყველაფერი ღრმა ძიღმა მოიცვა; მეც დავიძინე. არახახიკეთო ეამს – შუალამისას, როდესაც მე ჯერ კიდევ სიზმრებში ვიყავი, ეს ბოროტი დემონები ჩემს საწოლთან მოვიდნენ. ისინი რომ დაეინახე, ხმა წაპერთვა და ვერ შევძელი ბურანიდან გამოფხიზლება. სწორედ ამ მდგომარეობაში მე განმაცალკევეს სხეულისაგან, ვერ გავიგე ამის მიზეზი, გარდა შემდეგი სიტყვებისა: „ეს არის ადამიანი, რომელსაც აღარა აქვს ნაღველი – ერთ ერთი უმთავრესი ორგანიზმის შემადგენელ ელემენტთაგან; ასკლეპიონის, ჰიპოკრატეს და მთელი საექიმო კრებულის განაჩენით მას მეტხანს აღარ შეუძლია სიცოცხლე“ და შემდგომ „უბედური უნდა განვაცალკევოთ სხეულისაგან“.

XXVI. ასე თქვეს მათ. რაღაც იღუმალი ძალით დევნილი, გაეისრისე ხაკუთარ სხეულში, როგორც მატყლის გორგალი, და უეცრად გამოვიდევნე ნესტოებიდან და პირიდან, სუნთქვახაით. ეჩლა კი, როგორც ხედავ, ჩამომიფეხანეს ჰადესში და ვიხსენებ ლექსს: „სწრაფად განვიდა სხეულისაგან სული და ჰადესში ჩაეშვა“. მაგრამ თუ სამართლიანია ჩვენი ბედკრული სოფისტების მსჯელობანი ბედისწერის შესახებ, მე ჯერ არ ამომიწურავს დედამიწაზე ყოფნის ვადა და სხეულისაგან ძალით განმასორებს. ეჩლა, რადგანაც მიწისქვეშა სამეფოში არსებობს სახამართლოები და საქმის გარჩევა, რომელიც უსამართლობას ასწორებს, მხარი დაუჭირე შენს მოწაფეს, როდესაც იგი შეიტანს საჩივარს ამ დამნაშავე დემონების უკანონობის შესახებ“.

ამ საუბრის განმავლობაში მე ცრემლს ვვვრიდი და თეოდორემ, ამით გულაჩვილებულმა და თანაგრძნობით აღსავსემ, მიჰახუნა: „გამჩნევდი, ჩემო მეგობარო: მე შენთვის იმასაც კი გავაკეთებ, რაც ჩემს ძალებს აღემატება, თამამად შემძლია დაგპირდე, რომ დატოვებ ჰადესს, რათა იცხოვრო მეორედ და განახორციელო შენთვის ეხოლენ სახურველი აღდგომა. მხოლოდ არ დაგაეიწყდეს, რომ გამომიგზავნო მიწიდან ყველაფერი ის, რაც მომენტრა – ჩემი სავეარელი საქმელი“.

XXVII. „შენი სიტყვები, ძვირფასო მოძღვარო, – ვთქვი მე, – ხანამ ისინი განხორციელებას მოახსრებდნენ, მეჩვენებთან შეუძლებლად, არაჩვეულებრივად და ვამხავსებ იმ იღუმალ არსებებს, რომლებითაც მოქანდაკენი და ფერმწერნი ამკობენ შენობებს, – ჰიპოკენტატერებს, ხფინქებს და სხვა მათიურ ქმნილებებს ძველ ხალხთა. მაინც ამისხენი, რიტორთა შორის სახელგანთქმული, რისი იმედი გაქვს, როდესაც

მპარდობა აქედან განთავისუფლებას, ყველაფერთან ერთად ხომ მოსამართლეობა — ეაკოსი და მინოსი — ელინები არიან და ჩემს მიმართ მტრულად განწყობილნი, რადგანაც გალილეელი ვარ; შენ თვითონ კი ქრისტეს მოწაფე და მიმდევარი ხარ“.

„რახი იმედიც მაქვს, — მიპასუხა თეოდორემ, — შენც კარგად იცი. მე ხომ მოქნილი ვიყავი მაქვს, რომელიც ადვილად ამარცხებს მოწინააღმდეგის ყველა საბუთს და მებმარება სწრაფად ეუპასუხო ნებისმიერ შეკითხვას და ნებისმიერ წინააღმდეგობას, მაქვს ასევე მიხვედრილობა სათანადო საშუალების არჩევაში, ჩემი მეტყველება მწყობრია და ამასთან ერთად ნათელი და, ბოლოს, მე ხომ მედიცინის მცოდნე ვარ.“

ამ ყველაფრის გამო შეეძლებ ყველაზე უმნიშვნელო შესაძლებლობების პირობებშიც კი დაეამარცხო სახელგანთქმული ელინი მკურნალი ღმერთები.

XXVIII. ასკლეპიოსი ხომ თავის გაზვიადებული დიდებით და ცრულეთაებრიობით უკვე რამდენი წელია ხმას არ იღებს; ხოლო როდესაც იგი იძულებულია (საერთოდ გულდასმით იცილებს თავიდან ყოველგვარ საბაბს საუბრისას), რომ შეკითხვაზე უპასუხოს, შემკითხველმა თავის შეკითხვა დადებითი ან უარყოფითი პასუხის მიღების ანგარიშით უნდა ააგოს, და ასკლეპიოსი თავის გადაწყვეტილების მიხედვით აჩნევს თავს ან დასტურის ან უარყოფის ნიშნად, ასეთი არის მისი წინასწარმეტყველება. პიპოკრატი კი, თუ ლაპარაკობს, ძალიან ცოტას, ერთს ან, ყველაზე მეტი, ორ წინადადებას თუ იტყვის, იმასაც ფრიად იღუმაღს, რომელიც ხულ არ შეეფერება სასამართლო სიტყვებს და ამასთან ერთად ახირებულს, მაგალითად როგორიცაა: „დარბილებული გაიწმინდოს და მოიყვანოს მოძრაობაში, მოუნელებელი არამც და არამც“. ან „ეკუჭის აშლილობისა და პირღებინებისას“. ეს მხოლოდ ართობს მოსამართლეებს, რომლებიც სხვა ენაზე მეტყველებენ. მინოსი ხომ კრეტელია, ეაკოსი კი თესალიელი, ნამდვილი ელინი ძველი ელადიდან; თუ რომელიმე იონიელი ან დორიელი ჰადესში მოხვედრილ მიცვალებულთაგან შეეცდება მათთან თავისებურად ისაუბროს, ისინი დასცინიან მას და ხარხარებენ.

რაც შეეხება ერასისტრატეს, იგი არ არის ზიარებული არცერთ სიბრძნეს, მისთვის უცხოა გრამატიკა; არც თუ ისე მტკიცეა მედიცინაში, ხოლო თავისი ხაცოდავი და ცარიელი დიდება მოიპოვა გამოცდილების, ბუნებრივი საზრიანობის და იმის წყალობით, რომ ყველაფერს ჰკიდებდა ხელს. მხოლოდ ამიტომ ამოიციო მან ანტიოქეს ვნება სტრატონიკესადმი და მას შემდეგ იყო ესოდენ განდიდებული.

XXIX. ხოლო ღვთაებრივი გალენოსი, რომელსაც მე კუფრთხი უფრო მეტად, ვიდრე სხვებს, ალბათ ღვთის განგებით არ მონაწილეობს ენ-

ლა ექიმთა საბჭოში; მიზეზი, რომლითაც იგი ამას ხსნის, როგორც მე ეხლახანს გავიგე, — მისი წიგნი „ციებ-ცხელების სახეების შესახებ“ არის. ეხლა იგი ზის სადღაც კუთხეში და, ორომტრიალისა და ხმაური-საგან დაძალული, თავისი თხზულების პრობლემებს ავსებს. ერთხელ მან თქვა კიდევაც, რომ დამატება მეტი იქნება, ვიდრე ის, რაც უკვე დაწერილია. ასე რომ, რადგანაც გალენოსი არ იქნება, მე არ გამიმინელდება გამარჯვება ამ უტყვე სახელგანთქმულ პირებზე.

ნუ შეგეშინდება იმისი, რომ მოსამართლეები წარმართები არიან; ისინი უმაღლეს ხარისხში არიან სამართლიანობის ერთგულნი, რითაც დაიმსახურეს მოსამართლის სკამი. მათ წინაშე წარმოდგენილთა სარწმუნოება მათ არ აწუხებთ, რადგანაც ყველას თავის სურვილით აქვს უფლება თავის სარწმუნოება დაიცვას.

ეხლა, როდესაც გალილეელთა სარწმუნოება მთელს დედამიწაზე გავრცელდა და დაიმორჩილა ეგროპა და აზიის დიდი ნაწილი, განგებას უნდოდა, რომ უწინდელი ელინი მოსამართლეებისათვის მიემატებინა ერთი ქრისტიანი. თეოფილე, რომელიც ოდესღაც ბიზანტიის იმპერატორი იყო, ასამართლებს მათთან ერთად და არცერთ გადაწყვეტილებას არა აქვს ძალა მისი თანხმობის გარეშე. შენ, რა თქმა უნდა, იცი იმათგან, ვინც მის ცხოვრებას აღწერდა, თუ რაოდენ სამართლიანი იყო იგი, ამიტომ არ არის საშიშროება, რომ ჩვენ ყურადღებას არ მოგვაქცევენ და ან ვერ მივაღწევთ სამართალს; მთავარია, რომ ჯერ წარვსდგეთ სასამართლოს წინაშე.

მხოლოდ, თავი შეიკავე გამოსვლისაგან, რადგანაც შენთვის უცნობია სასამართლო საქმეთა წარმართვა, და მომეცი უფლება, რომ ვილაპარაკო შენ მაგივრად“.

XXX. ამ დროს მოვიდნენ ჩემი მეგზურები და დაიწყეს თეოდორეს გამოკითხვა, მიცნობს თუ არა მე. მან უპასუხა, რომ მე მისი მოწაფე ვარ, და დაამატა: „ეხლა მე თქვენთან ერთად წამოვალ. იმისათვის, რომ მის დასაცავად გამოვიდე სასამართლოზე, თქვენ წინააღმდეგ, რომლებმაც ასეთი უსამართლობა ჩაიდინეთ და ვადაზე ადრე მოიტაცეთ იგი ცხოვრებიდან“. ასე თქვა და ჩვენ ყველანი ერთად წავედით წინ; თხუთმეტ სტადიონამდე რომ გავიარეთ ამ პირქუშსა და ბნელ მხარეში, უცებ შევაძინეთ, რომ რაღაც შუქი კიაფობდა.

რაც უფრო ახლოს მივდიოდით, შუქი სულ უფრო კაშკაშა ხდებოდა; ასე თანდათანობით გამოვედით წყვილიდან და აღმოვჩნდით შუქით მოფენილ დაბლობზე, რომელიც წყლით იყო გარშემორტყმული, ყოველნაირი ხეებით გაბარდული, და იკვეთებოდა წყალუხვი მდინარით. ჭრელ კორომებში ხმამაღლა და ტყბილად გალობდნენ ჩიტები, მიწა დაფარული იყო ბალახით. როგორც გავიგე თეოდორესაგან, რომელსაც უკვე და-

დი ჩანია ჰადებს ში ყველაფერი შესწავლილი ჰქონდა, აქ არახოდეს არ ღებოდა ზამთარი და არც ამ ყვავილობის დასახრული; ყველაფერი უჭკნობი და უბერებელი იყო. იქ ხეები ყოველთვის დამძიმებულა მწიფე ნაყოფით (ყოველთვის გაზაფხულია, არაფერი არ იცვლება და არ განიცდის ჰკნობას). ეს იყო დედამიწაზე ხახულგანთქმული ელისებს მინდვრები და ასფოდლოსის მდელი. ასე გამანათლა ჩემმა სოფისტმა, როდესაც პირველად შევამჩნიეთ შორიდან აქ მოყვნილი ბრწყინვალეობა.

XXXI. როდესაც ამ შუქით გაცისკროვნებულ ადგილს მივალწიეთ, ჩვენ თეოდორეს თხოვნით ბალახზე ჩამოვხედით, რათა ცოტა შეგვეხეინა, შემდეგ კი გავაგრძელეთ გზა სასამართლოსაკენ. როგორც სასამართლო სიბრძნესთან უზიარებელი ადამიანი და, ამასთან ერთად, ღაპარაკს მიუჩვეული, ძლიერ მოუხვეწრობას ვგრძნობდი; მასწავლებელთან მოხუცმა გავანდე მას ჩემი შიში. ჩოლო მან ბრძნული ხიტყვებით ჩამბერა ხიმინევი და მარწმუნებდა, რომ ყველაფერი ჩემს სახარგებლოდ გადაწყდებოდა. „მხოლოდ გახსოვდეს, — ამბობდა ის, — რომ შენ, ხელმოკრედ გაციცხლებულმა, გამომიგზავნო მიწიდან ის, რაც მენატრება. მას შემდეგ რაც აქ მოვხედი, მე ჯერ ღორის ქონით შენელებული შეჭამანდიც კი არ გამისინჯავს. ყველაფერს, რაც საჭიროა, იმის შემდეგ ავიხსნა, როდესაც მოხამართლებები მოგცემენ მიწაზე დაბრუნების უფლებას“.

სანამ ამდაგვარად ვსაუბრობდით და წინ მივიწვევდით, ისრის გახრლის მანძილზე გამოჩნდა სასამართლო, ხადაც მაშინ დამთავრდა კასიუსის და ბრუტუსის მიერ კეისრის უსამართლოდ მკვლელობის საქმის გარჩევა.

როგორი იყო გადაწყვეტილება, ვერ ვეტყვით, რადგანაც მე ვიყავი მოცული ფიქრებით ჩემს საკუთარ ბედაზე და მთლიანად ამით ვიყავი გატაცებული.

XXXII. სანამ კასიუსი და ბრუტუსი გამოდიოდნენ სასამართლოდან, მე მომიჩლოვდნენ იქაური მსახურნი და მკითხეს: „შენ რას იტყვი, მიცვალელებული? არა უშავს, მალე შევითყვანენ!“ ჩემმა სოფისტმა იდავით ოდნავ გამწვია და თვითონ აიღო ხიტყვა. „ო, კანონის მსახურნო, — მიმართა მათ, — სწრაფად შეგვიყვანეთ სამართლიან მოხამართლებებთან და თქვენ გახდებით ადამიანის მეჩსიერებაში შემონახულ დანაშაულთაგან უმძიმესის და უბისიერესის მოწმენი, რომელიც ჩაიდინეს ამ კეთილმა ადამიანებმა უბედური ტიმარიონის მიმართ.“

მაგრამ რადგანაც ჩვენ, აქაური კანონით, თქვენი მფარველობა გვიცავს, ჩვენ, თავისუფალნი ვერაგი მეგზურებისაგან, ვინივლებთ მინოსთან, ეაკოსთან და თეოფილე ბიზანტიელთან ამ კანონისა და სამართლის დამრღვევი კაცების წინააღმდეგ.

შეიპყართ ისინი და წარუდგინეთ სასამართლოს, გვიპახუნონ, რის საფუძველზე უგულუბელადაა მიწისქვეშეთის წესები. ნუთუ ჰაღესში ნუ-
ხადართულია, რომ განაცალკევო სული სხეულისაგან, რომელიც იმდენად
სიცოცხლისუნარიანია, რომ ავადმყოფი უნაგირზე ზის და ყოველ-
დღე თითო ქათამს მიირთმევს?!”

XXXIII. როგორც კი თეოდორემ ეს სიტყვები წარმოთქვა, მსახუ-
რებმა ხელი სტაცეს ჩემს მეგზურებს, შემოიფიანეს ჩვენთან ერთად შიგ-
ნით და ყველანი წარვხდებით ვაკოხის, მინოხის და გალილეელი თეო-
ფილეს წინაშე. ელსინებს ფართო ტანსაცმელი ეცვათ, თავები, როგორც
არაბ მხედართმთავრებს, ჩაღმებით ჰქონდათ დაფარული, ფეხზე ემო-
ხათ მაღალი იისფერი კრეპიდები.

ამის ხაწინააღმდეგოდ, არაფერი ბრწყინვალე ან კაშკაშა არ იყო თე-
ოფილეს ჩაცმულობაში; მას ეცვა ძალიან უბრალოდ, თითქმის დაუდევ-
რად, მუქი ტანსაცმელი. გადმოცემით იგი თავის მეფობის ხანაშიც ასე-
თი იყო — უშნოდ და ბრწყინვალეების გარეშე ჩაცმული, სამაგიეროდ
ბრწყინადა და განთქმული იყო მართლმსაჯულებითა და მაღალი ზნეო-
ბით. თუმცა თეოფილე ესოდენ დაუდევარი იყო ჩაცმაში, თვალები მისი
ბრწყინადა, ხოლო პირისახე სუფთა და მშვიდი ჰქონდა. მის გვერდით
იღვა ვიღაც თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, უწვერო, იმპერატორის
მეუღლის განსახვეწების საჭურისების მსგავსი, ისიც ნათელი იყო და
მისი სახეც ელაუდა მზის მაგვარად. შიგადაშიგ იგი რაღაცას ჩახურჩუ-
ლებდა ყურში იმპერატორს. მე დაუწვეე ლაპარაკი ჩემს მასწავლებელს:
„მასში, ვინც მოსამართლის ტახტზე ზის, შენი მონაყოლის წყალობით,
შეეცანი თეოფილე ბიზანტიელი, მაგრამ ვინ არის მის გვერდით მდგო-
მი საჭურისი, ვერ ვხელები“. თეოდორემ მიპახუხა: „ნუთუ, ძვირფასო
ტიმარიონ, შენთვის უცნობია, რომ ყველა ქრისტიან იმპერატორს ჰყავს
ანგელოზი, რომელიც მის მოქმედებას ხელმძღვანელობს. აქაც, ჰაღესში,
ისინი მოჰყვებიან იმპერატორებს, ისევე, როგორც სიცოცხლეში არ ტო-
ვებენ მათ“.

ხანამ ჩვენ ამგვარად ვსაუბრობდით, სასამართლოს მსახურებმა მის-
ცეს ნიშანი, რომ სიჩუქე ჩამოვარდნილიყო, ჩემმა სოფისტმა დაბერა ჩვე-
ულებისამებრ ლოყები, მისცა თავის სახეს მნიშვნელოვანი გამომეტყვე-
ლება და ხელების სრესვით ხმაშაღლა დაიწყო ლაპარაკი.

XXXIV. „ტიმარიონს, ტიმონიკეს ძე, ბრალს სდებს ოქსიბანტეს და
ნიქტიონს, მიცვალებულთა გამცილებლებს. მიწისქვეშა სამეფოს კანო-
ნები არაორაზროვნად აცხადებენ, რომ სული იქამდე არ უნდა იქნას ჩაყ-
ვანილი ჰაღესში, ხანამ სხეული მთლიანად, ან მისი ერთ-ერთი უმნიშ-
ვნელოვანესი ნაწილი არ იქნება დაშლილი და არ წაერთმევა სულადი
ძაღუბი, და რომ მათი განცალკევების შემდეგაც კი სული, რომელიც

სხეულის გარეთ იმყოფება, სამი დღის განმავლობაში მის გვერდით უნდა იყოს; მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ აქვთ უფლება მიცვალებულთა გამცილებლებს, რომ მას დაეუფლონ, და მაინც ოქსიბანტემ და ნიქტიონმა არად ჩააგდეს ეს ღვთაებრივი წესები და, როდესაც ტიმარიონი ჯერ კიდევ ჯანმრთელი იყო, ჭამდა, სვამდა და უნაგირზე იჯდა, იხინი, ეს უზომოდ თავგამოდებული და წესიერი მეგზურები, სასტუმროში მდინარე ჰებროსის ნაპირას გამოეცხადნენ მას ღამით და ძალით განაშორეს სხეულისაგან სული, რომელიც ჯერ კიდევ განუყრელად იყო მასთან დაკავშირებული და არ ემორჩილებოდა მათ სურვილს, რის გამოც იგი აქამდე არ მოშუშებულა და მიხვან სიხსლი მოეონავს; ტიმარიონის სული ზომ, მაშინ როცა გამცილებლებმა ძალადობით ჩაიგდეს ხელში, მტკიცედ იყო სხეულთან დაკავშირებული.

ამიტომ, ო, მოსამართლეებო, სამართლიანია, რომ ტიმარიონი კვლავ დაუბრუნდეს მიწას, მოიპოვოს საკუთარი სხეული და მთლიანად განვიკლოს მისთვის განგებით განკუთვნილი ვადა. მხოლოდ ამის შემდეგ, როდესაც დადგება მისი არსებობის ბუნებრივი აღსასრული, იგი უნდა იყოს განცალკევებული თავისი სხეულისაგან, კვლავ ჩაყვანილი ქაღესში და მაშინ კი უნდა მიათვალონ მკვდართა დასს“.

მან დაამთავრა, მინოსმა რისხვით შეხედა ჩემს მეგზურებს და თქვა: „უნდა თქვენი პასუხის ჯერია, მავნებო! იცოდეთ, რომ საზღაური მძიმე იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ მართლა დაარღვიეთ კანონი“.

ამაზე უფრო თავხედმა ნიქტიონმა აღნიშნა:

XXXV. „ო, ღვთაებრივო მოსამართლეებო, ჩვენ კრონოსის უხსოვარი დროიდან ვასრულებთ ამ მოვალეობას, კარგად ვართ გათვითცნობიერებულნი ვველაფერში, რაც მიცვალებულებს ეხება, და ვიცით მიზეზები, თუ რას ჩაჰყავს სულები მიწისქვეშეთში. ამ ბედკრულმა ტიმარიონმა, როგორც აღვნიშნეთ, თესალონიკედან დაბრუნებისას დიდ თრაკიის მდინარემდე ფალარათის შედეგად დაკარგა მეოთხედი ნაწილი სიცოცხლისათვის აუცილებელ ელემენტთა, ე. ი. ნაღველი. უსახელგანთქმულესმა ექიმებმა გვასწავლეს, რომ ჩავთვალოთ ბუნების კანონისათვის შეუფერებლად ისეთი ადამიანის სიცოცხლე, რომელიც ორგანიზმის მხოლოდ სამ ძირითად ელემენტს ფლობს. როდესაც გავიგეთ, რომ ტიმარიონი ოცდაათი დღის განმავლობაში ნაღველისაგან იცლებოდა, ჩვენ მივედით და მისი სული გავიხმეთ, დარწმუნებულებმა იმაში, რომ მას არ ერგებოდა მეტხანს დარჩენა ასეთ დასუსტებულ სხეულში. ესლა კი წარმოთქვით, სამართლიანო მსაჯულებო, თქვენი განაჩენი და ჩვენ შეუსიტყვებლად დავემორჩილებით კანონებს“.

ასეთი იყო ჩემი მეგზურების თავის მართლება. მოსამართლეებმა ცოტა ხანი იჩურჩულეს ერთმანეთში და გადაწყვიტეს, რომ ამ დღეს არ მიე-

ლოთ არავეითარი გადაწყვეტილება. „აქ, — ამბობდნენ ისინი, — აუცილებელია დასწრება დიდი ექიმების: ასკლეპიოსის და ჰიპოკრატესი; მხოლოდ მათი მონაწილეობით შეიძლება იქნეს გამოტანილი სამართლიანი განაჩენი, რადგანაც საქმე მოითხოვს საექიმო ცოდნას. ამიტომ ჯერჯერობით გადაედოთ საქმის გარჩევა. ორი დღის შემდეგ ჩვენ ისევ შევიკრიბებით და ექიმებთან ერთად გადაწყვეტთ თქვენს დავას“.

ამ სიტყვებით მოსამართლეები ადგნენ თავისი ადგილებიდან და გაემართნენ მდელის უფრო შორეული ადგილისკენ. ჩვენ ორივენი კი ჩემს მეგზურებთან ერთად იქაურმა მსახურებმა წაგვიყვანეს ესლახანს მიტოვებულ პირქუშ მიჯნასთან, მაგრამ არა მის ხილრმეში, არამედ იქით, სადაც იგი ესაზღვრება ელისეს მინდვრებს. და მათი მოსაზღვრეობით მიფენილი შუქი ბინდიანი გვიჩვენებდა.

XXXVI. სანამ მოსამართლეები წინასწარ განიხილავდნენ საქმეს, თოდორე დაიხარა ჩემს ყურთან და ჩამწურჩულა: „მიდი აი იმ ხესთან (მან თითოთ მაჩვენა მაღალი, დაბურული ფიჭვი), მის ქვეშ შენ იპოვი სხვადასხვანაირ ბოსტნეულს, ჩვეულებრივსაც და შენთვის საკვირველსაც. მოაგროვე ყველანაირი, — არაფერი მავნებელი აქ არ იზრდება, არამედ ყველაფერი გემრიელია და გამოდგება საჭმელად. რადგანაც შენ აქ შეყოვნება მოგიწევს, ჩვენ ერთად სიამოვნებით ჩავიტყბარუნებთ პირს. აქაურ ბოსტნეულს, რომელიც იყვინთება კეთილსურნელოვანი მსუბუქი ქროლვით და ჰაერით, აქვს სასიამოვნო ხუნი იქამდეც, სანამ კუჭში მოხვდება, და შემდგომაც“.

მე მზადყოფნით გავეუბნე მასწავლებელს და ფიჭვთან მისულმა იმდენი ბოსტნეული შევაგროვე, რამდენის წამოღებაც შემეძლო. უკან დაბრუნება ვერ მოვახსარი, რომ ჩვენი ესლანდელი გამცილებლები და ჩემი ძველი მეგზურები, რომლებთანაც დავა გვქონდა, — ყველანი გზას გავეუდექით. ნათელი და ბნელი ზღვრების მიჯნაზე ორი დღე გავატარეთ, მესამე დღე რომ დადგა, როგორც ცოცხალი იტყოდა, თითქმის მამლებთან ერთად აუდექით და კვლავ სასამართლოსაკენ გავემართეთ. უცებ გავიარეთ გზა ისე, რომ ვერავინ ვერ მოგვახსნრო და აღმოჩნდით მოსამართლეების წინაშე.

„ზაფრანისფერ შესამოსელში აეკრა ცისკარი მიწას“. ასკლეპიოსი და ჰიპოკრატე ისხდნენ მოსამართლეების გვერდით, ისინი ბჭობდნენ და წყვეტდნენ, თუ რა განაჩენს ვიმსახურებ მე; მათ მოითხოვეს, რომ სასამართლოს მაუწყებელს გაეცნო ნიქტიონზე და ოქსიბანტეზე სამი დღის წინ საჩივრის შეტანა, და მან, როგორც წესი მოითხოვს, წარმოთქვა: „მოკვიახლოვდნენ პირები, რომლებმაც სამი დღის წინ შეიტანეს საჩივარი ნიქტიონსა და ოქსიბანტეზე, რათა მოისმინონ ლეთაებრივი სასამართლოს გადაწყვეტილება“.

XXXVII. მსახურებმა შეგვიყვანეს ჩვენ ყველანი: მოსარჩლეებიც და მიპასუხებაც - მოსამართლეთა წინაშე. ჩემი მასწავლებელი ფიქრობდა თავიბი ხიტყვის შესახებ, მე კი ყურადღებით ვათვალიერებდი ასკლეპიონს და ჰიპოკრატეს, მაგრამ პირველი ამთავანის სახე მაინც ვერ დავანახე: იგი დაფარული იყო ოქროს ძაფებისაგან დართული მოუღვარე ხატურავით, რომელიც მხოლოდ იმდენად იყო გამჭვირვალე, რომ ასკლეპიონს ყველაფერი დაენახა, თვითონ კი უხილავი დარჩენილიყო - ფუჭი ხაზაფე უგულბებელყოფილი ღვთაებისა. ჰიპოკრატე კი არაბს წააგავდა თავისი მაღალი, ზემოთკენ წაწვეტებული ჩაღმით, მას კოჭებს ქვეშით სწვდებოდა ტანხაცმელი, უქამროდ, ერთიანი - თავიდან ფეხებამდე, ამოუჭრელი; მას ჰქონდა გრძელი წვერი, რომელიც გაჭაღარაგებას იწვევდა და სტოიკოსების მსგავსად მთლად იყო გაკრეჭილი. შეიძლება მისგან გადაიღო გაკრეჭვის ასეთი წესი ძენიშმა და შემდეგ ანდერძად დაუღო თავის მიმდევრებს. ხანამ მე მოსამართლეებს ვათვალიერებდა, მდივანმა ოქმი აიღო და დაიწყო ხმამაღლა კითხვა:

„ტიმარიონი, ტიმონიკეს ძე, ბრალს სდებს ოქსიბანტესა და ნიქტიონს...“ ამას მოჰყვა ყველაფერი თავიდან ბოლომდე და მე კვლავ მოვისმინე საქმის წინახწარი განხილვის და მოსამართლეების გადაწყვეტილების შესახებ, რომ გადაედოთ იგი იმ დღემდე, ხანამ ჰიპოკრატე და ასკლეპიონი მიიღებდნენ მონაწილეობას საბჭოში.

კითხვის დამთავრების შემდეგ ცნობილმა ექიმებმა გამართეს ხმადაბალი ბჭობა, მიიწვიეს ასევე ერაზისტრატე ამაში მონაწილეობის მისაღებად და შემდეგ ცოტა ხანს დუმდნენ. ჰიპოკრატემ დაარღვია სიჩუმე, მრისხანე მზერა სტყორცნა ჩემს მეგზურებს და წარმოთქვა: „მიპასუხეთ, ნიქტიონ და ოქსიბანტე, რომელი ავადმყოფობით იტანჯებოდა ტიმარიონის სული? თქვენ რომ მიხვედით, იყო თუ არა იგი უკვე სხეულისაგან მოწყვეტილი? ძალით ხომ არ განაშორეთ იგი ზორცისაგან, როდესაც ისინი ჯერ კიდევ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ მხარეში ჩამოგვეყვანათ?“

XXXVIII. ხანმოკლე ღუმილის შემდეგ მათ შემდეგი ხიტყვებით დაიწვეს თავის მართლება: „ჩვენ არ ჩაგვიდენია, ყველაზე დახელოვნებულ ექიმთაგან, არაფერი უკანონო ან თქვენი მეცნიერების მიერ დაწესებულ წესთა საწინააღმდეგო. თქვენ ხომ თვითონ უმკაცრესად განსახლდურეთ, რომ არცერთ არსებას არ შეუძლია ღუდამიწაზე სიცოცხლე და დაბადებაც კი, თუ არა აქვს თავისი ფუძემდებელი ელემენტი: ხისხლი, ღორწო, ნაღველი შავი და ყვითელი. ხოლო თუ ვინმე ცოცხალთაგანს დაკარგავს ერთ-ერთს ამ ოთხ ელემენტთაგან, იგი არასიცოცხლისუნარიანი ხდება. ჩვენ ამით ეხელმძღვანელობდით, მიწაზე ვასრულებდით ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას და, როდესაც შე-

ვიტყვით, რომ ბედკრული ტიმარიონი ოცდაათი დღეა გაუჩერებლად, დღისით და ღამით, იცლება ნაღველისაგან, რომელშიც თითქმის ყოველთვის სისხლია შერეული, ჩვენ ჩვენი ზელოვნებით დაბრძენებულებმა გადავწყვიტეთ, რომ მისი სიცოცხლე უკვე წარმოუდგენელია. მართლაც, როგორ მოხდა, რომ მას ყოველივე ამის შემდეგ, განუწყვიტელი ფაღარათის შედეგად შეუნარჩუნდა ამ ძირითადი სასიცოცხლო სითხის ნაწილი მაინც? ამიტომაც იყო რომ არ დაგვეჭირებია არანაირი ძალდატანება, რომ ტიმარიონის სული სხეულისაგან გაგვეცალკევებინა. როგორც კი მის ნესტოებთან დავისხარეთ, წინააღმდეგობის გარეშე, ტუჩების ერთი ოდნავი მოძრაობით ამოვავადეთ იგი სიღრმეებიდან, რადგანაც სხეული დაუძღვრებელი იყო ხანგრძლივი ავადმყოფობით“.

ეს რომ თქვებს, ნიქტინი და ოქსიბანტე გაჩუმდნენ, სახამართლოს მხახურნი კი მოგვეტრიალდნენ ჩვენ: „თქვენც მოყუებით, თქვენის მხრივ, რახაც საჭიროდ თვლით, მაგრამ რაც შეიძლება მოკლედ, რომ პირველმა ექიმთაგანმა, ექიმობის ღმერთმა ასკლეპიოსმა შესძლოს დატოვება საბჭოხი, სადაც იგი დიდი ხანია არ ყოფილა და სადაც წლობით არ მოდის ხოლმე, მას შემდეგ, რაც უკვდავთა დასს არის შერაცხული და ადამიანებთან ურთიერთობას გაურბის“. აქ ჩემმა სოფისტმა დაბერა ლოყები და ასე დაიწყო.

XXXIX. „ღვთაებრივო მსახულნი და მეცნიერების სახელოვანი მესვეურნი! ის, რის შესახებაც ორატორიოდნენ ეს სულმდაბალი ადამიანები და სამართლიანობის საზიანოდ უნმობდნენ მთელ თავის მჭევრმეტყველებას უბედური ტიმარიონის დასალეპავად, თქვენ უკვე მოისმინეთ. ეხლა მხოლოდ იმაში დაგვრჩენია დარწმუნება, რომ ეს მზაკერობა მათ მიერ გამზადებულია მხოლოდ მათთვის საზიანოდ“.

ამ დროს ჰიპოკრატე დაიხარა ერთ-ერთი მსახურის ყურთან და გათვითცნობიერდა, თუ ვინ არის ეს მამაცი კაცი, რომელსაც მე მიცავს, და საიდან არის წარმოშობით. მან კი დაიწყო მოყოლა, რომ არის თეოდორე, წარმოშობით სმირნიდან, გაიზარდა ბიზანტიამი, დაიკავა იქ რიტორიკის კათედრა, აღავსო კარი თავისი სიტყვის გრავინით, დაიმსახურა უდიდესი პატივი და იმპერატორების წყალობა. აი, რისი გაცება შეეძელი იქიდან, რახაც იგი ჰიპოკრატეს მოუთხრობდა. თეოდორე ამ დროს აგრძელებდა: „რომ ტიმარიონი ჯერ კიდევ არ იყო სასიკვდილოდ განწირული, ამას, იმედი მაქვს, თვით მეგზურებსაც აღიარებენ; როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რომ სხეული კაცისა, რომელმაც ცხენზე ამხედრებულმა დატოვა თესალონიკე, მკვდარი აღმოჩნდა და სიცოცხლისთან კავშირი განწყობა. ყოველივე ამას გვერდით გადავლებ და შეგახსენებთ, მკვდართა სამეფოს წესები ბრძანებენ, რომ ხულის სხეულისაგან განცალკევების შემდეგ მკვდრებისათვის სრულდებოდეს, მისი ხარწმუნ-

ნობის მიხედვით (ყველა ხარწმუნობას ხომ სხვადასხვანაირი აქვს), სულის მოსახსენებელი წესი (ქრისტიანები ასრულებენ მას შესაძრე, მეცხრე და მეორმოცე დღეს) და მხოლოდ ამის შემდეგ ჩადის სული მიწისქვეშა სამეფოში. ამის მიუხედავად, ნიქტიონმა და ოქსიბანტემ არ დააცალეს წმინდა, სულთა მოსახსენებელი წესის შესრულება, იხე ჩაივანეს ტიმარიონის სული ჰადესში¹. მაშინ ნიქტიონმა გაცხარებით წამოიძახა: „ტიმარიონის გვერდით არ იყო არავინ, ვინც მისი ხსოვნისათვის გააკეთებდა ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო, თრაკიაში ხომ იგი გავლით იყო, და როგორც ყველასათვის უცხო, არ ჰყავდა ადამიანი, რომელიც გაუკეთებდა“¹.

„ხოლო თუკი თქვენ ამტყიცებთ, რომ ვერაგულად არ განვიდევნიათ ტიმარიონის სული, დაე, მცოდნე პირებმა დაათვალიერონ იგი; მასზე აქამდე ჰყივია ხორცის ნაფლეთები, რადგანაც იგი ძალით იყო სხეულს განშორებული“.

XL ამისათვის მაშინვე გამოიყვანა ოქსიდერკიონი და ნიქტოლევსტი. ჩემი სულის გულდასმით დათვალიერების შემდეგ მათ შეატყობინეს სასამართლოს თავისი შემდეგი დასკვნა: „ტიმარიონის სულის ზედაპირი ყველგან, თვალის ერთი შეველებითაც, ამქვეყნებს ბრძოლის კვალს, იმას, რაც ჩვეულებრივია ბრძოლის ველზე დაცემულთათვის: ოფლს და ხისხლს. მის ცალკეულ ნაწილებზე გულმოდგინედ დაკვირვებისას ჩვენ შევამჩნიეთ ზოგიერთ ადგილებზე ახალი ხისხლი და ვიგრძენით ცოცხალისათვის დამახასიათებელი სუნი; ამის გარდა, გამოირკვა, რომ მასზე დარჩა ხორცის ნაგლეჯები, ასევე გასისხლიანებული, რომლებსაც ჯერ ვერ მოესწროთ სიკვდილი“.

„აი ჩემი ხიტყვის დასტურიც, მსაჯულნო, — ნიშნის მოგებით დაიყვირა თეოდორემ. — როგორ შეძლო ტიმარიონის სხეულს, როცა სული ჯერ ასე მტკიცედ იყო მასთან გადაჯაჭვული, ერთ-ერთი თავისი ძირითადი ელემენტი დაეკარგა, მაშინ როდესაც, უდიდესი ექიმების აზრით, ნებისმიერი მათგანის დაკარგვისას ბუნება ოდნავი წინააღმდეგობის გარეშე წყვეტს სხეულისა და სულის კავშირს?“

და ის გარემოებაც, რომ ტიმარიონის მიერ გადმონთხეული სითხე თავისი წარმოშობით იყო არა ელემენტარული, არამედ წარმოადგენდა ღვიძლის ანთების შედეგად ნაღველად გადაქცეულ ყოველდღიურად მიღებულ საჭმელს, და ისიც, რომ ავადმყოფის ექსკრემენტები გარდაუვლად იმავე ბუნებისა იყო, ე. ი. შეიცავდა ნაღველს და სიმკავეს, — ნათელი გახდება გამოკვლევის შემდეგ. მის სულში თქვენ აღმოაჩენთ ნაღველს ღვიძლის არეში, ხდაც ხდება ხისხლის წარმოქმნა; ამის შედეგად

¹ აქ წინადადება დაუზიარებელია.

მიღებული საკვები იწამლებოდა ნაღველით და ნაღველი შედიოდა ამონათხევის შემადგენლობაში. ამიტომ ის წარმოადგენდა არა ელემენტარულ სუფთა ნაღველს, არამედ ჩვეულებრივ ექსკრემენტებს, აღრუულს ნაღველთან, რომელიც ღვიძლის ანთების გამო გამოიშუქავებოდა ნორმალურზე დიდი რაოდენობით“.

XL. ამით თეოდორემ დაამთავრა თავისი სიტყვა. მოსამართლეები ცოტა ხანი ჩუმად იყვნენ, რადგანაც მაუწყებელმა სრული სიჩუმი მოითხოვა, ხოლო ექიმებთან ხანმოკლე თათბირის შემდეგ, როდესაც კენჭი წარეს და წესისამებრ ჩაუშვეს აქვე მდგარ ურნებში, გამოიბრუნეს გამამართლებელი განაჩენი.

ამის შემდეგ დაიწყო ოქმის შედგენა. აქ სცენაზე გამოვიდა ვილაც სოფისტი ბიზანტიიდან, იგი, როგორც მოსამხახურეებმა მითხრეს, თავის ნიჭის და სიმარდის წყალობით, უკვე დიდი ხანი იყო ასრულებდა სასამართლოში ამ მოვალეობას. „ეზლა თვითონ ნახავ, — დაამატეს მათ, — რა სწრაფად უკარნახებს მწერალს ეზლახანს გამოტანილ განაჩენს“.

ასე რომ, ხანმოკლე შესვენების შემდეგ მოსამართლეებმა ვილაც გააგზავნეს მის მოსაყვანად და, როდესაც გამოჩნდა სოფისტი არისტარქეს თანხლებით, სიტყვასიტყვით ჩამოუთვალეს მას თავისი გადაწყვეტილების ცალკეული პუნქტები. სოფისტმა მაშინვე მიჰყო ხელი კარნახს, აშკარად ბორძიკით, რადგანაც აქაც ვერ დააღწია თავი მრუდე ტუნს. არისტარქე იწერდა მის სიტყვებს, ხოლო ფრინიქე მას დამხმარედ ჰყავდა.

შვა განაჩენი გადასცეს მდივანს და შემდეგ ხმამაღლა, ისე, რომ ყველას გაეგო, საჯაროდ წაიკითხეს:

„უდიდესი ექიმების ღვთაებრივი საბჭოს და ექიმობის ღმერთის ასკლეპიოსის მიერ დადგენილია, რომ ნიქტიონმა და ოქსიბანტემ, მიცვალებულთა გამცილებლებმა, რომლებმაც მიწისქვეშა სამეფოს კანონები დაარღვიეს, ღლეიდან დატოვონ თავისი სამსახური, ტიპარიონი კი იყოს დაბრუნებული მიწაზე და მოთავსებული საკუთარ სხეულში; მხოლოდ მისთვის განგებით განკუთვნილი ვადის ამოწურვის და მასზე საჭირო მოსახსენებელი წესის აგების შემდეგ უნდა ჩამოიყვანონ ტიპარიონი ისევ ქაღესში მათ, ვინც იქნება მაშინ ამ მოვალეობის შემსრულებელი“.

XLII. შემდეგ მოსამართლეებმა თავიანთი ადგილები დატოვეს და საბჭო დაითხოვეს. ეაკოსი, მინოსი და თეოფილე გაემართნენ თავისი ჩვეული თავშესაფარისაკენ ასფოდელოსის მდელიზე, რომლის მეორე ნაწილისაკენაც საზეიმო სვლით მიემართებოდა ასკლეპიოსი სხვა ექიმებთან ერთად.

ქრისტიანები ხარობდნენ, ისმოდა ხმამაღალი შეძახილები, გულში იკრავდნენ ჩემს სმირნელ ბრძენს და ცაში აყავდათ სიტყვის ასეთი ხა-

სურველი ბილოსათვის, მისი აგებულებისა და ნაწილების განლაგებისათვის. ის მომსახურებები, რომლებმაც თავის დროზე შემოიყვანეს სახამართლოში, ეხლა ჰადღებდნენ გაცილებდნენ, რადგანაც მათ დაეკისრათ ჩემი მიწაზე აყვანის მოვალეობა. და აი, როდესაც ჩვენ იქ მივედით და დავეინწყეთ წველიადის ზღვარის გადაკვეთა, მივალწვიეთ მიწისქვეშა სამეფოს იმ ნაწილს, სადაც ფილოსოფოსთა და რიტორთა საცხოვრებელი იყო. ჩემმა მასწავლებელმა, გადაღლილმა თანაბრად როგორც მოგზაურობით, ისე გონებრივი დაძაბულობით, სთხოვა მეგზურებს, რომ მე მასთან ერთად გამეტარებინა ეს ღამე ბრძენთა სავანესში, რადგანაც ჩემი მიწაზე გამგზავრება დილისთვის იყო დანიშნული, მას კი აქ მუდმივად ყოფნას უწესებდა ბედი.

შემდგომ მოხდა ისე, რომ „ღმერთებს, ისევე როგორც კაცებს და ეტილიან მებრძოლებს ეძინათ მთელი ღამე, მხოლოდ მე არ გამაჩარა უღრტვინველმა ძილმა“. იმის წყურვილით შეპყრობილს, რომ რაც შეიძლება მეტი გამეგო მკვდართა სამეფოს შესახებ, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, დაუღლელად ვაკვირდებოდი ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა.

XLIII. მე ვნახე პარმენიდე, პითაგორა, მელისე, ანაქსაგორა, თაღესი და სხვა ფილოსოფიურ სკოლათა დამაარსებლები; ყველანი იხინი მშვიდად იხდნენ ერთმანეთის გვერდით, მშვიდობიანად და კამათის გარეშე საუბრობდნენ, განიხილავდნენ თავისი მეცნიერების ზოგიერთ დებულებებს. მხოლოდ დიოკენეს ყველა ზიზღით ვრიდებოდა და თავის დაჯგუფებაში არ უშვებდა, ასე რომ იგი მოუსვენრად დადიოდა აქეთ-იქით და თავისი აულაგმავი და თამამი ხახიათის გამო მზად იყო წაჰკიდებოდა პირველივე შემხვედრს. მე იმის მოწმეც ვიყავი, რომ პითაგორამ უკმეხად ჰკრა ხელი იოანე იტალოსს, რომელსაც უნდოდა ბრძენთა ამ დასს შეერთებოდა. „ო, თავზელო, — თქვა მან, — ჩავიცვამს ნამდვილი გალიდეელის სამოსი, რომელსაც მონათლულები ღვთაებრივ, წმინდა შესამოსლად ასაღებენ, და ცდილობ ურთიერთობა დაამყარო ჩვენთან, ვისი სიცოცხლეც გონებით ჩასაწვდომი სიბრძნის შეცნობას მოუნდა? ან გაიხადე ვე უხამსი ტანსაცმელი, ან ეხლავე დატოვე ჩვენი ძმობა!“. იოანემ არ მოინდომა თავის სამოსთან განშორება. მას ფუნდაფუნ მიჰყვებოდა საჭურისის მსგავსი კაცი, აღბათ მასხარა, ძალიან გონებაშაზვილი და ენამოსწრებული, რომელიც ყველა შემხვედრს იამბებს სტყორცნიდა. სხვათა შორის, იგი სრული ქარაფშუტა იყო, თუმცა ღმერთმა იცის, რით აღარ ტრიაბაიხობდა და ატყუებდა უმეცარ ბრბოს. ვინც არ უნდა შეხვედროდა, ვერავინ ვერ პოულობდა მასში სიბრძნის მარცვალს ან სახიამოვნო წვესაც კი. ეტყობა მან მთლიანად შეითვისა თავის ბატონის ხახიათი: იგი ხომ ასეთივე შურიანი, აყვია და ქარაფშუტა იყო და ახვეე უმ-86

ვარდა უსაფუძვლო ტრაბახი; ამასთან ერთად ჰქონდა კიდევ სხვა ნაკ-
ლოვანებაც, რომელიც ჩვეულებრივ ახლავს ხოლმე აქ ჩამოთვლილებს.

XLIV. ჰადესში იოანეს ეწერა ღირსეულ მოწინააღმდეგესთან შეხ-
ველად; როგორც კი დიოგენეს ძაღლთან გაიარა, რომლის სითამამეც
სიკვდილის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა და დაიწყო თავისებურად
ტრაბახი, მას მოულოდნელად ეხლო ძალიან ხასტიკად. დიოგენე, რო-
მელმაც ვერ აიტანა იოანეს ყოყონობა, ყფითა და ღრუნით ეცა მას რო-
გორც აუთ ნაგაზი; ისიც თავის მხრივ უყუფდა დიოგენეს, რადგან თვითო-
ნაც კინსკოხების სკოლიდან იყო. საბოლოოდ ისინი შეებნენ ერთმანეთს.
იოანე ცბილეობით ჩააფრინდა დიოგენეს მხარში, მან კი მოუჭირა ყელში
და აღბათ დააჩრჩობდა, რომ რომაელ კატონს ფილოსოფოსთა საზოგა-
ლოებაში არ გადაერჩინა თავისი თანამეგობრული. „არარაობავ, — დაივი-
რა დიოგენემ, — თუთ დიდი აღუქხანდრე, რომელიც მთელ აზიას რო-
გორც ხაკუთარ მამულს ისე მართავდა, კორინთში ჩემთან რომ მოვი-
და, როდესაც მზეზე ვთბებოდი, მორიდებით და პატივისცემით მომეპყრა.
შენ კი, კონსტანტინეპოლელი ნაძირადავ, შენი გალილეელებისთვისაც
კი საქულველო, ლაპარაკობ თავხედურად და ყოყონობ?! კინიკურ ფი-
ლოსოფიას ვფიცავ, რომლის ფუძემდებლადაც მე ვარ აღიარებული
ყველგან, თუ კიდევ ერთხელ გაბედავ ჩემთან დალაპარაკებას, მოგიხდება
მეორედ ჩამადლება სამაგელი სიკვდილით“. აქ კატონმა ხელი მოჰკიდა
იოანეს და შორს წაიყვანა; როდესაც მათ მიაღწიეს არეს, სადაც ხახ-
ლობდნენ სოფისტები და რიტორები, ისინი წამოხტნენ თავისი ადგილე-
ბიდან და მას ქვებს ესროდნენ, თან ყვიროდნენ: „მოაცილე ეგ, კატონ!
ჩვენთვის იგი სრულიად მიუღებელია, რადგან მთელი თავისი სი-
ცოცხლის მანძილზე ვერაფერს მიაღწია გრამატიკაში, მისი ნაწერები კი
საერთო დაცინვის საგანი იყო“. ასეთი მძიმე შეურაცხყოფის გამგონე
იოანე ყვირილით გაიქცა. „ო, არისტოტელე, არისტოტელე, — ამბობდა
იგი, — სადა ხართ, სილოგიზმებო და დიალექტიკის ხრიკებო? ეხლა რომ
დამხმარებოდით, საბოლოოდ გავანადგურებდი აქაურ კვიმაც ფილოსო-
ფოებს, სოფისტებს და პირველ რიგში ამ ჰაფლაგონიელ შეღორეს,
დიოგენეს“.

XLV. ამ დროს დაბრუნდა წვდანდელი ბიზანტიელი სოფისტი და მიუ-
ახლოვდა ფილოსოფოსებს, მას სინარულით შეხედნენ; „გამარჯობა!“ —
ისმონდა ყველა მხრიდან. მიუხედავად ამისა, იგი ფეხზე მდგარი ესაუბრე-
ბოდა მათ, არც ფილოსოფოსები სთავაზობდნენ დაჯდომას და თვითო-
ნაც არ ჯდებოდა. სოფისტებმა კი, როდესაც მათ სამყოფელს მიაღწია,
დიდად ხცეს მას პატივი. ყველა როგორც ერთი ადგა მისი გამოჩენისას.
როდესაც ბიზანტიელი იღლებოდა, იგი ან იქვე ჯდებოდა, მათ წრეში, ან
ამაღლებულ ადგილას განისვენებდა სავარძელში, რომელიც მისთვის
მოჰქონდათ. ყველა აღფრთოვანებული იყო მისი სიტყვების სიმშვენიე-

რითა და სიტყვებით, ენის სისადავით და სიმარტივით, მეტყველების სიმწყობრით და უნარით — შეერჩია სიტყვები, ნებისმიერი შინაარსის შესაბამისად და შესაფერისად. ხშირად სოფისტები მისი დანახვისას იმეორებდნენ: „ო, ნათელმოსილო იმპერატორო!“ ეს, როგორც მე გამოცოთხვიდან გავიგე, აღმოჩნდა პირველი მიმართვა მისი სიტყვიდან იმპერატორისადმი.

კოდ. როგორ, კეთილო ტიმარიონ, მეტს აღარაფერს არ მომიყვები შენი სმირნელი მასწავლებლის შესახებ? როგორ ეპყრობოდა მას ფილოსოფოსთა კრებული?

ტიმ. მთელ სკოლათა ამ ბრწყინვალე დამაარსებლებთან, ჩემო მეგობარო, თეოდორეს თითქმის არ ჰქონდა ურთიერთობა, თუ არ ჩავთვლით მის იშვიათ შეკითხვებს მათი მოძღვრების რაღაც წერილმანებზე. ჩვეულებრივ იგი ესაუბრებოდა რიტორებსა და სოფისტებს: პოლემონს, პეროდეს და არისტიდეს. მათთან, როგორც თანამემამულეებთან, მას თავი თამამად ეჭირა და ძალდაუტანებლად საუბრობდა; ხოლო ისინი ეპატივებოდნენ მას თავის წრეში, როგორც კი იგი გამოჩნდებოდა, და ხდიდნენ მას მრჩეველად და მოსამართლედ ყველანაირი რიტორიკული ფიგურებისა, აღწერებისა და ამ ხელოვნების სხვა დეტალებისა.

XLVI. ყველაფერი ეს, ჩემო მეგობარო, მე შეეიტყვე ზაფხულის იმ დამეს, რომელიც სასამართლოს მსახურებთან და თეოდორესთან ერთად გაეატარე. მათ მოგვიანებით დაიძინეს, მაშინ როცა მე მთელი დრო მოვანდომე დაკვირვებას. დილით ჩემი სოფისტი მოვიდა და დამქარება დამიწყო: „ჩქარა, მოემზადე, ძვირფასო ტიმარიონ, დედამიწაზე გასამგზავრებლად. იცოდე, რომ მრავალი წლის განმავლობაში მიცვალებულთაგან სხვას არავის არ რგებია წილად ასეთი ბედნიერება. მხოლოდ არ დაგავიწყდეს ჩემთვის ყველაფერი იმის გამოგზავნა, რაც მიზიდავს“.

„დიდი სიამოვნებით, — ვუპასუხე მე, — მოგართმევ ყველაფერს, რაც შემძლია. მითხარი, რა გინდა, რით გასიამოვნო; ჩამომითვალე ყველაფერი, რაც გჭირდება“.

„გამომიგზავნე, ძვირფასო, ხუთი თვის ბატკანი, წყვილი ახალი ქონიანი სამწლიანი ქათამი, როგორებიცაა ვაჭრობენ ფრინველთა რიგებში ბაზარზე და რომლებსაც საკვები, ხალხის ხელოვნების წყალობით, სქელ ფენად ედება ფეხებზე; გამომიგზავნე ასევე ძუძუთა გოჭი არაუმეტეს ერთი თვისა და ახალგაზრდა ღორის ცური, რაც შეიძლება ქონიანი და წვნიანი“.

აქ თეოდორემ გულში ჩამიკრა და გამომშვიდობებისას მითხრა: „ბედნიერი მგზავრობა, დაბრუნდი მიწაზე! დაბრკოლების გარეშე და სრულიად ჯანმრთელი შეეცადე მიაღწიო შენს ხალხს, ხანამ ხმა შენი სიკვდილის შესახებ ბიზანტიამდე მივა და ყველანი, ახლობლები და მეგობრები, 88

რომლებიც, როგორც მახსოვს, ბევრი გყავს, მოასწრებენ შენს დატირებას“.

ამის შემდეგ მე მას დაეშორდი და ჩვენ დროის დაუკარგავად გაუდევრით გზას, მეტი არსად არ შევჩერებულვართ. გზიდან მარცხნივ მე მაინც მოვასწარი შემემჩნია ფილარეტე არმენიელი, ალექსანდრე თერელი და ბოროტმოქმედი ნერონი, რომელიც იქექებოდა ადამიანთა ნაკელის გროვაში, რომლის სიმყარაღე ჩემს ცხვირამდე აღწევდა. მალე მივედით ჰადესში მიმავალ გზაზე მყოფი ჭის პირს, გაუჭირვებლად ავედით მისი გავლით ჰაერში და ჩემს თვალწინ გაიშალნენ კლეადები და დიდი დათვის თანაუარსკვლავედი.

XLVII. მე ესლა არ ვიყავი გარკვეული, საით ამელო გეზი, ჩემი სხეული რომ მეპოვა, მაგრამ მივქროდი ჰაერში, თითქოს ქარი მიმერეკებოდა, სანამ არ მივალწიე მდინარის ნაპირს და არ ვიცანი სასტუმრო, სადაც ჩემი ცხედარი დარჩა. აქ, ჰებროსის ნაპირას, გამცილებელმა დამტოვა და მე ხასლში შევალწიე ხაზურავის ზვრელიდან, საიდანაც კვამლი გამოდის. ჩემს სხეულთან დავიხარე და მასში შევედი ნესტოებიდან და პირიდან. იგი სრულებით გაციებული იყო ყინვისაგან და სიკვდილით იყო გაშეშებული, ასე რომ იმ ღამეს მე გაყინვის საშიშროება შემუქრებოდა. დილით სასწრაფოდ შევაგროვე ჩემი ნივთები და გავემგზავრე ბიზანტიონში.

და, აი, მთელი და უვნებელი, ძვირფასო კიდიონ, გიყვები ჩემს თავგადასავალს. შენ კი ერთი სამსახური გამიწიე — მიპოვე ჯერ დაუსაფლავებელი მიცვალებულები, რომლებსაც შეიძლება რომ გადავცე თოოდორეს მიერ შეკვეთილი გემრიელი საჭმელი, რათა ამგვარად გავუგზავნო ჩემს მასწავლებელს. მაგრამ ნუ იქნებიან ისინი წესიერი ადამიანები, სისუფთავესა და სიფაქიზეს მიჩვეულები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, შეეზიზღებათ ასეთი დავალება, არამედ ივენენ ვინმე ჭუჭყიანი პაფლაგონელები, ბაზრიდან, რომლებიც კატივად ჩათვლიან ჰადესში ღორის ხორციით იღლიის ქვეშ ჩასვლას. უკვე ძილის დროა. მოდი, ჩემო მეგობარო, დავემშვიდობოთ ერთმანეთს და სახლებში წავიდეთ.

თეოდოროს პროდრომოსი

თეოდოროს პროდრომოსი შეიძლება პტოხო-პროდრომოსის იდენტურიც იყოს, ანუ გლახაკ პროდრომოსისა. იგი 1166 წ. გარდაიცვალა კონსტანტინეპოლში. თეოლოგიური ნაშრომებით უფრო ნაკლებად იყო ცნობილი, ვიდრე პოეტური თხზულებებით /ეპიგრამებით და სხვ./ ხაკვირველია, რომ თავის დამდაბლების ბიზანტიური წაიდა /თვით „პტოხო-პროდრომოსობა“/ თეოდოროსს ხელს არ უშლის, თავისი გალობათა განმარტება საგალობლებზე მაღლა დააყენოს. ენამჭკერი სწავლული XII ს. კულტურულ ცხოვრებას საინტერესოდ არეკლავს. ამასთან, შეიძლება ითქვას, თეოდოროს პროდრომოსის თხზულებათა მნიშვნელობა მარტოოდენ ისტორიული ღირებულებით არ იზღუდება. მისი ღოგიკის ხაფქვაჲს სადღეისოდ ფქვაჲს.

წმინდა ბრძენ პოეტთა - კოზმანის და იოანე დამასკელის - საუფლო დღესასწაულებზე დასაღებელი კანონების განმარტება შესავალი ხიტყვა იბოლთა გამზრდელისადმი

ღვთისნიერო, ჩანს, გვიხმე, რათა განემარტოთ საყოველთაო საუფლო დღესასწაულებზე წმინდა კაცთა და სულიწმინდის მსახურთა მიერ გალობით შესასრულებელი აზმანი. აქ უნდა მოვიშველიო საღვთო იგავი სახარებთან: მოწვეული ვარ ბრწყინვალე და მეფურ ნადიმზე, რომელსაც გამორჩევა შეჰყვრის ყველაზე გემრიელი და დიდებული საჭმელეობით; ბუნებრივია, გონს-გადასულად ჩამთვლიდნენ, თუ უღელი ხარის ან ცოლის ან სახნაჲის მომიზნებით, მსგავსად იმ მოლაქლაქეთა და წმინდა ტრაპეზის მომძაგებელთა, მოვიკლებდი ასეთ ფუფუნებას და სიამოვნებას და ესოდენ უხვად გამასპინძლებაზე უარს ვიტყვოდი. ამით არა მხოლოდ უკვდავთა საზრდელს მოვიმშობიდი, არამედ დამნაშავეც შევიქმნებოდი და შერისხულიც უნდობლობის თუ დაუყოლიებლობის გამო; ეს მულოდა, თუ შენს მოწვევას არად ჩავაგდებდი და გეტყვოდი, ნეტარო: შეიწყნარე-მეთჱ ჩემი თხოვნა და მიპასუხე, დაგჭირდებიან განა უპოვარნი, დასახინრებულნი, მკვლობელნი და ბრმანი, ჩვენს ნაცვლად რომ 9)

სტუმრად მიიწვიო? ასეთებით მთლად გაივებოდა ეს შენი ხახლი, თუ ამ დასახინრებულებს იმისთვის დაჰპატივებდი, რომ ქალაქში ჩამოსულს არ გაგმინებოდა ქუჩებსა და შესახვევებში გზის გაგნება. მაგრამ ეს სიტყვა მხოლოდ ხადილად დაჰპატივებამ მოიტანა და უმალვე მრავლად და გუნდ-გუნდად მოწვევას დაუკავშირდა. თუმცა არ დაუშვებ გაუქმებას ვეღა იმ მიზეზისას, რომელითაც თავი უკვე ვიმართლე; შენ რომ მიხმობ, პახუხად მაინც მოვალ. მიმილე პურიბად, როგორც ინებებ, და შევექცვი ზეციურ საზრდელს და ანგელოზთა პური ვივით კაცთა; ხაროც ან ნახუქი ზეარაც, როგორც სახარებაშია, რომ არ აკლდეს ტრაპებს. ეს ხაჭმელი უფრო მახიელი და ნათელი გონებით და უფრო დაჩვეწილი სიტყვით უნდა დავეჭოთ და დავეჭვათ, რამდენადაც დასაშვებია, ლოგიკის საფუძვლებით, რათა ასე, თუ ღმერთი შეგვამდლებინებს, დაფუძილი საზრდელი მთხოვნელთათვის მოვიმარაგოთ.

უნდა დავიწყოთ იქიდან, საიდანაც სათქმელს შევეწონება. შეხარონად წელიწადის მოქცევიდან მოვევებით და შემოვწერთ საუფლო კანონების ზედმიწევნითი განმარტების ზოდიქალღურ წრეს თუ პერიოდს, თვით კანონთა საწვლადი ციკლზე უფრო ამადლებულს. რადგან წლიური მოქცევის პირველ თვეს წმინდა-ჰყოფს ჯვარის ამადლების დღესასწაული, პირველად გამოვარჩევთ ღვთაებრივი კოხმანის გალობის-მოქმედებას, რომელიც ამ დღესასწაულს უკავშირდება. ამ წმინდა კაცმა /თუ ვინმე ხვამ?/ დიდი კანონი წინ წასწია ისტორია. დიდი საშინელება იფარება მის პოეტურ სიტყვაში, რომ ვერ შეძლოს ვინმემ, ადვილად მიკვებს მის კვალს. სრულად განსწავლულიც გახლავთ მთელს საეკლესიო წმინდა/ ისტორიაში, ძველსა თუ ახალში. ასე რომ აქედან უნდა შევედგეთ საჭმეს და ერთგვარად გავაცხადოთ ის, რაც რთულად არის თქმული; სხვარივად არ ეგების ჩვენთვის, ღვთისმოსავთათვის, რომ რჯული, მამათაგან ჩვენამდე გაუყალბებლად მოხული, როგორც ვოველი მწიგნობრობის სათავე, წარმოვიდგინოთ გადარჩენის ნიშნად და, რაკი მწერლის შეწვევა რჯულისმთვრია, წერილი ადვილად და უპიროდ მისანიშნებელი გავხადოთ. გალობის მაღლი ღვთის წინაშე კრძალვას წინ უხსრებს და გონებას მტაცებს. ო, როგორი მოძინებლევლობით და მუხათა ხელოვანების შარავანდით არის შემკული კანონი. წინათვე ვიგალობებდი განმარტებას, რომ არა განზრახვა – ვინმე არაჩვეულებრივი გგონებოდი და შრომის მეტი ნაწილი მეორეხარისხოვნად არ გეცნო. მამასა-დამე, რამდენადაც დასაშვებია, შიშველ, უმოსართავებო კანონს უნდა მივევუთ და მის ხილრმეში მდებარე აზრი უნდა განუმარტოთ და ოსტატის საჭრეთელით გამოვკვეთოთ სიტყვა. პირველად საჭირო იყო კანონის კიდურწერილობის შესახებ გვეთქვა; რადგან მასში არაფერია ბუნდოვანი,

მხოლოდ სიტყვაბიტყვით უნდა წარმოგვედგინა: ჯვარს მინდობილს საგალობელი წარმოემდინა. მართალია ჭეშმარიტად მგალობელი, ბუნებრივად მიმნდობი და ღომის სახე /საღვთო წერილის მიხედვით/, ჯვარის საგალობლის წარმოდინებას რომ იტყვის არა მხოლოდ ფრიადი წამებისა და ვნებისაგან, არამედ ღომებრი ზახების გამოც. ნათქვამია, ღრიალით გადმონათხვესო ღომი და ვინ არ შეშინდებაო. ო,საკვირველო მგალობელო, ღომთა გარეშე „გადმონთხევა“ აქ საშინლად უადგილოა და ხულის შემამღერეველი და არცრად საჭირო სრულიად. ხოლო რაც შენ ჯვარის საგალობლად წარმოგედინა, ყოველსავე აღემატება სიამით, მუსიკობით და ხულიერი ხურნელის გამოლებით. იგი, სწორედ რომ საფხალმუნებელი, არასოდეს მიესადაგება შინაარსით შენ მიერ „გადმონთხევას“; წაიკითხება, ვთქვათ, ასე: წარმოედინა გულს ჩემსას კეთილი სიტყვა. ამრიგად ჩვენც, ჯვარს მინდობილთა, ჯვარის საგალობლის განმარტება წარმოგვედინოს.

გალობა პირველი ხმა მეოთხე გვერდითი ძლისპირი:

ჯვარი გამოსახა მოსემ კვერთხით და მეწამული განუპო ისრაელის ძეთა განსაკვალად და ეტლს ფარაონისას დაუძღვეველი ნიშნით სძლია და დაანთქა. მო, ვუგალობოთ ქრისტეს, ღმერთს ჩვენსას, რამეთუ დიდებულ არს.

განმარტება

მელიქიძის ნებიერი ნავარდით იწყებს მგალობელი, კეთილშობილთა სახვედრი და საგმირო ნავარდით. კიდურწერილობის თანახმად ეს ღომებრი ზახებაა. ნახე დასაწყისიდანვე. პირველ გალობას პარმონიის და შენაწვევრების მაგალითად უდებს ძლისპირს, თანაც ისე, რომ აღებული ტექსტი /ძლისპირისა/ საგნობრივად /შინაარსით/ არ არის დაშორებული ჯვარის დღესასწაულისაგან: ერთი თემაა დამუშავებული - „მოსეს კვერთხი“ და „მეწამული“, რომელსაც მოკვეთილი აქვს „ზღვა“; ოდის აგების დაკანონებული წესისათვის მგალობელს თავისი მიუზღავს და ძლისპირად ჯვარის მადლის საგალობელი აუღია; მეტიც შეიძლება ითქვას - პირველი გალობის თემად ჯვარის წინა-სახე (πρωτοπαμα, archetypum) არის წარმოდგენილი. მაგრამ ახლა სიტყვაბიტყვით განვჩხრიკოთ ძლისპირი. რადგან გაუგებრობა, როგორც ამბობენ, გაუგებრობის სათავეა, თუ რამ საეჭვოა ამთავითვე, მასზე საუბარი ცუდებრალოდ არ მიმაჩნია.

სამართლიანად იტყოდა ვინმე, მგალობელის მეტყველებით გაოგნებულნი: როგორ თქვა, ჯვარი გამოსახაო მოხემ, გამოსახვა სიტყვით როგორ დააქარაგმა და როგორ დაურთო, კვერთხით მეწამული განუპოო. რა თქმა უნდა, ჯვარის გამოსახვის შემდეგ არ განუპია მოხეს მეწამული და ეს განპობა ჯვარის გამოსახვას კი არ ერთვის, არამედ განპობისა და გამთლიანების შემდეგ გამოისახა ჯვარი. ასე რომ პირუკუ უფრო მართებული იყო ეთქვა: კვერთხით მეწამული განაპო მოხემ და კვალად შეაერთა განკვეთილნი და ამრიგად გამოსახა ჯვარი. ხოლო პირველადვე შეუქცევულად /არა პირუკუ/ თქმა იმისა, რომ მოხემ ჯვარის მთელი ქარაგმა ზღვის განსაკვეთად გამოიყენა, განა ენობრივ გაუმართავობას არ მიეწერებოდა, ან გადაძალაშება არ იქნებოდა, ან უაზრობა და ან პოეტური ენისათვის შეუფერებლობა? ასეთი რამის თქმა პირდაპირ იმას მოგვაგონებს, თითქოს ამბობდნენ, რომ მკვანძა ხურომ ააშენა სახლი და ჯერ ზევით გაასრულა ფრიად დაურღვეველად, შემდეგ საძირკველი ჩაყარა, კედლები აიყვანა და გადახსურა. ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა ითქვას, რომ ორმაგია „გამოსახვა“ /χαράττειν/ სიტყვის მნიშვნელობა: ეს არის, ჯერ ერთი, შეგრძნებითი, ხელით გამოსახვა, როგორც, ვთქვათ, ხატი მოგვეპოვებოდეს და წერილით /წიგნით/ გამოვსახავდეთ ან სხვა რამ გამოისახებოდეს ან აღინიშნებოდეს; და, მეორე, რამის გამოსახვა და წინა-სახედ მყოფობაა, ვთქვათ, ცეცხლმოღებული და შეუწველი მავლოვანი რომ გამოსახავდა მარად-ქალწულ ღვთაღვთისას, ხოლო მავლოვანი არა შესაგრძნებად ან ვისმე ხელის მოძრაობით აღნიშნავდა ქალწულს, არამედ სიმბოლურად, სახისმეტყველებით. მაშასადამე, როგორც ითქვა, ორკეცად გამოსახვა χαράττειν. ამ ორი მნიშვნელობიდან მეორის მიხედვით შეურჩევია ეს სიტყვა პოეტს და, თუ მას ასე გავიგებთ, არაერთარ გაუგებრობას არ გამოიწვევს; რადგან ჯვართით მოხემ წინასწარ გამოსახა, წინასწარ გააცხადა და ანიშნა, რომ კვერთხის პირველი განვლით მეწამულ ზღვას განუპობდა ისრაელის მეთა განსაკვეთად და განსვლის შემდგომ, ანუ მეორედ, იმავე კვერთხის ირიბად, გარდიგარდმო დაცემით განპობილსა და განკვეთილ წყლებს შეაერთებდა ფარაონის ეტლთა წინააღმდეგ, ზღვის სივრცეზე თვალით შესაგრძნებად რა გადასწერდა დაუძლეველ ნიშანს /ცხადია, ჯვარს/ იოტით და რქის მონახულობით.

ღვთიური ჯვარის საკვირველმოქმედება მეწამულ ზღვაზე რომ სიმბოლური იყო, ყველასთვის ცხადია. ხოლო თავისებური კვერთხით /ჯვარი იგულისხმება/ ახალმა მოხემ, მაცხოვარმა, ვისი პირდაპირობის და სამართლის კვერთხიც სამეუფო კვერთხია, როგორც ფხალმუნში იკითხება, მეწამული ცოდვა გაკვეთა. მეწამულია ყოველგნით ცოდვა არა მხოლოდ იმის გამო, რომ სისხლთან შედარებულია, სისხლს უდრის საღ-

ყოი წერილში, მაგალითად: „კაცნი სიხელთანი და მზაკერობისანი“, ან ეს: „სიხელის შეძიებულს იხინი მოაჯონდა“, და სხვა წინასწარმეტყველ-თან: „თქვენი ხელები სიხელით ხავსეა“; ცოდვა შეწამულია, რადგან ეხა-ააც, ფრიად მადლად მხმობელი, მის სიმეწამულეს გამოკვეთილად გვიწვევებს: თუ გაქვითო ცოდვები, შეწამულთა – ვითარცა თოვლს განვასხე-ტაკებო, ან შეწამულთა – ვითარცა მატყლს განვასხეტაკებო. ახე რომ შე-წამული, როგორც მოგახსენეთ, ცოდვა გაკვეთა მაცხოვარმა და ჩვენ, ვი-თარცა ისრაელის ძენი, გამოგვიყვანა უდაბნოში, რომლისთვისაც ცოდ-ვის გრძნობა უცხოა, და დაანთქა ფარაონის ეშმაკეულნი ძაღნი, რომ-ლებზედაც ხამართლიანად შეიძლება ეტლებიც ითქვას მისადაგების წე-ხით, ოღონდ არა [ახალ მოხესთან] დახაკავშირებლად, რამდენადაც ეს სიტყვა არათუ არაფრით არ უდგება [ქრისტეს] გამიცმლურ ძაღლებს, ყოვ-ლად შეუთანხმებელი და შეუფერებელიც არის მათთვის.

მართებული იქნებოდა ეს ძაღლები [ე.წ.] სამ-მღვომ¹ მთავრებადაც /*τροπάρια*/ ხმობილიყვნენ, რადგან ადამიანური ბუნებისათვის უფრო ნი-შანდობლივი ხამი მდგომარეობიდან ხამ-მღვომნი მთავარნი აღძრავენ შფოთსა და ბრძოლას: რისხვაზე ვამბობ და ავად ღტოლვაზედ და ხიტყვიერების შესთხვევაზე; უმანკო ხულისხვან კი შენაწვევება სრულდება.

მო, ვუგალობოთო, მგალობელი ამბობს, ქრისტეს, ღმერთს ჩვენსას, რამეთუ დიდებულ არსო. ძლისპირის ეს ბოლო მონაკვეთი პირდაპირ აღებულია მოხეს გალობიდან, მოხეს თვით-სიტყვაა /*αὐτὸς ἔστι*/ და ხავსე-ბით ბუნებრივად მისადაგებულაა ჯვარის დღესასწაულთან; რამდენა-დაც, თუ დიდება უფლისა არის ჯვარი და დიდებდად უფლისად ითქმის, შესაბამისად, ჯვარცმა ამაღლებაა, რაკი „ამაღლდა“ იგივეა, რაც „იდი-და“, თანახმად თავად მისგან ითქმულისა: „აწ იდიდა ძე კაცისა“. არა მარტო მხოლოდ-შობილის დიდება ეწოდება ჯვარს, არამედ მთავრობაც, როგორც იკითხება ესაიასთან: „მთავრობა მისი მხარსა ზედა მისსა“, რადგან ჯვარის თანა-მტკირთველია, დიდი ღვთისმეტყველის გრიგოლის თანახმად, და ა.შ.

განხამარტებულა:

„და იგი თავადი პირველად განვიღეს წინაშე მისხა ხულითა და ძაღი-თა უღაიხითა“ /*ღუკა*, I, 17/.

მეგობარო, ექვის მეცნიერების ხაწვისად არის მიწნეული და ამ აზრი-ხვან არც ჩვენ ვიტყვრთ თავს შორს ამ ხიტყვაში, ოღონდ არ ვიყო მოქა-

¹. იხ. ბერძნულ-ქრიოული ლოკუმენტარული ღკქსიკონის მასლები, s.v. *τροπάρια*.

დელი და ცოდვიანი მკვლევარი, ოღონდ გონებას პაექრობა უყვარდეს და ბევრს ეძიებდეს, ხოლო ცნობას და საგონებელს სწავლა სწავლოდეს და სული ღმერთს ესაუფლებს. ხოლო მათ, ვინც ახე წვალებით კითხულობს, სხეებზე ბევრად უფრო ადრე იღებს სამონაწილებილ მაცხოვარიც; რადგან სიბრძნის მტროფობით და სწავლის მოწადინებით ეჭვს შეტანა წინასწარვე განსახლერულია ხალვთო წერილის საძიებლად შეგონებულისათვის; მეორე მხრივ, ესე არცერთი მცირე ნიშნით, არცა იოტისოდენად ცუდებრადიოდ და ამაოდ არ ჩაივლის მისთვის, ვინც წმინდა წერილი წარსაწემედად მონიშნა და დახანა, დაუჭირებლად რომ არ აღმონიწილიყო მათ შორის, ვინც წინასწარვე მზაკერულთ რითმე საფანელთი სულიწმინდის გამოემძიებლნი არიან. ახე რომ უკიდურებად საჭირო იყო ეგზომ ძალად ყოფნა ახეთთა შორის, თუ ხირთულეთა დამლუკა გველოდა და ქეშმარიტების მათ შორისვე შეტენა. თუ თვით პავლემ, ამა სოფლის დიდმა მოძღვარმა, რომელმაც მთელი გონება მოახმარა ხალვთო გონებითთა ზედვითა უღრმესი საფუძვლის ძიებას, ესლა თქვა: „მ ხიღრმე სიმდაიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისა! ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი“¹. ხოლო მით უფრო გამოუძიებლნი არ არიან პავლეს სიტყვითა მხმენელთათვის? მათი ძიება, ერთი მხრივ, მისაწვდომიცაა ღმერთშემოსილისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, გამოძიება და გამოსაკვლევად დათმობა შეუძლებელია. საქებელი ხარ შენც, ჩემთა მეგობართა შორის უმშვენიერესო, ვისთვისაც განურჩევლობის და გულგრილობის დაყვედრება მაინც ბევრად უფრო უპრიანია. მაგრამ რაღად მისტიროდი წმინდა ელჩობას, რომელსაც ის ხელა უნდა გაერკვია; რად მისტიროდი მოხეთა და აარონთა, რომელთაც ღვთის პირად მართებულად უხმობდნენ, მქუხარეთა იოვანეს თანა და პავლეს თანა-მესაყვირეთა, წმინდა წარმოდგენების სცენაზე განწყობილთა და დადგრომილთა და ხალვთო აღთქმის მომტანთა. ჩვენ, მატყრიანურს და ნივთიერს დაქვემდებარებულებმა, სიცოცხლის მეტი წილი ისე გავატარეთ, რომ ჩვენს დასაქცევად შემოჭრილ და ხამბრძანებლო მძიმე და უსინარულო ჩვეულებებს ვემონებოდით; თითქოს ფეხზე სანდლის კარგად მორგებაში ყოფილიყოს საქმე, და არა ტოვის ზელახლა შემოსარტყლვაში /ანუ ზელახლა სიქალწულის შეტენაში/, თუ არ დაგაყოვნებდით და სილის გასაწნავად შევეუშვერდით ლოყას სამეფო ხახლში გაზრდილ მონებთან ერთად, როცა მთვრალნი აბუჩად აგვიგდებდნენ და მისი მიზეზით შეურაცხვეყოფდნენ, ვინც ფილოზოფიაში მესაყვის სანდლებით მოვიდოდა². თავის დროზე ამას გამოვაპარებთ, რასაც გარეშე

¹. რომელთა მიმართ, 11,33.

². აქ და შემდგომ აზრის გამოსაკვთად ღვთისურ თარგმანაც ვამეულებთ.

ფილოსოფიაში მიმოვაბნევთ. ჩვენ, ვინც წმინდა ღვთისმსახურების განმარტებლებად დაგვსხი, წმინდა საქმეთა მოძღვრებად აგვიჩიო — უწმინდური? ამ მიზეზით მე მმართველად შენი თხოვნის წილ დამეხსო ბჭენი სასმენელთა და სახლისანი. მაგრამ, რამდენადაც მეგობრობა გვაკავშირებს, არც შენ გაგვიცხავენ, რომ ასეთ გადასახადს გვაკისრებ, არც ჩვენ ვიქნებით შეგინებულნი, თუ ხელს მივყოფთ ასეთ დიდ საქმეს. ხოლო თუ რასმე შეუსაბამოს ვიტყვი, შენ ყოვლადი მიხვედრილობით შეცნეულად რა გამოარჩევ ურიგოდ და უადგილოდ ნახმარ სიტყვას, ან ცაცხლს მიეც წიგნი, ან

„ტალღას ზღვისას აზავებულს“¹.

და თუ სიტყვა მწყობრი იქნება და მოხმენის ღირსადაც მიიჩნევ, შენს სიმაღლეს შეეფერება, რომ უფრორე გულმოდგინენი მას აზიარო. დე, ესმათ კვლად ლაპარაკი ბალაამის სახედარისა².

და იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისხა ხულითა და ძალითა ელიაშისითა. ამის დამწერი ლუკა არის მოციქული, მოწაფე, დიდი პაპლეს მოწაფე და თანამოწაფეც და მთელი ქვეყნის მოძღვარი, ჯეროვანი და მდაბალი მეისტორიე, რიტორი ფრიადი მწერლობაში. მოუბარია ანგელოზი ღვთისა; იგი ეუბნება ზაქარიას დიდი მქადაგებელის და მისი სიტყვის ძალმოსილი ხმოვანების შესახებ, წინასწარ აუწყებს, რომ დაებადება ყრმა, განმარტოების მეტრფე, ამა სოფლის საქმეებს არ გაეკარება, არც ღვინოს შესვამს, არც თაფლუჭს, ვითარცა სახელოვანი სამფსონი, და დედის წიაღიდანვე აღივსება სულიწმინდით და, რაც მთავარია აქ, მისი წინამავალი იქნება ელიას ხულით და ძალით. προειλεσεται ომონიშია; ხშირად ხმარებული გამოცდილთა მესიტყვეთაგან, იგი წინამავლობაზე მიგვანიშნებს იმავე აზრით, რა აზრითაც მხედრისაგან მხედართმთავრის წინამავლობას ვიტყვი და ხელისმომკიდისაგან ნეფისას და ქვეშეკრდომისაგან მთავრისას. დამოწმდება სიტყვა ვითარცა ზედწოდება „წინამორბედი“, რადგან წინამავლობისა და წინამორბედობისაგან სახელდებულ არს წინამორბედად /პროდრომოსად/. სამი გარემოების მიხედვით განიხილება იოვანეს წინამავლობა: პირველი დაბადებაა, შობილი იყო ქრისტეს უწინ; იგულისხმება მეორე შობა, განხორციელება. მეორე გარემოება სიკვდილია და ჯოჯოხეთს შთახვლა, რადგან პირველი აღმოვიდა იქიდან იოვანე, უქადაგა რა ჯოჯოხეთს მყოფთა, ვფიქრობ, მომავალის შესახებ. მესამე არის ქადაგება და „შეინანეთით“ უფლის გზათა განმზადების წინასწარი ღაღადისი. ეს მესამე გარემოება წი-

¹ კომპროსი, ილიადა, II, 200.

² რიცხვათა, XXII, 28: „რამე ვიყავ შენ, რამეთუ მეც მე? ესე სა-გზის ყო“.

ნამორბედად სახელდება ყველაზე უკეთ განსაზღვრავს, რადგან დაბადებით წინა-უსწრო ქრისტეს წინასწარმეტყველმაც, მაგრამ არ მოხულა ელიას ხელით და ძალით. ან რა მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში, ქრისტეს თანამედროვე იქნებოდა თუ უწინარესთა მამათა მისთა. ვინც წინა-უსწრო სიკვდილით, წინამავალ ექმნა არა ასე, ელიას ხელით და ძალით. ანუ რა აქვთ საერთო ჰეროდესგან თავმოკვეთილს და მას, ვისაც სიკვდილი გემოთი არ უხილავს. მათს შუაში წინამავლობა ვთქვით და ამის მიხედვით უნდა განვმარტოთ.

რომ „*πρωελεσθηται*“ წინამავლობას აღნიშნავს, ამას მომდევნო სიტყვებიც ცხადყოფენ. თქვა „*πρωελεσθηται*“ და დასძინა „წინაშე მისხა“, რითაც ნათლად გამოკვეთა „წინამავლობის“, „პირველად განხლვის“ მნიშვნელობა...

და იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისხა ხელითა და ძალითა ელიაჲსითა. ხულად ითქმის ხულიწმინდაც, რომელიც ანაწილებს მადლთა, ცხებულად შეიქმს წინასწარმეტყველებს და მოციქულებს აღირჩევს. და ხულადვე ითქმის მისგან მიღებული ყოველი მადლი, როგორც არის ხული შიშისა, სიბრძნისა, ხული აქვს შვილებას და სხვ. ამგვარად, ხულითა ელიაჲსითა, ვფიქრობ, ან მიგვანიშნებს წინასწარმეტყველების მადლით შემოსვაზე, რადგან წინასწარმეტყველნი არიან ორნივე: იოვანე და ელია – და წინასწარმეტყველთა შტონი; ან მათი ცხოვრების და მოქალაქობის ზახიათს აღნიშნავს, რადგან, ვითარცა თეზბიტელი, მთიელი იყო ზაქარიას ძეც; ან, რასაც უფრო შესაძლებლად ვთვლი, აქ შურის, დაშურების, გულმოდგინების ხულს მიგვანიშნებს სიტყვა, რადგან ორივე წინასწარმეტყველში სწორედ ასეთი შურის და მოწადინების ხულია და თვით მოქალაქობით გამორჩევის და განსხვავებულობის მნიშვნელობა და აზრიც ამაში მდგომარეობს; ხათითაოდ გამოკვლევის შედეგად მკითხველებს ეს დასკვნა გამოგვაქვს, თუ ინებებთ. ელია კარმელოსში დამკვიდრდა, კაცი ულაზათო, შესახედავად სწორედ რომ ნადირის მსგავსი, ფაჩნიერი, ვითარცა ესაუი. იოვანემ რაღა ქმნა თავის ქალაქში? ღვინოს და თაფლუჭს შეექცეოდა? გააპარსა? არა და არა. მაშ, ური უგდე ანგელოზის სიტყვებს: დიდი წარდგებაო უფლის პირისპირ. არათუ არ შეექცევა ღვინოს და თაფლუჭს, ხულიწმინდითაც აღივხებაო ღედის წიაღიდანვე. დიდი ეწოდა იოვანეს, რომელსაც ეხილა ნაწინასწარმეტყველვეი ქრისტე. და განა არ იხილა იგი ელიამ, როდესაც ფერნაცვალებს ესაუბრა თაბორზე? ელიამ დაბეჭდა ცანი, ადამიანთა ბოროტების გამო ღმერთის საწადელი შურიით აღვსილმა. ზოლო იოვანემ განხსნა იგინი „შეინანეთით“. ელიამ წყალი დამოადინა ციდან, იოვანემ კი წყალი ცად აღზიდა, უფრო უჩვეულო, აშკარაა, ჩემი მაცხოვრის - ქრისტესი - ზესთაცისიერი თავი. შენ ელიას რქას მახსენებ? ხა-

ნაცვლოდ ამისა იოვანეს წაღდს მოგაგონებ, უნაყოფო ხეების გასაკაფად რომ არ იხმარა, თუმცა იქაღოდა. შენ ელიას ცხერის ტყავს იტყვი? მე იოვანეს ტოვას მოგაგონებ, აქლემის თმისაგან თხზულს. სხვაც მაქვს — თავის უფრო მეტად მოსაწონები. დე, დააბრკოლოს ჩემდამო რისხება ღმერთის სიყვარულით მოშურნემ. თუ იქ ხორცია და პური და ნადიმის მსახური და დიდი ფუფუნება და შვება ელიას ირგვლივ, აქ ველური თაფლია და ხეთა ნაყოფნი, რომლებსაც შეექცევა იოვანე, როდესაც სხეულს შველა სჭირდება. ამან განახმო ნაწილობრივ იორდანე და ამანაც, უწინარეს მეწამული რომ განაპო მოსემ და შემდგომ თავად თეზბიტელმა იორდანე მოკვეთა მეწამულს, იორდანეზედ განიყრა ხელი. ამხილა და გაკიცხა ელიამ მრუში აქაბ მეფე, როდესაც ეს უთხრა მეზობელი ნაბუთეს კენახისათვის: არა ჯერ-არსო შენდა დაპყრობა მეზობლის კენახისა. და ამხილა და გაკიცხა იოვანემაც მეფე ჰეროდე, რომელიც საკუთარ რძალთან მრუშობდა, და უთხრა: არა ჯერ-არსო შენდა გვხვას ცოლი ფილიპესი, ძმისა შენისა. ელია იეზაბელმა განდევნა და ლტოლვილობაში პოვა ხსნა წინასწარმეტყველმა. იოვანეც განდევნა ჰეროდამ, მძავემა დიაცმა, მისი სურვით გარდარეულმა, რადგან იოვანეს სიტყვათა ელკარებას ვერ გაუძლო, და, ითხოვა რა მისი თავი, ბიწიერი როკვის ჯიღოდ მიიღო; თანახმად განგებისა, იოვანე ქრისტეს წინ უნდა მომკვდარიყო, რათა ჯოჯოხეთში მყოფთათვისაც მზე ეხარებინა ცისკრის ვარსკვლავს. ელიას სიტყვით მხედარნი აღესრულნენ, იოვანემ სიტყვით თითქოს გააცოცხლა მხედარნი, რა შეაგონა: „ნუვის აჭირვებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ და კმა გეყავნო როჭიკი თქუენი“¹. იგი ხომ თეზბიტელზე უფრო მშვიდი იყო და ყოვლად მშვიდის უფრო ახლობელი. აღადგინა ელიამ მკვდარი ყრმა და მოიქცა ყრმისადვე მისი ხაფშინველი. აღადგინა იოვანემაც, ჯოჯოხეთს მყოფმა, აღამიანთა მრავალი სული, რათა მალედ მომავალს შეკვებებოდნენ, მოაქცია იგინი და დაალოდინა. გარდამოაგდო ელიამ ცეცხლი ზეცით და შეჭამა იმ ცეცხლმა მსხვერპლი და მრგულიად შესაწველნი. ხოლო იოვანეს არ გარდამოუგდია; გარდამოსული ზეგარდამო უშრეტი ცეცხლი აჩვენა, რომელი არცა მსხვერპლსა სჭამდა, არცა მრგულიად შესაწველთა, არამედ ბზე დაწვა, — ცოდვისაგან ამონახეთქი ნიეთი, რომელიც სუბუქად განიბნევა. ცეცხლად ღმერთს იტყვის, ცოდვათა შემწველ ცეცხლად. არ შეუწირავს მსხვერპლად კრავი, არამედ უწინ შეუცნობელი გააცნო ხალხს: აპაო, იტყვის, კრავი ღმრთისა, იგი დაიდრიკაო სოფლის ცოდვით. და რას დასძენს? „აპა, ეტლნი ცეცხლისანი და ცხენნი ცეცხლისანი... და აღიტაცა ელია ძრვით ზეცად“². და განა ცეცხლისა არ იყო იოვანეს საგვარო

¹. ლუკა, 3, 14.

². IV მუხუთა, 2, 11.

ეტლი, რომლითაც ცად ავიდა? მოწამეობით და სისხლის დადენით განა ცეცხლის მეტლედ არ მივიღეთ? არ კმაროდა, შეხებისათვის იმ ღვთიური ცეცხლისა /რომლის გაკარებასაც თივა ვერ უძლებს/ ცეცხლოვანი ეტლით სრბოლა გვეწოდებინა? საესებით შესაძლებელი იყო.

მშვენიერად არის ნათქვამი, რომ იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისსა ხულითა და ძალითა ელიაჲსითა. მაგრამ მე აქ სიტყვა შემომაკლდა, რომ განემარტო, თუ რატომ დასაჯა ანგელოზმა უფლისამ სახარებისადმი უნდო ზაქარია დადუმებითა და უენობით, და არა სხვა რამ სახეულით. დაეფიქრდი და გამოსავალს საპასუხოდ შემდეგში ვხედავ: ჩვეულებრივ, ხმამაღალი ღალადების მოსურნენი ჯერ ხელს მოითქვამდნენ, საკმარის ხანს დადუმებოდნენ ხოლმე, რათა შემდეგ მეტის სიძლიერით ამოეღოთ ხმა და, რა თქმა უნდა, მკაფიო მეტყველება ჰქონოდათ. ვფიქრობ, ზაქარიაც ხმამაღალი ღალადების წინ ჯერ უნდა დადუმებულიყო, რომ შემდეგ, როგორც შეჰფეროდა, საკვირველი ხმა აღმოხდომოდა.

უბრძნესო ნაზირეველო, იქნებ ეს ეჭვის გასაფანტად დაგჭირდეს. თუ რამ გეამება, მაღლი ღმერთს; და თუ არა, აქ გამოსვლა სხვა ჰეფესტოსს მიანდე.

მიქელ ჰსელოსი

განმარტება „ქებისა ქებათაისა“

წინასიტყვა

ბიზანტიურ ლიტერატურაში იშვიათად თუ მოიძებნება ავტორი, რომელიც იმდენს ჰყვება თავის თავზე, რამდენსაც მიქელ ჰსელოსი, ავტორი, რომლის პიროვნული თვითშეგნება ისე მკაფიოდ იკვეთება მის თხზულებებში, როგორც ჰსელოსისა. ეს გარემოება ერთი მხრივ აადვილებს XI საუკუნის ამ გამოჩენილი თეოლოგის, ფილოსოფოსის, რიტორისა და სახელმწიფო მოღვაწის პორტრეტის დანახვასა და მისი მსოფლმხედველობის მთლიანობაში წარმოდგენას, მეორე მხრივ კი ართულებს, რაკი მის მიერ დახატული ავტოპორტრეტი, ზოგის აზრით დამახინჯებული, ზოგისა კი - უბრალოდ, იდეალიზირებული, რბილად რომ ვთქვათ, ობიექტურობასაა მოკლებული და სახდო არ არის. განსაკუთრებით გართულებდა ეს იმ მოკლე შესავალში, რომელიც უნდა დაერთოს მისი დიდი და მრავალფეროვანი შემოქმედებიდან აღებული თხზულების ძალიან მცირე მონაკვეთის თარგმანს. მაგრამ ჩვენ მაინც ვეცადოთ ჰსელოსის რამდენიმე თხზულებისა და მათ ავტორზე დაწერილი არცთუ ისე ფართო ლიტერატურის მიხედვით მცირეოდენი წარმოდგენა მაინც შევიქმნათ ბიზანტიის ისტორიისა და კულტურის ამ უსათუოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ რთული, ტრალიზმითა და წინააღმდეგობებით აღსავსე მოღვაწის შესახებ, რომელიც თავისი ბიოგრაფიითა თუ შემოქმედებით ძნელად თუ იმსახურებს ვინმეს ხიმპათიას.

მიქელ, ერისკაცობაში კონსტანტინე ჰსელოსი დაიბადა 1018 წელს, კონსტანტინეპოლელი საშუალო მოხელის ოჯახში. ხუთი წლისა, როგორც მიღებული იყო, სკოლაში მიაბარეს, რომლის დამთავრების შემდეგაც, სწავლის გაგრძელების გარეშე, მას იმის შესაძლებლობა მიეცა, რომ ნელ-ნელა შამის თანამდებობისთვისაც მიეღწია. მაგრამ ბავშვის ნიჭმა, მისმა სწავლისადმი სიყვარულმა და, კიდევ უფრო მეტად, ღვდის სიზმარმა, რომელშიც იოანე ოქროპირი შვილის წინამძღოლობას და მფარველობას ჰპირდებოდა, მშობლები აიძულა ჰსელოსისთვის

სწავლა გაეგრძელებინებინათ. არა გვერია, მიქელ ჰხელოსის შემდგომი მოღვაწეობა იოანე ოქროპირის იდეალებით იყო სთავონებული, მაგრამ, ასეა თუ ისე, ღრმა და ფართო განსწავლულობა იყო ის მიზეზი, რამაც ჰხელოსს ხაერო თუ ხასულიერო მოღვაწეობის კარი გაუხსნა. განსაკუთრებული დამსახურება იმაში, რომ 19 წლის ჰხელოსს უკვე ათვისებული ჰქონდა მთელი იმპაშინდელი ცოდნა ანტიკური და ბიზანტიური კულტურის შესახებ, მიუძღვის იოანე მავროპუსის სკოლას და იქ კითხვა-პასუხის პრინციპზე აგებულ სწავლების ტრადიციას, რაც, შემდგომში, როგორც ჩანს, საქართველოში დაარსებულმა გელათის და იფალთოს აკადემიებმაც აითვისეს და სწავლების წესად აქციეს. სკოლის დამთავრების შემდეგ ჰხელოსი ორ წელიწადს თემის მოხამართლედ მუშაობდა პროვინციაში, მაგრამ ფართო გაქანებამ და, ამავე დროს, პატივმოყვარეობამ იგი მალე ხასახლის კარს დააახლოვა და ჰხელოსი, რომელიც შემდგომ მკაცრად აკრიტიკებს მდაბიოთა უუცარ აღზევებას, ხულ მალე თვითონ ხდება პირველი ორატორი ხასახლის ყველა ცერემონიალზე, ფილოსოფიის იპატრონობას იღებს კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტში და ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრია პირველი მინისტრის, კონსტანტინე ლიხუდეს ირგვლივ შემოკრებილი ინტელექტუალების წრისა, ასე მნიშვნელოვან როლს რომ ასრულებდა კონსტანტინე მონომანხის დროის ბიზანტიის სახელმწიფო პოლიტიკაში. ამის შემდეგ ჰხელოსი, ერთადერთი თავის თანამედროვეთა შორის, შვიდი იმპერატორის დამხობასა და ტახტზე ასვლას უძღვებ და 30 წლის მანძილზე /თუკი რამდენიმე დაცემას არ ჩავთვლით, რასაც სწრაფი აღდგინება მოსდევდა ხოლმე/ იგი იმპერატორის კარის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა. ის ყოველთვის იმპერატორის გვერდითაა: ფილოსოფიური საუბრებით ატკობს /საუბრებით, რომლებიც ყოველთვის შეეფერებიან მსმენელთა სრულიად განსხვავებულ სიმპათიებს/, განაცვიფრებს თავისი ცოდნით მეცნიერების სხვადასხვა დარგში /და ამ დროს საოცარი თვითდარწმუნებულობით ეკამათება ამა თუ იმ საქმის სპეციალისტებს, მაგ. ექიმებს/, შუამავლად ეგზავნება მოწინააღმდეგესთან მოხალაპარაკებლად /და მდგომარეობის შეცვლასთან ერთად, მოლაპარაკების პროცესშივე, მოპირდაპირე მხარეს გადადის/, უძღვის ხობებს, რომელნიც ყოველთვის როდი არიან გულწრფელნი, განმაქიქებელ სიტყვებს წერს მათი მტრების წინააღმდეგ, სიტყვებს, რომლებშიც უამრავ ტყუილს ურევს და რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ძალიან მალე მიაქვს უკან. და, ბოლოს, თვითონვე ზრდის იმპერატორს - მიქელ VII-ს. ამგვარი ფაქტები ჰხელოსის ბიოგრაფიიდან ყოველთვის იქცევა ხოლმე ყურადღებას ამ მოღვაწით დაინტერესებულთა შორის და თითქმის ყოველთვის უარყოფით რეაქციას იწვევს მისდამი. თუმცა არც ისაა მხედველობიდან გამოსარჩე-

ნი, რომ იგი არასოდეს არაა ბიზანტიის სახელმწიფო პოლიტიკის წამყვანი ფიგურა და სწორედ ეს და არა მისი კონფორმისტული სახიათი, ბიზანტიელი პოლიტიკოსის არცთუისე იშვიათი თვისება, მიაჩნია ლუბარსკის პსელოსის არაორდინალური ბედის მიზეზად /Михаил Пселл. Хронография, გვ. 207/.

ცხოვრების ეს გზა, რომელიც ჩვენ გვაკვირვებს, თვითონ პსელოსისთვის განხორციელება იყო იდეალური სახელმწიფო მმართველობისა: პარმონიულ სახელმწიფოში წონასწორობა და წესრიგი უნდა დაეცვა მეფეს, რომლის მოღვაწეობაც ბრძენი ფილოსოფოსის მიერ უნდა წარმართულიყო. ასეთ ფილოსოფოსად მას, რასაკვირველია, თავისი თავი მიაჩნდა და, როცა იმპერატორები მის აზრს არ ეთანხმებოდნენ, პსელოსი იძულებული იყო ხოლმე მონასტერში წასულიყო, სადაც ეს, დედაქალაქის ამათ ცხოვრებას მიჩვეული კაცი, უცხოდ და გარიყულად გრძნობდა თავს.

ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად ბრძნულ რჩევა-დარიგებას აძლევდა პსელოსი თავის მმართველებს, მაგრამ ის, რომ იგი მართლაც უკიდევანო ცოდნის პატრონი იყო, ფაქტია. მის უშველებელ მემკვიდრეობას შეადგენს ტრაქტატები ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიაში, ღმერთოლოგიაში, გრამატიკაში, მითოლოგიაში, მედიცინაში, სამხედრო საქმეში, ფიზიკაში. ამათგან მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მის ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო ტრაქტატებს, რადგან სწორედ აქაა მოხალოდნელი, რომ იგი უკვე არსებულ შეხედულებათა გადმოცემას გასცდეს და საკუთარი, ორიგინალური მოსაზრებები შემოგვთავაზოს. თუმცა ხშირ შემთხვევაში ასე არ ხდება და ამიტომაცაა, რომ ბოლო ხანებამდე მას მხოლოდ კომპილატორის სახელით იცნობდნენ, ფილოსოფოსად, რომლის შემოქმედებაც ისეთივე უპრინციპოა, როგორც მისივე სახელმწიფო მოღვაწეობა. მაგრამ თანდათანობით, რაც უფრო მეტად იკვლევენ პსელოსის შრომებს, მათში ორიგინალურ მეტაფიზიკურ სისტემასაც აღმოაჩენენ, არისტოტელეს ღრმა და საინტერესო ანალიზსა და კრიტიკასაც, პლატონისა და პლატონიზმის აღორძინების ცდასაც. თუმცა, ყოველივე ამის შესახებ უფრო კონკრეტული და სერიოზული მსჯელობა ჯერ კიდევ წინაა და მისი უშველებელი მემკვიდრეობის ათვისებასთანაა დაკავშირებული. მანამდე კი ალბათ სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ იგი „განვითარებული სქოლასტიკის წარმომადგენელია, რომელიც მიზნად ისახავს ქრისტიანობის სამსახურში ჩააყენოს მთელი ანტიკური მუცნიერება“ /შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები. ნაწ. I, გვ. 190/. მაგრამ აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ ის, თუ რამდენად ახორციელებს პსელოსი ამ მიზანს, ასევე ცალკე კვლ-

ვის საგანია, ყოველ შემთხვევაში, მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა დამოკიდებულება მისდამი დაფიქრების საფუძველს იძლევა.

წინამდებარე თარგმანი, რომელიც მინის პატროლოგიის ტექსტიდანაა შესრულებული /ტ. CXXII, col. 540-686/, წარმოადგენს ნაწვევტს მისი საკმაოდ ვრცელი კომენტარისა „ქება ქებათას“ ტექსტზე, რომელშიც ერთმანეთის პარალელურად არის მოთავსებული, ერთი მხრივ, სამი წმინდა მამის (რომელთაც ტრადიცია გრიგოლ ნოსელთან, ნილოს ანკვირელთან და მაქსიმე აღმსარებელთან აიგივებს) მოკლე პსელოსისეული შეჯამება და მისივე პოლიტიკური ლექსით დაწერილი კომენტარი. ჩვენ ვთარგმნეთ განმარტება ტექსტის იმ მუხლებისა, რომელთა კომენტარებიც, შესრულებული თეოდორიტე კვირელის მიერ, უკვე შესულია ამავე კრებულის I ტომში, რაც, ვფიქრობთ, მკითხველს მცირედენ წარმოადგენას მაინც შეუქმნის ბიბლიის ამ ყველაზე მეტად საკამათო ტექსტის კომენტარების ტრადიციაზე, თითოეული ავტორის განმარტების სტილზე და მასში მოცემული მოსაზრებების ურთიერთშედარების საშუალებასაც მოგვცემს.

„ქება ქებათას“ განმარტება

„შე ვარ მე და შუენიერ, ასულნო იერუსალიმისანო, ვითარცა საყოფელნი კედარისანი და ვითარცა კარაენი ხოლომონისნი“.

სამი წმინდა მამა

ამრიგად, ქრისტეს ეკლესიის სძალი წარმართებსა და იუდეველებს შეუერთდა. წარმართნი, უწინაც სრულიად შუქმოკლებულები, ჭეშმარიტების ნათებით ჯერაც ვერ გაებრწყინებინათ სჯულსა და წინასწარმეტყველთა წიგნებს. ისრაელელნი კი, ამათ მიერ უკვე ნათელმოსილები, სიმშვენიერეს ნაზიარებნი იყვნენ. აი, ამ ორ მხარეს წარმოუდგენს სძალი თავის ფიქრებს და ამბობს: „შე ვარ მე და შუენიერ, ასულნო იერუსალიმისანო“. შავი — რადგანაც წარმართთაგანი ვარ, სრულიად შუქმოკლებული და წარმართული ღვთისმოსავობის სიბნელით გარემოცული. მშვენიერი კი ისრაელელთა გამო, სჯულისა და წინასწარმეტყველთა მიერ ღვთისმოშიშების სიმშვენიერით შემკული. შემდგომაც იგაგებრივად განაცხადებს უშაგესობას და სიმშვენიერეს: „ვითარცა საყოფელნი კედარისანი და ვითარცა კარაენი ხოლომონისნი“, ანუ — როგორც სიბნელის მკვიდრი, მეც შავი ვარო წარმართობის გამო /კედარი ხომ სიბნელის სახეა/, ისრაელისგან გამოსულობის მიზეზით კი — მშვენიერიო, მშვიდობიანი მეფის საყოფელივით /რაკი ტყავი საყოფელის, ხო-

ლო სოლომონი მშვიდობიანობის სიმბოლოა, ყოველად მშვიდობიანი კი არის ხკულითი წინასწარმეტყველებითი სიტყვა, რომელიც ისრაელზე მეუფებს და მისგან ღვთისა და მოყვასის სიყვარულს მოითხოვს/. მიმართვა - „ასულნო იერუსალიმისანო“ - თუშკა წინ უძღვის სიშავის და სიმშვენიერის პირველსახეთა ხსენებას, მაგრამ შემდეგი სიტყვებით გადმოცემულ აზრს უკავშირდება: „ნუ მხედავთ მე, რამეთუ დაშაკებულ ვარ“ და ამით ამბობს, რომ ეკლესიის ერთი ნაწილი მეორის წინაშეა წარმდგარი /უეჭველია, რომ წარმართები - ისრაიტელთა წინაშე/. იერუსალიმის ასულნი არიან ისინი, ვისაც ისრაელიდან გამოხულებიანა სწამდა და წარმართებს არ იწყნარებდა. იმ შფოთისა არ იყოს, დასაწყისში რომ ატყდა მოციქულთა თავის, პეტრეს წინააღმდეგ, როცა მან კორნელიე შეიწყნარა, და მანამ არ შეწყდა, ხანამ თავად პეტრესგან არ შეიტყვეს ტილოს ზილვის შესახებ. აღმაცურად უყურებენ ისრაიტელნი თავისი სიშავის მსურველ წარმართთა ეკლესიას, რომელიც ამის გამო არ განიკვეთა მათგან. ამ სიტყვებს ეუბნება სძალი იერუსალიმის ასულთ და შემდგომ გაშაკების მიზეზსაც აუწყებს: რამეთუ უგულვებელს-მყო მე სიმართლის მზემ, უღმერთობის ღრუბელმა შემომიცვა მე, ღვთისმეტყველების სხივებმა არ დაუშვეს ჩემი გაბრწყინება იმით მსგავსად, ვინც ხკულითა და წინასწარმეტყველებით ღვთისმეტყველებაში არიან განსწავლულნი.

ახლისი

ამას ეუბნება სძალი ანგელოზებს, რომელთაც წმიდა წერილში ხიონის ასულები ეწოდებათ: „შავ ვარ მე და შეუნიერ, ასულნო იერუსალიმისანო, ვითარცა საყოფელნი კედარისანი და ვითარცა კარაენი სოლომონისინი“. ამ სიტყვებით მიმართავს სძალი ანგელოზებს უპირველეს ყოვლისა, ამდენად, სწორედ ისინი უნდა წამოეწიოთ წინ, შაირს კი არ მოეყვით და აზრი შეეცვალოთ! ისმინეთ ჩემი, ყველაზე ღირსებაშემოხილის, ზეციური იერუსალიმის ასულნო! მე ერთდროულად მშვენიერიცა ვარ და შავიცო. შავს რომ წარმოვსახავ, როგორც კედარის საყოფელს, უპირველესი მცნების გარდასვლას ვგულისხმობ /კედარი ხომ წყვდიადისა და სიბუნელის სახედ ითქმის/, მშვენიერი კი აწ სინანულის გამო შევიქნენ, ყოველდამშვიდობიან ქრისტესთან ერთად მომკედარი /აკი სოლომონი ღირსეულად მიიჩნევა მშვიდობიანობის სახედ/. შენ კი სრულიადაც არ გაკვირვებს სძლის სიტყვები - ერთსადამიპვე დროს აწ შავიც ვარ და მშვენიერიცო: ყოველ ხულს, რომელიც სათნოებისკენ მიისწრაფის და სინათლისაკენ აღსვლა სურს, მყისვე როდი ძალუქს ბრწყინვალებისა და ხიწმინდის მიღწევა; რამდენადაც მეტი შრომით მიღის იგი სათნოების-

კენ, იმდენად სცილდება სიბნელის საცდური და ბრწყინვალე და კაშკაშა ხდება. შემდეგ სძალი იმავე ასულთ ეუბნება: „ნუ მხედავთ მე, რამეთუ დაშავებულ ვარ, რამეთუ უგულვებელს-მყო მე მზემან“. ნუ მიმიჩნევთო, ამბობს, ჟამად და ბნელად და შავად შექმნილად, რადგან შექმნილი ვარ ბრწყინვალედ შემოქმედისაგან ჩემისა, მაგრამ კაშკაშა მზემ, განსაცდელთა დუღილმა საშინლად უგულვებელს-მყო მე და დამაშავა. შემდგომ განგვიმარტავს, რატომ შეხედა ამას აღმაცერად სიმართლის მზემ.

„ძენი ღელისა ჩემისანი მლაღილეს მე ღამადგინეს მე მცველად კენახისა. საკენახე ჩემი არა დავიცვე“.

ხამი წმინდა მამა

ამრიგად, მათ, ვინც განუდგა ყოველთა დედას, მყოფთა სიბრძნის მიზეზს, მისკენ არ წამიყვანეს, რადგან მოვტყუვდი ხილულთა გარეგნობით: მწვალელებმა, რომლებიც სხვადასხვაგვარად წარმომიდგნენ, ათას წვალებად დამანაწილეს. შემდეგ – „ღამადგინეს მე მცველად კენახისა“ მათო, ვინც ერთგულნი რჩებიან ნახსენები წვალეებისა და შეურიგებელნი თავის თავთან და ჭეშმარიტებასთან. ასე მომიხდა, რადგან „საკენახე ჩემი არა დავიცვე“, არ დავიცვე ის, ვინც სახარებაში უკვე თქვა: „მე ვარ კენახი და თქვენ რტონი“ /იოანე 15. 15/ – მხოლოდშობილი ძე ღვთისა და სიტყვა, რომლის ხატადაც შეიქმნა კაცობრივი ბუნება და რომელსაც ყოველივეში, როგორც ყველა ქმნულთა ნაზავი, ერთგვაროვნად აქვს დაცული ღოგოსები. ამრიგად, სძალმა ვერ დაიცვა ერთი ღოგოსიც კი საკუთარი ბუნებისა. მრავალ წვალებად დანაწილებულმა და მრავალი ღმერთის თაყვანისმცემელმა ვერ დაიცვა საკუთარი კენახი. ამდენად, აღარც პირდაპირ, ყოველობის, როგორც ხატის მესვეობით იხილვება პირველსაზე და არც მიზეზონანის მესვეობით – მიზეზი.

ახელობი

შემდგომ სძალი ამბობს: მე მებრძვიანო და და დამნაშავედ წარმომსახვენ განდგომილი ღემონები. ამბობს, რომ ისინი მისი დედის ძმები არიან და ყოველივე სხვასთან ერთად ღვთისაგან შექმნილნი. რადგან ყველა ქმნილება ქვეყანაზე – ანგელოზები, ადამიანები, ღემონები, ქვეები, ძმებივით ვართ შემოქმედების ღოგოსებისა: ყველანი ხომ ყოვლისშემოქმედი ღვთისაგან ვართ შექმნილნი. შემდგომ საბრძოლო კილოთი ამბობს: „ღამადგინეს მე მცველად კენახისა. საკენახე ჩემი არა დავიცვე“. მე, ხამოთხეში შექმნილმა და დანერგილმა, რათა მცნება დაშეცვა და ნა-

ყოფი უკამოდ არ შეგემა, სჯული არ დავიცავე, მცნებას გარდავედ. და სწორედ ამას ტირის იგი ანგელოზების წინაშე.

„მითხარ მე, რომელი შეგიყვარა ხელმან ჩემმან, ხადა ჰმწყესი, ხადა დაწვეინნი შუკა ხამხრის. ნუუკუე ვიქმნა მე, ვითარცა ვინ გარემომიცვა კოლტსა სხვისასა.“

ხამი წმინდა მამა

ჩემო საყვენახვე, რომელსაც მე მრავალმერტიანობის ხაცდურმა მომწყვიტა და რომელშიც ახლა რწმენით ვარ დანერგილი, „მითხარ მე, რომელი შეგიყვარა ხელმან ჩემმან“: გრძნობათა გამოვლენის აღმატებულობით და გასაგონოთა ლოგოსების ჭერეტით ჭეშმარიტებისაკენ მიმავით სძალი კეთილად მხედველთ. „ხადა ჰმწყესი“ შენ, რომელიც ხათონებით აპურებ და შემეცნებით, მარადმდინარი წყაროს ცხოველი წყლით უკლავ წყურვილს გონისმიერ ცხოვარს. რადგან შენა ხარ არა მხოლოდ ვენახი, არამედ, როგორც სახარებაში წერია, მწყემსი კეთილი, ცხოვართათვის ხელის დამდებელი /ინ. 10.11; 10.14-15/. „ხადა დაწვეინნი შუკა ხამხრის?“ ჩქარა მითხარი, ხად მწყემსავ, ხად წყებო შენ, სიტყვავე, რომელიც ხელმა შეგიყვარა. სამხარზე ხომ არ დაწვებო, სიძევე. გემუდარები, უბიწოდ დამტოვო შენს სამხარზე, რადგან მიუწვდომელ ნათელში სრულიად არ მაქვს ხაგრილი. აქ მწყემსავ შენს ცხოვართ, სიტყვავე ღვთისაო და შენი ხახის ნათელით ჭეშმარიტად დაწვესებ მათ, რომ იქ გიგალობონ შენ, ჩამინებულს. შემდგომ, შეშინებული, რომ მისკენ მიმავალ ბილიკს არ გადაუხვიოს, ეუბნება მას, სიძეს: „ნუუკუე ვიქმნე მე, ვითარცა ვინ გარემომიცვა კოლტსა სხვისასა?“ მაშ, ვკითხება — ხადააო შენი ცხოვართა ფარა, რადგან შეშინებული ვარ, რომ დაიმედებულმა, სირბილში, კოლტისაკენ და თიკანთა ფარისკენ არ გადაუხვიო, სრულიად არ დაეცილდე შენს ცხოვართ და თიკანთა მარცხენა კვალი მოვიმკო — შენ ხომ აღამიანთა მოდგმის მსაჯულად ხარ მჯდომარე. აი, ამ სიტყვებით მიმართავს სიძეს ქალწულებამუნახელი და მასთან ქორწინებით შეუღლებული ხელი, ქრისტესთან ერთად მსწრაფლად სიკვდილის მსურველი. შენ კი ჩემში სძალი შეიცანო, როგორც პირველხანეში — ქალწულებამუნახელი ხელი, რომელიც დიდი პაველეს მსგავსად ზეციური იერუსალიმის მესამე ცადაა ზეაწეული, ანგელოზების ცად.

ახლა კი ვნახოთ, თუ რას ამბობენ სიძის მეგობრები და როგორ მიახწავლიან სძალს სიძის სარეცელს იხინი, ვინც დასაწყისში სიტყვის ახულებად მოვიხსენიეთ. ამრიგად, წმინდა ქალწულს ეუბნებიან:

„უკეთუ არა იცნა თავი შენი, კეთილი დედათა შორის, განვედ შენ კუალხა ხამწყხოთა შენთახა და დამწყხენ თიკანნი შენნი ხყოფელხა მწვემხოთახა“.

ამბობს: ქაღწელი ხელიო, ღირხო თავჯანისცემისა. თუ გხურს მაღწიო კოლტხ ცხოვართა, შეიცან თავი შენი, ვინც შექმნილი ხარ, ვინც უწინ ხრულად არაფერი თვაი და აწ, როგორც ხატო, ღირხუბით შეიმოხე უფლისაგან. მთელს ამქვეყნიურ ხიცრუეს გაქციო და აქ მოიხილე ცხოვართა კვალი, ღიღ და ფართო გზაზე მყოფნი შეიზიხლე და შეიჯაერე, რადგან თიკანთაგანნი არან. ხოლო ვისრო ბილიტზე შემდგარნი შეიფარე და შეითვიხე, რადგან ცხოვართაგანნი არან. მაშ, ფრთხილად თვაი, თიკანთა კვალზე არ იხეტალო.

ხამი წმინდა მამა

ახე პასუხობს წარმართთა ეკლესიას მიხი სიძე, მწვემხი კეთილი: „უკეთუ არა იცნა თავი შენი“. შენ, თუ შეუცნობელი გაქცხო შენი თავი, რომელშიც შემოვიწერები შემოუწერელი, რომელშიც წარმოვინდები, როგორც ხატში პირველხაზე, რომელშიც ვალაგებ შენს უგუნურ გრძნობებს, მუქართ, როგორც კვერთხით და ბრძანებით, როგორც ხაყვირით მიმევეხარ მარადიულ ბაგაში და იქ განგისხვენებ ჩემი მჟორედ მოსვლისას, როცა უხრწნელებისა და უცოდველობის წყალობით ვნებების ჩრდილქვეშ ვეღარ მოექცევი. „კეთილო დედათა შორის“ – მშვენიერო, ჩემდამი ხიფარულისა და რწმენის გამო ყველა, ურწმუნოებით დაავადებულ და ხორციელი სიამოვნებით დახუსტებულ წარმართებში „განვედ შენო“, ანდა – რამდენადაც შენთვის შეუცნობელია, გონებით მიუწვდომელია შენი ხაიდუმლო, განვედ გონისმიერი ხიღრმიდან გრძნობებისაკენ, შენ, რომელიც ყოვლად გონიერად ხარ შექმნილი. მაგრამ, თუკი მართლაც გინდა გაიგო, ხად ვმწყემსავ, სრულებითაც არ ვმართებს ასეთი განსვლა და უგუნურებისაკენ მიქცევა. „განვედი“ ხამწყხოთა კვალზეო, განსხვაებულ ბუნებათა შინაგანი ქმედების შესაბამის ნაბიჯებს მიჰყევი, რომელთა მიერაც ხათითაოდ განისაზღვრა მამიებელი ღოგოხები დამწყხილებისა. ხამწყხოდ კი მყოფთა ბუნება იწოდება, რათა თითოეული ამათგანის წილხელომილი განგებულება ღირსეულად იქნეს მიღებული, როგორც ყოველთა წინასწარგანმკებელისა და ღმერთისმიერი. „დამწყხენ თიკანნი შენნი“ – ხავსებით ცხადია, რომ აქ მარცხენა მხარეს სწრაფვა იგულისხმება. „ხაყოფელთა მწვემხოთათა“ – ნათელია, რომ ბუნების ხაუფლო იგულისხმება: ხაკუთარი ნებით ბრუნდებითო ყველა ბოროტების უხრწნელი მიზეზისაგან ზრუნვისაკენ, რომელიც ბუნების ხაუფლოში ჭიანჭველებსა და ფუტკრებს ახასიათებს, რადგან შენც

აწმყოში ამზადებო მომავალ სიამოვნებას, როგორც ესენი – გაზაფხულზე და ზაფხულში ზამთრის საკვებს /რადგან ზრუნვის გამო სამწილი ზრუნვისაგან მოვიმკით სამართლიანობას, განმზადებას მომავალი სიამოვნებისა/. უგუნურებიდან /რაც გონებითი ძალის მიქცევაა იმისაგან, რაც ბუნების შესაბამისია, იმისაკენ, რაც ბუნებას ეწინააღმდეგება/ გონიერებისაკენ, გველის გონიერების მსგავსისა – სარწმუნოების ღოგოსის დასაცავად შენც ისევე სწირავ საკუთარ თავს, როგორც გველი – ხეულს, სიცოცხლე რომ შეინარჩუნოს. რისხვისაგან /რომელიც გულისწყრომითი ძალის მიქცევაა/ უგუნებულობისაკენ, მტრედის უგუნებულობის შესაფერისისა – შენც ისევე ვერ უკუგაგდო მტრების წინააღმდეგობამ, როგორც მტრედს, ათასხაც რომ შემოეტია, ბარტყიც რომ დაღუპოდა, ვერ უკუგაგდებდნენ თავდამხმელნი. უჩამსობისაგან /რაც გულის-სიტყვითი ძალის მიქცევაა/ სიწმინდისაკენ, რომელიც გვრიტის სიწმინდის მსგავსია – შენც, აუცილებელი საჭიროებებით ნაძულები, ისევე თავშეკავებული ეძლევი სიამოვნებას, როგორც გვრიტია ცალუღულა მშობელობის გამო.

მიქაელ ჰსელოსი ეპისტოლე-ტრაქტატი ხალვთის-მეტყველო სტილის შესახებ¹

მიქაელ ჰსელოსის რიტორიკული ტრაქტატით ხალვთისმეტყველო სტილზე წარმოვადგენთ ბიზანტიური რიტორიკის თეორიას. რიტორიკა გვიანანტიკურობიდან მოყოლებული შუა საუკუნეებშიც პოეტიკასა და სტილისტიკას მოიცავდა. ლიტერატურის თეორია და მჭევრმეტყველების თეორია განუყოფელი იყო ბიზანტიაში.

ბიზანტიური რიტორიკის თეორია არ ფოფილა თითქოს ისეთი მრავალფეროვანი, როგორც ელინური. ამის მიზეზი იყო ქრისტიანული მოძღვრება, რომლის მიხედვით მშვენიერება თავად ხალვთო აზრშია, ღვთის სიტყვაშია და არა მისი გამოსახვის ფორმაში, სიტყვაკაზმულობაში. ეს აზრი ასე აქვს გამოხატული პავლე მოციქულს: „დაღაცათუ უცებ ვარ სიტყვთა, არამედ არა ცნობითაცა“ (II კორ. 10,6), გრიგოლ ღვთისმეტყველისათვის მშვენიერება ჭერეტაშია (PG 37, carmen II, 1,39, V.51), ფოტიოსი ამას უწოდებს ჭეშმარიტების მშვენიერებას (ეპისტოლე p. 20, 1, 1, Pap.-Keram.), ჰსელოსი კი – ზეციურ მშვენიე-

¹ ეს სამრომი (წინასიტყვა და თარგმანი) შესრულდა წვენი ქრესტომათიისათვის. რამდენაღაც მკითხველს მხოლოდ სარგებელს მოუტანს მისი დაბეჭდვა, ვარდევით ქრესტომათიის წვეულურზე პირობითს ფორმას და სრულად ვთავსებთ მიქაელ ჰსელოსის ტრაქტატის თარგმანს ვრცელი კომენტარებით და შესავლითურთ, რომელიც საგნის სირთულემ და ამ საკითხებზე დაგროვილი მუცსურული ცოდნის დღევანდელმა დონემ ასე ვრცლად მოითხოვა (რედ.).

რებას და ხილიადეს (განსახილველი ტრაქტატი, §6) ან ხალვთისმეტყველო და ჩვენს მსუენიერებას (§12) და ა.შ.

ბიზანტიური რიტორიკის ისტორიას, ჩვეულებრივ, გაცილებით გვიანდელი პერიოდის მოღვაწით - ფოტიოსით (IX ს.) იწყებენ, რომელსაც კუთვნის თეორიული მოსაზრებები წმ.წერილის, კერძოდ, პავლე მოციქულის ეპისტოლეთა წიგნის სტილზე¹. ასეთი დიდი შუალედი ლიტერატურულ-თეორიულ აზროვნებაში III-IX სს. შორის აიხსნება იმით, რომ პირველი ქრისტიანი სწავლულები საფუძველს უყრიდნენ უპირველესად ახალ კულტურას, ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, ღვთისმეტყველებას. მაგრამ მანამდეც ცალკეულ ქრისტიან მოღვაწეთა თხზულებებში, განსაკუთრებით წერილებში, აქა-იქ ჩანს მსჯელობა ლიტერატურის თეორიის საკითხებზე. რიტორიკა თეოლოგია-ლოგიკასთან ერთად დაფარულად თანაარსებობდა მათ ნაწერებში². ბიზანტიური რიტორიკა იყო არა მხოლოდ სასკოლო ნორმა (ელინური განათლებიდან გამოყოფილი), არამედ ქრისტიანთათვის, განსაკუთრებით ადრეული ბიზანტიური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი სურვილის გამოხატულება, გარკვეულიყო ანტიკურისაგან სრულიად განსხვავებული ქრისტიანული მწერლობის სტილის ნორმებში და განუხაზღვრა წმ.წერილისა და წმ.მამათა თხზულებათა ფორმა, ელინური რიტორიკის წესებიდან გამომდინარე ნორმირებული გაეჩადა იგი. ამის ერთ-ერთი მაგალითია თუნდაც გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომელმაც ზოგ თავის ეპისტოლეში თეორიულად ჩამოაყალიბა წერის ნორმები (იხ.წერილები ნიკობულოსისადმი - ep. 51,54, ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათიის I ტომში გამოქვეყნებული³).

ფოტიოსის შემდეგ ბიზანტიური ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრევის ველაზე დიდ წარმომადგენლად მიქაელ ქსელოსს (X ს.) ახახელებენ. უფრო გვიან იოხებ რაკენდიდის (XIII-XIV სს.) „რიტორიკა“ ცნობილი. გარდა ცალკეული მცირე გამონაკლისებისა (გვიანანტიკური რიტორიკის თეორიის - ჰერმოგენეს კომენტატორები, არეთა IX-X სს.

¹ Amphiloehia 91-93... PG 101. G. L. Kustas, The Literary criticism of Photius. A christian definition of style. -²Ελληνικά, t.17, 1962, p. 132-169.

² С. С. Аверинцев, Литературные теории в составе средневекового типа культуры. - Проблемы литературной теории в Византии и латинском средневековье. М., 1986, с.16.

³ აქ საუბარია სათქმელზე, შინაარსზე (τα πράγματα - ep. 51) და შემდეგ სტილისტურ მახასიათებლებზე: ლაკონურობა, სიმოკლე, ზომიერება (λακωνικὴν - ep. 54; συντομία - ep. 51; τὸ μέτρον. შდრ. αμετρία - არათანაშეზომილება - ep. 51), სიეხალე (σαφύτητα ep. 51), მშენიერება, საპურობა, სიტკობება (κάλλος, χάρις, καταγλασάω - ep. 51), დახვეწილობა (καμψόν - ep. 51); ტროპებიდან დასახელებულია: ფიგურა გამონატყეპები (αἰνύματα - ep. 51) და სხვ. ფიგურებიდან: დაპირისპირება (αντιθεσις - ep. 51), სიტყვათა შეთანხმება (πάρσιον - ep. 51), ნაწილთა თანაშეზომილება (ισόκαλον - ep. 51) და მისთ.

და სხვ.) ამით ამოიწურება თითქოს ბიზანტიური რიტორიკის თეორია, მაგრამ სანამ უშუალოდ ჰსვლავს გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოტოისსა და მიქაელს შორის არის კიდევ ერთი დიდი ფიგურა - X ს. მოღვაწე ბასილი მინიმუსი (მცირე ან „უნდო“ ქართული წყაროებით), იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ წამოწვეული ენციკლოპედიური კომპილაციების განმარტოებელი, გრიგოლ ნაზიანზელის პომილიათა კომპილაციური კომენტარების ავტორი, მათი ლიტერატურულ-თეორიული (რიტორიკული) თვალსაზრისით შემსწავლელი, მაგრამ დანერვილებით ვერ განიხილავს მას, რადგან თითქმის გამოუქვეყნებელია მისი შრომები. ეს კომენტარები ეფრემ მცირისეულ ქართულ თარგმანშიც არის დაცული¹.

საგულისხმოა, რომ როგორც ბასილი, ასევე მიქაელი თავიანთ თეორიას აყალიბებენ ერთი უდიდესი ქრისტიანი წმ.მამის - გრიგოლის შრომათა საფუძველზე, რადგან მას მიიჩნევენ ნორმად და ნიმუშად ბიზანტიური რიტორიკისა. განსაკუთრებით ასე ფიქრობს მიქაელ ჰსვლავსი, რომლის თეორიულ ნაშრომებში (კრიტიკულ თხზულებებში) ყველაზე მეტად წმ.გრიგოლის სახელი და შემოქმედება ფიგურირებს, როგორც სამაგალითო ნიმუში საღვთისმეტყველო, ანტიკურისაგან განსხვავებული სტილისა. მიქაელ ჰსვლავსი გრიგოლის პომილიათა ერთ-ერთი ნაყოფიერი კომენტატორიცაა². იგი, გარდა კომენტარებისა, სპეციალურ მონოგრაფია-ტრაქტატს უძღვნის გრიგოლის შემოქმედებას - Τὸν ὑπερτίμου Ψέλλου λόγος σχεδίασθεις πρὸς Νόθον βεστάρτην ἀξίωσαντα αὐτὸν γράψαι περὶ τοῦ θεολογικοῦ χαρακτῆρος (საღვთისმეტყველო სტილის შესახებ)³ და ბასილი დიდთან, გრიგოლ ნოსელთან და იოანე ოქროპირთან ერთად ხანმოკლე მიაჩნია იგი - „სტილი გრიგოლ ღვთისმეტყველისა, ბასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა და გრიგოლ ნოსელისა“⁴.

მიქაელ ჰსვლავსის ეკუთვნის კიდევ რამდენიმე საყურადღებო შრომა რიტორიკაზე და რიტორიკის საკითხებზე, ქრისტიან მოღვაწეებზე - სვი-

1. ო. თხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარების ისტორიიდან. პრაღელთა XV, თბ., 1989, გვ. 18-31.

2. J. Sajdak, *Historia critica scholiastarum et commentatorum Gregorii Nazianzeni*, I, Cracoviae, 1914, p. 176-187.

3. A. Mayer, *Psellos' Rede über den rhetorischen Charakter des Gregorius von Nazianz*. BZ 20, 1911, s.27-100. ჰსვლავსის ამ ტრაქტატის მნიშვნელობას შუა საუკუნეებში ცხადად ვხედავთ იმდენად, რომ იგი თავად გრიგოლის თხზულებათა კრებულებში იყო ზოგჯერ მოთავსებული (იხ. ო. ხაიდაკის და ა. შაიერის დასახ. შრომები, აგრეთვე P. Levy, *Michaelis Pselli de Gregorii Theologi caractere iudicium*, Lipsiae, 1912, p. 1-21).

4. PG 122, col. 901-908. Psellos, *De operatione dacmonum*. Ed. F. Bossionade, Nuremberg, 1838, p.124-131.

მეონ მეტაფორასტზე, იოანე ქსიფილინოსზე, იოანე მავროპუსზე, იოანე იტალოსზე და სხვა¹, მაგრამ საღვთისმეტყველო სტილის განსაზღვრებას იგი მხოლოდ გრიგოლის მიხედვით აყალიბებს.

განსახილველი ტრაქტატის ერთ-ერთმა პირველმა მკვლევარმა ა.მაი-ერმა განხსნა მდიდარი ანტიკური რიტორიკული წყარო გრიგოლისა და პსელოსისა², ტ.მილერმა შეისწავლა მისი ლიტერატურულ-კრიტიკული მეთოდი, რომელსაც პსელოსი უპირისპირებს ანტიკურ რიტორთა მე-თოდს (§1). მილერის აზრით, პსელოსის სიტყვა არის ენკომია (შესხმა) გრიგოლისა, ამიტომ არ არის მასში ტექსტის ანალიზი. ამასთან, პსე-ლოსი ასაბუთებს გრიგოლის თვითმყოფადობას და არქექტიპულობას ან-ტიკურისაგან განსხვავებით, სადაც ბაძვა (და არა ორიგინალობა) იყო უმაღლეს საზომად მიჩნეული (§2,10,12) და გრიგოლს თვლის პანეგირი-კის ყველაზე რთული სახეობის შემქმნელად, მაგრამ როგორ შეუსაბამება პსელოსის ტექსტი თავად გრიგოლის ტექსტს? რატომ განადიდებს იგი გრიგოლის თვითმყოფადობას? ტ.მილერის მიხედვით, ეს კითხვები სპეციალურ კვლევას და პასუხს მოითხოვს³. ი. ლიუბარსკის აზრით, მი-ზეზი ის არის, რომ პსელოსი თავად განიცდიდა გრიგოლის რიტორიკუ-ლი ხელოვნების გავლენას, - XI საუკუნეში, ინტელექტუალური ცხოვ-რების აღმავლობის ეპოქაში, აღდგა ადრე-ქრისტიანული რიტორიკის სუბიექტური საწყისი, განცდათა სითბო და ტონის სიწრფელე, ეთიკა, კუპანიზმი⁴.

ზოგი მკვლევარის მიერ მიჩნეულია, რომ პსელოსის გატაცება გრიგო-ლით და მისი დასახვა კლასიკურ ნიმუშად ახალი საღვთისმეტყველო სტილისა ტენდენციურია. ანტიკური რიტორიკის სისტემა აღარ შეეფე-რება ახალ შინაარსს და ქრისტიანი ავტორისათვის ამ შემთხვევაში სრულიად შეუსაბამოა⁵. პსელოსის დამოუკიდებლობა განისაზღვრება მხოლოდ ქრისტიან ავტორთა შეტანით ანტიკურ ავტორთა ნაცვლად ძველი რიტორებისაგან ნასესხები მოსაზრებების საილუსტრაციოდ⁶. მაგრამ გასათვალისწინებელია ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ შუა საუკუნეების რიტორიკას, მიუხედავად იმისა, რომ იგი კლასიკური

¹ მთ შესზე იხ. Я. Н. Любарский, Литературно-эстетические взгляды Михаила Пселла. - Античность и Византия, М., 1975, с.114-119.

² იხ. შმ. 3, გვ. 110: ა. მაიერის ფუნდამენტური გამოკვლევა და ტექსტის პუბლიკა-ცია აღნიშნული ტრაქტატისა.

³ Т. А. Миллер, Михаил Пселл и Дионисий Галикарнаасский. - Антич-ность и Византия, М., 1975, с.146,150,153-154.

⁴ Я. Н. Любарский, Михаил Пселл. Личность и творчество, М., 1978, с.153-174.

⁵ ა. მაიერის დასახ.შრომა, გვ.61-63. გ.კუსტის დასახ.შრომა, გვ.168.

⁶ ი. ლიუბარსკის დასახ.სტატია, გვ.122.

რიტორიკის ნორმებს ემყარებოდა, თავისი განსხვავებული ესთეტიკურ-პოეტიკური კრიტერიუმები აქვს, რაც ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას ეფუძნება და მისი უგულებელყოფა შეუძლებელია. გრიგოლისადმი სპეციალური შრომების მიძღვნა შუა სს. ორი დიდი მოღვაწის (ბასილი მინიმუსისა და მიქაელ პსელოსის) მიერ, აგრეთვე გრიგოლის შრომების ხშირი დამოწმება რიტორიკის სახელმძღვანელოების კომენტატორებთან, დაწყებული იოანე სიკელიოტცისით (XI ს.)¹, შემთხვევითი არ არის და ყურადღებისა და განხილვის ღირსია.

განსახილველი ტრაქტატი, ისევე როგორც აღნიშნული ჟანრის სხვა თხზულებები პსელოსისა, ქრისტიანული ლიტერატურულ-თეორიული ნააზრევის საუკეთესო და ტიპურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ, ერთადერთ ბიზანტიურ მონოგრაფიად ერთი ავტორის შესახებ, რომელიც, რა თქმა უნდა, ანტიკურ ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევს ეფუძნება, იყენებს მის ფორმებს, კატეგორიებს, მეთოდებს, ტერმინოლოგიას, მხოლოდ ახლებური შინაარსით (რადგან ბიზანტიურ მწერლობაში მისაბამ ნორმად ანტიკური ფორმა ითვლებოდა ყოველთვის²), უკვემდებარებს მათ ახალი კულტურის განსხვავებულ თვალთახედვას, ისევე როგორც ქრისტიანულმა ღვთისმეტყველებამ გამოიყენა ანტიკური ფილოსოფია თავისი ცნებებით, კატეგორიებით, ტერმინებით, როგორც მხეველი თეოლოგისა.

ანტიკურობა ყოველთვის იყო საზომი არა მხოლოდ კლასიკური დახვეწილობისა და ესთეტიკური ნორმებისა (მის მიერ შემუშავებული ესთეტიკური კატეგორიები, ფორმები, ტერმინოლოგია და სხვ. ნორმად და ნიმუშად რჩებოდა დიდხანს), არამედ საზომი დაპირისპირებისაც. მასთან დაპირისპირებაში წარმოაჩენენ, მაგალითად, შუა სს. სრულიად განსხვავებული ქრისტიანული აზროვნების ნიშნებსაც. საინტერესოა, რომ ეს მეთოდი დაპირისპირებისა, ასე ფართოდ გავრცელებული თანამედროვე ფილოლოგიურ მეცნიერებაში, შეინიშნება შუა სს. მწერლობაშივე, მაგალითად, ამ მეთოდს იყენებენ წმ.მამები (წმ.იუსტინე ფილოსოფოსი, წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვ.), როცა განაქიქებენ ანტიკურ მითოლოგიას (ე.წ. ზღაპრობას) ქრისტიანული რელიგიის მაღალზნობრიობისა და სრულიად განსხვავებული სულიერი საფუძვლის წარმოჩენის მიზნით. ამ მეთოდს იყენებენ შუა სს. ე.წ. „ლიტერატურათმცოდნეობაში“ - თეორიულ ტრაქტატებში, სადაც უკვე ანტიკურ ავტორებს უპი-

¹ A. B. Poynton, Gregory of Nazianzus and the Greek Rhetoricians (A Supplement to the Index of Walz, Rhetores Graeci, vol.9), Oxford, 1933, p.1-13.

² H. Hunger, On the Imitation (Μίμησης) of Antiquity in Byzantine Literature. - DOP, 23-24, 1969-70, p.17-38.

რისპირებენ ქრისტიან ავტორს, რათა გვიჩვენონ მისი განმასხვავებელი თვისებები სულთერი შინაარსის და, აქედან გამომდინარე, მასზე დაქვემდებარებული ფორმის, სტილის თვალსაზრისით. როგორც აღნიშნავენ, ბიზანტიური ლიტერატურის გაზომვა, მართალია, არ შეიძლება ანტიკური საზომით, მაგრამ თავად იგი ზომავდა თავის თავს ამ საზომით¹. ამ მეთოდს მიმართავს მიქაელ ჰხელოსიც.

ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში ამგვარი დაპირისპირების უმთავრესი მიზეზი ისიცაა, რომ ბიზანტიურ მწერლობას მთელი თავისი არსებობის მანძილზე გასდევს წინააღმდეგობა - ერთის მხრივ, უარყოფა კლასიკური რიტორიკული სამკაულებისა და, მეორეს მხრივ, მისი რაღაცა ზომით მიღება. რადგან მიუხედავად წმ.წერილის და ქრისტიანული მწერლობის შეუღალაშებელი ქვეშარიტების უპირატესობის აღიარებისა რიტორიკაზე, როგორც მჭევრმეტყველებით მოკაზმულ სიცრუეზე, ბიზანტიურ მწერლობაში ბაძვის საგნად მაინც მიჩნეულია ანტიკური რიტორიკის ნორმები, როგორც დახვეწილი ფორმა და სტილისტური ღირებულება². გადაულახავ წინააღმდეგობას ქმნიდა ბიზანტიურ მწერ-

¹ С. С. Аверинцев, Школьная норма литературного творчества в составе византийской культуры. - Проблемы литературной теории в Византии и латинском средневековье, М., 1986, с.58.

² I. Sevckenko, Levels of style in Byzantine Prose. - Internationale Byzantinischen Kongress. Akten I,1, Wien, 1981, p.298.

თავდ კრივოდ ღვთისმეტყველს ეს გამოხატული აქვს პიძილებში, სადაც ერთის მხრივ უარყოფს ქრისტიანი რიტორიის მიერ წარმართული სამკაულების გამოყენებას (განსწავლულობას სძულს ყოველგვარი სიტყვის მოკაზმულობა: το εν λέγοις κάμψον...) და მიისწრაფვის გონებით შესამეცნებელი მშვენიერებისაგან (του κέλλουαα των νοουμένων) - or.43, §XI, PG 36, 508 C 1; ღვთისმოსაობად მიჩნეულია სისადავე და კეთილშობილება სიტყვისა - το δε απλουν τε και ευχελεα του λέγουα - or. 21, §XII, PG. 35, 1093 C), მეორეს მხრივ კი, უძვებს მათ ზომიერ ზართვას (მღრ. Gr.Naz. ep. 51) და თუ საღვე იყენებს მას (საერო მჭევრმეტყველებას), იგი ვაკეთილშობილებულია საღვთო სიტყვით (τοιας ἔξουαα...λέγοιαα სიტყვის მსახურია (λέγουα θεραπειουα - or. 6, §V. PG 35, 728 B. მღრ. PG 37, c. II, 2.5, v. 158-222). კანადიკელები ისინი თავად იყვნენ (იხ. ი. ღიუბარსკის დასახ. სტატა, გვ. 133). ეს იყო შუა საუკუნეებში ვავრცობული ტენდენციის გამოხატულება - ანტიკური რიტორიკულ ტრადიციებზე აღზრდილი კლესიის მამები თავის მოკაზმობად თვლიდნენ თეორიაში უარყოფით ქრისტიან მწერალზე ანტიკურის გავლენა (L.Meridier, Influence de la seconde sophistique sur l'oeuvre de Gregoire de Nyssa, Paris, 1906, p. 242 sq. H.G.Beck, Antike Beredsamkeit und byzantinische Kallilogia. - Antike und Abendland, 15, 1969, s 93 H. Я. Н. Юбуарсх и и, назв. статья, с.133). ჰხელოსიც ახე იქცაუა.

ლობაში გაბატონებული აზრი შუა სს. რიტორიკული კულტურისა, ქრისტიანული აზრის, სიბრძნის სიმაღლის და მისი გამოძახატველი სიტყვის სტილის სისადავისა და, მეორეს მხრივ, წარმართული ლიტერატურის ფორმის, სტილის ბრწყინვალეობის, მაგრამ შინაარსის უხუსურობის შესახებ. ცხადია, ვინც მოახერხებდა ქრისტიანული მაღალი აზრის წარმართულ მაღალ სტილთან შესამებას, ბრძენკაცად, ზემთახოფლური სიბრძნის მქონედ და უმაღლეს სტილისტად ჩათვლებოდა (მღრ.: განსახილველი ტრაქტატი, §5 დახაწვისი). ამდენად, ბიზანტიური რიტორიკისათვის დამახასიათებელი ეს „წინააღმდეგობა“, ხავერდინცევის აზრით, სინამდვილეში იყო ანტიონომიოზობა, ბიზანტიური რიტორიკის აზრობრივი სტრუქტურის საფუძველშივე ჩადებული¹.

ცხადია, ქრისტიანულ ბიზანტიაში, სადაც წმინდა წერილი არახოდეს ყოფილა მოდელი სტილის რომელიმე სახეობისა (ერთადერთი გამონაკლისია იოსებ რაკენდიდის რიტორიკის სახელმძღვანელო, სადაც მხოლოდ ერთხელაა ნახსენები ძველი აღთქმა - Walz, *Rhetores Graeci* III, 525), სტილის ქრისტიანული კანონი, შემოღებული მაღალი სტილის მომხრეთა მიერ, ეფუძნებოდა იმ ქრისტიან მწერლებს, ვინც სრულყოფილად შეითვისა ელინისტური რიტორიკისა და II სოფისტის (II ს.) მიერ შემუშავებული წესები. ესენი იყვნენ უპირველესად კაპადოკიელები და იოანე ოქროპირი, რომლებიც ფორმის დახვეწილობით განსხვავებოდნენ ადრექრისტიანული მწერლობის სისადავისაგან (ამისდა მიხედვით, მაქსიმე აღმსარებლის სტილი რიტორიკულ კრიტერიუმებზე დაბლა მდგომი აღმოჩნდა, განსხვავებით მისი აზრისაგან - Phot. Bibl. 156b-157a, Cod. 192A). ბუნებრივია, რომ ჰხელოსანთვისაც ისინი არიან უპირველესად მაღალი, ე.წ. საღვთისმეტყველო სტილის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი - გრიგოლ ღვთისმეტყველი, ვინც საუცხოოდ შეურწყა ანტიკური ფორმა (რიტორიკული ზერხები, საზომი...) ახალ, ქრისტიანულ შინაარსს პროზაშიც და პოეზიაშიც. ჰხელოსი არაერთგზის უწოდებს მას საუკეთესო სტილისტს, დემოსთენეზე ან ისოკრატეზე აღმატებულს.

ჩანს, რომ ბიზანტიური მწერლობისათვის მისაღები იყო სხვადასხვა სახეობის სტილი, მაგრამ კლასიკურ ნორმებზე დამყარებულ მაღალ სტილს მაინც უპირატესობა ჰქონდა ბიზანტიური მწერლობის მთელი არსებობის მანძილზე. მისგან სრულიად განსხვავებოდა წმ.წერილის და პირველ ქრისტიან ავტორთა სისადავე, რომლისთვისაც ფოტიოსმა მოაკვია სრულიად ახალი ორიგინალური ქრისტიანული თეორია სტი-

¹ ს. ავერინცევი, დასხ.პრობა, გვ.51.

ღისა, დაფუძნებულია სიხადავისა და წონასწორობის პრინციპზე (არც ზედმეტი ატიციზმები და არც მეტისმეტი უბრალოება - ταπεινός). მან შემოიტანა სპეციალური კატეგორია „საეკლესიო სტილისა“ (კლიმენტის რომელისა და პოლიკარპე ხმირნელის მაგალითზე) - εκκλησιαστικός χαρακτήρ ან εκκλησιαστικόν της ερημείας τύπον (Bibliotheca, cod.126)¹. ხელს წმ.პავლეს სტილის ღირსება ჰერმოცენეს თეორიის ტერმინებით დაახაბუთა (Amphilochia 86,91-93, PG 101, 570D-557AD) და ცხადყო როგორც მისი ხალვთო ხილრმე, იხე ლიტერატურული ბრწყინვალეობა. წმ.პავლე მისთვის არის მჭკვერმეტყველების კანონი - κατων ευλαττίας (PG 101, 592A)².

ფოტიოსმა ბერძნულ ლიტერატურულ-თეორიულ აზროვნებაში ახალი ლიტერატურული ორიენტაცია შეიტანა, რომლის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია პხელოსის ტრაქტატზე საუბარი. ეს არის ქრისტიანობახათვის დამახასიათებელი ინტერესი პიროვნულობისადმი შემოქმედებაში, ინდივიდუალური სტილისადმი საზოგადო კატეგორიების ფონზე. მანვე ელისურ ლიტერატურულ კრისტიკაში გავრცელებულ ბუნებრივი ნიჭისა (φύσις) და რიტორიკული ხელოვნების (τέχνη) კავშირი ხალვთო ჰერეზის, ღვთიური საბოძეარის, ღვთიუგანბრძმობილობის (ο πλουτος αυτα της εμψυτου γνώσεως και της υπερ το ανθρώπινον αγχνοίς και φροήτης - PG 101, 601A, 580C, 584B) და სიტყვის ბუნებრივი მშვენიერების (εμψυτον κάλλος του λόγου) ცნებათა კავშირით შეცვალა (PG 101, or. 91-93, 576B-577C, 584BC). ყოველივე ეს შერწყმულია წმ.პავლეში. იგი არის ეკლესიის ჰუმანიტეტის რიტორი (ρήτωρ εκκλησίας - PG 101, 332C), აღმზის (PG 101, 689A, 701B), ცეცხლოვანი რიტორი (πνευματωρύος ρήτωρ - PG 102, 164A). მისივე

¹. ი. მუკეჩეცოხ დასხ.მრობი, გვ.296 და მუქვევ.

². სიტყვიერი ქსოვილის ამ სისადვეს (αχλότης ფოტიოსის ტერმინის მიხედვით, მღრ. გ. კუხტასის დასხ.მრობი, გვ.156) შევსამება „ლატონათა სიტყვთ აღწერილი“ ვერემ მცირის ტერმინოლოგიით, რომლითაც იგი ახასიათებს წმ.სახარებას, პავლე მოციქულის ეპისტოლეებს და წმ.პარათოდალელელ მამათა აღწერილს „ლატონი“ აქ არამც და არამც არ ნამსწავს მღარეს, „მღამრონიელს“ ითანე პეტრიწის „ჟანარტყმათ“ ბოლოინტევიკობის მიხედვით. ითანე დამსჯელის „დაალქტაკს“ ამ ანლერო-მესეკულშივე (A 24,3v) ვერემი „ლატონისკან“ განსხვავებს „სოფლეროათა და უშვერითა სიტყვთა აღწერილს“ (რაც უფრო τοπεινός-ის ფარდა ცნება უნდა ავიოს - მღრ. გ. კუხტასის დასხ.მრობი, გვ.162, მღრ. კვერთი §13. სტილითა თეორიამა მას ითვის - მწირი სტილი შევსამება) და, მეორეს მხრის, ჟანოვერებელს და გარდაკახებულს“ (მღრ. ენის ვაუქსებულს“ (წიგნურა) ითანე პეტრიწის მიხედვით, „ღრმა წიგნური სიტყვა“ სამოციქულო თარგმანების ვერემისავე ანლერამი (Jcr. 16,2r), რასაც ბიზანტიური რიტორიკის თეორიამა მეგალიოპრეტის - მალაღი სტილი შევსამება (მღრ. ი. მუკეჩეცოხ დასხ. მრობი). ნახს, რომ ბიზანტიური ლიტერატურულ-თეორიული მოსახრებასა შესამამისად აისახა ქართულ მწერლობამა და ვერემ მცირეც თავისი ეპოქის ბიზანტიური განათლების სიმაღლესს ახიარებს ქართულ საზოგადოებას.

აზრით, ქრისტიან მწერლებში - გრიგოლში, ბასილში შერწყმულია ხიმ-
დიდრე წმინდა ჰერეტისა და ზელოვანი რიტორი (των ιερων
θεωρημάτων ο πλουτος και ρήτωρ τέχνη - PG 101, 700B; 102,861
BD)¹.

ახვევ ახალია ფოტიოსთან ელენური რიტორიკის მშვენიერების კატე-
გორიების - κἀλλος - χάρης ცნებების შინაარსიც. ეს არის ხალვთო,
ზეციური მშველება, მაღლი - θεία χάρης პავლე მოციქულთან (PG 101,
945C), αωσθεν χάρης დიონისე არეოპაგელთან, რაც ერწყმის რიტორსა
და ფილოსოფოსს მასში (PG 101, 697D), ο κἀλλους εργάτης გრი-
გოლთან, γλυσκός ბასილთან (PG 102, 861 D). მშვენიერების (κἀλλος)
და სახიამოვნოს (γλυσκός) ცნებები აქ ქრისტიანულ ღირსებადაა მიჩნეუ-
ლი. ეს არის მართალი, წრფელი სიტყვა - ορθος λόγος. Αλήθεια-ს (სი-
მართლის) ცნებამ მიიღო ხალვთო ჭეშმარიტების მნიშვნელობა. ქრის-
ტიანული ეთიკა და ლიტერატურული ესთეტიკა ეჯაჭვება აქ ერთმანეთს.
აღნიშნავენ, რომ ჰერმოგენეს 7 იღვის თეორიიდან ფოტიოსმა მხოლოდ
ის ლიტერატურული ხერხები გამოიყენა, რაც მიესადაგებოდა ქრისტიან-
ულ ეთიკას (სტილის ნიშნებიცაა და ქრისტიანი პიროვნებისაც): κα-
θαρότης - სიწმინდე, λαμπρότης - ბრწყინვალება, χάρης, κἀλλος - მშვე-
ნიერება (PG 102, 657D). კარგი სტილის ნიშნებია აგრეთვე βραχύτης -
ლაკონურობა, σαφήνεια - სიციხადე, απλότης - სისადავე, γλυσκότης - სა-
მურობა, სიტკბობა².

ფოტიოსმა ქრისტიანული თხზულების სტილის ღირსებად დასახა აგ-
რეთვე ბუნებრივი დარწმუნება (εμφυτος πειθω - PG 101, 581AB), რი-

¹ ასვე განიჩევა და უწყვილდება ერთმანეთს ძველ ქართულ მწერლობაში საღვთო სობ-
რძე, ღვთიური შთაგონება და უწ. „სწავლაჲ კაცთაჲ“ (მთ.15,9), „სობრძემ აინ სოფლისა“ (I
კორ.2,6-7) და მისი ერთ-ერთი სახეობა - სასწავლი მჭევრმეტყველება (იგივე τέχνη). ასეთთა
მაგ. გიორგი მერაზლის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წმ.გრიგოლის „მარილითა მაღ-
ლისათა შეზავული“ სიტყვა (თ.2) და გუარამ მამფელის ოდენ სასწავლი „სიტყუაქედოვნება“
(თ.42); ფერმ მცირის მიხედვით (ფსალმუნთა განმარტების შესავალი - Jer.1,6), „უნა
ღმრთისმეტყველისა“ და „ყოველი ჳედოვნება სიტყუათაჲ“ ან „სიტყუამჭევრობა“; რუსთავე-
ლის „სობრძემ“ და ამ „სობრძის ერთი დარგი“ - საღვთო შთაგონებით სასაზღოებო მოცურა
ხედოვნება და „ხედოვნება“, „სობრძემ“ და „რიტორება“ ვუფხისტიკაოსნის ვახტანგ VI-ისეულ
განმარტებაში („ხედოვნება“ და „რიტორება“, როგორც ტέχνη, შემოქმედებითი პროცესის შე-
ორე აუცილებელი პირობა, პირველზე, ღვთაურ შთაგონებაზე დაქვემდებარებული). მცირეს
მხრე, რიტორება ფართო გაგებით, როგორც შუა სს. მწერლობის ყველა სახეობის მომცველი
(მათ შორის პოეზიისაც) და თეოლოგია-ფილოსოფიისაგან განყოფილი (ს. ავერონიცე-
ვის დასახ. შრომა, ვ.66), თავის თავში აერთიანებს „სობრძეს ორსავე სოფლისა“ - ღვთა-
ურსაც და საეროსაც, ამქვენიურსაც, „სობრძის დარგიცა“ და „ჯედოვნებასაც“ მოიცავს. ასე-
თაა მაგ., „რიტორება გონება-სობრძემ მცირითა“, „ღმერთო...მოცე...რიტორთა ლექსი გულისა,
სიღრმე სობრძისა ზიანის“ და სხვა დგურამიშიელთან, ყოველივე ეს რიტორიკის საყოველ-
თაო სასკოლო დანიშნულების გამოჩატველია შუა საუკუნეებში.

² G.Kustas, op.cit.

თაც იგი მიმზიდველი უნდა ყოფილიყო განსწავლულთათვისაც (რიტორიკის და მისი ტექნიკის მცოდნეთათვის) და განუსწავლულთათვისაც (ვინც მოძღვრების შინაარსს უგდებდა ყურს)¹.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ ახალ ნიშნებს რიტორიკის თეორიაში ვხედებით მიქაელ ჰსელოსთანაც, მაგრამ ფოტიოსთან მთლიანობაში და ამავე დროს ცალკეული ავტორისათვის ინდივიდუალურად წარმოდგენილ სტილურ მახასიათებლებს ჰსელოსი კვლავ ანტიკური აბსოლუტური მეთოდის ქვეშ აქცევს, მხოლოდ ამჯერად იდეალური ავტორი ქრისტიანია.

მიქაელ ჰსელოსის ლიტერატურულ კრიტიკას განიხილავენ როგორც განსწავლული კლასიკოსი ფილოლოგის (კ.კრუმბახერი) კონცეფციას, რომელიც დიონისე ჰალიკარნასელის მაგალითით ჟანრის ლიტერატურულ ნიმუშად იყენებს მონოგრაფიის ფორმას, მაგრამ დემოსთენეს ნაცვლად (რომელმაც აითვისა წინამორბედ რიტორთა საუკეთესო თვისებები) გრიგოლს სახავს ლიტერატურული სტილის ნიმუშად, რომელთან მიმართებაში ყველა ავტორი გაკიცხულია (პლატონი და თუკიდიდეს კი). ჰსელოსის მიზანია აჩვენოს გრიგოლი, როგორც მწვერვალი კლასიკური ლიტერატურის განვითარებისა ბერძნული ლიტერატურიდან მოყოლებული, ამისათვის ადარებს მას საფოს, არქილოქეს, ანაკრეონტს და სხვებს, რომლებთანაც საეკლესიო მამების ხალხთისმეტყველო სტილს (θεολογικὸς χαρακτήρ), რომლის ჩვენებასაც ეს ტრაქტატი ემსახურება, არაფერი საერთო არა აქვს.

გ.კუსტასი თვლის, რომ ჰსელოსმა ისე მისადაგებულად, ბუნებრივად, შერჩევით ვერ გამოიყენა ელენისტური რიტორიკის ლექსიკონი, როგორც ფოტიოსმა პერმოკენესი, მან ფოტიოსივით ვერ დაამყარა წონასწორობა ქრისტიანულ შეხედულებებსა და კლასიკურ ტერმინებს შორის, ვერ ჩააყენა იხინი ქრისტიანობის სამსახურში. თავის მხრივ, ფოტიოსის იმავე მეთოდზე სულ სხვას ამბობს ი.შევჩენკო, რომელიც ფოტიოსის მიერ მოციქულის სტილის გამართლებას შემდგომ მარცხად მიიჩნევს წმ.წერილის ლიტერატურულ ნორმად აღიარების საქმეში². ამაიერის მიხედვით, ჰსელოსისეული ცოდნა ტექნიკისა (τέχνη) მისი ნიმუშისას (დიონისე ჰალიკარნასელი) აღემატება კიდევ, მაგრამ ჰსელოსის ნაკლი ისაა, რომ იგი არ ადგენს რიტორიკის კატეგორიების (ιδέα, ὄργανα, ὑπόθεσις, χαρακτήρες და სხვ.) მთელი აპარატის მიმართებას მის მიერ

¹ შდრ. კვლავ უფრო მკირე: „ავტებ წესსა სწინისწარმეტყველოთა წიგნთა შთარგმნულითა, რომელთაგანი მკირელი რაჲ გაიგონების უსწავლელთა. ვინათუ ზოგს-რე სწავლულთა მიერ“ (A 24, 1 v).

² იხ. გ. კუსტასის (გვ.167-168) და ი. შევჩენკოს დასახ. სროლები.

განხილულ ავტორთან¹. ზემოთ ვნახეთ, რომ პირიქით, გ.კუხტახი ფოტი-
ოსთან შედარებით ჰხელოსნ ნაკლად უთვლიდა მთელი ელინურა რი-
ტორიკული სისტემის გამოყენებას და არა შერჩევით მისხადაგებას ქრის-
ტიან ავტორთან მიმართებაში.

ჰხელოსი ითვლება აგრეთვე „ქრისტიან ჰუმანისტად“, მეცნიერ-ენციკ-
ლოპედისტად, რაციონალისტად, ყოველივე ანტიკურის შემოქმედებითად
ამოთვსებლად, რომელმაც მიიღო კიდევ შუა სს. სპირიტუალისტურ
ქრისტიანული ესთეტიკა და შინაგანად მაინც განდგომილია მისგან. იგი
მინწუნელაა ორ რადიკალურ პოზიციას – ანტიკურობის, ხაერო ლიტე-
რატურის მიღებასა და მის ხელაღებით უარყოფას შორის მდგომად, ერ-
თი სიტყვით, კონსტანტინეპოლის ინტელექტუალური წრისათვის მიღე-
ბული ქრისტიანიზებული გვიანანტიკური ესთეტიკის მატარებლად
(ი.ლიუბარსკი)². ხავერდინცევის მიხედვით, ი.ლიუბარსკი გამუდმებით
აღნიშნავს ჰხელოსის თეორეტიკული პოზიციის ორგვარობას – დაპი-
რისპირებას გვიანანტიკურ რიტორიკულ თეორიასთან და, მეორეს
მხრივ, მის მეთოდოლოგიურ გამოყენებას, შემოქმედი პიროვნების ორი-
გინალობის, ინდივიდუალობის ჩვენებას, რაც დაპირისპირება კი არა,
ბიზანტიური კულტურისათვის დამახასიათებელი ზემოთ განხილული
ანტიკონომიკობაა³.

ყოველივე ზემოთწარმოღგენილი ურთიერთგამომრიცხავი შეფასებე-
ბის გათვალისწინებით შეიძლება ხელ სხვაგვარად მსუუდგეთ აღნიშ-
ნულ ხაკითხს და როგორც ფოტიოსის, იხე მიქაელ ჰხელოსის ნაღვაწი
განვიხილოთ ახალი, ანტიკურისხაგან სრულიად განსხვავებული კულ-
ტურის კანონზომიერებებით. მაშინ ბერძენ კლასიკოსთა გაფერმკრთა-
ლებასაც წმ.მამათა ნააზრევის ფონზე აბსოლუტური მნიშვნელობით კი
არ აღვიქვამთ, არამედ ქრისტიანული მწერლობისათვის დამახასიათებე-
ლი ანტიკონომიურობიდან გამომდინარე და განსხვავებული მსოფლმხედ-
ველობითი და ესთეტიკური კრიტერიუმებით. ამასთან დაკავშირებით
აღსანიშნავია ისიც, რომ ცნობილ ანტიკურ მოღვაწეთა ზოგი სტილური
ნაკლის აღნიშნავს არ ერიდებიან არც კლასიკური რიტორიკის თეორე-
ტიკოსები. გარდა ამისა, თავის მეორე ტრაქტატში წმ.მამათა სტილის
შესახებ (PG 122, col. 901; Boisson. 125-127) ჰხელოსი ყურადღებას
ამაჩვილებს არა განსხვავებაზე, არამედ მსგაესებაზე, ბაძვაზე და, ადა-
რებს რა იოანე ოქროპირს და კაპადოკიელებს ანტიკურ მოღვაწეებს, აღ-
ნიშნავს, რომ ზოგ ხაკითხში წარმართ მწერლებს უპირატესობაც კი
აქვთ ქრისტიანებთან შედარებით. ახე რომ, ზემოთ წარმოღგენილი ახ-

1. ს. ა. მათერის დასახ. შრომა, გვ.61.

2. ს. ი. ლიუბარსკის დასახ. სტატია, გვ.133-136.

3. ხ. ავერინცევი, დასახ. შრომა, გვ.30,51.

რთა სხვადასხვაობის მიზეზი, ცხადია, ხელ სხვაგანაა საქიებელი - ფოტიოსიც და მიქაელ ქსელოსიც ხელ სხვა კანონზომიერებით უდგებიან ელინური რიტორიკის თეორიას.

იხინი არც წინააღმდეგობაში ვარდებიან და არც არიგებენ ერთმანეთთან ორ განსხვავებულ პოზიციას, არამედ იყენებენ ელინურ თეორიას, როგორც ფორმას ქრისტიანული შინაარსისათვის, ანტიანომიისათვის. ამითვე აიხსნება ქსელოსის გატაცება, როგორც ზემოთ ითქვა, კაპადოკიელებით, რომლებიც ანტიკური რიტორიკის და II სოფისტიკის მიმდევრები იყვნენ ფორმის მიხედვით, ხოლო შინაარსის თვალსაზრისით ქრისტიანული ხელიერი აზრის მატარებლები. ქსელოსის ალტერნატივა განსახილველი ტრაქტატის მიხედვით (§2: თუ მართალია, რომ გრიგოლმა ზემოთ საშუაროდან მიიღო ფილოსოფიის საწყისები და სიტყვის მშვენიერება...) მისი ეპოქის ლიტერატურული წრის ინტელექტუალური მოთხოვნის მიხედვით უნდა იყოს განპირობებული, ვისთვისაც გამიზნულია ეს ტრაქტატიც, მაგრამ იგი ცდილობს კლასიკურ კრიტერიუმებზე აღზრდილთა, სიტყვის გარეგნული მშვენიერებით გატაცებულთა დარწმუნებას ხელიერი ხალხთა აზრის და მშვენიების, როგორც უმაღლესი პარმონისის უპირატესობაში (იხ. §2,3,6). ყურადღება გამახვილებულია, რომ ყოველივე ეს განხილულია არა ქრისტიანობის უპირატესობის აღიარების ხელისკვეთებით წარმართობაზე, არამედ გრიგოლის უპირატესობის აღიარებით როგორც ანტიკურ წინამორბედებთან შედარებით ზოგად-ლიტერატურული, ზოგადრიტორიკული კრიტერიუმების¹ - აზრისა და მშვენიერების, სიკეთისა და სიტყვის (ენის) შეწონილობის შემუშავებისა (οπισθητος και χαριτωσ... αρετην και την γλωσσαν - ქსელოსი, „ზოგიერთ თხზულებათა სტილის შესახებ“, Boisson. p. 50,51). ზემოთ განხილული ბიზანტიური კულტურისათვის დამახასიათებელი ანტიანომიური იდეა გამომდინარე, ქსელოსი გრიგოლის სტილს ახასიათებს როგორც სტილთა კლასიკური ხაზობების თვალსაზრისით (რომლის მიხედვით იგი სხვებზე ბევრად წარმატებულია), ისე ხალხთისმეტყველო განსაზღვრებების თვალსაზრისით (რომლის მიხედვით იგი სხვებზე ბევრად ამაღლებულია).

ბიზანტიური სტილისტური ტერმინოლოგია კლასიკურის საფუძველზე შექმნილი, მაგრამ როგორ გაიკებოდა იგი თავად ბიზანტიელთა მიერ? - ამ თვალსაზრისით თვით ფოტიოსისა და ქსელოსის ტერმინოლოგია არ არის ერთგვაროვანი, როგორც თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაშია მიღებული. ასევე დაუზუსტებელია საკუთრივ ქსელოსის

¹ А.Д.Александр, Византийская литература XI-XII вв. - Культура Византии (II пол. VII-XII в.), м., 1989, с.170-172.

ტერმინოლოგიაც¹. შევეცდებით წარმოვაჩინოთ მიქაელ ჰსელოსის თეორიის ახალი თავისებურებანი.

მიქაელ ჰსელოსმა შემოიტანა „საღვთისმეტყველო სტილის“ ცნება (Θεολογικὸς χαρακτήρ), ისევე როგორც ფოტიოსმა „საეკლესიო სტილისა“ (ἐκκλησιαστικὸς χαρακτήρ). ეს ზოგადი მახასიათებელია ანტიკური-საგან სრულიად განსხვავებული ქრისტიანული თხზულების თვისებებისა, ამიტომ ჰსელოსთან ცალკეული ინდივიდუალური ავტორის სტილზე კი არ არის საუბარი მხოლოდ, არამედ ზოგადად საღვთისმეტყველო სტილზე (რაც სათაურშიც ჩანს), რომლის საუკეთესო ნიმუში კაპადოკიელი მამები, განსაკუთრებით, გრიგოლ ღვთისმეტყველია (მდრ. §12).

რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეესაბამება ჰსელოსის ტრაქტატის მიხედვით გრიგოლის თხზულებები საღვთო ცოცხალ სიტყვას, შეიძლება მოვიტანოთ პარალელი ხატწერის თეორიიდან. საუკეთესო მხატვართა ტილოებიც კი შეიძლება განხილულ იქნეს ანალიტიკურად (შემადგენელი ნაწილებისა და დეტალების მიხედვით), ხატი კი აღიქმება მხოლოდ ხინთუტურად, როგორც ცოცხალი არსება². ჰსელოსის ტრაქტატშიც არის ცდა ასეთი მთლიანობისა - როგორც გრიგოლს ახასიათებს მრავლის ერთქმნა, ერთიანი სიტყვიერი სირინგისავე წარმართვა ყოველივესი, ნაწილებად დაყოფის ნაცვლად სიმფონია და კეთილშეზავებულობა, ასევე ჰსელოსიც ცდილობს მთლიანობაში განიხილოს გრიგოლის სტილის თავისებურებები და ღირსება და არა ნაწილ-ნაწილ ძველ თეორეტიკოსთა დარად (იხ. §2,7,16). ასეთ „მთლიანობას“ თავისი ნაკლიც აქვს, მაგალითების ნაკლებობა, თუმცა ეს მონოგრაფია, როგორც ჰსელოსი ამბობს (§23 ბოლო ნაწილი), მხოლოდ დახაწვისია სხვა სიტყვისა. მეორეს მხრივ, ცხოველი სიტყვა არ გამოირიცხავს ესთეტიკურ აღქმასაც (იხ. §3,5,7-8), სტილის გარეგნულ დახვეწილობას (§13,15,20,23;), რიტმულობა - კეთილშემოკანებას (§7,10,12,17;). გრიგოლთან ორივე - გრძობადი და სულიერი მშვენება პარმონიულადაა შერწყმული, რადგან სიტყვა აქ სიმბოლოა საღვთო აზრისა (§13,16,20,21,22,23).

მიქაელ ჰსელოსმაც, ისევე როგორც ფოტიოსმაც, ამავე დროს როგორც არა მარტო განსწავლულმა მწიგნობარმა და ბიზანტიის მაღალი ინტელექტუალური ლიტერატურული წრის წარმომადგენელმა, არამედ როგორც სასულიერო პირმაც, ბუნებრივია, გრიგოლის განსაკუთრებული სტილური ღირსების წყაროდ დასახა არა მისი ბუნებრივი ნიჭი (φύσις, როგორც კლასიკური რიტორიკისა და პოეტიკის სახელმძღვანელოებში იყო მიღებული არისტოტელეს „პოეტიკიდან“ მოყოლებული, რითაც მან

1. ი. ღიუბარსკის დასახ. სტატია, გვ.130.

2. იხ. Архимандрит Рафаил, об иконе (II), Проповеди и лекции.

შეცვალა პლატონის მოძღვრება შემოქმედების მესიური წარმოშობის შესახებ. გამონაკლისია ანტიკური პოეზია და, ნაწილობრივ, ფილოსოფია), არამედ ზეშთა წყარო - ღვთიური შთაგონება (იხ. §2,3,4,5,6,10,15,17). ამდენად, მისთვის გრიგოლის სტილის მშვენიერება და ინდივიდუალობა ბუნებაზე აღმატებულია (αυτη φαινη - §2).

რიტორიკის თეორიაში ბუნებრივ ხაწყისს თუ შთაგონებას, რა თქმა უნდა, ყოველთვის უპირატესობა ჰქონდა ἄρχη-სთან შედარებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ჰერმოგენედან მოყოლებული, რიტორები სიტყვიერი ხელოვნების ინდივიდუალობის და განუმეორებლობის აღსანიშნავად მიმართავენ პლატონის სიტყვებს ტრანსცენდენტურ ღვთიურ ხაწყისზე. სავერინცევი ამბობს, რომ ეს აზრი ერთნაირადაა გამოხატული დემოსთენესთან (დიონისე ჰალიკარნასელის მიხედვით) და გრიგოლთან (ჰსელოსის მიხედვით¹, რადგან დიონისე ამ შემთხვევაში ჰსელოსის უშუალო წყაროა). ჰსელოსი გრიგოლზე ამბობს: მისი კითხვისას გამოუთქმელი სილამაზითა და მშვენიერებით ვივსებო, გრიგოლის მშვენიერება მიემსგავსება ჰარმონიულ მუსიკალურ მშვენიერებასო და ა.შ. (§3). მაგრამ ჰსელოსი, როგორც სასულიერო პირი (ეს თხზულება ბერობის დროს უნდა ჰქონდეს დაწერილი, რასაც მიუთითებს სასულიერო წოდების პირთათვის დამახასიათებელი ტიტული „ჰიპერტიმოსი“) აქ რომ ქრისტიანულ საღვთო სიბრძნეს გულისხმობს და არა მხოლოდ პლატონისას, ჩანს რამდენიმე ფაქტორითაც:

1. ჰსელოსი განიხილავს რა მშვენიერების კატეგორიას, ანტიკურ ავტორებთან შედარებით გრიგოლის მშვენიერებას უწოდებს „საღვთისმეტყველო და ჩვენს მშვენიერებას“ (§12), რაც ქრისტიანული საღვთო სიბრძნის და მისი მშვენიერების ფარდი ცნებაა.

2. სიმართლის, სინამდვილის, ჭეშმარიტების (ἀλήθεια) რიტორიკულმა ცნებამ, როგორც სიტყვის იღვის სახეობამ, ფოტიოსთან ქრისტიანული შინაარსი - რელიგიური ჭეშმარიტების მნიშვნელობა მიიღო². ასე უნდა იყოს ჰსელოსთანაც, რომლის მიხედვით, გრიგოლი ჭეშმარიტებით პლატონსაც აღემატება (§15: „ჭეშმარიტ და ცნობილ თემებს იგი უკეთ წარმოადგენს, ვიდრე პლატონი“).

3. ჰსელოსი ისევე საუბრობს ქრისტიანული მწერლობის სისადავეზე (ἀπλότης), როგორც ფოტიოსი, რაც ქრისტიანული საღვთო სიბრძნის მშვენიერებას გულისხმობს და რიტორიკული სამკაულების ნაკლებობას (§3).

4. ჰსელოსი საუბრობს, რომ ამქვეყნიური მშვენიერებანი იმქვეყნიურის მიბაძვავა, მაგრამ ჰსელოსთან ბაძვის ცნება არ არის ნახმარი არც

¹ ს. ავერინცევის დასხ. შრომა, გვ. 49.

² გ. კუსტახის დასხ. შრომა, გვ. 146-150.

პლატონისეული და არც არისტოტელესეული შინაარსით (არისტოტელემ განსაზღვრა პოეზიის არსი, ბუნება, როგორც ბაძვა არსებული სინამდვილისა, განსხვავებით პლატონისაგან, რომლის მიხედვით შემოქმედება ბაძვა იყო ამქვეყნიურისა, როგორც იდეათა სამყაროს ლანდისა, როგორც თავის მხრავ, ამქვეყნიურის მიბაძვისა. ამდენად, ბაძვა პლატონის მიხედვით იყო ტყუილი (Republ. X 595a - 603b) ხოლო არისტოტელეს მიხედვით, ტიპიზაცია, განსაზღვრება, განზოგადება, მრავლის ერთქმნა, ჰარმონია (Metaph. 1078a 36; Poetica). ბაძვის ცნებას ჰხელოსთან რომ ქრისტიანული შინაარსი აქვს, ჩანს ფრაზით „ბაძავს თავის პავლეს“ (§15). ჰხელოსნის მიხედვით, გრიგოლის ბაძვის საგანი „მისი პავლეა“ (იხვე ზემოთ განხილული ალტერნატივა ჩანს ამ ნაცვალსახელში), ანუ ქრისტიანული უმაღლესი აზრი, საღვთო სიბრძნე. ბაძვის პავლესეული მნიშვნელობაა ქრისტეს ბაძვა, უმაღლესის, უზენაესის, საღვთო სიბრძნის და მისი მშვენიერების ბაძვა (1 კორ. 4,16; 11,1; გალ. 4,18. μαθηται, ζηλοισθηται), „გამოუთქმელი“ სულიერი მშვენიერების, პირველსახის ბაძვა (§12,15).

5. გრიგოლის თხზულებათა საღვთო აზრზე, სულიერ შინაარსზე ჰხელოსნის ქრისტიანული სახისმეტყველებით მსჯელობს: შდრ. ხაზარების იგავი ძვირფასი მარგალიტის მოყიდვაზე (§5); ორატორული სიტყვის ცეცხლოვანება (§17. შდრ. წმ.პავლეს ფოტოისისეული დახასიათება - πνευματοδότης οὐρανῶν - PG 102, 164A. იხ. ზემოთ) და სხვ.

6. ჰხელოსნის მიხედვით, გრიგოლის სიტყვა უბრალო ხატოვანი სიტყვა კი არაა, საღვთო ცოცხალი სიტყვაა, რადგან მას სულიერი ცხოველყოფელობა ახასიათებს, თავად გრიგოლი ზეციდან მოვლენილია, ზეციური მშვენიერება კი თავისთავად განსაცვიფრებელია (§6, §12 ბოლო).

7. გრიგოლის მიერ შერჩეული სიტყვებიც ზეციური წარმომავლობისაა (§2,3,10 - ზემოთა სამყაროდან მიიღო მშვენიერება და ძალი სიტყვისა), მაგრამ ერთგან დაკონკრეტებულია ეს ზეციური წარმოშობა როგორც ბიბლიური, სამოთხისეული (§4).

8. ჰხელოსნის მიხედვით, გრიგოლის თხზულებათა სულიერი საღვთო მშვენიერება და ჰარმონიული ერთიანობა არის გამაერთიანებელი ცალკეული ნაწილების ღირსებებისა და მითვე აცილებულია დანაწევრება (§7). ამით გრიგოლის საღვთისმეტყველო სტილი ზეციურ საღვთო სიმწობრეს და ჰარმონიას (§12), შესაძლოა, სამების ერთარსებობასაც (შდრ. §16) უახლოვდება და ბაძავს.

სტილის შემქმნელი უპირველესი ელემენტი და სიტყვის წარმმართველი რიტორიკის ყველა თეორიაში აზრია, შინაარსია (vous, εννοια, διάνοια - იხ. §13,21...), რომელიც წებს განუწყვებლად ორატორულ ენას, ზე-

ლოვნებას, მჭევრმეტყველების სახეს, ფორმას („გრიგოლმა თავისი ორატორული ენა გონების აღვირით მართა“ - §13)¹, გვიხდლავს მოულოდნელობით (§19) და სხვ. ყოველგვარი ნაწარმოების იდეალად მიჩნეულია არა მარტო სიტყვიერი (λόγος, σοφία, φρόσις, λέξις-λεκτικόν), არამედ შინაარსობრივი (τε πρυγματικόν) ამაღლებულობა და მშვენიერება და მათი სრულყოფილი ჰარმონიული შეთანხმებულობა, მაგრამ ჰხელოსთან ეს მაღალი აზრი ხულისერ ზეციურ წესებს ეპირინილება, ხალვთოა (θεία ἰδία) და, აქედან გამომდინარე, როგორც დაფარული ხალვთო სიბრძნე (§2,3,13,15,16,23) ამქვეყნიურ ვველა სიბრძნეზე აღმატებულია (მდრ. I კორ. 2,6-7, იხ. §2,5,10,15,17), მისი მშვენიერება ქებათა გარეშეც განსაკვიფრებულია (§6). შესაბამისად, ზეშთა წარმოშობისაა ამ მშვენიერი სიბრძნის გამომხატველი გრიგოლის სიტყვაც (§2), მისი მშვენიერებაც (§3) და უმაღლეს ღვთიურ კანონებს და ზეცაურ ჰარმონიას ექვემდებარება ისეთი უმნიშვნელოვანესი სტილური მახასიათებლები, როგორიცაა ნაწილთა ჰარმონიულობა, მრავლის ერთქმნა, შეთანხმებულობა, კეთილშეოვანება (§2,3,5,7-10,16,19), კომპოზიცია (§19-20). გრიგოლთან სრული ჰარმონია ხუფვეს ფორმისა და შინაარსისა, რიტორიკისა და ფილოსოფიისა (§7,13). მასში შერწყმულია ზეშთა ღვთაებრივი სიბრძნე და რიტორიკული ხელოვნების ისეთი ფელობა, რომ ვერც კი ამჩნევ ამას (§12).

აქედან გამომდინარე, საყურადღებოა ჰხელოსის ტრაქტატში მრავალი ფარული თუ აშკარა დაპირისპირება, მაგ., წარმართ სოფისტებს და ფილოსოფოსებს ენაზე ზრუნვა ახასიათებდათ (§1), გრიგოლისათვის კი ენა მხოლოდ მხევალია გონებისა (§13); ანტიკური რიტორიკის თეორიისათვის ბაძვა (μίμησις) უმაღლესი საზომი იყო მწერლის ღირსებისა (იგულისხმება არა მარტო სინამდვილის, არამედ წინამორბედი მწერლების ღირსებათა ბაძვა უმთავრესად), ჰხელოსისათვის გრიგოლთან მთავარია არა ძველების მიბაძვა (μη κατὰ ζῆλον ἀρχαίων - §2,12), არამედ ორიგინალობა, თვითმყოფადობა და არქეტიპულობა სტილისა, ახალი სიტყვიერი ტექნიკისა (ἀρχετυπος χαρακτήρ - §2,10,12). გარდა ამისა, ბაძვას ჰხელოსთან ახალი ქრისტიანულს შინაარსიც აქვს - ბაძვა არა ფორმისა, ძველ მწერალთა გარეგნული გამომსახველობითი ხერხებისა, ექსპრესიულობისა (ანტიკური ღიბტერატურის თეორიის მიხედვით), თუმცა ითავებს ძველების სტილურ ღირსებებს (§1,2,10-12), არამედ უპირველესად, ხულისერი ღირსებისა ქრისტიანული აზრით (იხ. ზემოთ).

¹ მდრ. გრიგოლ ხანძთელის ხალვთო სიბრძნის მაღლით შეზავებული სიტყვა: „სიტყუა მისი იყო შეზავებულ მარილითა მაღლისათა (მდრ. კოლოს. 4,5-6). რაჟამს იტყვნ, ბრძნიდ აღლის პარი თვის და წესი განუჩინის ენასა თვისსა“ (თ.2).

პხელოსი აერთიანებს კიდევ და უპირისპირებს ერთმანეთს (უფრო სწორად, ბიზანტიური კულტურისათვის დამახასიათებელი ანტიონომიურიობიდან გამომდინარე აერთიანებს) ორიგინალობის, ახალი სტილის მიღების ორ მახასიათებელს: 1. კლასიკური გაგებით ეს არის ძველების ხაუკეთუხო თვისებების გაერთიანება, მათი შემოქმედებითი ათვისება (ახეთია მაგ. ღმოსთენე დიონისე ჰალიკარნასელის მიხედვით, გრიგოლი პხელოსის მიხედვით); 2. ახალი სულიერი შინაარსით ეს არის არა ფორმის მიბაძვა, არამედ ზეციურისა, ღვთაებრივისა, „მისი პავლესა“ გრიგოლთან და იქიდან მიღება შთაგონებისა. გრიგოლისათვის ორივე ერთმანეთშია შერწყმული. ასევე ანტიონომიურიობიდან გამომდინარე ორიგონად განიხილავს პხელოსი გრიგოლის სტილის ღირსებებს: 1. კლასიკური სტილთა თეორიიდან გამომდინარე, რომლის მიხედვით გრიგოლის თხზულებები მალაღფარდოვანი სტილის გამოხატულებაა და 2. წმ.წერილისა და წმ.პამათა თხზულებათა სტილის ევანგელური უბრალოებიდან, სისადავიდან გამომდინარე (§3 შდრ. ფოტიოსის ἀπλότης), რომლის მიხედვით გრიგოლის თხზულებათა როგორც შინაარსობრივი, ისე სიტყვიერი დახვეწილობა და სისადავე, როგორც საღვთისმეტყველო სტილის მახასიათებელი, ხანიძეულო და მისაბაძია.

კიდევ ერთ სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ პხელოსთან რიტორიკული თეორიის უმნიშვნელოვანესი ცნებების κἀλλος - χύρις (მშვენიერება-საამურობა) ტრადიციულთან ერთად ახალი შინაარსით გამოყენება. გვიანანტიკურ ესთეტიკურ თეორიაში და კონსტანტინეპოლის XI ს. სამეფო კარის ინტელექტუალთა ვიწრო წრეშიც ლიტერატურული ნაწარმოების მთავარ ღირსებად სიტყვით ესთეტიკური ტკბობა, სიტყვის მშვენიერება ითვლებოდა¹. ეს ტერმინები უმთავრესად გამოხატავენ ესთეტიკურ ზემოქმედებას, სტილის ღირსებას, სიტყვის მშვენიერებას, ამიტომ მათ ენაცვლება ტერმინები γλυκύς, ἡδύς (საამურობა, სიტკბობა). ამ თვალსაზრისით პხელოსთან ისინი განხილულია დიონისე ჰალიკარნასელის სქემაში (Dionys. Hal. II, p. 36, 10-37. Ps. Walz, Rh.Gr. V, p. 599,6 sq.). მის მსგავსად პხელოსთანაც ἡδονή მოიცავს ἄρα-ს, χύρις, εὐστομία, γλυκύτης (სილამაზე, საამურობა, სიტკბობა), κἀλυσ კი - μεγαλοπρέπεια, βύρις, ὄγκος, μέγιστος, ἀξίωμα (დიდებულება, საღვთისაწაულობა, ღირსება, მშვენიერება-ამაღლებულის აზრით) ცნებებს. გვიანანტიკურ ესთეტიკაში ნაწილთა მშვენიერებაზე, ცალკეულ ფიგურებზე, ელემენტებზეა ყურადღება გამახვილებული, ესთეტიკური აღქმა დანაწევრებულია (მაგ., ცალკეა განხილული ბერის, რიტმის ესთეტიკა და სხვ. შდრ. ფხალმუნთა ჰარმონია, რიტმი პხელოსის მიხედვით. Scripta mi-

¹. ი. ნიუბარსკი, დასახტა, გვ.130-131.

nora I, p. 372, 8-9), პსელოსის მიხედვით კი, გრიგოლის მშვენიერებას ტრანსცენდენტური წყარო აქვს, არა ჰგავს სხვა რიტორთა მშვენიერებას. იგი მრავლის ერთქმნაში მდგომარეობს (რადგან ერთიან ზემთა ხაწყისს ემორჩილება).

ამასთან, პსელოსთან *κάλως-χάρις* ცნებები გამოჩატავენ არა მარტო გარეგნულ, არამედ სულიერ, შინაგან, გამოუთქმელ სილამაზეს და მშვენიერებას, განსაკვიფრებელ აზრებს (§3, 19. შდრ. *χάρις, ἠδύς, κάλως* - Orth. Photiana, s. 95). ვფიქრობთ, პსელოსთან *χάρις* ზოგჯერ უკვე ქრისტიანული ხალვთო მაღლის მნიშვნელობით შემოდის (§2-3) და აზრის, მოძღვრების მშვენიერებას გამოხატავს. ამ შემთხვევაში *κάλως* და *χάρις*, შესაძლოა, ზოგჯერ უპირისპირდებოდეს კიდეც ერთმანეთს, როგორც მიწიერი და ზეციური მშვენიების გამოჩატველნი (იხ. §2. §19). მით უმეტეს, მიჩნეულია, რომ პსელოსი ტერმინოლოგიური უზუსტობის გამო ხშირად აღრევს *κάλως* და *χάρις* ცნებებს ერთმანეთში¹. ამაღლებული აზრი უცხო არაა ანტიკური ესთეტიკისათვის და მშვენიერი ფორმაც მას უნდა შესაბამებოდეს, მაგრამ პსელოსთან შინაარსის ქრისტიანულ ესთეტიკაზეა გამაჩვილებული ყურადღება, ევანგელურ სიხადავეზე (*ἀπλότης*) და გამშვენიერებელი ბრწყინვალე ფორმაც გრიგოლთან გამართლებულია მხოლოდ მშვენიერი სულიერი შინაარსით.

ამასთან, სიტყვა აქ ახალი ფუნქციითაც შემოდის, როგორც სიმბოლო, ნიშანი ზეციური მშვენიერებისა. შესაძლოა, ამიტომაც არ არის პსელოსთან შესაბამისობის ცნება (*πρέπον*, რომელიც არისტოტელედან მოყოლებული რიტორიკის თეორიების მოუცილებელი ელემენტია). გრიგოლის სიტყვა ცოცხალი ხალვთო შინაარსის მქონეა, ადამიანის აღმეყანებელია სულიერი სამყაროსაკენ (§13, 16, 21, 22, 23), ამიტომ მშვენიერების ცნებას გრიგოლთან ხალვთო გაგება აქვს და არა უბრალოდ ამაღლებული აზრის სილამაზის მნიშვნელობა. ამიტომაც, პსელოსის მიხედვით, ძველ რიტორთა თხზულებები ესთეტიკურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, გრიგოლისა კი - სულიერ მოთხოვნილებებს, თუმცა მისი ფორმაც სრულყოფილების მწვერვალია. ასე რომ, *κάλως-χάρις* ცნებები პსელოსის ტრაქტატში არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ სულიერი ღირსებების გამოჩატველიცაა.

გრიგოლის თხზულებათა დამაჯერებლობა (*πιθανότης* - თავად ეს ტერმინი პსელოსთან არაა) იმდენად დიდია, რომ ვკვლანაირი მსმენელისათვის არის აღსაქმელი (შდრ. ზემოთ ფოტიონი). ამასვე სახავს თავად წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი თხზულების ღირსებად (იხ. მისი *epist.* 51): „ის წერილია სრულყოფილი და მშვენიერი, რომელიც განუსწავ-

¹. იქვე, გვ. 130.

ლელისთვისაც (τον ιδωτην) და განსწავლულისთვისაც (τον πεπαιδευμενον) ერთნაირად სასურველი იქნება: პირველისთვის იმით, რომ მიუხადავება უმრავლესობის გაგებას, მეორისთვის კი იმით, რომ უმრავლესობის გაგებაზე ამაღლებულია... მას არ უნდა გააჩნდეს ზედმეტი სამკაულები და ბუნებრიობისაკენ უნდა იხრებოდეს უმეტესად..." განსწავლულში რიტორიკის მცოდნე იგულისხმება, განსწავლულში კი ის, ვინც მხოლოდ მოძღვრების შინაარსის აღმქმელია, ანუ ეს არის ე.წ. განათლებული „უსწავლულობა“ (მდრ.საქმ.მოც. 4,13 პეტრე და იოანე იყვნენ აფთხაπαι αγραμματοι...και ιδωται). ჰხელოსის მიხედვით, ამგვარი წერის ნიმუშია სვიმეონ მეტაფრასტის თხზულებები, რომლებიც ყველა სახის მსმენელისთვისაა განკუთვნილი - ელიტისათვის და მრავალათობისაც¹. დაახლოებით ახეთივეა ჰხელოსის მიხედვით გრიგოლი. იგი მსმენელს აძლევს იმდენს ათვისების საშუალებას, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევს, დანარჩენს ზემთა საგანძურში იტოვებს (§15), იშვიათად და ისიც მცირედთა წინაშე საუბრობს იგი ამაღლებული აზრით (§16). გრიგოლის თხზულებათა შინაარსის სიტყვად თითოეულისათვის იმდენადაა გახაგები, რამდენის მიღებაც მას შეუძლია, რადგან მიუწვდომელი ხალხთა აზრის ხილრმე სტილისტური სისადავითაა გადმოცემული, მეორეს მხრივ კი, გახაგებია დაფარულის გრიგოლისეული განმარტება (§21).

ეს საკითხი გრიგოლის შემოქმედებას უკავშირდება, მის ხალხთმეტყველო სტილურ ღირსებას, რის შესახებაც ჰხელოსიც მსჯელობს თავის ტრაქტატში: ეს არის აზრის ხილრმე (§2,3), ღრმა ხალხთა აზრის აღგვარიულობა, დაფარულება (§13,15,16,21-23), დაფარულის გახსნა-განმარტება (§22,23), სისადავე, დახვეწილობა, ხიმტვიცე, ზომიერება (§5,7,9), ლაკონურობა (§5,20,23 ბოლო)² და სხვ.

აი, ეს არის ძირითადად ჰხელოსის სიახლენი (ფოტიოზთან ერთად) ბერძნულ ლიტერატურულ კრიტიკულ ნაზრევში ტრადიციულის და კლასიკურის ფონზე, რადგან არა ორიგინალობა, არამედ ბაძეა არის უმაღლესი საზომი ლიტერატურული ღირსებისა, ანტიკური რიტორიკის თეორიის თვალსაზრისით, თუმცა, როგორც ი.ლიუბარსკი აღნიშნავს, აზრი ბიზანტიულ რიტორთა არაორიგინალობის შესახებ უკვე ძველია

¹ ი. ა. შვენიცკო ს დას. შრომა, გვ.302-303.

² გრიგოლის ხალხთმეტყველო სტილის ეს თავისებურებანი შესანიშნავად გაიხრა ეფრემ მცირემ თავის ანდერძისწერებში, რასაც „ღმრთისმეტყველების სიტყვათა მიფარულება“ ან „სიტყვა-ხმოვალ და ხილრმე დიდის გრიგოლი ღმრთისმეტყველისა“ უწოდა. აქვე განავითარა მან ზესოფიანობულ ბიზანტიურ სტილთა თეორიას მისადაგებელი შეზღუდუბა მრავალათობის, მრველისათვის („ყოველთა უკუისათა ზედა“) და მცირდთათვის, ელასისათვის („ამჟთა ვითოთჳსჳ გულისქისმოფელათჳს“) წერისა და თარგმნის შესახებ (Jer. 43,3 v - 4 r).

და დასკვნა კი არ უნდა იყოს, არამედ დასაწყისი კვლევისა¹. ჩვენც შევეცადეთ, გარდა კლასიკური წყაროებისა, სხვა ახსნაც მოგვეძებნა ჰსელონის ტრაქტატისათვის და გვეჩვენებინა მისი ხიანღეები.

რაც შეეხება საკუთრივ *τέχνη*-ს (მჭკვრემტველების წესებს)², ბუნებრივია, რომ აქ ჰსელონი ორიგინალური ვერ იქნებოდა და იგი ვერდნობა ელინისტურ თეორიებს, განსაკუთრებით დიონისე ჰალიკარნახელს (ძვ.წ. I ს.) და პერმოგენეს (ახ.წ. II ს.), რაც სასკოლო შაბლონი იყო შუა საუკუნეებში და რომელთა მოძღვრებაც მათი შემაჯამებელი ნახიათისა და სიძნადის გამო ადვილად აღსაქმელი და გაერცვლებული იყო ბიზანტიაში (განსაკუთრებით, Hermog. Περὶ ἰδεῶν და Dionys. Hal. Περὶ ὁμοιωμάτων ὁμοιοτάτων და Περὶ τῶν ἀρχαίων ῥητορῶν), თუმცა გრიგოლის *τέχνα*-ც ორიგინალურია, ჰსელონის მიხედვით.

ეს ხიანღე გამოიხატება: 1. რიტორიკის კლასიკურ თეორიებთან შედარებით ყურადღების გამახვილებით გრიგოლის მიერ რიტორიკული მეცნიერების შემოქმედებით ათვისებაზე, საკუთარ სულსა და გონებაში გადამუშავებაზე, რითაც თავად ჰდება წყარო ხელოვნებისა (§2,3,12).

2. ძველებისაგან ნახწავლი ჰერჩების ორიგინალური გამოყენებით (ფიგურათა, იდეათა თავისებური შერწყმით, სიტყვათა შეკავშირების საკუთარი ოსტატობით, რითაც იგი ცნობილ მწერლებზე აღმატებულია და წარმოუდგენელ კეთილჩინოვანებას და სიტყვიერ ჰარმონიას აღწევს (§3,7,8,9,10). ამ ჰერჩების ფლობით იგი საკუთარ ხელოვნებასაც ქმნის (§9,17), სიტყვიერი ხელოვნების წყაროებს ზომიერად, დახვეწილად იყენებს (§2,5,7,9), რითაც სადა, ბუნებრივ მშვენიერებას აღწევს (§20,23), ისე რომ, სპეციალურად არ ზრუნავს რიტორიკულ ხელოვნებაზე (§12,13).

3. მის მიერვე მიკვლეული ხელოვნებით (*τέχνας αὐτῶν εὐρημένους* - §20).

4. პანეგირიკის ჟანრში მიღწეული ისეთი წარმატებით, რითაც ორიგინალობას უახლოვდება და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მან მოიგონა სიტყვის ეს სახეობა (§19).

5. შემოქმედებითი შთაგონებით თუ ზეშთა ძალით მრავლის ერთქმნით ზეციურ ჰარმონიას უახლოვდება (§2,7,16).

6. შესაბამისობის, შესაფერისობის (*πρέπον*) ცნების მიხედვით, მაღალზე მაღლად ზამს საუბარი, უბრალოზე-უბრალოდ. შუა სს. ეგზეგეტიკის, ქრისტიანული აღფეროების პრინციპიდან გამომდინარე, გრი-

¹ ი. დიუბარსკი, დასახ. სტატია, გვ. 121.

² რიტორიკის საწავლო სახელმძღვანელოების *τέχνη*-ს (*τεχνήματα*) ისტორიისათვის იხ. G. A. Kennedy, *Early Rhetorical Handbooks*. - *American Journal of Philology*, v. LXXX, 1959, p. 169-177.

გოლს აქვს უნარი ფარული ღრმა აზრის სადად გადმოცემისა, სიტყვიერი ალეგორიით რამდენიმე აზრის გახსნისა, უბრალო, საყოველთაო აზრებისადმი მაღალი მნიშვნელობის მინიჭებისა (§13,16,21,22,23). ასე რომ, ალეგორიულობა აუცილებელი პირობაა შუა სს. რიტორიკისა.

7. კომპოზიციის სიმეტრიის დაფარულებაც გრიგოლთან ახალია, კლასიკურისაგან განსხვავებული (§19-20).

8. ყოველივე ეს ჩინის გრიგოლის სტილის არქექტიპულობას, ორიგინალობას (§2,3,7,12,23), თითქოს ძველებისაგან კი არ მოიძია და იხსავლა, არამედ საკუთარი წყაროდან წარმოადინა მან სიტყვიერი მშვენიერების ნაკადი (§2,12) ან კიდევ შეჰკრიბა თითქოს ეს ცნობილი ზერხები და კიდევ ერთგულია თავისი თავისა (§2).

ძველოსის მიერ გამოყენებული εὐχῶν-ს სისტემა, რიტორიკული სტილის შემქმნელი ელემენტები (შინაარსობრივი, აზრობრივი და სიტყვიერი მშვენიერება: სიტყვათა შერჩევა, შეწყობა, ფიგურები; თემის დამუშავება, კომპოზიცია, ტოპიკა, სიტყვის მახასიათებლები: ღირსებები, იდეები, სტილის სახეები და სხვ.) გზადაგზა განმარტებულია ტექსტის თარგმანის შენიშვნებში.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ძველოსის მონოგრაფიაში დახასიათებულია გრიგოლის პროზის ის თვისებები, რაც შენარჩუნებულია ქართულ თარგმანებშიც და რაზედაც ყურადღება აქვს გამახვილებული ეფრემ მცირეს. ქართული მწერლობისათვის საყურადღებოა ის, რომ ეფრემ მცირე უკვე აქცევს ყურადღებას რიტორიკის თეორიის ამ აქტუალურ საკითხებს და თავადაც მცირე თეორიულ ფორმულირებებს გვთავაზობს მათზე თავის ანდერძებში. ეს არის მეტაფრასტიკის თეორიის საკითხები (A 24. ამ თვალსაზრისით სრულიად შეუსწავლელია და მომავალი კვლევის საქმეა ძველოსის ენკომია სუმეონ მეტაფრასტისადმი და იოანე ქსიფილინოსისადმი), აგრეთვე რიტორიკის თეორიის ისეთი საკითხები, როგორცაა ლაკონურობა, აზრის დაფარულობა-სიღრმე, ალეგორიულობა (Jer.43), სტილთა თეორიის საკითხები (A 24, Jer.43) და სხვ. (იხ. ზემოთ).

და ბოლოს შეიძლება ვთქვათ, რომ რიტორიკის, როგორც შუა სს. ხასკოლო ნორმის, სახულიერო თუ საერო განათლების აუცილებელი ელემენტის (ფილოსოფიასთან და გრამატიკასთან ერთად) გაგლენა გაცილდა მხოლოდ კომილუტიკური ჟანრის ფარგლებს და მწერლობის თითქმის ყველა დარგი მოიცვა, მათ შორის პოეზიაც¹. იგი იყო შუა სს. შვიდი თავისუფალი ხელოვნებიდან ერთ-ერთი - „სიბრძნის დარგი“. რიტორიკის კანონებმა მოიცვა მთელი შუა სს. მწერლობა და გან-

¹ H. Hunger, Aspekte der griechischen Rhetorik von Gorgias bis zum Untergang von Byzanz. Wien, 1972, s. 3-27.

სახლვრავდა ცალკეული ლიტერატურული გვარის შინაარსს, ალგორითმობას თუ კლიშეებად ქცეულ ხაზებს და გამონათქვამებს.

XII-XIII სს. პოეზიის თეორიაში შეინიშნავენ ჩვეულ ურთიერთგავლენას რიტორიკისა და პოეზიისას¹. ამ მხრივ, ვეფხისტყაოსნის პროლოგი თავისი შაირობის თეორიით, ხაღმართოს ბაძვის თეორიით, პროლოგშივე თხზულების ქანრის განსახლვრით, ალგორითმობით - „საჭოჭმანები საქმით“, განუსწავლელისა თუ განსწავლელისათვის ერთნაირი მისაწვდომობით („ხაღმართო, ხაღმართოდ გასაგონი“, „გვლა აქაცა ეამების“), პოეტის ტერმინოლოგიით - „სამურობით“ („გვეამების“, შდრ. χάρης, ἦδύς), სიტყობებით (შდრ. γλαυκός, „თქმა ლექსებისა ტყბილისა“), „ჟინა-მუხიკობით“ (შდრ. εὐχλασία), სიტყადის - ნათლად თქმის („რაცა ოდენ თქვან ნათელად“) თუ „მოკლედ თქმის“ ხელოვნებით, „სიტყვა-მცრობით“ (სტილთან მიმართებაში)², „გრძელი ლექსით“ თუ „ცოტა ლექსით“ (ქანრთან მიმართებაში), ერთი სიტყვით, შემკობილი ენით, „ხელოვნებით“ (τέχνη) თუ ღრმა ხაღვთო აზრით, სიბრძნით, თავად ტექსტში მეფეთა დახასიათების ტრადიციული რიტორიკული კლიშეებით და სხვ. ბიზანტიურ რიტორიკასთან მიმართებაში ჯერ კიდევ შესახსწავლია. ამ მხრივ, რუსთაველის პოეტური შემოქმედება რიტორიკის (ფართო გაგებით, როგორც ხაღვთო სიბრძნის გამომნატველის და არა მხოლოდ τέχνη-ის) ერთ-ერთი სახეობაა, სიბრძნის დარგია. მასაც ისეთივე ხაღვთო დანიშნულება აქვს, როგორც ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში ხაღვთისმეტყველო სტილის გამომნატველი რიტორიკის ანაღ სახეობას (შდრ. ფოტიოსი, პხელოსი). ამ თვალსაზრისით, რუსთაველი უშუალოდ ბიზანტიური რიტორიკის თეორიის გამგრძელებელია³.

რიტორიკა, როგორც ფორმა-შინაარსის, ხელოვნებისა და სიბრძნის, ენისა და აზროვნების, გარეგნული თუ სულიერი მშვენიერების გამომნატველი, დღესაც დაფარულად განაგრძობს არსებობას⁴.

1. H. Caplan, Classical Rhetoric and the medieval theory of Preaching. - Classical philology, XXVIII, N2, 1933, p.73-96.

2. სიტხად (ἰσοψυχία), ლაქონრობა (ἰσοχρῆτος) და საპრობა (χάρης) საბი ვეღაზე გვრცლებული სტილური მანახიათებლია და არისტოტელედან მოყოლებული ლიტერატურული ნაწარმოების მთავარ ღირსებად ითვლება (შდრ. გრიგოლის ეპისტოლეუ 51,54 - ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, ტ.1, 1994).

3. რუსთაველის „ხელოვნება“ τέχνη-ს პირველად ბბრეგვაქემ დუკაქშირა (იბ. მისი თარგმანი: უხელოლონიკე „ამაღლებელისათვის“, თბ., 1975, გვ.210). ვეფხისტყაოსნის პროლოგის თეორიის ბერძნული რიტორიკის თეორია ადრე დუკაქშირა ნ.სულაქამ, ზოლო კონკრეტულად გრიგოლის ზემოთ დასახ. წერილებს, როგორც გამაშუალებელს ანტიკური რიტორიკის თეორიასა და შუა სს. შორის - ლ.კვირიკაშვილმა.

4. შდრ. *Общая риторика - Rhetorique Generale par le groupe μ*, M., 1986.

მიქაელ ჰხელოსის წინამდებარე ტრაქტატი, ვფიქრობთ, ერთ-ერთი საფუძვლიანი იქნება ბიზანტიური ლიტერატურულ-ესთეტიკური ტრაქტატების ქართულად გადმოღების და ქართულ ლიტერატურასთან მიმართებით კვლევის საქმეში.

თარგმანი შესრულებულია ა.მაიერის დასახელებული კრიტიკული გამოცემის მიხედვით.

ჰაერტიმოს¹ ჰხელოსის ხიტყვა, ხახელდახელოდ შედგენილ² კეტარხ³ პოთოხისათვის, რომელმაც ხოხოვა მას ხაღვთისმეტყველო ხტაღზე⁴ დაწერა

1. ნუ გაგიკვირდება, ჩემო ძვირფასო პოთოხ, თუ მე [გვერდი აუქარე] ჩემზე უწინდელ რიტორებს⁵, სტილის მშვენიერების განმარტებისათვის სათითაოდ რომ [აღწერდნენ] იმ სოფისტებს და ფილოსოფოსებს, რომლებსაც ენაზე ზრუნვა ახასიათებდათ. მე კი ავიცილე ხიმრავლე და ხელი მოკვიდე იმ საქმეს, რომ ერთადერთ კაცში დამენახა მთელი ხელოვანება და ძალი ხიტყვისა. რადგან შემოხსენებული რიტორები არ ეხებოდნენ რომელიმე ერთი მწერლის ხიტყვიერი ფორმის და შინაარსის⁶ ღირსებას, არამედ სხვადასხვა მწერლის სხვადასხვა ღირსებას განიხილავდნენ. მათ ხურდათ შემოეთავაზებინათ არა დაუსრულებელი, არამედ დასრულებული და სრულყოფილი განმარტება სტილისა. ამის გამო მათ თითოეული მწერლის მიხედვით შეკრიბეს რაღაც თითო [დამახახიათებელი ნიშანი ხიტყვის] სახეობისდა შესაბამისად⁷: პლატონისაგან,

1. ამ უძველეს ტიტულს (ὑποτίτλος), რომელიც უმეტესად სახელწერი წოდების პირთ ეძლეოდა, „ხეშთაპატისნად“ თარგმნის აკად. სეაუნისძე (ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1973, გვ.257).

2. λόγιον ὑχθιστικόν ხეცადური ლიტერატურული ფორმა იყო.

3. წერილის აღრეხატვის პოთოხის საპატიო ტიტულია, რომელიც იმპერატორთან დახლოებულ პირს ენაქებოდა სასახლის კარზე.

4. περί τῶν ὀμοιωτικῶν χαρακτήρων - ამ თხზულების მოკლე სათაურად შეიძლება იქნეს გამოტანილი.

5. ღიონსე ძალიკარანსელის მსგავსად ჰხელოსი ცდილობს თავისი თემა აინიოს იხე, რომ ვრიგოლმა ყველა ἰδέαι λόγιον გაერთიანოს, მაშინ როცა ძველი მწერლებისაგან თითოეული მხოლოდ ერთი მიმართებით იყო სანამუშო (დემოსთენეს ღიონსე ძალიკარანსელთან de Demost.). წინამორბედი „არასრულყოფილი“ მწერლებს ღირსებებს (ἰσχυροί) სრულყოფილად აერთიანებს თავის თაგში.

6. τὸ λεχθικόν - ხიტყვიერ ქსიოელს, ხელი τὸ πρακτικόν (πραγματικόν) - შინაარსს, მის ნიშნებს რატორიკულ თეორიაში (ღიონსე ძალიკარანსელი და სხვ.). ამიტომ აქ ფორმისა და შინაარსის მიმართება უნდა იგულისხმებოდეს. ეს უკანასკნელი ფრანზ უთარგმნელია ტმადურთან.

7. ცადკოდო „არასრულყოფილი“ მწერლის ყველა იდეის (სტილის მახასიათებელი - იხ. ქვემოთ) გაერთიანების იდეალური სურათისათვის შდრ. ჰერმოჯენე, Περὶ ἰδέων - Rhetores Graeci II, 266,24; 270,32 Sp.

მაგალითისათვის რომ ვთქვათ, აიღეს დიალოგური სიტყვა, სოკრატეოს ექსინესაგან - სიტყვათა მწვობრი შეთანხმება, თუკიდიდესაგან - ამაღლებულობა და ზეაწეულობა, ჰეროდოტესაგან - სრულიად ჰარმონიული კეთილწმინდანება, ისოკრატესაგან - ხადღეხასწაულო და ხახოტბო სიტყვათა მოწესრიგებულობა, დემოსთენესაგან - სასამართლო დავის¹ ხომთაფრე და მასთან გონიერება და ხვესება ენაწელიანობისა და აღტყინებისა². არიანელ პოლემონისაგან, მარათონელ ჰეროდესაგან, ვეფხელ ლოლიანესაგან³ და სხვათაგან კი, რომელთაც სიტყვებით განითქვეს ხა-ხელი, იხინი იღებდნენ იმას, რაც თითოეულისათვის უფრო მახლობელი და ბუნებრივი ჩანდა.

2. მე კი, მათგან განსხვავებით, წილად მხვდა უმეტესი ბედნიერება მრავალთაგან ერთი განმეხილა, ვეულისხმობ ღვთისმეტყველად ხაჩელ-ღებულ გრიგოლს, რომელმაც ისე სრულყოფილად გააერთიანა თავის სიტყვებში თითოეული იმათგანის⁴ გამოჩნეული [თვისება], რომ გვიგენება, თითქოს მან მათი მიბამებით⁵ კი არ მოიძია ეს ყოველივე, არამედ თავადვე გახდა პირველსავე და გამოხატულება სიტყვიერი მშვენიერებისა. ამიტომ გვერდი ავიარე სიტყვის იღებებს სხვა [მწერლებთან] და ვარ-

¹. რიტორიკის სამი კლასიკური ვანრი არისტოტელეს განსაზღვრებიდან (Rhet.) მიყოლე-ბელი: ხადღეხასწაული პანეგორიკული სიტყვა (γῆρας ἑπιθρητικόν και πανηγυρικόν), სასამართლო პოლემიკური (δικαστικόν), მესამე - პოლიტიკური სასაბჭირო (συμφωσιαστικόν) აქ არ არის დასახელებული.

². ეს არის ე.წ. ἄρχειαι-ის (ძველი მწერლების) რიგი. დასახელებულია ხანიმუო პროზაიკოსების რიგი ხამ ჯკუყაღ: ρητορες, ιστορικοί, φιλοσοφοί: ღემოსთენე და ისოკრატე (§5-ში მით უმატებს ღისაიცი), თუკაიდე და ჰეროდოტე, პლატონი და ესქინე. ეს იყო ატიკური ტრადიციამი გავრცელებული რიტორიკის, ისტორიკოსების, ფილოსოფიოსების სრულყოფილ მჟარ კანონისაგან (დაახლოებით ათ-ათ ხუკეთესი მწერალთა კატალოგი) რჩეული. ამ კანონისაგან პსელისის და მისი უშუალო წყაროს (Longinus, Περὶ ῥητορικῆς. Rhetores Graeci I 211, 25 Sp.-H.) კატალოგები შუადი ზემოთ ხსენებული პროზაიკოსთ ხუკეთესოდ მიანნა ა. მ ა ი ე რ ს (სხვა წყაროებისათვის იხ. მასთანვე, გვ.68). ხანიმუო ავტორების განსხვავებუ-ლი ხამ პსელისის სხვა შრომამი (Περὶ χαρακτήρων συγγραμμάτων τῶν αὐτῶν. - Boissonade, De oper. daem. p.48ff.): ღემოსთენე, ისოკრატე, არისტოტელე, თუკიდე, პლატონი, პლუტარქე, ღისაი, გრიგოლ ღვთისმეტყველი. ე.ი. სოკრატეოსი ესქინე და ჰეროდოტე აქ შეეკადა არისტიდე (მღრ. პოთოლისადმი, §21-22) და პლუტარქე (§15,21).

³. ძველი ხანიმუო ავტორების რიგს უერთდებან ორატორთა ე.წ. მეორე კანონის წარმო-მადგენლები: პოლემონი, ჰეროდო ატიკელი, ღილდანე, პსელისის წყაროა ფილოსტრატეს „სოფელისათ ბიოგრაფიები“ - VS (I, 23,25; II, 1. მღრ. პოთოლისადმი §6,12,18).

⁴. იუდეუსისებრა ზემოთ დასახ. მწერლები. სიტყვა - ḥayot ხან ღემოსთენე ერთიჯლს ხიმ-ხავს, ხან ჭდაგება-პიშილას, რაც შინარისთ განირჩევა. ზოგჯერ ერთიჯროვნების ასაკულუ-ბად „პიშილას“ ეწერო.

⁵. κατά ζῆλον ἑαίρων (ავტონისხმება ἄρχειαι-ის - იხ. §2 ქვემოთ). გრიგოლის ღიდ ღირსე-ბად ითულება ის, რომ ძველ მწერალთა მიბამით არ წერდა. მღრ. პსელისისვე თხზულება „წმამათ სტილის შესახებ“ - Boiss. 127,20, ხადღე გრიგოლის სტილი εκ πολλῶν ῥητόρων ἔρρησται. ეს წინააღმდეგობა გამომწვეულია იმით, რომ ამ ორი ტრატატის მიზანდასახულება სხვადასხვა. განსაზღვრულ ტრატატში გრიგოლის ინდივიდუალობა და ირიგინალიზობა არის წარმოჩენილი, მეორეში კი - მისი წყაროები.

ჩივ მხოლოდ და მხოლოდ ერთი იგი დამეხახიათებინა შენთვის. ჩემს ნაღვალს კი ხევას ვისმე კი არ ვუძღვნი, თუშცა ვეწვი, რომ მრავალია ამის მოხურნე, არამედ აწ მხოლოდ შენ გაძღვე გულითადად აღრვევ დაპირებულს.

თუ მართალია, რომ ამ დიდმა კაცმა, ისევე როგორც ზემთა სამყაროდან მიიღო ფილოსოფიის საწყისები, როცა უხორცო და ღვთაებრივ იდეებამდე აღიყვანა გონება და ერთადერთი წყაროდან მოაპოვა თავისთვის ცოდნის ნაკადი, ასევე ხაიდანაც იქიდან დაფარულად მიიღო მშვენიერება და ძალი სიტყვისა და უმაღლესი მუხიკის კანონების მიხედვით შეურწყა ივა თავის თხზულებებს¹, მაშინ საკვირველი უნდა იყოს ეს აზრი, ხოლო ზეციდან უჩუ ნაკადად უნდა მიყდინებოდეს² სიტყვის წყარო, ხაიდანაც იგი (გრიგოლი), სხვებთან ერთად მის ხაესუბას დაწაფებული, ჩვენთვის აღინებდა სიტყვიერი მშვენიერების მდინარეებს. ხოლო თუკი იქ არაფერია არალვთიური და ხევა [ამქვენიური] მშვენიერებანი³, გამომდინარენი ხელიერი თუ ბუნებრივი საწყისებიდან,

¹ მკლხის, როგორც კლასიკოსი ფილოლოგი, აუნებს აღტერნატივას გრიგოლის მკვერმეტყველების ღვთაური თუ აღმამური წარმომავლობის შესახებ (ა. მ. ა. ე. რ. ა.) და კვიქრობთ, როგორც განსწავლული ხსულიერი პირი, რიტორიკული ფასეულობების - სიტყვის მშვენიერებისა (καλλις) და ძალის (δυναμις) ღვთაური საწყისის უპირატესობას წარმოაჩინებს, შერწყმულს იმავე ზემთა სამყაროდან მიღებულ ფილოსოფიასთან. [შტრ. ფრტორის აზრი დონისე არეობაგვლზე: მისი აზრი განუყოფელ უკავშირებას რიტორიკას, სიტყვის ხელიერებას, ისე რომ თუ მისი ღვთაებმეტყველება და ფილოსოფია ზემთა საბოძქარაა და ხაღვთო სობრძნეა, ასეთავე ზემთა ნაქი და სობრძნე უნდა იყოს მისი რიტორიკაც - Amphilochia CIX. PG 101, 697D]. ამ მოსაზრებას მკლხისი საკვირველს (καιόν - ახალსაც ნონსაც) უწოდებს, შესაძლარა იმატკარა, რომ ახალი ივა კლასიკურ რატორიკულ თეორიებთან შედარებით, საღაც ბუნებრივი ნაქია (φύσις) წარმმართველი, მკლხისი კი მსმენელად თუ მკითხველად მისი ვაქიქის ინტელექტუალურ წრეს უნდა გულისხმობდეს.

² ამავე მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული კავშირებითი კოდის ხმარება καιόν τούτ αν ειη τού νόμου. ტამაღერი მართებულად თარგმნის ამ ადგილს: η προημαεα, что (გვ.161), რაც ზემთ აღნიშნულ აღტერნატივას გამოხატავს (თუმცა ეს სიტყვა ღელანსი არაა).

³ მშვენიერების გამომხატველი რიტორიკული ცნებათა კაბლას-ჯარის, როგორც ვიქით, მკლხისთან ტრადიციულ სიტყვიერ მშვენიერებასთან ერთად ხელიერი მშვენიერების გამომხატველიცაა. მკლხისი მსჯელობს მათ ზეციურ წარმომავლობაზე (§2). ტრადიციული რიტორიკის თეორიაში ისინი ერთმანეთისაგან განირჩევა იმით, რომ ჯარის უფრო საპურებას გამოხატავს (რისთვისაც მას ენაცლება იბოტი, არა, γλακότης), კაბლას კი - დიდებულებას, ამაღლებულებას (μεγαλοπρέπεια, ὄψας, μεγαλῶς). მაგრამ ისევე, როგორც ჰერმონავებს ტერმინება ფრტორიკის მიიღო სხვა შინარისი, კვიქრობით, შესაძლებელია მკლხისთანაც ზოგჯერ ზურაღნიშნულ ტერმინებს ახალი შინარისი აქვს ტრადიციულ გავებასთან ერთად და ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაც უპირისპირდება. მაგ., ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჯარის ზეციური, ხელიერი, ღვთაური მშვენიერების, მაღლის გამომხატველია, კაბლას - ამქვენიური მშვენიერებისა (ქრასტანულ ტექსტებში ჯარის-ს წეროდ „მადლია“, „წყალობის“, „ნაქის“ მნიშვნელობა აქვს, კაბლას-ს კი „მშვენიერების“, „სიკეთის“, საღვთო სიკეთის აღსანიშნავად მას ესატება განსაზღვრება ἄριστον - აბ. ბერძნულ-ქართული დოკუმენტარებელი ღვექსიონის) ქართულად ტერმინთა ზესტა გამაჯენა ყოველთვის ჯერ მოვახერხებთ მსგავსად კვანდელს გავებას, მაგ., ამ ტერმინთა შინარისობრივი განსხვავება შესანიშნავად გამოიხატა ქართულ კლ-

იმქვეყნიურის მიბაძვალ¹, მაშინაც კი ეს ხაკვირველი კაცი ბუნებაზე აღმატებული² ჩანს. რადგან სხვას მისებრ არავის მიუღწევია ასეთი ღირსებისათვის, რასაც მან მიაღწია არა ძველების მიბაძვით, არამედ ხაკუთარი წყაროდან ყველაფრის ერთად წარმოდინებით. იგი მიემართებოდა ერთიანი სიტყვიერი ხირინგისაკენ³, ხიმრავლეს ერთქმნიდა, ქვედა ხმას შუახთან შუახთანხმებდა, ხოლო შუახ - ზედასთან⁴ და როცა შემდგომ აზრით ჩამოჰკრავდა მას, სცოცხლის ისეთ ხიმღერას ააქვებებდა, როგორსაც გუდიც კი არ მღერის, რაჟამს, მითის მიხედვით, თავის ღმერთთან გამგზავრებას განიზრახავს⁵. გრიგოლი [ხაკუთარი] ხმით აღემატა ბუნებას⁶.

3. მე კი ყოველთვის, როცა მას ვკითხულობ, რაც ხშირად მიხდება, უპირველესად ფილოსოფიის და, შესაბამისად, სულიერი დამოძღვრის გამო, გამოუთქმელი სილამაზითა და მშვენიერებით⁷ ვიკვები, ხშირად დავეუტყვებ საძიებელ საგანს, გონებით დავეცილდები ღვთისმეტყველებას, ვიშვებ სიტყვათა ვარდებით და იღუქმალ ვემოხები გრძნობებს⁸. როცა მივხვდები, რომ დატყვევებული ვარ, უკვე მიყვარს და ვხასოებ დამტყვევებელს, ხოლო როცა იძულებული ვარ სიტყვიდან (της φωνῆς) ისევ

სიერ რომანტიკულ ნაზრევში (ნბარათაშვილი) სადაც „სილამაზე“ (მღრ. κίλλος) ზორციულ ღირსებისთან, ხოლო „მშვენიერება“, იგივე პაღლი (მღრ. χῆρις) სულიერ ნიქთან, ღვთიურ უკვლავისთან იქნა დაკავშირებული: „სილამაზე ნიქი მხოლოდ ზორციულებას“, „თვით უკვლავს მშვენიერს სულში აღვლავლებს“.

¹. ბაძვის საგანს არა ამქვენიური მშვენიერებასი (ძველი მწერლების სიტყვიერი ზეღოვნების ღირსებები), არამედ ღვთიური, ზეციური. ამქვენიური მშვენიერებასი ამქვენიურის მიბაძვალ.

². აქ უნდა იგულისხმებოდეს კლასიკური რიტორიკული თეორიების ცნება - *φύσις* (ბუნებრივი ნიქი), რომელსაც მხელისთან ღვთიურთაგონებულობა, მქვერმეტყველების ღვთიური ზეციური წყარო ცვლის, რაც როგორც ზებუნებრივი, ცხადია, ბუნებრივზე აღმატებულია. განსაკუთრებულის, ხაკვირველის (*ἰσχυρότερος*) ცნებაც მხელისთან ღვთიურს უკავშირდება.

³. გრიგოლმა შექმნა თავისი სტილი არა ძველების მიბაძვით, არამედ იმით, რომ ძველებთან დანწილებული იქნა გაერთიანა (მღრ. Boissonade, p. 59,7). მღრ. §7. ხირინგი - ხალაქურის, ფლავიანის ყელი. ასეთი მრავალფეროვნებისა და ერთიანობისათვის მღრ. §13,16,23.

⁴. იღვების გაერთიანებას უკავშირდება დაბალი, შუა და მაღალი ტონების გაერთიანების სურათი (მღრ. Plut. de animi pro cr. in Tim. c.32, p.1029A; de Mus. c. 30, p. 1142A; de Musici script. p. 363A2), რაც ნიშნავს დაბალი, შუა და მაღალი სტილის გაერთიანებას (ა. მ. ი. ე. რ. ი., დასახ. შრომა, გვ. 71).

⁵. მღრ. Plut. Phaed. p.85A.

⁶. გრიგოლის ინდივიდუალური იგულისხმება და მისი მშვენიერების ზეციური წარმოშობაც.

⁷. აქ საუბარია ცნებაზე *χῆρις*, როგორც სიტყვის ღირსების (*ἀρετή*) ერთ-ერთ კომპონენტზე (იხ. აგრეთვე ზეითი - *λογική χῆρις*).

⁸. აქ ესთეტიკურ ტერმინზე საუბარია: *ποδωνία... των λέξεων გულისხმობს ფერადონის სიტყვას (ἀσθητὰ ὀνοματὰ)*, როგორც რიტორიკულ ცნებას (მღრ. Dionys. Hal. de Lys. c. 10,11, p. 19,1).

გონებაზე¹ გადავიდეთ, ვწუხვარ, რომ კვლავ ტყვე არ გაეხდე და, როგორც დანაკარგს, ისე ვიგლოვ ამ უკანასკნელს. რადგან გრიგოლის სიტყვის მშვენიერება არ არის იმგვარი, რაშიაც სოფისტობით გატაცებული ბრიყვი არიან გაწაფულნი², ხაღლესასწაულო და თეატრალური, რომელიც პირველად აღგაფრთოვანებს, შემდგომ კი, მთორედ გაცნობისას, განგიზიდავს, რადგან ამ რიტორებს ჯერ ბავთთა სიმრუდვ არ წარუხროცათ, ისე გაბედეს თხზულებათა [წერა] და მიმართავდნენ [თავიანთ] სიტყვებში უფრო სითამამეს, ვიდრე ხელოვანებას. გრიგოლის მშვენიერება ახეთი კი არაა, უმრავლესობის მსგავსი, თუშცა ხაჭირო, არამედ მიემსგავსება პარმონიულ მუსიკალურ მშვენიერებას³. ვიტყვი უფრო ცხადად და მასთან ხელოვანებით⁴, გავხსნი კვანძსაც, რათა უკეთესად გაიგო სხიდავე⁵.

4. სიტყვები⁶, ჩემო ძვირფასო შეილო, ისე არიან გაბნეულნი, როგორც ერთმანეთის გვერდით დაყრილი (სიტყვა-სიტყვით – შეუკავშირებელი,

¹ უპირველესად აზრი, შინაარსი (νῦμα, ῥῶμα, δῖαμα) წარმმართველი რიტორიკის თეორიაში. მხელის თვითდავე სუბრობს გრიგოლის მაღალი აზრის საღვთო წარმომავლობაზე (იხ. ზემოთ §2 და შემდეგ).

² გრიგოლის სიტყვის ამ განსხვავებულ მშვენიერებას უპირისპირდება მდიდრული სოფისტური შირთულობა, რომელშიც დიონისე კალიკარნასელი, ზვეულებრივ, გორგანულ ფიგურებს გულისხმობს (de Thuc. 24. p. 362,22; c. 3. p. 424,11).

³ აქ ისევ გრიგოლის თხზულებათა მშვენიერების დეიოურ, ზეიოურ, სულიერ წარმომავლობაზე ვერაღებუა გამახვლებელი, რითაც იგი განსხვავდება უმრავლესობის სორმირებელი შემოქმედებისაგან. (ἀσ δει - საქიროება, არისტოტელეს შიერ განსახვურული იდეაური სორმა იყო პოეტური ხელოვნების (Poet. 1460a 8. T. მილლერ. Ἀριστοτέλης ἡ ἀντικίνησις ἀποκατασταστικῆς ἰστορίας. - Ἀριστοτέλης ἡ ἀντικίνησις ἀποκατασταστικῆς ἰστορίας, под ред. М.Л. Гаспарова, М., 1978, с.89). ტამიერი მხელის რიტორიკის ტანკატის ამ ადგილს განხილავდა ლად სარკის: не такова красота Григория: далеко от этого... (с.162).

⁴ იგულისხმება რიტორიკული ხელოვნება, აქედან უკვე საკითრივ ძეჯი-ზე (ხელოვანებაზე) გადადის მხელის.

⁵ ἀελοός - სისადავე, სინრფოება, შიუკამველობა, მხელის მხიხედით, გრიგოლის სტილის ისეთივე დირისება, როგორც ფოტოსის მხიხედით, წმ.წერილისა და წმ.ამათა თხზულებებისა, სადაც აზრის მშვენება წამყვანი და არა რიტორიკული სამკაულებისა (მღრ. ქვემოთ §20 და სხვ.). შუთხსნეით არა ამ ტერმინის აღება საღვთისმეტყველო სტილის სისადავის, დიტორიკის გამოსახატვად, რადგან სინრფოება, დიტორიკა, განსარტებულება თვად ღირსის თვისებაა (ἐν ἀελοότητι... τὸν θεόν - II კორ. 1,12; ἐν τῇ ἀελοότητι τῆς θεοότητος გრ.ნოს.კ.ს.შ.ს., ἀεός ἀελοός - იდამგარდამოც. 792C და ა.შ. მღრ.ბერძინულ-ქართული დოკუმენტირებული დეკსიკონი).

⁶ აქედან იწყება რიტორიკული ხელოვნების შიხვურება სიტყვიერ გამოსახულებაზე (λέξις, λόγος, ὄνομα, φράσις), რაც გამოიხატება: ა) სატყვათა შიხვიუა-შერჩევაში, თავიოურაში (εὐλογοί, σὺλλογοί ὀνομάτων), ბ) სიტყვათა შეწყობა-შერწყმაში, შკკეპირება-შეთანხებაში (συσθίσις), გ) ფიგურებში (σχηματα). მათ სხვადასხვა თვისებებზე დაკვირებით ირკვევა, რომ შიტყველების ელემენტების სწორ შერწყმაზე დამოკიდებულია χრის-ის შექქმა. მხელის სიტყვათა ხამ კლას გამოყოფს. უფრო ქვემოთ ხანს, რომ მხელის წყაროში შიოთხე კლასი იყო (მღრ. გამქვირავებ ქვეთ), რაც დეპტერიოსის ოთხ კლასს შვესამამება (Demetr. de elocut. 173,176) ἄνομα (ὀνομαστικόν), λέιον, μεσότης (ἐπιθετικόν), τραχέια ὀνόματα. ამ თვიროის ურთადურთა წყაროა დეპტერიოსის (თვიურასტული) თვიროია.

გაფანტული) ქვები, რომელთაც არა აქვთ ერთიანი სახე და არც ერთმანეთისაგან განმასხვავებელი [ნიშანი]. მათგან ერთნი დიდრონნი არიან და ყელს ავსებენ, ძალუმაღ ეჩლებიან ირგვლივ ჰაერს, ერთიანად აწყდებიან მსმენელთა ყურებს, შემდეგ კი ხმაურობენ ლაბირინთის მსგავს სახველელებში და ხულს შესძრავენ (გადმოგვცემ თვალნათლივ, რათა თავად უკეთ წარმოიდგინო მათი სიცხოველე); მეორენი გლუვნი არიან ბუნებით და [თავიდანვე] თანაბარნი წარმოიქმნენ, არც ფრიად კეთილზმოვანნი არიან, არც სასმენელს მიიზიდავენ; ხვანი კი შუაში არიან მოთავსებულნი და ჰარმონიის წესებს შეესაბამებიან, ისე რომ, არც შემაშფოთებულნი არიან და არც დამატებობელნი. ერთნი შეედრება მწვანე ქვებს, მეორენი - ცეცხლისებრს, ხვანი - მანათობელთ, დანარჩენნი კი - გამჭვირვალეთ. ეს სიტყვები არა ერთად, არამედ ყველგან არიან [მიმობნეულნი]. მათ კი შეკრებს ხოლმე, ჩვეულებრივ, ყველაზე მეტად მოწადინე ხული¹. ამის გამო ერთნი ზღვის გაღმა აბარებდნენ მას, ხვანი ხმელეთზე ვიდოდნენ, ზოგმა ღიბიიდან, ზოგმა ევროპიდან, სხვებმა კი სხვა ადგილებიდან მოივაჭრეს ეს მშვენიერი ქვები. შიშველი ხულები ერთმანეთისაგან არ განსხვავებიან, ხოლო სხეულებით [შემოხილნი] სხვადასხვაგვარნი არიან და სხეულისდა მიხედვით იცვლიან მისწრაფებებს². ამიტომ ერთნი ვეილათის მხარეში გაემგზაურნენ ღია-მწვანე ქვიხათვის და, როგორც ხალვთო წერილი ამბობს³, დიდი მონდომებითა და ბრძოლით მოიყიდეს იგი, მეორეთ არჩიეს ციური ფერის ქვის ქონა, სხვათ მოიწადინეს ცეცხლისებრი ქვა, ზოგიერთისთვის პანტარეე⁴ გან-

¹ სიტყვისიტყვით „მოვაჭრე ხული“ - οὐ ὑποπλάττει τὰν ψυχὰν. სიტყვათა შერჩევის (ὀσπρέα) შეყენ-ვაჭრობისთან შედარება ჰგავს ქრისტაწილ მწერლობაში გავრცელებულ სულიერ ღირებულებათა მოსყიდვა-მოვაჭრების სახეს, რაც ქვემოთ უფრო გამჟღავნდება (§5) და რასაც სახარების იგავი უღვეს საუქვლად (მათე 13,45-46). შდრ. გრიგოლ ღვთისმეტყველის გნობური ობსტაქული 1,2,33, v.33-36: საჯაროდ მიიწინე ამქვენიური ცხოვრება, თუ დაიწყებ ვაჭრობას, დაგრება ნაცვლად წარმატებისა მარადიული. შდრ. „მოვივაჭროთ წარმატულითა საუკუნო ცხოვრება“ (გრიგოლის „სწავლანი სულიერნი“ ვუთხოვე ათონელისეული თარგმანი 62,87 - S 1696,155r, 159r) და სხვ. შესაძლოა, ამ ტერმინის გამოყენებით მხედობი მიანიშნებდეს შესაბამის სიტყვათა შერჩევას მნიშვნელობაზე ხალვთო აზრის გამოსახატავად.

² შდრ. Theophrasti *Ἡρα λένεαι*, fragm. p.24f. ინდივიდუალური განსხვავებულობის მიხედვით ზოგი ამ სახის სიტყვებს ირჩევს, ზოგი - იმ სახისას.

³ შდრ. „ხოლო მღინარე გამოვალს ედემით, მომრწყველი სამოთხისა, მიერ განიყოფის ოთხად თავად. სახელი ერთისა - ფისონ. ესე გარე-მოვლის ყოველსა ქვეყანასა ვეილათისასა. მუნ უკვე არს ოქრო. ხოლო ოქრო მის ქვეყანისა - კეთილ, და ანთრაკი და ქვა მწვანე“ (დაბადება 2,10-12). აქ ისევ სიტყვიერი მშვენიერების ზეციურ წარმოამებლობაზე მიანიშნება (შდრ. ზემოთ, §2).

⁴ შდრ. Philostratus V. Apoll. III 46. Heliodor. IV, 8; VIII, 11.

და ფრიად სასურველი, მრავალთ და უღებთ კი მოხელეთებული მასა-
ლისაგან შეკრიბეს სახით მცირე და თავიანთი შემორიძლეური ხეცების
თავში მოათავსეს იგი, როგორც რაღაც განსხვავებული ნიშანი.

5. ეს დიდებული კაცი კი გახდა დიდი ვაჭარი და, მიხივე სიტყვებით
რომ ვთქვათ, მოიფიდა ძვირფასი მარგალიტი¹. შემდგომ საჭირო იყო
მხოლოდ მისი ოქროთი მოვარაყება და პატიოსანი ქვეებით მოპირკეთება.
სამარცხენო იქნებოდა მისი შეერთება და შეკავშირება რომელიმე
უბადრუკეს ქვასთან და არა ნაირფერთან და ყოველად ბრწყინვა-
ლესთან, ან უბრალო ოქროსთან და არა ხუფირულთან². ამის გამო,
მრავალსიტყვიანობის გარეშე რომ ვთქვა³, მან სიტყვათაგან, აი, ასეთები
შემოიტანა და შეურწყა ერთმანეთს⁴ თავის ჰომსლიებში, — ფორმით
მომრგვალებული და დახრულებული, არც ყალბად გაგრძელებული და
ყოველი მხრით მდინარი, გარეგნულად სასამოუნო და მშვენიერი, ხიმ-
ყართ მტკიცე და მსუბუქი, არა ისეთი, როგორსაც ოლიონის ძე თუ-
კიდიდე ან ნიკიტა სმირნელი ან სკოპელიანე შერჩევდნენ, ან რო-
გორსაც ათენელი ღისია, ისოკრატე, დემოსთენე, სოკრატეოსი ესქინე
ან თვით პლატონი⁵, არას ვიტყვი სოპატროსებზე, ფენიქსებზე⁶ და სხვებ-
ზე, რომელთაც [თავიანთი] სტილის გამო (δύα τὰν λένων) მისივეს
სოფისტთა სახელი⁷, არამედ გამობ იმათზე, ვისაც ვთვლი ყველაზე
სახელგანთქმულად სიტყვათა მოძიებაში, მათზე, ვინც შევადარე და-
ნარჩენ რიტორებს და განკადიდე, რადგან არავინაა სრულიად შემუცდა-
რი [სიტყვათა] შერჩევასა⁸. მე მათ გამსგავსებ ფოხოფორებს, სტილიო-

¹ შტრ. „მხავს არს სასუფეცილი ცთათა კაცს ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგა-
ლიტთა, და პოსს რაჲ ერთი მარგალიტი მრავალ-სასუფელისა, წარვიდა და ვაჩიდა ყოველი,
რაცა ედგა, და მოიყიდა იგი“ (მათე 13,45-46). მხელისი ურადღებას ამხევილებს ისევე საღ-
ვთო აზრზე, სულიერ შინაარსზე ვრიგოლის თხზულებებისა, რომელიც შემდგომ პატიოსანი
ქვეით - შესაფერიხი სიტყვიერი ზელოვანებით - უნდა შეიძლოს.

² იგულისხმება პატიოსანი ოქრო. შტრ. „ოქრო სოფერი“ (III მუვეთა 10,11; II ნემტა 9,10).

³ სიტყვისიტყვით „ტროპია (τροπιαια) ხომარვე რომ ავიცილო“ - შტრ. ქვეით მხე-
ლთა ვრიგოლის სიტყვის დახვეწილობაზე, ლაკონობაზე („არა ყალბად გაგრძელებული“).

⁴ §5-ში სიტყვათა შეერთება-შეკავშირებაზე, შერწყამებაზე უკვე საუბარი (თავისაგან, ათ-
ინან, σὺμφρασις).

⁵ პროზაიკოსთა კანონისათვის შტრ. §1. პერიოდოტეს ნაცვლად §5-ში დასახელებულია ნი-
კიტა და მისი მოწაფე სკოპელიანე. ისოფისტიკოს ავეჯების ხანის მოღვაწენი, რომლებიც ურ-
თმანეთთანა დაკავშირებული სხვა წყაროებშიც - Philostr. VS I, 10,1; 19,21.

⁶ სოპატროსი, ა. მ ა ი ე რ ი ს მიხედვით, უნდა იყოს ივლიანეს (cp.27) და ვენაპიონის
(VS 12,16) მიერ დასახელებული ამბლიზონის მოწაფე, იმპერატორ კონსტანტინეს დროისა.
იმავე წყაროდანა ფენიქსი (II, 22).

⁷ შტრ. Lucian. Rhet. praec. I და სხვ.

⁸ საუბარი δὺσματα καλλᾶ-ზე. ზემოთ წარმოდგენილი ზამონათვლის მიხედვით ამ კატე-
გორიის სიტყვებში შედის სიტყვათა შერწყმისათვის და შეხამებისათვის (σὺσθεσις) შესაფე-
რისი, მაგ., δὺσματα στρογγύλα და ა.შ. ან ისეთები, რომელთა მშვენიერებაც ამ ცნებასა მო-

ნებს¹ და სხვა [ცოურ] სვეროთა პლანეტებს, რადგან სხვა სოფისტებზე მეტად ბრწყინავენ, მაგრამ როცა მზის ამოსვლისათვის უკვე გაუნათები-ათ აღმოსავალის მხარე, გაკლილი აქვთ აღმოსავლეთი და თხუთმეტი მორია, უკვე სრულიად ჩამქრალნი გამოიყურებიან².

6. შესაბამისად, ბედნიერნი იყვნენ ისინი, ვინც ღვთისმეტყველამდე ცხოვრობდა³ და განიხილავდა ცალკეული მწერლის სტილს. არ ვკიცხავ არც დიონისიოსს, რომელმაც პირველ ადგილას დააყენა ლისია და დემოსთენე, არც თეოფრასტეს, არისტოტელეს მეგობარს, არც ფილოსოფოს ქრისიპეს, არც კრიტიკოს ლონგინეს, არც ლემნოსელ ფილოსტრატეს, არც ვინმე ლესბონაკტებს, პერმოკრატებს, ეედოქსებს, დიონებს ან სხვებს⁴, რომლებიც მანამდე ცხოვრობდნენ და სახელი განითქვებ და-ნარჩენთა შორის, რადგან ჯერ კიდევ არ იყო ქვეყნად მოხული ზეციდან

ცული, რასაც ისინი გამოხატავენ - τοῖς ἔμμοις ἔπιτεροῦ καὶ χαρίοντα. ა. მ ა ი ე რ ა ს მისეღვით (გვ.74), ეს ღაყაუა ღმერთობის თეოფრასტელი განარტების გამარტივება: καλὰς ὀνόματος ἐστὶ τὸ πρὸς τοῦ ἀκρίτου ἢ πρὸς τῆς ὀψις ἢ τὸ τῆ διανοία ἐτύμων (Demetr. §173,176). აქ სიტყვიერი მშვენიერების სამ სახეობაზეა საუბარი: სმენიამ (ἀκρί), რომელსაც ეფერადობით ὁμοίως უკავშირდება, გარკვეული (ὄψις) და გონებით საცნური (διανοία), რისი ფარდის არის τοῖς ἔμμοις მკვლეობა.

¹ შტრ. Cic. de nat. deor. II,53. სტილიზონი-პერკერი Plut. Moral. p. 430, 1029B (ὀμοιοποιούσιντες ἡλίω), Ptolem. in Lydyus de orient. p. 20,2 (ἑὰ ἀνατολή).

² გრივლის სტილის დახვეწილობის ფონზე ისე ეფერათაღდება სხვა სოფისტთა და რიტორთა ლინგვა, როგორც მზის ფონზე - მნათობებისა.

³ იგულისხმება ღვთისმეტყველამდელი რიტორია. მკვლეობი უბრუნდება გრივლის წინამორბედთა შეუყვას და ამთავრებს ამ თემაზე. იგი ასკვნის, რომ გრივლის მიერ ნიმუშად აღებულ ავტორებს: დიონისე პლიტარსს (de Lysia, de Demost.), თეოფრასტეს, ქრისიპეს, ლონგინეს, ფილოსტრატეს ეს შენიშვნა არ ეხებათ, რადგან გრივლამდე მოღვაწეობდნენ. გაუგებარია ზემოთ ნაშთივლიდ ავტორთა გვერდით ქრისიპეს დასახელება, რომლის მიღწევებზე რიტორიკაში უცნობია. ა. მ ა ი ე რ ა ს აზრით, შესაძლოა, აქაც დიონისე პლიტარსს დასახელებულია წყარო (de comp. verb. c.4), სადაც იგი ქრისიპეს დასახელებს თავის წინამორბედად. დიონისე პლიტარსსელი და თეოფრასტე ერთად დასახელებული, რადგან ორივე მუშაობდა χερσάχρηστος τῆς χριότης შესახებ, ასე ერთი ავტორის სტილის სპეციალურ შესწავლაზე (Dionys.Hal.de Dem.c.3. Theophr. Περὶ λέξεως, fragm.p.6,26 ff.), სტილით თეორიაზე. ა. მ ა ი ე რ ა ს მისეღვით, მკვლეობი იცნობდა დიონისე პლიტარსსელი Περὶ τῶν ὀπζαῖ. ἄν ῥητορῶν-ს, სადაც განხილულია მომღერება სამი სტილის შესახებ თეოფრასტეს მიხედვით (არისტოტელეს მოწაფის თეოფრასტეს რილის განსხვავებული შეუყვას შესახებ სამი სტილის თეორიის ნაშთივლიდებამი იხ. G. L. Hendrickson, The peripatetic mean of 1904 and the three stylistic characters. - American Journal of Philology, XXV, 2, 1904, p.125-146). შესაძლოა, მკვლეობი იმით არ წერდება თავის ტრაქტატში საგანგებოდ სტილით თეორიაზე, რომ საღვთისმეტყველო სტილი სტილის ვველა სახეობაზე თუ დონეზე აღმატებულია და მათ ზარნიებში არ თავსდება (შტრ. §2, 3).

⁴ აქაც, როგორც ზემოთ (§1), ავტორთა (ერძოდ, სოფისტთა) მეორე კანონა წარმოადგენილი - ლესბონაკს მიტილენელი, პერმოკრატე, ეედოქსი, დიონი (შტრ. ფილოსტრატეს „სოფისტთა ცხოვრება“, II, 25; I, 1-7). ეს კანონი, III-IV სს. შექმნილი სოფისტების მიერ, ბიზანტიურ ელექტამდე აღწევს. მკვლეობი იცნობდა რიტორიათა მეორე კანონსაც. სხვა წყაროებისათვის იხ. ა. მ ა ი ე რ ა ს დასაზამოცემა.

მოვლენილი დიდი (გრიგოლი), უკეთ, ზეცაში მყოფს ჯერ არ აქვს იგი-
ში სიტყვიერი ხავერდი, არ აქვს პირი და არ ჩაებრა მისთვის ხელი.
თავისი მჭკრამეტყველებით (μεγαλοφονία) მან არა მხოლოდ ცოცხლები
მოახედა მისკენ, არამედ სხეულით დაფლულით არხებანიც აღადგინა და
ცხოვრება მიანიჭა¹. და თუკი მის შემდეგ მცხოვრებმა ვენადიოსმა² ან
ელინთა³ სხვა რომელიმე ქომაგმა სხვების დახასიათებისას არ მოიხსენ-
სა იგი, ამ ხალხისაგან მხოლოდ ის მაკვირვებს, რომ მათ სხვათა
თხზულებებთან არ წარმოადგინეს გრიგოლის თხზულებები, ხოლო თუ
ვისმე ფილოსტორიკოსმა⁴ ხაუკეთესოდ მიიჩნია იგი და თქვა, რომ მის
სიტყვებში უფრო მეტი [ხალექსთწყობი] ტერფებია (τις βίαιον), ვიდრე
სხვებთან, დიდად არ მახარებს ამგვარი დამოწმება, რადგან ზეციურს
მშვენიერება⁵ და სიდიადე თავისთავად ხაკმარისია ყოველს ხელის შე-
საძერულად და ქებათა გარეშეც განსაკვიფრებელია⁶.

7. ჩვენ ვარჩით ამ კაცის დახასიათება არა იმისათვის, რომ რაიმე
შეგვემატებინა მისთვის, არამედ იმისათვის, რომ შენა ხელი განგვერი-
დებინა ნაწილებად დაყოფიხაგან და წარგვემართა ერთიანი თანაჩმია-
ნობისაკენ (συνφωσίαν) მშვენიერებისა, მადლისა და ძალიონილებისა⁷.
ეს ხაკვირველი კაცი კი ისე არჩევს სიტყვის შემადგენელ ნაწილებს, რო-
გორც უკვე ვთქვით, და მასთან ერთ სიტყვასაც ვერ ნახავ ცალკე აღუ-

1. სიტყვისიტყვით: „ცხოვრებისაკენ აღიყვანა“ - προς το ζην επανήγαγεν. აქ საღვთო
სიტყვისაგან მოვწოდის ხელთერა ხიხოველ იველისხმება.

2. მხედროს კაცსაც გრიგოლისადმი უკრალღობისა გამო წარმართ ვენადიოსს (იველის-
ხმება მისი „სოფისტების ცხოვრება“ - Vitae Sophistarum (VS)).

3. „ელინი“ აქ წარმართობის, ელინობის მნიშვნელობით არის ნახმარი. მღრ. ჭართელ
მწერლობაში „ზღაპარსიტყვაობანი ელინთანი“, „ცთომალისა მათ ელენთა“ (A 292, 405v)
და სხვ.

4. მხედროს არც ის ხამოვნებს, რომ გრიგოლი ქებათ მოიხსენა არანელმა ფილოსტორ-
კოსმა, რადგან იგი გრიგოლის თხზულებათა ფორმას შეეხო და არა საღვთო მინარხს (ივე-
ლისხმება ფილოსტორიკოსის კვლევის ისტორიის ერთი ადგილი, დამოწმებული სვიდასთან,
ფოტოტოსთან - Suidas, s.v. Απολιώνιος; Photios, Epitome VIII I, p. 115 God.). ა. ბ. ა. -
ერ. ბ. ახრით, შესაძლარა მხედროსისათვის თავად მთელი ნაწარმოები იყო ცნობილი (ვვ. 83).

5. ზეციური მშვენიერების აღხანისმხად მხედროსი ხმარობს ხან κάλλος, ხან χάρις ტერმინებს
(მღრ. ზეპრთ 52).

6. მხედროსისათვის წარმართველია მშვენიერების და სიდიადის ცნებათა საღვთო, ზეცი-
ური, ხელთერი მინარხი. ამის მტკიცებას უმსახურება მთელი თავაუ (56): გრიგოლი ზეცადან
მოვლენილია, მისი სიტყვა ცხოველყოფელია, რადგან ცოცხალი საღვთო სიტყვა, ქვემარტა
ხელთერების მიმნიჭებელია.

7. მხედროსი უშუალოდ თვის განხილვაზე გადის. წინამორბედ თეორეტიკოსისაგან გან-
სხვავებით, რომლებიც ცალკეული ღირებების და სწილების მიხედვით განიხილავდნენ მწერ-
ლებს, მხედროსი მთლიანობაში წარმოადგენს გრიგოლის სტილის ღირებებს და უმორჩილებს
მათ პარამონს და მშვენიერების ცებას. ტრაქტატის დასაწყისიდანვე მსჯელობა ხელთერი
ღირებების უპირატესობის ჩვენებს უმსახურება. სწორედ ხელთერი, საღვთო მშვენიერება და
პარამონა არის გამერთაინებელი ცალკეული სწილების ღირებებისა და მთლიან თავიდან აცი-
ლებულია დასწევრება. მხედროსი გამლის ცნებებს ხაλλოს, χარის, δύναμის, განიხილავს მათ
138

გონება და ღმერთი. სხვა დანარჩენი მისაწვდომია ჩვენი გაგებისათვის: ბუნდოვნად - ხულის რაობა, უფრო მეტად - ბუნება და მასზე დამოკიდებული სხეულები. ასევე გრიგოლის სიტყვათა შეერთება ჩვენს წარმოდგენას აღემატება. არ იფიქრო ნათქვამის სხვაგვარი აზრით გაგება, რადგან თუ ვინმემ უღამაზეს სიტყვებს მოუყარა თავი, ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ნაერთი მჭევრმეტყველებისათვის, ისევე როგორც ხეროთ-მოდღვარი სამშენებლო მასხალის შეგროვების შემდეგ საკმარისად არ მიიჩნევა მხოლოდ მას უღამაზესი ხაჩლის შეხაქმნულად¹.

8. ამიტომაც ჩამს შერჩეული [სიტყვების] საუკეთესო შეერთება, თუკი მშვენიერებას შერჩევა კი არ განსახლვრავს, არამედ შეთანხმება. ვიცი, რომ როცა შენ გაგიტაცა გრძნობადმა ხილამაზემ², ხასურველი სხეულისათვის სამკაულებს აწყობდი: თავხამკაულს, გულსაკაისს თუ ყელსაბამს. ნათქვამისათვის შენს მაგალითს მოვიხმობ. ვიცი, რომ [შერჩევისას] ყველა მარგალიტი არ შეგხვდებოდა მხვილი და მომრგვალებული და ჯერც ძვირფასი ქვებიდან [აიღებდი] ყველას მბრწყინავსა და მწვანეს. იყო, აღბათ, მათგან ზოგი გამჭვირვალე, ფერით კეთილი და კარგი ფორმის, სხვანი - დაბინდულნი თუ თითქოს ზღვის წლისაგან გამოხრულნი და ნაპრალოვანნი, ერთნი ხილრქმდე გაპობილნი, დანარჩენნი კი, მცირენი, განსაკუთრებულ ბრწყინვალეებას არ ანიჭებდნენ ხელოვანებით შექმნილს. თუ იგი, ვინც ამკობდა მოკაზმულობას, დიდად არ გაირჯებოდა მახალის [რიგვანად] შეერთებაზე, არა მხოლოდ ბუნდ ქვებს, არამედ გამჭვირვალეთაც უშეკრად წარმოაჩენდა, თუკი არეულად დაყრიდა მათ ერთად და ზადს კი არ დაუფარავდა ან მწკრივად დაწყობისას სათითაოდ კი არ დააღაგებდა ერთმანეთთან კონუსისებრს და მომრგვალებულებს, არ გაზომავდა მათ და სამკუთხედებისა და ოთხკუთხედების მიხედვით არ დააწყობდა, არამედ განურჩევლად უცვლიდა სახეს. ხოლო თუკი მას ეცოდინებოდა შეხამება, მაშინ აიღებდა სხვადასხვა შემადგენელ ნაწილს, რომელთაგან უმრავლესობა მცირე ღირებულებისა იქნებოდა თავისთავად, შემდეგ დააწყობდა შეხაფერისად და თანაზომიერად, ერთს მეორესთან შეთანხმებულად შეარწყამდა, რადგან ხან მცირე [ნაწილებით] გაზრდიდა ხიდიდეს, ხან კი უმცირესთ უდიდესთა საშუალებით მიანიჭებდა მოკაზმულობას, მათ შორის შუალედის [დატოვებით] განსხვავებულთ მსგავსად აქცევდა და მის ხელთ არსებული [მასხალის] არაერთგვაროვნებითაც კი შექმნიდა საუკეთესო სიმწყობრებს³.

¹ სიტყვისიტყვით „რათა სახლმა მიიღოს უღამაზესი საზე“ (σχημα κάλλιστον). შდრ. Di-onys. Hal. de comp.verb. c. 6; p. 28.5.

² ასევე სხვა სიტყვების ცდილობს ზღვარი გაელოს გრძნობად, მიწიერ და ხეღიერ მშვენიერებას შორის (შდრ. 63).

³ ასევე სხვა სიტყვებით, თუ საქმეების შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანი მასხალის შესაბამისი გამოყენებით როგორც შესაძლებელი თანაზომიერი შეთანხმებულობის მიღწე-

9. ვიცი, რომ კი არ უარყოფ, არამედ მიითვლი ამ მაგალითს და, თუ არ იქმ ამას, გამხელს შენი ფიდიასი¹, რომელმაც შექმნა აფროდიტის ოქროს სხეული და რაღაც შავი ქვა ჩასვა თვალუბის ჭრილში; არც შენ დართავ ნებას სამკაულთა ოსტატს ჩამოტვიროს რაიმე ხაფირონიდან ან წაკვეთოს იასკიდან, არც თავად მას შეუძლია რაიმე მიუმატოს მათ. ის ოსტატი კი (სიტყვისიტყვით: ხელოვნების მოყვარული), რომელიც [ზრუნავს] სიტყვის შემადგენელ ნაწილებზე, ზოგს ერთმანეთთან შერწყმით შეამცირებს და შეკვეცს, ზოგს დამატებებით განაერთობს, ზოგს კი აღუგორობით სხვადასხვა ფიგურებად გარდაქმნის². ვისთვისაც უცხოა ეს შეცნიერება, არ უნახავს სარგებლობა ლამაზი სიტყვების გამოდევნებით, არამედ უგემოვნოდ შეუკავშირებია ისინი და უამური გაუხდია მათი ელვრადობა. ლისია, ისოკრატე, დემოსთენე და, განსაკუთრებით, ჰეროდოტე იღებდნენ ჩვეულებრივ და ხაფოველთაოდ ხმარებულ სიტყვებს³, ხოლო მათი მართებული შეერთების შედეგად მჭკვრემტყველებით სხვებსაც კი გადააჭარბეს.

ეს დიდი მამა კი სხვებისაგან განსხვავებით უფრო მეტად ზრუნავდა სიტყვითა შეთანხმებაზე და მის კომილიებში ხადა და არაფრით გამოჩენული სიტყვები სხვადასხვა შეკავშირებით ისეთ კეთილზოვანებას იძენენ, რომლისთვისაც არავის მიუღწევია უჩვეულო სიტყვების შერწყმითაც კი. არ ძალძის მოვისხელით იმ ხერხები, რომლებითაც იგი, ჩვეულებისამებრ, ენით აუწერელ მშვენიერებას (αμύχανον κάλλος) აღწევს და მხოლოდ გაუცნობიერებელი (სიტყვისიტყვით: გამოუთქმელი - ἀλόγως) გამოცდილებით ემსჯელობ მასზე.

10. ყოველთვის, როცა ვცდილობ მოვიხელთო ეს ხერხები⁴ და გამოვიკვლიო მათგან მომდინარე მშვენიერება გრიგოლთან, კვებად სხვა წყა-
ვა (შღრ. Dionys. Hal. de comp.verb. c. 16, p. 66, 8ff. Theophr. Peri λέξεως, fr.p.72).
 გრაიგოლა შეძლო ასეთი საკეთილი შეთანხმების მიღწევა (იხ. აგრეთვე ქვემოთ §9).

¹ შღრ. Pausan. VI, 21, 1.

² ამ თავში საუბარია უკვე რიტორიკულ ფიგურებზე (σχηματα) და მის სახეობებზე: სიტყვის შემადგენელი ნაწილების შაკვეცა-შემცირებაზე, დამატება-გაერთობაზე, გადასხაუფრებაზე აღგორობით. შღრ. Dionys. Hal. de comp.verb. c. 6. Theophr. Peri λέξεως fr.p.78, 1. σχηματισμός-ის ოთხი სახიდან: αφαιρέσις (გამოტოვება), προσθήκη (დართვა), αλλοίωσις (გადასხაუფრება), μεταθεσις (შეცვლილი რიგით დალაგება). ეს უკანასკნელი არ არის შესელობან.

³ შღრ. Dionys. Hal. de Dinarcho, c.2, p.299, 12.

⁴ τρόπος ზოგჯერ სიტყვითა შერწყმის (εκλογή) სიტყვისათა განხილული (Λιτιχინიხე ტეორიი იაკაი ნ სტილია, პოდ რედ. O.M.Φρειდენბერგ, M.-Jl., 1936, c.215).

როებს, ხაიდანაც მასთან მოედინება მშვენიერების ნაკადი¹. რადგან კრავს იგი სიტყვას თუ ანაწევრებს და დახსნის შეწყობილს, აერსებს მას პერიოდებად თუ აგრძელებს მას გრადაციებით, აბოლოებს ანაქსეტებით რიტმს თუ იონიური კავშირებით ზომიერს ხდის სიტყვას, ტეტრაპეტრულ ხაზომში (სიტყვასიტყვით: ხაჩეობაში - ეძაჲ) აყალიბებს აზრს თუ განაერცობს მას ჰეზამეტრამდე², ანდა სხვას რასმე იქმს, ყოველივედან ისეთ მშვენიერებას გამოსცემს წყმთესს, როგორსაც არ [მანიჭებს] არც ცისკრის და არც მწუხრის ვარსკვლავი. ლისიას მშვენიერება ლილიები-სა ან იათა მსგავსია ან ნარგიზისას შეჰგავს, რადგან იგი მხოლოდ ხა-მენელს ატკობს, როგორც ის [ყვავილები] - აჩარებს თვალს, ხულის კარებს კი თავისთვის არ შეაღებს. მისი სიტყვების შეკვეცილობა და დაჩვეწილობა გარეგნულია, შინაგანად კი ცარიელია, ხოლო თუკი ვინმე ხშირად შეეჩება მას ბაგეებით, [მეისვე] განქარდება. დემოსთენეს [მშვენიერება] მიმზიდველია და მასში მოიძვეება რაღაც მოკლე და მოკვეცილი, მაგრამ ამჟამად არ არის ხაჭირო მის დამცველებზე საუბარი.

11. [მშვენიერება] ისოკრატესთან უფრო ხაინოა, თემცა შესაძლებელზე მეტად არაზომიერი და შეუკვეცავი. პლატონთან იგი (მშვენიერება) შესანიშნავია, მაგრამ შეუთავსებელი, პერიოდტესთან უფრო

1. გრიგორის *κάλως* და *χρῆσις* ცნებების წყაროებს შესახებ შდრ. 57. ისინი მიედი წინადადების *σύνθεσις*-ის სახეებში მღვთმარობს. მაგრამ ძველში აქი მშვენიერების არა ხელოვნებით მიღწეულ წყაროს, არამედ ხელიერ წყაროს გულისხმობს (იხ. ქვემოთ).

2. ძველში აღნიშნავს, რომ გრიგორმა შეიძლება გამოიყენოს პოლისინდეტონი ან ანისდეტონი (შეკვმარება - დანწევრება). სიტყვს პერიოდული დაყოფა ან *λέξις ῥιθμική* (შდრ. *Hermog. Rhet. Gr. II 243,2 ff. Sp.*), ანაქსეტური კლაუსულა ან იონიური პეტრი, ტეტრაპეტრი ან დაქტილური ჰეზამეტრა (შდრ. *Dionys. Hal. de comp. verb. c.4, p.15, 14ff.*), ერთი სიტყვით, ანტიკური პეტრა, რითაც რიტმულს ხდის თავის ჰომილიას. ანტიკური პროზოდია (მარცვლათ სიგრძე-სიმოკლე) ჰომილიაებში ახალმა ფაქტორმა-ჰქსინარტორულმა მახვილმა შეცვალა და მასზე დაეფუძნა რიტმიც კლაუსულას (იგივე პროცესი მიმდინარეობდა ჰომორაფიამში, რაც დიაკსმარებული იყო ბერძნული ვნის აქცენტუირებული წვობის შეცვლასთან), მაგრამ ბიზანტიური რიტორიკის თეორიამ, რომელიც ფორმობრავდ ანტიკურ თეორიებს ვერდნობა, ეს და სხვა ცვლილებები არ ასახულა. სამკვირიოდ ვიხსნა შუა სს. ლათინურ ტრამანოლოგიამში, სადაც პროზასთან და პეტრულ პოეზიასთან ერთად გამოიყო ხილადური (რიტმული) ახალი ტიპის პოეზია (*C. Аверинцева, Школьная норма литературного творчества в составе византийской культуры...* с.40,25). ზოგიერთი ახეთი რიტმული მონაკვეთი გრიგორის საღვსსწავლო ჰომილიებდან ვადავია შემდგომდროინდელ ჰომორაფიამში (იხ. *J. Sajdak, De Gregorio Nazianzeno poetarum christianorum fonte, Krakau, 1917*). მსგავს ფაქტებს ვაწვდებით თავად ჰომორაფიამში, როცა ადრებიზანტიური პეტრური პროზა თავის ბუნებრივ რიტმიკით წყარო ხდება რიტმული პოეზიის შემდგომდროინდელ ანონიმ თუ ცნობილ წარმომადგენელთა ჰომილიასათვის (ე. მეტრეველი, უძველესი იაღვარი, თბ., 1980, გვ. 791-818). რიტმის შესახებ იხ. აგრეთვე ზემოთ 57, ქვემოთ 512.

ენაწყლიანია, ვიდრე სხვებთან, თუმცა სწრაფად ცვალებადია და კვლავ მოქცევადი. დიონის [მშვენიერებას] კი მე არ მიუხადავებ პლატონისას, როგორც ამას წარმოაჩენს ლემნოსელი¹, თუმცა იგი (მშვენიერება) ხაზს გასწავლიერს სიმშვენიერით და თავისი ცვლილებებით სიამოვნებას² ანიჭებს მსმენელს. იგი არაა შეზღუდული და შებოჭილი, არამედ თავისუფალია და არაპერიოდული³.

12. საღვთისმეტყველო და ჩვენი [მშვენიერება]⁴ თავდაპირველადვე ყოველგან თავისი თავისვე მსგავსია. მაშინაც კი, როცა იგი (გრაგოლი) ბუნებრივად იწყებს სიტყვას, მისი შემდგომი წარმართებულობა შენ მეტად სიტყვაკაზმულად (καλλιρρημοσιον) და ხასიათიერად მოგვეჩვენება. ხოლო თუ მოისურვებ უკან მიბრუნებას, იმახვე მიაღებდი, ახე რომ იგი ერთი და იგივეა, რაღაცის მსგავსიც და არცა მსგავსი, რადგან იგი დაჩვეწვილად ვითარდება და უკანვე ბრუნდება⁵. შემდგომ მისი ქმნილებები თითქოს ქნარისთვისაა შეთხზული, რიტმით იმორჩილებს ყველაფერს, არა თავშეუკავებელით, როგორცაც რიტორთა უმრავლესობა იყენებდა, არამედ ყველაზე ზომიერით. თავის სიტყვას იგი არ ახრულებს ერთფეროვანი დახასრულით, არამედ ამრავალფეროვნებს დაბოლოე-

1. მკვლევარისთვის დიონის, დემოსთენეს, ისოკრატეს, პლატონის, ჰეროდოტეს და დიონის სტილზე შტრ. Dioms. Hal. de Lys. c. 6, p. 14, 10; de Din. c. 8, p. 308, 10; de Dem. c. 5, p. 136, 11. Philostr. VS I, 7, 1; p. 9, 14. დემოსთენე და ჰეროდოტე სრულად სწინააღმდეგოდა დიონისე ჰალიკარნასელთან განხილულ (ob. de Demost. de Plato). 2. დ ე ე ა ს მიხედვით (გვ. 78), ლემნოსელმა იველასხუბა სოფისტი ფილოსტრატე (II-III სს.) დახსენებულ ავტორთა კატალოგის ცნებას მკვლევარს ადარებს გრაგოლის კატალოგს.

2. ადამის ცნებისთვის, როგორც სიტყვას იღებს ელემენტას მეთრე სოფისტკამია შტრ. Hermog. VI, 308, 245 p; Demetr. de eloc. 148.

3. შტრ. Menandros III 389, 90 Sp.

4. ὁμοιοτικόν και ἰσότηρον [κάλλος]. „ჩვენი“ (ἰσότηρον) აქ საღვთო ქრისტიანული საბრძანის და მისი მშვენიერების ფარად ცნება, განხვავებით „უცხო“, „გარეშე“ ანუ წარმართული, საერო, ამსოფლიური ხიბრანისაგან (ζῆλος, ἔλαθον, του οἰώτος τούτου) შტრ. I კორ. 2, 6-7. მკვლევარი ამ ცნებებს ხმარობს ისე, როგორც ეს ქრისტიანულ ლიტერატურაში იყო გავრცელებული. ტ მ ი ლ ე რ ი თარგმნის „πραοτα же намери σοφ.ο.ο.ο.ο.“ (გვ. 165) ცხადია, ჩვენს საღვთისმეტყველო მშვენიერებაში კონკრეტულ შემთხვევაში გრაგოლი იველასხუბა, მაგრამ ურადსაღვთა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მონაცემთა გამოხატვას მკვლევარის მიერ ტრაქტატის სულისკვეთებას - გრაგოლი არის ნაშუი და საუკეთესო მკვლევარის ზოგადად „ჩვენი“ ქრისტიანული საღვთისმეტყველო ხიბრანის მშვენიერებას და მისი გამოხატვას ასევე მშვენიერა ფორმისა.

5. მოკლე განხილვა სწილისა კომპოზიციის შესახებ უფრო დამკვირვებით იხ. ქვემოთ §13. ასევე დროს გრაგოლის თვითმყოფლობას და ორიგინალობასუ საუბრია (თავის თავის მსგავსებაზე). რიტორიკაში მისი გამოხატვული ტერმინია αυთοειδής, αυταοις, რაც ამ ტრაქტატში არ ნახს, მაგრამ საუბრია მის ფარად ცნებაზე - ბუნებრიობაზე, სტილის არტისტულიობაზე (§2, 12).

ბებს¹. [მიხი ხიტყვა] უმეტესად განზომილია, თუმცა ხაფიქრებელია, რომ პროზას არ სცილდება და საგულეუბელია, რომ არის ის, რაც სურს რომ იყოს, ხალექსო საზომით კი იგი [მხოლოდ] მორთულია². იგი (გრიგოლი) დაუსრულებლად ასხეაფერებს [თავის ხიტყვას იმით, რომ] ცვლის აზრებს და უფრო სახიამოვნოს ხდის ხიტყვებს³. ფილოსოფიურ აზრებს იგი ისე ეყვრობა, როგორც ჩვეულებრივს, ჩვეულებრივს კი - როგორც ფილოსოფიურს⁴. აქ არ ჩანს ზრუნვა რიტორიკაზე, თუმცა კი მიხი ხიტყვა ხაგხა იქაური ფერებით⁵. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ მან ერთიანად იგემა მთელი ნაკადი ზელოვნებისა და ნაწილობრივ იქიდანაც დაარწყულა თავისი გონება და ნაწილობრივ ხაყუთარი ხელსიდან გამოიყვანა ისეთი ცხოველმყოფელი წყლის წყარო, რომ ნიმუშის გარეშე ქმნიდა ხიტყვებს, როცა თავად თვითონვე იყო პირველხაზე სტილია⁶.

¹ ე.ი. სხვადასხვანაირად აბოლებს პერიოდებს.

² საბარია ორატორული თხზულების რიტმულობაზე (რიტმზე, როგორც ხინთუხის შემდეგელ ნაწილზე იხ. §7), მრავალფეროვან ელახულებზე (E. Norden, Antike Kunstprosa, Stuttgart, 1958, II 922.3. W. Meyer, Gesammelte Abhandlungen zur mittellateinischen Rhythmik, II, Berlin, 1905. H. Dewing, The origin of accental prose rhythm in Greek. - American Journal of Philology, 31, 1910, p.312-328. ასელოსის აზრით, გრიგოლის ხიტყვა რიტმულია, მეტრულია, წყობილია (εμμετρος), მაგრამ რიტმს იგი ზომიერად იყენებს, ამიტომ პროზას (του λόγου) არ სცილდება და ხალექსო მეტრი მისთვის მხოლოდ სამკურნალოა. εμμετρον (განზომილი) ...αἴσιον (პროზა) შტრ. Dionys.Hal. de comp.verb. c. 25.26. საბარია აგრეთვე პოეტური და პროზული στίχοις-ის სწორ შეჩვენებაზე.

³ საბარია μεταβολῆς-ს (მრავალფეროვნების) ზელოვნებაზე, რომელიც ერთ-ერთი ოთხთავიანა ობიექტის და ἄλλοθεν-ის შემქმნელი წყაროებიდან (იხ. §7). μεταβολῆς უკავშირდება არა მარტო რიტმული ელახულების მრავალფეროვნება, არამედ აზრების ცვლილება (შტრ. Dionys.Hal. de comp. verb. c. 19, p. 86,10; c. 10,11. p. 38,13). იგი ზოგჯერ ფიგურათა შორის არის განხილული (Античные теории языка и стили...с.265)

⁴ შტრ. Philostr.VS I, 19,1.

⁵ „იქაურში“ იგულისხმება ორატორული ზელოვნების წესების ცოდნა-ზელოვნება (τέχνη). შტრ. §13 დასაწყისი. ასელოსის მიხედვით, გრიგოლი ისე იყენებს რიტორიკულ ზრუნებს, თითქოს საკეთილურად არ ზრუნავს მასზე, თუმცა ყრვად იცნობს. იმავე თვორულ პრინციპს აუღიბებს გრიგოლი (ეპ. 51): „დაიბრისპირება, ხიტყვითა შეთანხმება და ნაწილითა თანამუხრობილება სოფისტებისათვის მიგუანდია და, თუ სადღე მინც მიფარიათ ამას, ისე უნდა გააკეთიოთ, თითქოს უთამაშობთ და არა საგანგებოდ მოვისიძებთ მათ“.

⁶ ასელოსი საბარობს μίμησις-ის და τέχνη-ს საკითხებზე. კიდევ ერთხელ ხაგხაგხულია არა ძველი ავტორების ზელოვნების შიდასა გრიგოლის შტრ (თუმცა ვხევ აქვს მას სრულყოფილად შეთვისებული), არამედ უფრო ხელიერი თვითმყოფადი წყარო, რომელიც თავისი ცხოველმყოფელობით ზეციურის შიდასა (იხ. §2-3). გრიგოლის თვითმყოფელობა, მიხი სტილის არქეტაქულია (შტრ. §2,12) ტრადიციული ლიტერატურულ-თეორიული მოხაზრებებით სახუთდება - მრავლის ერთქმნით უმაღლესი მარბინოვლობის მიღწევა (§2,7,16). მშვენიერების შემქმნელი წყაროების ზომიერად გამოყენება და ა.შ. (§2,5,7,9 და ა.შ.) და ქრისტიანული ხელიერი საწყისებითა (შტრ. §2,3,4,5,6,10,15,17).

13. ამის გამო რაც არ უნდა წარმოეთქვა მას, ის მაშინვე სრული რიტორიკა იყო, მიუხედავად მისი განზრახვისა. იგი [თავის] სიტყვებს აკებს (ακροσφαιρῆ)¹ არა ისე, როგორც უმრავლესობა, რომლებიც წინასწარი განსჯით არ გაცნობენ თემას, არამედ ისე, როგორც, პლატონის თქმით², მისმა ღმერთმა შექმნა თავისთვის იღვები, რადგან იგი ისე იწყებს გამოთქმას, რომ აზრების მიხედვით ანაწევრებს სიტყვას და ბოლომდე მიჰყავს იგი. ამის გამო წინასწარ მოფიქრებული გამოდის მასთან იმპროვიზაციაც კი (το ἀντιορχῆδον)³, რადგან იგი წინასწარ ჭკრეტს მუიხიერ და [მისი] თითქმის წამიერად გაელვებული გონება ზოგს გამოტოვებს, ზოგზე კი იმსჯელებს, შემდგომ კი მხვეალი ენა ამგვარად მოაოვებულს განუპარტავს მსმენელებს.

ფილოსოფია და რიტორიკა⁴ მას ისე არ განუცალკევებია ერთმანეთისაგან საქმით, როგორც განაცალკევა ისინი ერთმანეთისაგან სიტყვებით. ფილოსოფიას მან პატივი მიაგო სიტყვათა კეთილჩმოვანებით და მჭევრმეტყველებით, [თავისი] ორატორული ენა კი გონების აღვირით მართა. დოკმატათაგან მაღალსა და ძნელად გამოსათქმელზე ისე ჩატონად ხაუბრობს, როგორც ვარდთა სილამაზეზე, ხოლო ისტორიულ თუ მომხდარ ამბავთაგან მოხმობილი უმდაბლესი თემებისადმი სულიერი მნიშვნელობის მინიჭებით იგი მაღალფარდოვან მეტყველებას გვთავაზობს.

¹ ქედლის მსჯელობს გრიგლის თხზულებათა კომპოზიციან (οἰκονομία). ამით იგი ვადალის *πραγματικὸς τόκος*-ზე (მღრ. Dionys. Hal. de Lys. c.14. Dem. c.51. p.240,20). მასლის მოპოვებას მოხდევს მისი განლაგება-განსწილება, საწილთა პარაბოლიული შეთანხმება - *τάξιν* და *μέτρον* (Arist. Poet. 1450b-1451a) ფართო მნიშვნელობით. ჩვეულებრივი კომპოზიციური სტრუქტურა: შესავალი, თხრობა, დასაბუთება, ეპილოგი. მნიშვნელოვანია თემის დამუშავება (σύνθεσις). კომპოზიციის თემა წყდება §19-მდე.

² Plato, Respubl. X 597 B.

³ კომპლექტია იცნობდა თხზვის ორგანო ზელოვნებას: იმპროვიზირებულ ზეპირად წარმოთქმულ ქადაგებას და წერილობით დამუშავებულ, გაფრთხილ და გაფრცხლებულ რედაქციას (მღრ. Gr. Naz. or. 42, §XXVI - PG. 36, col. 492 A. M. Guignēt, St.Grégoire de Nazianze et la Rhétorique, Paris, 1911, p. 211,213,218.). ორგანო თხზვის ასეთ პრაქტიკას (მრავალსათვის და მცირედსათვის - განსწავლულსათვის) მიუყვართ ბიზანტიურ სტილთა თეორიამდე (I. Ševčenko, Levels of style... p. 293-294).

⁴ გრიგლის *λόγος χαρακτήρι-ის* განხილვა შეწყვეტილია ვადაზვევით ფილოსოფიური და რიტორიკული თემების შესახებ (Hermog. II, 396,8. Rh.Gr. I 216,19, Sp.-H.). განხილულია საკეთრივი შინაარსი-თემა. ელინური რიტორიკის ნორმის *εἰρεῖον* (შესაბამისობის) ცნების საწინააღმდეგოდ (რომლის მიხედვით დაიღზე ამადლებულად ხამს საუბარი და მდაბალზე - დამდაბლებულად) რწმუნის რთული კუმპარატებები და უბრალო ბიბლიური ამბები ერთნაირადა წარმოადგენილი ვრთოვლიან (მღრ. Or. 45,24; Or. 40,34. მათე 26,6; მარკოზ 14,3). გრიგოლიან ჩვეულებრივი, ყოველდღიური ანაგოგიკურ, აღვეანებით მნიშვნელობას იძენს, მდაბალი ამადლებულია. ამასთან უმაღლესი სულიერი აზრი ვრთოვლიან მოითხოვს გამოსახვის შესაბამის ფორმას და მაღალფარდოვანი მეტყველება (σφουδρασίαι) აქ ჩვეულებრივი თემის ანაგოგიკური შინაარსის გამოხატულებაა. ამ პრაქტიკაში ქედლისის წყარო კლასიკურ რიტორიკასთან და ანტიკურ ფილოსოფიასთან ერთად ქრისტიანული კვებებტკაა.

ამიტომ, რომ იგი ზოგჯერ არ გაურბის საყოველთაო სახელებს, არამედ მის სიტყვებში გვხვდება მართანი და მარიამები, პეტრენი და სიმონები და ისინი ხან იხსენიებიან ჭკრეტითი მნიშვნელობით, ხან კი, საგულგებელია, რჩებიან ისტორიის საზღვრებში. ამიტომ როგორც შეგონებაში, მათში სხვა რამ დაფარული [აზრი] იგულისხმება, ზეციურზე დაუნჯებელი გონება საკითხს წარმოადგენს სხვა რამედ და მდაბალს ხედავს ამაღლებულად.

14. მისი სიტყვა შემკულია¹ არა მხოლოდ ხელოვანებით (რიტორიკული ხერხებით - τέχνη), არამედ ყოველნაირი მეცნიერებით (ცოდნით) და ბარბაროსთა და ელინთა თხრობებით, ძველების გამონათქვამებით, შეგონებებით სატირული სცენებიდან, ეზოპეს მეტყველებით, დახვეწილ ლირიკოსთა პოეტური თხზულებების სხვადასხვაგვარი ხაზომებით: საფოსი, არქილოქესი, ანაკრეონტისა; [შემკულია აგრეთვე] ორფიკოსების, პითაგორელების, პერიატეტიკოსთა, სტოელ ფილოსოფოსთა მოძღვრებით; სხვადასხვა სწავლებით, თუ როგორ იკავებენ თავს მსჯელობისაგან პირონელები, როგორ ასახუთებენ დოგმატიკოსები, როგორ უარყოფენ მგრძმობელობით წვდომას პერაკლიტელები, როგორ თხზავენ პარადოქსებს ძენონი და მელისოხი, [რას] ამტკიცებს არისტოტელე, რას წარმოგვიდგენს პლატონი, როგორ არის დაყოფილი კოსმოსი. ამასთან ერთად მისი სიტყვა სახევა ქვეყანათა აღწერითაც და [იმით], თუ სტიქიონთა ნაწილები ქვეყნის ზოგიერთ მხარეში როგორ შეიცვალნენ და თუ როგორ განდნენ თავისთავად კუნძულები და არაფერია ისეთი, რაც მას წაუკითხოს და დავიწყნოდეს. მათემატიკა მას სხვებზე უკეთესადაც კი ესმის, რადგან მან იცის მნათობთა გადაადგილება და მოძრაობა, [იცის], თუ რომელი მათგანია ცთხილი და რომელი - უძრავი, რომლებია განლაგებული დიამეტრის ქვეშით და ზემოთ, რა არის დახრილობა და რასიგანე, [იგი იცნობს] ორმაგ პერიოდებს და კეთილად წარმართულ წინსწრაფვებს, [იცის, რომ] ის, რაც არ ეთანხმება უკვე აღმოჩენილს, გამოიცდება ანალოგიის მეთოდით. [მან იცის] რიცხვთა თვისება და თავდაპირველი წარმოშობა, გეომეტრიის სიზუსტე და მუხიკის სიმეტრია, მიღწეული რიცხვთა თანამეზომილებით.

¹ თუმცა მერე სახეა მისი მრავალფეროვნება (ποικιλία). გრივლთან ეს გამოიხატება მრავალი საერო მეცნიერებისა და ხელოვნების ცოდნით: 1. შეგონებითი ხელოვნებით (ძველების გამონათქვამები, ეზოპეს სიტყვები და სხვ.), 2. ლირიკოსთა საღვქმო ხელოვნებით (საფო, არქილოქე, ანაკრეონტი), 3. ელინური ფილოსოფიით (ორფიკოსები, პითაგორელები, პერიატეტიკოსები, პერაკლიტელები, ძენონი, მელისოხი (ემპედოკლეს მოძღვრება - ელემენტალთა სკოლა), პლატონი, არისტოტელე. შდრ. or. 28,4. 16,30. or. 29,2,9; 25,15; 6,15; 44,1). 4. გეოგრაფიით, 5. მათემატიკა-ისტორიულით (or. 28,29; 5,15; 31,18; 41,2. Aristides II, 460,5 Sp. Menand. III 364,27). აგრეთვე Sext. Emp. adv. rhet. 62; Ps. Augustin, Rh. Lat. min. p. 138. Sopatros. Rh. Gr. V 15,117; Maximus Planudes V 213,18.

15. თუმცა იგი ამით არ წარმართავს თავის ჰომილიებს, არც ბაძავს პლუტარქეს აღწერილ „პარალელურ ცხოვრებებს“, რომელიც სამუხიჯო და გეომეტრიული მაგალითებით უადგილოდ ამკობს სამოქალაქო თემებს, არამედ დუმილით უკლის გვერდს მათემატიკურ აზრს, თუ სადმე იგი შემთხვევითაა წარმოადგენილი, და, თუკი მაინც იძულებულია მოიხსენიოს იგი, ამას იქმს მოკრძალებულად და წარმოთქვამს სხვა სიტყვებს, ისე რომ, მსმენელთა უმრავლესობას, რომელმაც არა იცის რა შენაცვლების შესახებ, მათემატიკური კი არა, სხვა რამ ჰგონია იგი. ჭეშმარიტ და ცნობილ თემებს იგი უკეთ წარმოადგენს, ვიდრე პლატონი, რადგან პლატონი ზოგს უჩინოს ქმნის, ზოგს კი უხიამოდ და მეტისმეტად აჭიანურებს. ხოლო ამ დიდი მამის გაჭიანურებული თნრობაც კი არაა მომბეზრებელი, როცა ამრავალფეროვნებს და განმარტავს მას [თავისი] სიტყვებით. იგი არ ფარავს ამას საუბრისას, არც აყავს თნრობა მაღალფარდოვნებად¹ და არ ახეავებს ერთს მეორეზე. ხოლო როცა ვკითხება მოწინააღმდეგეს და იმარჯვებს მასზე, რამდენადაც შესაძლებელია, პირდაპირ პასუხობს მას, რადგან გაბედულია დასკვნების მიღებისას, და გამოთქმის სხვადასხვაობით თავიდან იცილებს საუბრის უზუსტობებს. არსებულის ბუნებაზე მან იცის ისტორიის მიხედვითაც და განყოფაღისა და განუყოფელის კანონების მიხედვითაც. ამის შემდგომ განაგრძობს სიტყვას და საუბრობს უსხუელო [საგნებზე]. რაკი ამქლავნებს, რომ იცნობს მათ და ვველაფერში ბაძავს მის პაკვლეს². ვფიქრობ, რომ ოდესღაც თვითონაც იყო აღყვანებული, ესმოდა გამოუთქმელი და იტყვდა თავის თავში განუყოფელს. სიტყვებს განგებასა და სამსჯავროზე იგი იქ იყენებს, სადაც დროულია, მსმენელს აძლევს იმდენის ათვისების საშუალეობას, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევს³, დანარჩენს კი ზეშთა საგანძურში იტოვებს⁴.

16. ამის შემდეგ იგი გადაადის ღვთისმეტყველებაზე და ვველაფერში კანონს მიიჩნევს ხაწვისხად⁵. მრავალთა აზრით, იგი არაფერს ამბობს მო-

1. ოკონ - აქ მეტისმეტად მაღალფარდოვან სტილს ეწოდება, ამით იგი განსხვავდება თავად მაღალფარდოვანი სტილისაგან (μυροειδισμός). თითქოს წინააღმდეგობაა §13-ში გამოხატულ აზრთან გრიკოლის თხზულებასა მაღალფარდოვანი მეტყველების შესახებ. მაგრამ აქ საუბარია თნრობის გარკვეულ მაღალფარდოვნებაზე, იქ კი - აზრზე, შინაარსზე.

2. აქ კიდევ ერთხელა მითითებული ბაძვის (μυθῶν) ცნების განსხვავებული ქრისტიანული შინაარსი, რაც გამაყრებელია ფრაზით „ბაძავს თავის პაკვლეს“ (მდრ. I კორ. 4,16; 11,1 (μυθηται); გალატ. 4,18 (ζηλοῦμαι). მდრ. აგრეთვე Gr. Naz. or. 28,20.

3. გრიკოლს შეუძლია ზემოთ ნამოთხული მასჯლის მისაღება მსმენელთა ღონისთან, მტკიცება დიალექტიკაში. ეს ერთნაირად ეხება მატერიალურ სამყაროსაც და πρῶτον, ἔπειτα-ის-სუეროსაც.

4. ქელონი აქ საუბრობს გრიკოლის ხელთი აზრის დაფარულებასა და ხიღრმეზე (მდრ. ეფრემ მცირე გრიკოლზე - Jer. 43, 3v-4r).

5. გალატ. 6,16; ფილიპ. 3,16.

უფიქრებლად (სიტყვახიტყვით: ყმაწვილური აღტყინებით), არამედ იცნობს საცნაურ მონადახაც, ზემთა არხსაც, ზემთა გონებასაც და ზემთა ცხოვრებასაც, ხოლო აღიარებს მხოლოდ ერთ არხს და ცხოვრებას და იმ გონებას, საიდანაც ეს გამომდინარეობს. იშვიათად და იხივ მცირედ-თა წინაშე საუბრობს იგი ამაღლებული აზრებით, ჩან იცავს ისტორიულ თხრობას, ჩან არღვევს მას, უმეტესად კი ეხება იმას, რაც მრავალს ხელის ერთიან ხიმწყობრედ აერთიანებს¹.

17. მაგრამ ჩვენ ამჟამად არ ვსაუბრობთ ამის შესახებ, რადგან იმიხათვის კი არ შემიღვინია ეს სიტყვა, რომ წარმომედვინა გრიგოლი, როგორც ფილოსოფოსი, არამედ იმიხათვის, რომ მეჩვენებინა, თუ როგორაა მისი ორატორული სიტყვა შემკობილი ყოველგვარი სიტყვიერი იდეებითა² და განსწავლულობით. მისებრ სხვა ვერავის იყენებს სიტყვიერი ხელოვნების სახეობებს³, რადგანაც, როცა გირჩევს რახმე, გაკიცხვის სახეობას დამოდვრას უხამებს და [რიტორიკული] ხერხებით აწონასწორებს, ხოლო როცა განხჯის, რაღაც კეთილხმოვანს და მკაფიოს წარმოთქვამს, რადგან რიტმული და მეღერი მოძრაობა აქვს [მის სიტყვას] და მისით გაღვივებული ხმის ტონი ხშირად თრთის. სამომდგრო სიტყვებში უხმაუროდ მდინარი ზეთის ნაკადის მსგავსია, რომელიც თანაბრად იღვრება ხელში, ხოლო როცა ებრძვის მოწინააღმდეგეს, ღვთისგან მოვლული ქარიშხალს და ღრუბლით [გამომავალ] ცეცხლს [მიემსგავსება]⁴. ორისავე ამ სახეობისათვის იგი სხვადასხვა სიტყვას იღებს: [მისი] რიტმები ზოგან მწყობრია და კეთილხმოვანი, სხვა შემ-

1. განხილულა საბეზა და ერთარხეობის ცნება, ერთიანობის პარამონია გრიგოლის სტილის უთარეზი მახასიათებელია (მღრ. §2), რითაც იგი ზეცურ საღვთო ხიმწყობრეს და პარამონიას უახლოვლავს და ბაძავს.

2. მსელოსი გაღადის სიტყვის იდეებზე (ιδέαι λογικαί), რომელიც სიტყვის მახასიათებელი თვისება ღირსებას (ἀρεταί) და სტილიან ერთად (χαρακτήρες) იღვების, როგორც სიტყვის ფორმის ელემენტები აქ არ არის სამოთვლილი (იხ. უფრო ქვემოთ). ზოგაერთიან სახეობა ღირსებებსაც კეთონის და იდეებსაც (სხვადასხვა რიტორიკული თეორიის მიხედვით), მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მაგ., სიტყვად - σαφύριον, ვნის სიმძიმედ - ἄσμερπύτος, ἄλφουστას, სიდად - μύριος და სხვ. კერძოვანებს ტრადიციამო ტერმინი „იდეა“ (ιδέα) გამოიყენება იმავე აზრით, როგორც თეოფრასტეს (ძვ.წ. IV-III სს.) მიმდევარი გამოიყენებენ ტერმინებს „ღირსება“ (ἀρεταί) და სტილით ტიპობ (χαρακτήρες). ზოგჯერ ერთსა და იმავე ტერმინს სხვადასხვა მუცნიერი სხვადასხვაგვარად ხსნის (მღრ. С.Аверинцев, Школьная норма антиграфического творчества... с. 46-47).

3. ზემოთ წარმოღვინილი გადახვევის შემდეგ მსელოსი იხვე παραკატიკოს χαρακτήρ-ის განხილვას უბრუნლავს - გრიგოლის მკვერემეტყულებას იგი განიხილავს სიტყვიერი ხელოვნების სახეობებს, სად ვანს: γένος ὀψιπαιδαγωγίων (სათათბირო სიტყვა, მისი ფარდაა ქრისტიანული დამოძღვრა-სწავლანი), διακονίων (სასამართლო, ქრისტიანული აძოლაგეტკიერი თუ პოლემიკური სიტყვა), παιρησιακόν (სახობტო სიტყვა). მას ენაცვლება ὀμιδურტიკონ (სადღესასწაული სიტყვა. მღრ. §1). ამ დაყოფას საუფქვლად უღვებს წესი ენობრივი საშუალებების სუნის თავისებურებებთან მიახლოების შესახებ.

4. ორატორის სიტყვის ცეცხლოვანება, ცეცხლისფერობა ღვთიურ საწყისთან ერთიანობის ხატოვანი გამოხატულება (მღრ. პიმნორაფთა). მით უფრო ურადსაღვლეთა იხ. პარემოება, რომ აქ საუბარია წარმართებისა თუ ერეტკიკოსის ამხილებელ გრიგოლის პოლემიკურ სიტყვებზე.

თხვეპში კი - მკვეთრი და წყვეტილი. იგი არსად ტოვებს უყურადღებოდ ფილოსოფიურ აზრს, არამედ ყველგან თესავს მას სიტყვებით, რათა ერთგან გაწონასწორებული მღელვარე გაჩაღოს, მეორეგან კი პირიქით, დაძაბულობა შეანელოს.

უფრო წარმატებულია იგი პანეგირიკებში (სახოტბო სიტყვებში)¹. მიხი სხვა სიტყვები შეიძლება შევეუდართო ისოკრატეებს, პლატონებს, დემოსთენეებს, პანეგირიკებში კი მას ბადალი არა ჰყავს, რადგან სიტყვის ეს სახეობა მართლაც სხვებზე ბევრად რთულია. ამის გამო დემოსთენე ან სხვა რომელიმე ორატორთაგანი, რომლებიც მანამდე ან მის შემდეგ [ცხოვრობდნენ] და პოლემიკურ თუ სახარგებლო სათათბირო სახეობაში თავი ნაყოფიერად და მრავალფეროვნად წარმოაჩინეს, პანეგირიკულ სახეობაში იხინი ყველანი მეტად თუ ნაკლებად წარუმატებელი იყვნენ.

18. პლატონიც მშვენიერია, მაგრამ მის მიერ შეთხზული ეპიტაფია (სამგლოვიარო სიტყვა) იმგვარი არ არის, როგორც [მისი] იდეათა მხილება „პარმენიდში“ ანდა საუბარი საყოველთაო მშვენიერებაზე „ფედროსში“ ანდა სამშენებელზე ფილოსოფოსობა „ფედონში“. დემოსთენეც, როცა [სიტყვაში] „სტიფანეს ცრუმოწმობის წინააღმდეგ“ ბრალს ხდებს ესქინეს არაკეთილხინდისიერ ელჩობაში და იცავს [თავის] ოქროს გვირგვინს, ან როცა საჯაროდ წარმოთქვამს ოლინთოსურ [სიტყვებს] და გაჰყვირის ფილიპეს წინააღმდეგ, მაშინაც კი იგი არ იცილებს ოლიმპიურ საყვირს, მდიდრულად ამუშაებს სიტყვას და მტყიცებათა გზები მიჰყავს სასურველ დაბოლოებამდე, მაგრამ როცა მან გაბედა ბრძოლაში დაცემულთა განდიდება, იგი სხვაგვარი გახდა, ვიდრე არკისიონი. თუკი-დიდესთანაც ღრმია ჩანაფიქრი, განსაკუთრებით სახალხო სიტყვებში, სადაც აზრები ერთმანეთზე დაჩვევებული და გაერთიანებული, მაგრამ როცა ხოტბას ასხამს ეპიტაფიებს, სცოდავს [სიტყვის] ამ სახეობაში და საკუთარ შესაძლებლობებზე ბევრად დამაბლებელია.

19. დიდი გრიგოლი კი, თითქოს მან პირველმა მოიგონაო [სიტყვის] ეს სახეობა², შემდეგმ თანრის ნიმუშად დასახა ეს ხელოვნება და ხრულ-

¹ გრიგოლის პანეგირიკები შედარებულია (§17-18) ისოკრატეს, პლატონის, დემოსთენეს, თუკიდიდეს შრომებთან (Dionys. Hal. de Dem. c. 23-30; de comp. verb. c. 18, p. 74, 11, p. 33, 21; vol. 1, 184, 20; p. 76, 1; 181, 4). ა. მ. ა. ე. რ. ი. მიხედვით (გვ. 93), ასევე ისი თავისი შეფასებით აქ განმარტოებით ღვას, როცა ამ აქტორთა ჩვეულ დროზე დაბლა მღვრიან განიხილავს მათ პანეგირიკებს. საგულისხმოა, რომ ასევე ისი, რომელიც, ჩვეულებრივ, კინობით ფორმებს („კოილც“, „ვინიუ“ ან სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა) პროზაიკოსთა მეორე კანონის წარმომადგენელია მიმართ იფერება (§5, 6), აქ ამ ხერხს მიმართავს ელინური რიტორიკის საუკეთესო წარმომადგენელია მისამართით, ხოლო ქვემოთ გრიგოლის პროზის დირსებებს განიხილავს სწორედ პანეგირიკების ფონზე, რადგან მისი აზრით, გრიგოლი სიტყვის ყველა სახეობაში წარმატებულია, მაგრამ განსაკუთრებით კარგია პანეგირიკებში.

² გრიგოლის შრომები განხილულია *παρρησιαστων* ὁμιλιის მაგალითზე, კერძოდ, სიტყვის ცალკეული ნაწილების მიხედვით: შესავალი (*προομιαιον* - §19), ობრობა (*συμφορας* - §20), მტყიცება (*πικτας*) და ეპილოგი (§23). მოძღვრება თემის დამუშავებაზე (*υποδομις*), საკითხებზე (*δεντας*) და სხვ.

ყოფილებაზე მიიყვანა ეს დაუბოლოებელი სახეობა. როგორც, მითის მიხედვით, ზევსი [მოივლინება] ქუხილითა და ელვით, ახვევ იგიც თხრობის დაწვებისთანავე [წარმოვიდგება] დაუსრულებელი პარადოქსებით, გამოუთქმელი მშვენიერებითა და დაფარული მადლით¹, სიტყვათა ფერადონებით და ფიგურათა მრავალფეროვნებით² შესძრავს მსმენელს, ხან ანციფრებს მას, ხან ტაშს აკერევიანებს, რიტმულად ჩართავს ფერხულში და აქცევს მას მოვლენათა თანაგანმცდელად. შემდეგ განაგრძობს და ხურვილისამებრ უმაღლე ანაწევრებს მთელ თემას, მერე კი კვლავ უბრუნდება დახაწვისს და ჩხნის სათაურს (სიტყვასიტყვით: სახათაურო წარწერას). შეხავალს კი ზოგჯერ რამდენიმეს გვთავაზობს, როცა ხამს წინასწარ დახაზოს რაიმე, ზოგჯერ კი ფიქრობს, რომ ერთიც საკმარისია, ხანაც პოლემიკის შუაგულიდანვე იწყებს, მერე წამოწყობულს იკვლევს და უბრუნდება თავდაპირველს, რადგან იგი თითქოს ერთ წერტილში უყრის თავს თემებს, საკუთარი ხურვილისამებრ ეპყრობა მათ, აძლევს მათ ფორმას და გარდაქმნის, თითქოს თითებით რბილ ცვილს ზედღეს, ახეფაფერებს და აძლევს მას სხვადასხვა სახეს³.

20. ზოგიერთი მის მიერ მიკვლეული ზღერის საშუალებით იგი ანაწევრებს სიტყვას და აერთიანებს, შეკრავს და შლის მას, უმოკლესს ავ-

¹. ისევ κάλλος-χάρης ცნებების ერთგვარ დაძირისპირებასაც შეიძლება აქონდეს ადგილი (მდრ. 52).

². ῥῶμαι - λέξις - ἔχρησται მიმართებისათვის მდრ. Demetr. de elocut.

³. მსგავსი აქ ისევ უბრუნდება §13-ში წამოწყებულ და შეწყვეტილ თემას გრიგოლის თხზულებათა კომპოზიციასზე (§19-20). საბუნდოვანო ლიტერატურაში სუბარია გრიგოლის კომპოზიციური სისტემის უსისტემურობაზე, შესაკადი და ჩართული თხრობებით (τα διηγήματα) ვალატორიანე და ა.შ., რაც საკვალ ითვლება ანტიკური რიტორიკის თეორიის მიხედვით (მდრ. ნაწილთა შეთანხმობილება, ზომიერება - μέτρον. Arist. Poet. 1450b-1451a) და II სოფისტის თავისებურებად მიიწევა (M. Guignet, St. Grégoire de Nazianze et la Rhétorique, Paris, 1911, p. 21; -230), დიხროპორცია, არათანამშობილება შუა სს. დამახასიათებელი ესთეტიკური ნორმა, ქრისტიანული თხზულებისათვის დამახასიათებელი სტილიტიკური სტიქია (ა. ღ ი ე ბ ა რ ს კ ი ს დასახ. შრომა). მსგავსი ურადღესს ამაზვიანებს იმას, რომ გრიგოლის თხზულებათა კომპოზიციური შესაკადები, განსხვავებული თემები ერთ წერტილში იყრის თავს გრიგოლის ხურვილისამებრ, რომელიც ისე მოხერხებულად იყენებს მასდას, როგორც ცვილს, და აძლევს მას სხვადასხვა სახეს. მაშასადამე, ფორმას შინაარსი განსახლურავს, ხოლო შინაარსის, აზრის განსხვავებულობა და აძლევს უბორობა, ზეციური საღვთო წარმოშობა გრიგოლთან არაერთგზისა აღნიშნული (§10, 12). ასე რომ, აქ გარეგნული სიმეტრია თუ დარღვეულია, შინაგანი, ფარული სიმეტრია არსებობს (რადგან იგი ეზორნილეს პარონიულ შესაკადურ უმაღლეს ზეციურ მშვენიერს - იხ. §2, 3, 6, 13, მდრ. პიმროგრაფიულ კანონის კომპოზიციის სიმეტრიის დაფარულება - ღ. კვირიკაშვილი, პიმროგრაფიული კანონის კომპოზიციის სიმეტრიის მიხედვით, გრიგოლის მიერ კომპოზიციის აგების ეს თავისებურება ახალია (მდრ. καινοτομία), რითაც იგი განსხვავდება არადიდიკული ნორმებისაგან (მდრ. 52).

რცობს განყოფითა და სიტყვის განკვეთით, გაჭიანურებულს და გრძელს კვიცავს და დაჰყავს უმთავრესის მოკლე გადმოცემამდე¹. იგი თავისებურად (καυσοπρεπεις) წყვეტს [აზრებს] და ქმნის მრავალრიცხოვან ნამატებს². დიდებულს იგი დიდებულად განმარტავს, თუმცა არ უარყოფს გამოსახვის სხვა საშუალებასაც³. არსად არ არის იგი არაგამომხატველი (αυθισοιότηος), არამედ [პირიქით], ყველგან ცხოველია და საკითხის შესაფერისი, ძლიერია⁴ და შთაგონებული და [მუდამ] პოულობს ახალ მისწრაფებას მრავალფეროვნებისათვის. განცალკევებულ აზრებს იგი აერთებს და ათანხმებს შემავსებელი და შემრიგებელი აზრებით და იყენებს მათ დანაწევრებული თხრობის შემაერთებელ ნაწილად⁵. თხრობებს იგი ისე ამკობს დასაწყისებით, როგორც ყვაილებით, რა თქმა უნდა, შესაბამისად დანაწევრების, გამონაგონის, მოკაზმულობის და გაპი-

1. ა. შაიერის აზრით, აქ საუბარია სოფისტური იდეალის შესაბამის ზელოვნებაზე - გრძელი სიტყვის შემოკლებაზე და პირიქით. ლაკონერობა (βραχυτης, συντομία) სიტყვის ერთ-ერთი ძირითადი სტილური მახასიათებელი იყო სიციხლესთან ერთად ანტიკური რიტორიკიდან მოყოლებული (შღრ. §5).

2. καυσοπρεπεις - ახლებურსაც ნიშნავს, რაც მანძიშებს გრივლის კომპოზიციის აკების ზელოვნების ზემოთ წარმოადგენდა, ახალ თავისებურებაზე კლასიკურ ნორმებთან შედარებით. αὐθιστότης (დაცალკევებულ აზრთა შეერთება), ὑποστάσεις (გაფართოება-გაგრძობა) „აზრობრივი ფიგურება“ (Hermogenes II, 307,5) ἄποστασις არის ἰσοσύνθετος ἰσοσύνθετος-ს ხსენ (Demosth. de coron. 240. Aristides II 462,16, Sp. Philostr. V.S. 1,9,1) ὑπόστασις-ს პლეონასმაც უწოდებენ (მატება-გაფართოების გზით მიღებული ფიგურა). ასახვას დაწერილობით ხსენ შღრ. Hermogenes II,325,26. Aristides II, 479,20 Sp. ანონიმი თეორეტიკოსი ასახელებს მას ἰσοσύνθετος-ის (გაფართოება-გაგრძობის) ხსენდ (Rh. Gr. I 215,28, Sp.-II.) ან ἰσοσύνθετος-ს (სიცხოველის, როგორც ღირსების) საშუალებად (Rh.Gr. VI 1030,28 W.).

3. ა. შაიერის მიხედვით, გრივლი იყენებს ὁμοίωμα-საც იმ მასალაში, რაც ბუნებით ὁμοίωμα (დაადი) არ არის (შღრ. Demetr. de elocut. 120. Theophr. Περὶ λέξεως, fr.p.150).

4. მსულობის ვადადის გრივლის სიტყვის ღირსებებზე (ἀρεταὶ λέξεως - Arist. Dionys.Hal. de Lys. c. 7-9,13, p. 21-22; de Isocr. c. 3 და სხვ.), რაც სიტყვის თვისებაა, რიტორიკული ტექნიკის მეორე სფეროა, სიტყვის იდეებთან (ფორმასთან) ერთად (სიტყვათა შერწყმა-შერწყმისა და ფიგურების შემდეგ). გრივლის სიტყვის ღირსებებია: ἰσοσύνθετος - გამომსახველობა, ἰσοσύνθετος - სიცხოველე (შღრ. §4), ἰσοσύνθετος - შესაფერისობა (ἀρέτων. Arist. Rhet. III,7), ἰσοσύνθετος - ძალა (შღრ. ἰσοσύνθετος - §7; κράτος - §2).

5. თუ რას გულისხმობს მსულობის §20-ის დასაწყისში ὁμοσύνθετον და ἰσοσύνθετον τὸν λόγον-ში, ნათელი ხდება აქ - განსხვავებული აზრების შემაერთებელი (შემავსებელი და შემრიგებელი) აზრებით (ὁμοσύνθετοι ἰσοσύνθετοι) შეერთებისა და განყოფილი თხრობის შემადგენელ ნაწილებზე მსჯელობისას (შღრ. Dionys.Hal. de Isocr. c.3, p.58,20; de Dem. c.19, p.168,8;40, p.214,22. de comp. verb. c.9, p.32,33; c.16, p.67,12. შღრ. παραπλοῦσται ἰσοσύνθετοι - Demetr. de elocut. 55. იგულისხმება შვესება ერთიანი ფორმის სინთეზის მიზნით და არა გაფანტული აზრების ლოკალური დაკავშირება. ὁμοσύνθετος ἰσοσύνθετος - მიზელი პერიოდის დასასრულის რიღს უნდა ასრულებდეს).

როვნების¹ საშუალებით ხდის მათ არამომადებურებელს მსმენელისა და მკითხველისათვის. როგორი პირიც არ უნდა შემოიყვანოს მან სიტყვაში, იგი ზუსტად ისეთივე ხდება, რადგან გარდაიქმნება მოქმელის განცდებისა და შესაბამისად: ჩან ცრემლებით ევსება თვალები, ჩან მსველელობის წინ ელვარედ ჩაივლის გვირგვინით შემკული, მხნე [შემართული] ეტლზე, ზოგჯერ ოქროს სადავითაც, ჩან კი საწყალობლად ჩივის, ცრემლებით ვედრებს და მწარედ გოდებს. გრიგოლთან ყველგან იგრძნობა ენაწყლიანობა და სიტყვის დიდებულება (მაღალი სტილი), ბუნებრივი სიდიადე² და ხადა მშვენიერება. ვიცა, რომ ასეთი სტილი წარმოშობით უცნებო და მოუკაზმველია (უფიგურო)³. ამის გამო იგი (გრიგოლი) უპირატესობას ანიჭებს (სიტყვასიტყვით: სწორად წარმართავს) ხელიერ მხარეს, ბუნებრივად განმარტავს და არხად არ იყენებს საგანგებოდ მოძიებულ სიტყვებს⁴.....

ისინი კი ნაწილობრივ მართალნი არიან, ნაწილობრივ ცდებიან. ამ [წმ.] მამამ შეუთავსებელი შეათავსა და თავიდან აიცილა ორივეს შეცდომები⁵, ხოლო, რაც თითოეულთან სწორი იყო, ის განაკრცო სიფართოთ და სიგრძით, თუმცა იგი არ ქმნიდა თავის თხზულებებს ხელოვანებით⁶, აქცია ისინი თხრობებად (ἐξηγησις)⁷.

¹ აქ ასევე იხილეთ მხატვრული ასახვის „აზრობრივ ფიგურებზე“ ვადაის, რომლებიც ხატვანებისთვის გამოიყენება და მიეკუთვნება მიქოთის-ს (თხრობას). ესენია: ღანაწყურება (ἰρσοσμοί), გამოწვლი (ἰσθμῶς), მოკაზმულობა (μοχασμοί), გაპიროვნება (ἰροσασμοί - Hermog. II 325, 23, Herodian. II 94, 22 Sp. Rh. Gr. I 403, 22 Sp. II. ჰერმოვენესთან მიმოხარაί მოსთავის-ის სინონიმია (Hermog. II 231, 15-18; 232, 20).

² ასევე აქ კვლავ სიტყვის ღირსებებს (ἀρεταί) უბრუნდება. ἰσομορφία - ენაწყლიანობა, ὄμοιος - მაღალარღვევა (მღრ. §15), ἰσομορφία ἰσομορφία - ბუნებრივი სიდიადე. ასევე აქ ცდილობს შეაჯამოს თავისი შეხედულებები გრიგოლის სტილის ხასიათის შესახებ და განსაზღვროს იგი, როგორც ნიმუში მაღალი სტილისა.

³ მეორეს მხრივ, იგი საუბრობს გრიგოლის სტილის სისადავეზე, სამკაულების ნაკლებობაზე, სადა, არაბედონერ მშვენიერებაზე (მღრ. §9). ტერმინით ἀπλοῦς - სისადავე ფიქციისი და ასეველიც გამოხატავს სავითო წერილისა და ქრისტიანული ლიტერატურის დამახასიათებელ თვისებას. ამ თვალსაზრისით, ἀπλοῦς სტილსა სახეობებზე ძალა ღვა და მიხვან განცდილობდა. ვიქტორით, ასეველიც გრიგოლის სტილს ახასიათებს როგორც სტილსა ტრადიციულ სახეობებს, ისე ფიქციისი სიხლის მიხედვით, რადგან საქმე საღვთის-მეტყველო, ტრადიციული საგან, კლასიკურისაგან განსხვავებულ სტილს ეხება. აქაც ასეველიც ქრისტიანული ანტიბიბლიკობის გამოხატულება.

⁴ ასეველიც უარყოფს მხოლოდ ერთი ἄρθρον-ს გრიგოლთან, ἄρθρον-ს (ენებს), მაგრამ ამ ნაკლს გრიგოლი ავსებს ἴδιος-ით (სულიერი, ზნობრივი მხარით) მღრ. Περὶ ὑψους 29, 2, p. 154, 20, Sp. H.). ე.ი. გამოხატვის ბუნებრივობით (მღრ. Dionys. Hal. I, 15, 20). ἴδιος-ს განეკუთვნება ἴδιος-ის (გამომსახველობა) ვაწრო გაგებითაც (იხ. ზემოთ „გარდაიქმნება მოქმელის განცდებისა (ἄρθρον) შესაბამისად“).

⁵ აქ ზღაპრული ნიშნები. ნაკლულ ტექსტში ასეველიც გრიგოლი უნდა აკადემოს შედარებულ ორ ἄρθρον-ს ὑψοῦς-თან (რადგან კვერთხი საუბარია „ორივე“ შეცდომებზე).

⁶ იგულისხმება, რომ გრიგოლი არ ზრუნავდა რიტორიკის ბერებზე (τεχνῶν-ს შესახებ მღრ. §19 და სხვ.).

⁷ განმარტება - ἐξηγησις რიტორიკული ფიგურის სახეობა.

21. უფრო განსაკვიფრებელი ის არის, რომ ხიტყვებში იგი ნათელია¹, როგორც ნებისმიერი სხვა, თუმცა თითქმის ყველასათვის გაუგებარიცაა [ამავე დროს]. გაუგებარია არა იქ, სადაც დაფარულად (αποκρυφτως) გვიცხადებს ღვთისმეტყველებას, არც იქ, სადაც დოგმატის საშუალებით.....იმადროულად საცნაურს გვიჩნდის უფრო დახვეწილს (არ ვხაზუბრობ ალევორისის შესახებ თხრობებში, რადგან სხვაგვარი ხიტყვით ხამს მასზე საუბარი და მისი განხილვა, უფრო ამიღლებულად და უკეთესად²), არამედ იგი მკითხველისათვის გაუგებარია იქ, სადაც წარმოდგენილი აზრი უბრალოა, ხიტყვა დაწმენდილია და ხიტყვები - მკაფიო. რაზედაც მე ვხაზუბრობ, ის არ არის, მრავალს რომ ჰგონია, რომელთაც მიანხნათ, რომ არისტოტელე მსულად გასაგებია ხიტყვების მიხედვით, ორატორი არისტოტელე მისი სტილის რაღაც თავისებურების გამო - მსულად ასახსნელია და განსამარტებელი, პლუტარქე კი თავის „ეთიკაში“ ხიტყვის ამა და ამდაგვარ ხაზუბობას წარმოაჩენს. ჩემი ნაფიქრი ამ დიდ [მამაზე] სხვაგვარია, რადგან თუმცა არისტოტელეს შეუძლია ცხადი იყოს, განზრახ ფარავს მის მიერ წარმოდგენილს და მრავალს მოაქცევს ერთ გამოთქმაში. არისტოტელე იხე აწყობს ხიტყვებს, როგორც ორაკული წინასწარმეტყველებისას, ამორიშორებს იმ ხიტყვებს, რომლებიც აზრის გადმოსაცემად ერთად უნდა ყოფილიყო. ფილოსოფოსი პლუტარქე კი მსულად გასაგებია არა ხიტყვათა შეწყობის, არამედ მოძღვრებათა აღრევის გამო³.

1. თაფრია-ს ხიტყვის ღირსებებშიც განიხილვენ და იღებენ (καθιέρωσ-თან ერთად). გრიგორის სტილის სიხადეს (სინათლეს - თაფრია) მსჯელობს აქ განიხილავს არა λευκός τὸν ἄνθρωπον, რადგან გრიგორის ხიტყვიერი ქსოვილის სიხადე-გამჭვირულება მისთვის აშკარაა (იხ. ქვემოთ καθιέρωσ, λευκός, აგრეთვე §22), არამედ აქ საუბარია პროკრატე თაფრიაზე (მღრ. Anonym. seguer. I, 367, 11 Sp.-H. Anth. Pal. XI 347, 5; Dionys. Hal. de Lys. 4, p. 12, 13; οὗτοι γὰρ τὴν καὶ προκρᾶτιον θάφρῳ οὐ πολλοῖς γινώσκουσ..., de Thuc. de Demosth. c. 4). შინაარსობრივ სიხადეზე, რომელიც ყველასთვის გასაგები არაა და საქმეობის განმარტებას. გრიგორის სტილის სიხადე-ბუნდოვანებაზე მსჯელობს საუბრობს როგორც ერთანზე.

2. ალევორია რიტორიკის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია (ფიგურის სახეობაცაა).

3. გრიგორის თხზულებათა ბუნდოვანი ადგილებისაგან განსხვავებულია ის ხომწვევები, რომლებიც არისტოტელესთან, არისტოტელესთან და პლუტარქეს „მორალიებში“ გვხვდება. ისინი ამ ავტორების შედომებს უკავშირდებიან: არისტოტელე და არისტოტელე ძალიან მოკლედ წერენ, მამასადამე, ორივესთან შედრობა ენობრივ გამოხატვაშია. პლუტარქე გაუგებარია არა ფორმით, არამედ საგნის (მოძღვრებათა აღრევის) გამო. იგივე საყვედური ითქმის მისი „ბიოგრაფიების“ მიმართაც (იხ. §15). ამისაგან განსხვავებით, გრიგორის შესახებ მსჯელობს წერს: πολυτάκτως τὰς ῥητοίας μεταχειρίζεται. ე.ი. საუბარია შინაარსის სიხადეზე, რადგან მრავალთათვის მსუქნომულია გრიგორის საღვთისმეტყველო აზრის ხილვა, თუნდაც სტილისტური სისადავით ვაძობოქელი. ამვე დროს გასაგებია მისი განმარტება დაფარულისა, გამოუთქმელისა, დოგმატისა. ეს გრიგორის საღვთისმეტყველო სტილის ღირსება, სისადავე და ხილვა - თითოეულისათვის იმდენად იყო გასაგები, რამდენის მიღებაც მას შეუძლია (ე.ი. განსწავლულისთვისაც და განსწავლულისთვისაც ერთნაირად სასურველია).

22. ეს მამა კი, თუმცა მახთან არ არის მრავლად დოგმატური და მოძღვრებები და ყველგან სიცხადეზე ზრუნავს, ყოველივეზე თავის თხზულებებში ხელახლა სვამს იგი ახალ საკითხებს. ამიტომაც თითქოს სხვებისათვის ხაზელმძღვანელოდ ზოგიერთებმა განმარტებათა სხვადასხვა წიგნი შეთხზეს. ამისათვის მე თვითონაც არა ერთი საჭოჭმანო საკითხი გადავწვავი, როცა, როგორც იცი, ხაზელდახელოდ მოვიგონე შუა პასუხები ხაზიებელ საკითხებზე¹.

იგი ნაყოფიერია და მოხაზრებული თემათა განსაზღვრებებში, როგორც ეს ყველაზე მეტად მის დამოძღვრით სიტყვებში ჩანს. იგი ერთმანეთს შეურწყამს სიტყვის იდეებს² არა ისე, როგორც იქმს ამას პლატონი³ თავის სიტყვათა ზოგიერთ ნაწილში, არც ისე, როგორც ლისია, რომელიც უმეტეს მათგანს თავს არიდებს, არც ისე, როგორც დემოსთენე, რომელიც სხვას ამბობს ხანაღო სიტყვებში და სხვას - კერძოში, არც ისე, როგორც ისოკრატე, რომელიც ყველგან ზრუნავს ქლერადობაზე და ერთნაირდახაწვისიანი და ერთნაირდაბოლოებიანი სიტყვებით ტყება, არც ისე, როგორც არისტიდე, რომელიც ყოველთვის ესწრაფვის სიტყვაში ძალმოხილ სტილს და ქებას იხვეჭს შეთანხმებათა სიახლათ. გრივოლი მათ მსგავსად, რომლებიც პარმონიას აღწევენ რიცხვითი შეთანხმებების კანონებით, ყოველთვის თავისი საჭიროებისდა მიხედვით შეურწყამს ერთმანეთს [სიტყვის იდეებს]. იგი ძლიერია [ორატორული ხე-

¹ შდრ. გრაგილის თხზულებათა კომენტარები, ჰერმოგენეს კომენტარები. მსჯელობს საკითხს შრომების იმონებს. მას აქვს კომენტარები გრივოლის შრომებზე და ტრაქტატები, თეორიული მოხაზრებები რიტორიკის საკითხებზე. „საქოჭმანო საკითხი“ აქ ალევორიდის და დიფორუსის განმარტებასაც გულისხმობს და არაერთი რიტორიკული საკითხის ინტერპრეტაციასაც.

² კიდევ ერთხელა ხაზგასმული, თუ როგორ ფლობდა გრივოლი ორატორული ხელოვნების ყოველგვარ საშუალებას - *θετικαί σοφίσταις* - შდრ. Philostr. VS II, 6, p. 79, 26. სიტყვის იდეებში (*ιδέαι*) ძირითადად ჰერმოგენეს იდეები იგულისხმება (*ἰδέαι ἰδέων*). მისგან აქ დასახელებულია (§22-23): *ἦθος* (ხასიათი, სწავლობა, სულიერი - Hermog. p. 350), *γοργότης* (ხმაკაცრე - *τιμικος τόπος*, შდრ. Hermog. p. 343. Plut. Quaest. conv. V 10), *συσότης* (დიღებულება - Hermog. p. 287. შდრ. §20), *λαμπεότης* (ბრწყინაულება - Hermog. 304), *περιβολή* (ხისავსე - Hermog. 315, II 317, 27) - სამი უკანასკნელი *μέγιστος*-ის (ხიდაღის, შდრ. §6) ხარისხებზეა, *δενότης* (ძალმოხილება - Hermog. 388), *εὐκρίνεια* (ხისაღვე - Hermog. 281), ისევ *σαφύρια* (ხიცხაღე - Hermog. 275).

³ გრივოლი კვლავ შეღარებულა *αρχαίαι*-ს რიგთან პლატონთან, ლისიასთან, დემოსთენესთან, არისტიდესთან. არათანაბრობიანობას ხედავს პლატონის ნაწარმოებებში დიონისე ძალიკარნასელიც (Dionys. de Dem. 5, 23). ლისია უმეტეს იდეებს თავს არიდებს. დიონისიოს მას *αναγκαία*: *ἀρεταί*-სა და *ἠθικαί* *ἀρεταί*-საგან მხოლოდ *ἐνάργεια*-ს და *ἠθοποιία*-ს მიაკითხვებს და არა იმ იდეებს, რომლებიც უშუალოდ სტილს ქმნიან (*δενότης*, *μεγαλοπρέπεια*, *ἦθος*). ისოკრატესთვის შდრ. Dionys. Hal. de Isocr. 3, de Dem. 4., Arist. Rhet. III, 9, 1410A 25. Demetr. de elocut. 25 (Theophr. Περὶ λέξεως fr. p. 107). არისტიდესთვის შდრ. Sopatros III 741, 10. Synes. Dio. p. 40 c.

ლოვნების] ხსენობრივ სახეობაში, აგრეთვე ძლიერია შეკვეცილ სახეობაში, მაგრამ არაჩვეულებრივია იგი ყოველგან დიდებულსა (ხადლებასწაულსა - τὰ ἄριστα) და ბრწყინვალე [სახეობებში].

23. იგი არსად არ უკლის გვერდს ძალმოხილ მეთოდს, ხისავსე კი იგი დამაჯერებლად წარმოადგენს, რამდენადაც ამას მოითხოვს საქმის აუცილებლობა. უმაღლეს დონეს აღწევს იგი ხისადავით და არსად არ სცილდება სიციხადეს¹.

ბევრ თავის კომილიაში მან ორგვარი აზრი² შეურწყა ერთმანეთს - ხანინო და ფარულა - და სურს განმარტოს, რაც დაფარა, და ვრცლად წარმოადგენს საკითხს, რათა ხანინო გახადოს იგი იმდენად, რამდენადაც სურს, და აიცილოს [განსხვავებული] ცდები. მისი ხიტყვები ორაზროვანია, ისე რომ, ერთის აღნიშნვაც შეუძლიათ და მეორისაც. [მისი] ხიტყვა მიემართება მართებულად და არ გაურბის ირონიასაც³. იგი ისე ჩივის მრავალ განსაცდელზე, რაც მას დაუთმენია, რომ ვერ შეამჩნევ ამას და ისეთი ხელოვანებით გადმოსცემს აზრს, რომ უმრავლესობას ესმის, თუ რისი თქმა სურს, თუმცა არ აცხადებს ამას. იგი ვერ ბედავს სრულყოფილად [იმხველოს] საიდუმლო დოგმებზე მსმენელთა აღქმის უნარის გამო და გადადის ისტორიულ თხრობებზე. ამასთან აქვე ალეგორიულად გამოხატავს მას, თუმცა არ ხსნის ალეგორიას. ზოგჯერ იგი ცხადყოფს დაფარულს, თუ ალეგორიულად ნათქვამში არა არის რა უამური.

¹. მკვლისი აგრძელებს გრივლის ხიტყვას ფორმობრივი მხარის - იდეების ნაოთქვას. *δυσότης* ხიტყვის ლირუბაცა (ზოგან - იდეა) და სტილის სახეობაც (*δυσός* - მძლავრი სტილი). *εὐρεῖν* - „ხისადვე“ ასევე ღირსება ხიტყვისა „სიწმინდესთან“ (*καθαρότης*, *ἐλευθερία*) და „სიხადესთან“ (*σφαιρία*) ერთად. იგი ენობრივ სიწმინდეს, სიხადეს, უხადობას, მკაფიობას და სისადვეს გულისხმობს, როგორც ფორმას. ასეთივე სისადვის გამოხატული *αφελής* (§9). მაგრამ *αυλότης* (§3), რომელსაც ფოტიოზი იყენებს წმ.წერილის სტილის აღსანიშნავად, მხოლოდ ენობრივ გამომსახველობას არ უნდა გულისხმობდეს და უფრო ღრმა შინაარსისა ზოგადად ქრისტიანულ თხზულებათა ანტიკურისაგან განსხვავებული თავისებურების აღსანიშნავად. ამასთან, მაღალფარდოვანი შეტყულება (როგორც გამოასხვის ფორმა, მაღალი სტილი) გრივლიან უმაღლესი სულიერი აზრის შესაფერისი გამოხატულება (მდრ. §13, *σφῆλολογία*).

². გრივლის ხიტყვის ალეგორიულობა გულისხმობს მისი ორგვარი აზრის თანარსებობას: ფარულისა და ცხადისა, საიდუმლო დოგმებისა და ისტორიული თხრობებისა. თუმცა ზოგჯერ ცხადყოფს დაფარულს ან ხსნის ისტორიული თხრობის ალეგორიას (მდრ. §13, §21). ამას შეესაბამება გრივლის სტილის სიღრმე და სისადვე ვრიდორიულად. გრივლის აზრობრივი იტყუა-ს შესახებ (*sermo figuratus*) მდრ. Quint. IX 1,14. Theophr. Περὶ λέξεως fr. p. 189 ff. 212 ff.

³. ირონია მიეკუთვნება *λόγος εὐχρηστικῆς*-ის ნაირსახეობებს (მდრ. Lucian. dial. mort. 30,2. Ps.-Dionys. ars. rhet. 7,2). ა. მ. ა. ი. რ. ი. ს. აზრით, თეორია უკრძნობს დიონისეს სახელით ცნობილ ტრაქტატს Περὶ εὐχρηστικῆς (vol. II 295 ff. U.-R.). მდრ. აგრეთვე Philostr. VS I 21,5; 25,10; II, 17.

იგი ყოველნაირად [ცდილობს] დაატყვევოს სმენა მყისვე და შესავლი-
 დანვე¹, როცა წარმართავს ჰომილიას სადად და წინასწარ შემუშავებუ-
 ლი ზერჩების გარეშე, როგორც ამას სიტყვის ხელოვნება მოითხოვს, ჩე-
 მის აზრით კი, მეტად დახელოვნებულად და, ასე ვთქვათ, მზაკვრულა-
 დაც კი. მტკიცებებში მას ყველაფერი შეუძლია, რასაც მოისურვებს, და
 იგი ძლევით ეპიქორემების დამუშავებაში (ταυ επιχορημύτων) და ამას-
 თან ყველას კი არ იყენებს, არამედ იმდენს, რამდენის განსაზღვრაც აქვს
 ჩვეულებად გარემოებისდა შესაბამისად. იგი ხელს ჰკიდებს სხვადასხვაგ-
 ვარ ზერჩებს და მთელი ჰომილიის მანძილზე თავის თავს ჰგავს კიდევ
 და არცა ჰგავს². ხან არსად არ უგულებელყოფს რიტორიკული ხელო-
 ნების წესებს, ხან კი სხვადასხვაგვარად [იყენებს] მათ. ამის გამო შესა-
 ვლებში იგი წარმოადგენს უფრო ღრმა და ძირითად აზრებს, ხოლო რო-
 ცა თემაზე გადადის, უფრო მრავალფეროვნად გარდაიქმნება და, როცა
 კვლავ საკითხს ეხება, ცოცხალი და წრფელია. როცა იწყებს ნათქვამის
 მოკლედ გამეორებას, დახვეწილია და ლაკონური. იქ კი, სადაც მას
 ხურს სიტყვა გაჩადოს დასრულებული, მისი სიტყვა თავისუფალია და
 შეუბოჭვი და ნებისმიერი აზრი ემორჩილება გონით ჭკრეტს.

ჩემთვის ეს „სიტყვა“ აწ მხოლოდ დასაწყისია სათქმელისა, შენს
 ხელს კი, ვიცი, დააპურებდა ისიც, რაც უკვე ითქვა. ამიტომ მთლედ აწ
 შესაძლებლობის მიხედვით (რამდენიც შეგიძლია) დასაწყისი დიადზე
 შექმნილი სიტყვებისა, ხოლო, როცა ისინი შენში მომწოდება, მაშინ
 ერთად მოგიძღვნი ნაღმის ნაშთებსაც³.

¹. მხედრობი იხვე აგრძელებს სიტყვის ცალკეული ნაწილების შეწყვეტილ განხილვას. პრო-
 რომიონისა და რამბრის-ის შესახებ მოკლე შენიშვნის შემდეგ (იხ. §19,20,23) ის გადადის πi-
 σtas-ზე (მტკიცება) და ბოლოს ეპიქორეს ეხება (მღრ. Longin. I 182,23 Sp.-H. Plato,
 Phaedr. 267D).

². კვლავ გრაგორის ორიგინალობაზე, თვითმყოფადობაზე საუბარი (მღრ. §2,3,7,12,16).

³. მხედრობი თავისი სიტყვის გარკვეულსავე პირდება მკითხველს. თუ რის შესახებ
 ამირება აზრის გამოთქმას, უცნობია, რადგან λεκτικός (სიტყვიერი ქსოვილი) და
 ποιματικός (შინარხი) τόπος განხილული აქვს. დიონისე კალიკარნასელითვე სტილის
 ანაღმის სქემას შეესაბამება უფრო მეტად კრიტიკის ცალკეული სიტყვების (ქადაგებების)
 განხილვა. იქნებ ამას ამირება მხედრობიც, თუმცა ძირითადი სახელწი და თავისებურებანი
 საღვთისმეტყველო სტილის მან უკვე განსაზღვრა.

იოანე იტალოსი

ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში სხვადასხვა დროის აღიარებულ მოღვაწეთა გვერდით ერთ - ერთი გამოჩენილი ადგილი უკავია იოანე იტალოსსაც - ნაკლებად ცნობილ იტალიური წარმოშობის XI საუკუნის ბიზანტიელ მოაზროვნეს. იოანე იტალოსის დამახაზრება ფილოსოფიის წინაშე მართლაც განსაკუთრებული ხასიათისაა, რადგან იგი მიჩნეულია პირველ ბიზანტიელ ფილოსოფოსად (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით).

1055 წლიდან მოყოლებული ოცდარვა წლის განმავლობაში იოანე იტალოსს ეკავა ფილოსოფიის კაპატოსის თანამდებობა კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში. თავისი მასწავლებლის, მიქელ ჰელოსის მსგავსად იტალოსის მოღვაწეობაც მიზნად იხაზვდა ბიზანტიაში ფილოსოფიური ცოდნისა და აზროვნების აღორძინებას. ფილოსოფიის ისტორიის კურსის სწავლებისას მასწავლებლის მსგავსად ისიც უპირატესობას ანიჭებდა არისტოტელეს, ნეოპლატონიკოსთა - პორფირიოსის, იამბლიხოსისა და პროკლეს საფუძვლიან შესწავლას. მაგრამ თუკი ჰელოსისათვის წარმართთა ფილოსოფიური ნააზრევის დანიშნულება ისევ ქრისტიანული მოძღვრების საწვდომად გონების მომზადებაში მდგომარეობდა, თუკი, მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი იმ დროისათვის ერთობ თამაში აზროვნებისა, იგი მაინც ცდილობდა ნეოპლატონიკოსთა მოძღვრების, აგრეთვე ნეოპლატონური თვალსაზრისით შეთვისებული არისტოტელესა და პლატონის ქრისტიანობასთან შეთანხმებას, იტალოსი, პირიქით, ისეთი ფილოსოფიური სისტემის აგებას შეუდგა, რომელშიც პლატონსა და არისტოტელეს თავიანთი ადგილი ექნებოდათ და რომელიც მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტისას უპირატესობას წარმართულ აზროვნებას მიანიჭებდა. თვით თეოლოგიურ საკითხთა განხილვასაც კი იგი შეხამდებოდა მხოლოდ და მხოლოდ რაციონალური აზროვნების მეშვეობითა და ფილოსოფიაზე დაყრდნობით.

ამგვარი შეხედულებებისათვის აღექვა კომუნენოსის დროის საეკლესიო სასამართლომ (1083წ.) წარმართული და ერეტიკული იდეების ქადაგების ბრალდებით შეაჩვენა იოანე იტალოსის ნაწერები, თავად მას

აუკრძალა ყოველგვარი კერძო თუ საზოგადოებრივი ხწავლება და ანათემაქმნილი მონასტერში გაგზავნა. დევნა განიცადეს მისმა მოწაფეებმაც, რომელთა უმრავლესობა იძულებული გახდა მალევე უარყოფითი წავლელის იდეები. მათ კი, ვინც არ იხურვეს თავიანთი შეხედულებებითვის ელადგათი, ბიზანტიის დატოვება მოუხდათ. არსებობს ვარაუდი, რომ ამით შორის უნდა ყოფილიყო თიანე პეტრიწიც.

თიანე იტალოსის შრომათაგან აღხანისმნაჲია: პახუხები ხედახხეა პირთა, მათ შორის, მისი მოწაფის, იმპერატორ მიქელ VII - ისა და იმპერატორის ძმის, ანდრონიკე დუკას შუკითხუებზე; კომენტარები არისტოტელეს „ტოპიკის“ II, III და IV წიგნებზე; ტრაქტატები გვარებისა და სახეების შესახებ, ტრაქტატები დიალექტიკაზე, ლოგიკაზე, რიტორიკაზე და სხვ.

მის გამო, რომ თიანე იტალოსი განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა არისტოტელეს კომენტარებზე, მკვლევართა ერთი ნაწილი მას არისტოტელიკობად მიიჩნევდა. ამჟამად აღიარებულია, რომ მხელოსის მხგავხად, იტალოსიც პლატონისაკენ იხრება, და რომ მისი ფილოსოფიური ხისტემა ძირითადად სწორედ პლატონისა და ნეოპლატონისმს ვერდნობა. ხოლო რაც შეეხება არისტოტელეს, იტალოსი მისგან ფილოსოფიური მხგელობისათვის საჭირო მეთოდებსა და ხერხებს ითვისებს.

ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი რამდენიმე ტრაქტატი გარკვეულ წილად მათიც წარმოაჩენს ამ უაღრესად ხანისტერესო მოაზროვნის ფილოსოფიურ ინტერესებსა და მისი აზროვნების სტილის თავისებურებებს.

თიანე იტალოსის ფილოსოფიური მექვიდრობიდან დღემდე ქართულ ენაზე გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ერთი წერილი („აბაზგი გრამატიკოსისადმი“), თარგმნილი აწ განსვენებული მეცნიერის ნ. კეჭყმადის მიერ, რომელსაც ნაყოფიერად მუშაობდა იტალოსის შრომათა ქართულად თარგმნაზე. ნ. კეჭყმადის გარდა, იტალოსის ტრაქტატთა ერთი ნაწილი თარგმნილი აქვთ აგრეთვე თ. დოლისიქსა და ი. გარაყანიძეს; გამოცემა, ხამწუხაროდ, ერთობ ჭიანურდება. ჩვენ ვიცნობთ და ვითვალისწინებთ დასახელებულ თარგმანებს.

განმარტება გამონათქვამისა „ხელოვნება ხელოვნებათა და მეცნიერება მეცნიერებათა“

უწინდელ ფილოსოფოსთაგან მრავალნი და მრავალგვარად განსახელოვდნენ ფილოსოფიას: ერთნი მას არსებულთა შემეცნებას, მეორენი - დმერთისადმი მიმხგავსებას, ზოგიერთნი კი - სიკვდილისათვის ზრუნვას უწოდებდნენ. არისტოტელე სტაგირიელმა ხევა გზახ მიმართა და განაცხადა, რომ ფილოსოფია არის ხელოვნება ხელოვნებათა და მეცნიერება მეცნიერებათა. არისტოტელეს ამ გამონათქვამმა ხევა არ-

ცთუ პატარა დაბრკოლება წარმოუქმნა ფილოსოფიის მოყვარულთ, რადგან თელიანს, რომ მეცნიერება ხელოვნების გარეშე არსებობს, და რომ მეცნიერებას საქმე აქვს უზალო საგანთან, ხელოვნებას კი - არა.

მათ უნდა ეუთხრათ, რომ ყოველივეზე, რაზეც კი ითქმის, რომ იგი რაღაცა არის, არ ვიტყვიტ მარტივად, რომ არსებობს - თუმიცა, ხწორედ ასე ამბობენ ხოლმე - რადგან ერთია არსებობა წინახწარხედღისა და მიზეზის, მეორეა - აობისა და არსების, ხოლო მესამეა - თანახიარების შესახამისად. მაგალითად, ვამბობთ, რომ სული არის გონება, ხშირად კი - გონება არის სულიო, მაგრამ სული არის გონება, რამდენადაც იგი გონებისაგან გამონახსნივებს ღებულობს და ხდება იხეთსვე, როგორიც გონებაა, თუმიცა კი, რა თქმა უნდა, არ არის. ხოლო გონებაზე არ უნდა ვამბობდეთ, რომ არსებობს, როგორც სული, რადგან იგი მიზეზია სულისა და თავის თავში შემცველი, რომელიც უფრო ღვთაებრივად და უკეთესად წარმოშობს.

ამგვარად უნდა გავიხროთ საკვლევი საკითხიც. თუკი დაეუშვებთ, რომ ფილოსოფია არსებობს, და დაეუშვებთ არა აობის, არამედ უფრო მიზეზის შესახამისად, ასეთი არსებობა იქნება არა იმგვარი, როგორიც ხელოვნებას აქვს, არამედ რაღაც უფრო კარგი და უფრო ნამდვილი. ხოლო თუკი იკითხავ, როგორ არის მიზეზი უფრო ჭეშმარიტი მისგან წარმოშობილებზე, მოგახსენებ, და უფრო საფუძვლიანადაც, მას შემდეგ, რაც გგტყვი სხვა რამესაც, გარდა ამ განხხვავებისა უარესობისა და უმჯობესობის შესახამისად. მაგრამ შეუძლებელია დაუშვა, რომ მიზეზოვანი უკეთესია იმაზე, რისგანაც წარმოიშვა. ამიტომ ფილოსოფიაც უკეთესია მისგან წარმოშობილებზე.



უნდა ვიცოდეთ, რომ ქლატონის მიხედვით ექვსი მიზეზი არსებობს: მატერიალური, ხახეობრივი, შემოქმედებითი, მიზნობრივი, იარაღობრივი და იგავებრივი, რომელთაგან ორი - მატერიალური და ხახეობრივი - მინწეულია მიზეზოვანზე უარესებად, დანარჩენები კი - მიზეზოვანზე უკეთესებად. რაც შეეხება არისტოტელეს, იგი „ფიზიკაში“ ამათგან მხოლოდ ოთხს იღებს, იგავებრივისა და იარაღობრივის გამოკლებით.

თუკი ორია უქმნელი პირველხწვისი

თუკი არ ვამბობთ, რომ დაპირისპირებულნი ხაკუთარ თავს უპირისპირდებიან, ერთმანეთს აუცილებლად უნდა უპირისპირდებოდნენ. მაგალითად, არ ვამბობთ, რომ ზენა თავის თავს უპირისპირდება, არამედ - ქვენას; არც ხიმამაცეს მივიჩნევთ თავის თავთან დაპირისპირებულად,

არამედ სიმხდალის მიმართ. ამასთან, როგორც იქნებთან ერთ მხარეს მყოფნი საპირისპირონი, იმგვარივე იქნებთან მათი ხაწინააღმდეგონიც. მაგალითად, თუკი ზენა არსებდა, აუცილებელია ქვენაც არსება იყოს. ხოლო თუკი შემთხვევითია ერთი, მეორეც აუცილებლად შემთხვევითი უნდა იყოს.

და აი, თუკი კეთილი უპირისპირდება ბოროტს, როგორ არის, რომ კეთილი არსებდა, საპირისპირო კი არა? თუკი კეთილი იარსებებს, ბოროტი კი - არა, რას შეიძლება დაუპირისპირდეს? თუ საპირისპირო არ არსებობს, იგი ხომ დაპირისპირებულადაც კი არ შეიძლება იწოდებოდეს! უაზრობაა! როგორ იქნება უპირისპირება ჭეშმარიტი, დაპირისპირება კეთილისა ბოროტისადმი, თუკი ერთი არსებობს, მეორე კი - არა? ხოლო თუკი ეს დასაბუთება მართებულია, განა არ სტყუიან ისინი, ვინც აცხადებენ, ორი უქმნელი ხაწყისი არ არსებობსო? და თუკი სტყუიან ორი პირველხაწყისის უარყოფელნი, განა აუცილებელი არ არის, რომ მათ, ვინც ჭეშმარიტების შესაბამისად ცხოვრებას ესწრაფვიან, ორი ხაწყისი დოკმად აღიარონ?

გვარებისა და სახეების შესახებ

გვარებისა და სახეების თაობაზე, რეალურად არსებობენ ისინი თუ მხოლოდ ლიტონ აზრებში იმყოფებიან, პორფირიოსი არაფერს ამტკიცებს ქრისაორიოსთან საუბრისას, აქაოდა, მათი განხილვა უფრო ღრმა გამოკვლევას საჭიროებსო. გვარებისა და სახეების, და, საერთოდ, წამოყენებულ დებულებათა შესახებ, იგი ამბობს: უფრო გონიერული იქნება შევეცადოთ იმის ჩვენებას, თუ რას ფიქრობდნენ უწინდელი ფილოსოფოსებიო. ანუ რა? სირთულის გამო გვარებისა და სახეების შესახებ კვლევა - ძიებანი აზრს მოკლებულად მივიჩნიოთ და გაურკვევლობაში სამყოფად გავემეტოთ ეგზომ ღვთაებრივი და ჭეშმარიტად ამაღლებული დასკვნები? ეს ხომ უაზრობაა!

ის, რომ გვარები და სახეები არსებობენ, ცხადია შემდეგი მსჯელობიდან: ისინი ან არსებულნი არიან, ან არარსებულნი. თუკი ვიტყვი, რომ არსებულნი არიან, ნათქვამი უდავო და ჭეშმარიტი იქნება. ხოლო თუკი დავეშვებით, რომ არარსებულნი არიან, ეს იქნება: ან მოკლება, ან სრულებით არარსებობა, ან მთლიანად გრძნობადობა, ან მეტობის გამო თქმა, ან კი - უარესობა და უნაყოფობა, რასაც ძველი ფილოსოფოსები მატერიალსაც უწოდებენ. მაგრამ მოკლება რომ ყოფილიყო, ეს არ იქნებოდა პირველადთა მოკლება, რაკი არსებანი არიან. სრულებით არარსებულნი რომ იყვნენ, როგორღა იქნებოდნენ წარმოსახულნი, ან საერთოდ, წარმოთქმულნი? თუკი მთლიანად გრძნობადობაა, მაინც არსებულნი არიან. თუკი მეტობის გამო არის თქმული, არამცთუ უბრალოდ

არარსებულნი, არამედ ბევრად უკეთესად არსებულნი ყოფილან. თვით
მატერიაც არ არის არარსებული. ამგვარად, გვარები და სახეები არსე-
ბულნი არიან და არა არარსებულნი.

რა არის დრო

როდესაც დროს მარადიული დინების მოაზრებად განსაზღვრავენ,
როგორც ჩანს, დროს კი არ განსაზღვრავენ, არამედ რაღაცა სხვას მის
გვერდით. მარადიულობა და დინება, ჩემი აზრით, დროის მანქანებლები
კი არ არიან, არამედ რაღაცისა დროსთან დაკავშირებულთაგან, თორემ
ის, რასაც არისტოტელე დროის შესახებ მოძღვრებაში ამაზე ამბობს,
ფუჭი იქნებოდა. ნათქვამია, დრო მოძრაობის საზომიაო, მათ შორის თა-
ნაბარზომიერი მოძრაობისაც, რომლის გამოც, რაკი იგი ერთია, დროც
ერთი იქნება. მაგრამ რაკი მოძრაობანი მეტია, ვამბობთ, რომ დროც მე-
ტია. და ეს დროები არიან, შეიძლება ითქვას, ნაწილებითნი და თითქოს-
და დათითობულნი, რომელთა მიხედვით, ზოგიერთი ფილოსოფოსის
აზრით, მყარი მოძღვრება ვერ შეიქმნება, რადგან უსაზღვროთა შესახებ
არავითარი ცოდნა არ არსებობს.

აი, ამის გამო ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ არა მხოლოდ დროზე საერთოდ,
არამედ იმ დროზეც, რომელზეც ვთქვით, რომ მოძრაობის საზომია. რო-
გორც ვიცით, ძველ ფილოსოფოსებთან იგი ორგვარად იწოდება: ერთბა-
მად საზომი და გაზომილიც, რომელთაგან, ჩანს, მეორეა დროის თვითე-
ბა. მზომავი კი არ არის დრო, არამედ გაზომილი მის მიერ. არის კიდევ
საშუალი მზომავსა და გაზომილს შორის, ანუ ის, რასაც საზომს უწო-
დებენ. თუკი ვიტყვით, რომ მზომავია დრო, უაზრობა იქნება, რადგან
დროს სხეულად გამოვაცხადებთ. თუკი ვიტყვით, რომ საშუალია, საზო-
მი, ესეც უაზრობა იქნება, რადგან გამოვა, რომ დრო იგივეობრივია
რიცხვისა. თუკი დრო იქნება რიცხვი, იგი ერთეულთა გროვა იქნება და
დროის საწყისიც ერთეული იქნება, როგორც ისინი ამბობენ, და არა
„ეხლა“. არადა, დამტკიცებულია, რომ სწორედ ეს „ეხლა“ არსებობს რე-
ალურად წარსულსა და მომავალში და დროის დასასრულიც და და-
საწყისიც, აგრეთვე შუაც, წარმოადგენს ე. წ. „ეხლას“. ჩანს, სხვაგვარა-
დაც სამი სახელწოდება გვაქვს ამგვარად შერქმეულ საგანთა შესაბამი-
სად, რომლებიც აუცილებლობით თანსდევენ ერთმანეთს: ერთბამად
მზომავი, გაზომილი და საზომი. მზომავი ამკარად არსებაა და ამის გამო
იგი დრო ვერ იქნება, რადგან დრო შემთხვევითია და წარმოადგენს გა-
ნუკვეთულ რაოდენობას. არც საზომია დრო, რადგან საზომი არის
რიცხვი, და ამასთან, დისკრეტული რაოდენობა. გვრჩება, რომ დრო
არის გაზომილი.

აი ის, რაზეც ამბობენ კომენტატორები, მარადიული დინების მოაზრებააო, თუმცა არც მარადისობის რაობა უწყვიან და არც თავად დროისა. სხვათა შორის, ჩვენც გვითქვამს ამის თაობაზე, რომ ეს გრძნობადი სამყარო არის არა ნიმუში, არამედ ხატი, რადგან ნიმუში სხვაა. დროც აქ არის, მარადისობა კი - იქ. განსხვავებაც ამ ორს შორის - დროსა და მარადისობაზე მოგახსენებთ - ანალოგიურია სამყაროთა შორის განსხვავებისა. ისევე, როგორც ერთი სამყარო არის მეორე სამყაროს გამოსახულება ან ნიმუში, ასევე ამათგანაც ერთი რომელიღაცა არის მეორის გამოსახულება ან ნიმუში. რადგან დროში არის მარადისობის გამოსახულებანი, დროც, ამრიგად, მარადისობის გამოსახულებას წარმოადგენს. მარადისობა ერთბაშად მთლიანად არის, დრო კი - არა. მარადისობა არ არის დინებადი, დრო კი ცვალებადობაშია. ამიტომ მარადიული, რადგან დროში არ არის, უხრწნელია, მაშინ როდესაც ყოველივე ის, რაც დროშია, მიედინება. დროული კი, რაკი არ არის მარადიული, ვერ იქნება ბუნებით მისი იგივეობრივი.

გამოვდივართ რა აქედან, განვიხილავთ, როგორც საჭიროა დასკვნის რაც შეიძლება უკეთ გამოტანისათვის, რადგან მოძებნილი გვაქვს ტოპონი დროის თაობაზე დიალექტიკური დანახკვისათვის, და არა მარტივად დროზე, არამედ „ენლად“ წოდებულ დროსთან დაკავშირებით. მართლაც, თუკი მარადიული უხრწნელია, როგორ შეიძლება დინება იყოს მარადიული? თუკი დინება მარადიულია, არც მარადისობა ყოფილა არადინებადი. და თუ ასეა, თავადაც მოძრაობაში იქნება. ჩანს, რომ ყოველი მოძრაობა ან დაბადებაა, ან მოსპობა, ან რომელიმე სხვა სახელით ცნობილი სახეობათაგანი მოძრაობისა. ამის გამო მარადიულიც ხრწნადი იქნება, რაკი ქმნადია, მოსპობადი, კლებადი თუ ცვალებადი. ხოლო თუკი ვიტყვი, რომ სივრცეში გადაადგილება მოსპობა არ არის, ვერც იმას უარყოფთ, რომ მის შესაბამისად მოძრავე ხრწნადი არ არის. რისთვის იმოძრავენ სრული და თვითკმარი, იმისათვის, რომ ამის გამო უხრწნელი იყოს? სრულებით არაფრისათვის. თუკი იმოძრავენ, ცხადია, უკვდავი არ ყოფილა. გამოდის, მარადიული ხრწნადია, მარადისობა კი - მოძრაობის საზომი, როგორც დამტკიცდა.

და აი, მარადიულს მარტივად არ ამბობენ: თუმცა იგი დროშია, რაკი ვამბობთ, რომ მუდამ არსებობს, მაინც მარადიულია. ასე რომ, დრო, რომელსაც მარადიული დინება უწოდებს, წარმოადგენს, როგორც ისინი ამტკიცებენ, რაღაცა დროულს. ვინც ამას ამბობს, მისთვის, ალბათ, ეს იგივეა, სითეთრეს რომ რაიმე სხეული შეეშთხვევა, მაშინ როდესაც სითეთრე უხსეულოა. თუკი დაუშვებთ, რომ დრო არის რაღაცა დროული, იარსებებს დროც და მასზე უწინ არსებული დროც, როგორადაც გვაქვს თეთრი სხეული და მასზე უწინ წარმოშობილი სითეთრე, რაკი ეს სი-

თეთრე მას შეემთხვია. ეს კი ტყუილია: თქმა იმისა, რომ დრო არსებობს დროში, უმეტრებაა და უცნაურობა. ამრიგად, მარადიულობა დროისა არ არის დრო. რა თქმა უნდა, არც დინებაა დრო, არამედ თავად არის მდინარი. ისევე როგორც არ არის იგი საზომი, საშუალო მზომავისა და გაზომილისა. დრო თავად ნაწილია საზომისა. მაგრამ თუკი დრო არის აზრი, ლიტონს ვუწოდებთ მას, თუ არსებულის, განსაზღვრული არსებულის გააზრებას? თუკი იგი არსებული არ არის, როგორც ჩანს, წარმოსახულიც არის, და ამასთან, არც ისეა, რომ დრო სრულიად არარსებული იყოს, არმედ სხვაგვარად. ხოლო თუკი არსებულის გააზრებაა, ესეც გამოხაკვლევი. ამრიგად, არის დრო მოაზრებული თუ თავად აზრი? აღბათ, გაუგებრობა იქნება იმის თქმა, რომ დრო აზრია, რადგან ეს უკანასკნელი უფრო რაოდენობა კი არ არის, არამედ რაგვარობა. თუკი დროც მას მიეკუთვნება, უაზრობა იქნება ვთქვათ, რომ დინებაა, რადგან დამტკიცდა, რომ არ არის. ხოლო თუკი მდინარია, რა შეიძლება იყოს ამ შემთხვევაში, არ უთქვამთ ეს მათ? მდინართაგან, ჩანს, ერთნი სხეულებრივნი არიან, მეორენი - უსხეულონი. ამათგანაც ერთნი არიან არსებისა და ენერგიის, მეორენი კი - მათგან მხოლოდ ერთ - ერთის შესაბამისად. თუკი სხეულია დრო, რომელშიც სხეულებრივთა ბუნება მარად დინებადია, მაშინ დრო იქნება გაზომილი დროის მოძრაობის მიერ. თუკი განსხვავებული რაჟაა და ვიტყვით, რომ უსხეულოა, ან უნდა იყოს არსება - ეს კი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მატერია ან მატერიაში არსებული ფორმა; ან უნდა იყოს შემთხვევითი - რაგვარობა ან რაოდენობა. რაგვარობა რომ არ არის, ცხადია იქიდანაც, რაც უკვე ითქვა. გვჩნება, რომ დრო არის რაოდენობა, და როგორც ითქვა, განუკვეთელი რაოდენობა, რაც საზომი ვერ იქნება, რადგან საზომი დისკრეტულ რაოდენობას წარმოადგენს; დრო თავად არის გაზომილი, როგორც დამტკიცებულია. ამრიგად, დრო არ არის აზრი, არც ლიტონი და არც რაიმე სხვაგვარად წოდებული აზრი. არც დინებაა. და მაინც, დამტკიცებულია დინებადი და ცვალებადი რაღაცის არსებობა, რომელსაც დროს თუ ვუწოდებთ, ჭეშმარიტებას არ აეცდებით.

კონსტანტინე პორფიროგენეტი

ბიზანტიის საიმპერატორო კარის ცერემონიების და აღათ - წესების შესახებ

იმის საჩვენებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძველად სახელმწიფოში ამათუიშ რიტუალის დაცვას, იქმარებდა თავად ბიზანტიის იმპერატორის მიერ ამგვარ საწესო - სარიტუალო წიგნის შედგენა. იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი (908 - 959 წწ.) ჩვენს ქრესტომათიაში წარმოგადგინეთ სწორედ ხელმწიფის კარზე შესასრულებელი ცერემონიების აღწერიდან თარგმნილი ფრაგმენტით. არა გვგონია, დღეს ამას მხოლოდ ისტორიისადმი ინტერესი ამართლებდეს, როგორც არ უნდა ვაფასებდეთ საზოგადოდ ტექსტის ისტორიულ მნიშვნელობას.

მაკანთა და მაკანთა, რომლებიც ამგვარ ნაშრომთა აუცილებლობას უგულებელყოფენ, იქნებ უცხო და უჩვეულო ეჩვენოთ, ხოლო ჩვენ ამ ნაშრომს ფრიად სასურველად ვთვლით, გულმოდგინებას არ ვაკლებთ და სხვათაგან ყოველთა გამოვარჩევთ, როგორც უფრო საკუთარს, რათა სამეფო კარის სანაქებო წესი თუ ადათი უფრო გამშვენებული და ამაღლებული გამოჩნდეს და ამით საკვირველიც შეიქნეს ჩვენი ხალხისათვის. ცნობილია, რომ ბევრი რამ, ხანგრძლივად დაცული, შემდგომ უქმდება, დიდი ფასი და პატივი ეკარგება: სამეფო წესს /ცერემონიას/, ნაჩვენებს უწინ სამაგალითოდ, ითვალწუნებენ და ხელს იღებენ მასზე; სამეფოც მოურთველი, უშნო და ხაწუნარი ხდება; სწორედ ისე, სხეული რომ არ არის კეთილად აღნაგი, აღრეულნი და შეუზავებლნი /არა - კარმონიულნი/ რომ არიან ასო - ნაკეთნი. შეუნაწევრებული /არა - კარმონიული/ სახელმწიფოს გამგებლობაც უმწყობროა, უსაჭეთმპყრობელოდ მიშვებული; ცხოვრობენ ასეთ სახელმწიფოში უღიმღამოდ და არც თავისუფალნი არიან.

ეს რომ არ მოხდეს და არ წარმოვჩნდეთ ჩვენც ისე, თითქოს აღრეულად და ურიგოდ გვაყოფებენ, თითქოს ჩვენც სამეფო დიდებულებას

გაკლებთ ზეობას, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ უფრო ძველ ავტორთა, თვითმხილველთა, მონათხრობს ვეძიებდეთ, ვითვალისწინებდეთ, რაც თავადაც გვინახავს თვალით და რა წესჩვეულებებია ჩვენ დროს; გულმოდგინედ გამოვიკვლიოთ ის ცნობები, რომლებითაც მრავალნი შეგვეწვეიან, და, მარტივად გახაგები რომ იყოს, რამდენადაც შეუძლებთ, ოსტატურად წარმოვადგინოთ: გაუქმებული მამული ჩვეულებები აღვწეროთ და გადავკეთ ჩვენ შემდგომთ; ვითარცა ყვავილნი რომელნიმე, მდელითაგან მონაკრებნი, შეუდარებელ სამკაულად შევეწონოთ საიმპერატორო ბრწყინვალეობას და, ვით გამჭვირვალე და ახლად გადაწმენდილი ხარკე, ხელისუფალთა შორის ჩავდგათ; ამ ხარკეში იმპერატორის ძალაუფლების შესაფერი და სენატორთა საკრებულოს ღირსი საქმეები აისახება და მწყობრად და მშვენივრად მოიზიდებიან ძალაუფლების აღვირნიც. თუ ნაწერი ნათელი იქნება, აზრი - მარტივად გამოსატანი და ჩვენ მიერ ნახმარი სიტყვები კეთილად განაწყობენ მკითხველს, რაკი, საერთოდ, თვითთული საქმისა თუ მოვლენის მიმართ ძველადვე მიყენებული ხაზელები და სიტყვები შეირჩევა, ახეთი ნაწერი შეძლებს, დალაგებულად და რიგიანად გადმოსცეს იმპერატორის ძალაუფლების შესახებ. სასურველია, ხატად გვქონდეს შემოქმედის /დემიურგის/ ყოველსავე ამას ზედა გავრცელებული ჰარმონია და მოძრაობა, რომ, რაც ხელთ გვაქვს, ჩანდეს როგორც უფრო დიდებული და მოხაკრძალებული და ამის გამო უფრო საამო და საკვირველი. თვითთული ცერემონიის და წესის შესახებ უნდა იკითხებოდეს ისე, როგორც გვმართებს ნაშრომის გასრულება და დასკვნების გამოტანა.

თ ა ვ ი |

როგორ უნდა დაგაკვირდეთ, როცა პროცესია მიემართება დიდ კვლევასში, ანუ წესი და მიმღევრობა ნათელმოფენილთა და ყოვლად ხაინო მხვლელობათა, როცა იმპერატორები დიდ კვლევასში მიემართებიან.

დიდი ზარზეიმით გადასახდელი დღესასწაულის წინა დღეს იმპერატორის საჭურისთ - მთავარნი (პრეპოსიტები) შედიან ოქროს სატრაპეზოში (საერთოდ ყოველი დღისთვის ტარდება წინა - მხვლელობა) და შეახსენებენ წარჩინებულებს (δεδιοτάς) დღესასწაულის შესახებ, შემდეგ წარჩინებულნი უბრძანებენ მათ, ჩაატარონ მომდევნო დღის პროცესია, ანუ წინასწარი მხვლელობა. წესს დებენ იმპერატორის შესაწოლეთა-

თვის, ასევე მთავარი ზედამხედველისა და დომესტიკოსისათვის¹, მათთან ერთად ორი ლეპარტიოსისათვის; უკზაქსიან რწმუნებას ჯარების დომესტიკოსს და ცახე - ხამპრეთა კომსს და, გასაგებია, ყველა წესით ყოველად ხაიდუმლოდ მათუთიუბენ წინარე მხელელობის შესახებ, რათა თვათუელა წესი და თვათუელი ხაიდუმლო მათითება ხაკუთრივ წესზე და ხაკუთრივ ხაიდუმლო მათითების ხაზე შესაფერისად წინახწარ მოაძხადონ. ქალაქის მთავარსაც (σάπρχα) აცნობებენ, რათა მომზადდეს და გააწმინდოს გზა, რომლითაც გამოობრძანდება იმპერატორი და რომელზედაც ეგულებათ წარჩინებულთა გავლა, - ხაზოგადოდ, ყველა დიდი გზა, რომელზედაც კი წარჩინებულნი გაივლიან; ბზის ნახერხით, ხუროს და დაფნისაგან და ლიბანის ხისაგან ნაწური ნელხაცხებლით ეს გზები ხურნელოვან - ჰყონ და დაამშვენონ იმ მცენარეებით, რომელთა ფაში დგას, და სხვადასხვა ფერის ყვავილებით. მეორე დღეს, დღესასწაულზე, ცისკრისას, საჭურისთ - მთავარნი იმპერატორისა მის შესაწოლეთა მთელ დასთან ერთად შედიან მხედართა სამყოფელში (καθηκλίτρον) და სხდებიან იქ; შედიან და სხდებიან εν τῷ βήλῳ τῆν παρθῶν², როდესაც გახსნის ხამფო ხახლის დიდ პაპად წოდებული. შედიან ასევე იმპერატორის სამოსის მცველნი, ამ სამოსზე მზრუნველნი, რომლებიც იღებენ სეფის - ქვით მოჭედილ კვერთხს წმინდა თეოდორეს ხამლოცველიდან, ანუ ეგეტერიდან; ეს ოქროს სატრაპეზოშია. შედიან იმპერატორის შესაწოლეთა მთავარნი სასახლის მეთვალყურეთა დასთან ერთად. იღებენ სკივრს, რომელშიც ძეგს იმპერატორის სამოსი, და წარჩინების ნიშნებს³, რომლებიც იმპერატორის გვირგვინს აქვს ხოლმე შემოვლებული. იმპერატორის საჭურველთ - მტვირთველნი (სპათარიოსნი) იღებენ მის საჭურველს - ფარებსა და შუბებს, ხოლო მოხელეთა სხვა დასს მიაქვს იმპერატორის სამოსი რვაკუთხედ მოსახვევებელ პალატში, რომელიც დაფნეს სასახლეშია, ანუ წმინდა პირველმოწამის სტეფანეს ტაძრის წინ. მათთან ერთად საჭურველთ - მტვირთველი სპათარიოსნი დგებიან ონოპოდონზე და, სკარამანგებით მოსილი პატრონები რომ გამოდიან წმინდა სახარეცლე პალატიდან, ოქროს სატრაპეზოს კონქ - საბანელში აღასრულებენ ჩვეულებრივ ლოცვას, რომელშიც აღწერილია ღვთისა და უფლისა ჩვენის წმინდა ხატი, საყდარზე დასვენიებული. შედიან იმპერატორის საჭურისთ - მთავარნი და თაყვანს-სცემენ წარჩინებულებს; ესენი იმობებიან თავიანთი ოქრო - ქსოვილი სამოსით, გამოივლიან მცველთა მწყობრს და გამოდიან. პირადად (სხეულის) დაცვა ეკისრება

¹ იმპერატორის საველსიო მსახურისათვის //.

² ეს ადგილი ლათინური თარგმანის ავტორსაც უთარგმნელად დაუტოვებია.

³ κορυμβία. იხ. ვ. ა. სოფოკლესი. იგი ლათინურ corniculum - ს უკავშირებს და განიხილავს როგორც „ერთხელ ნათქვამს“.

სამხრეების და სარტყელის მტკვითველს (მანკლადიონად და ჰეტერიად წოდებულს); ერთად მიემართებიან ლოგოთეტი (კანცლერი), მოხელე, რომელსაც მიაქვს მელანი და კალამი, მწიგნობართუხუცესი, მდივანთუხუცესი - და ლოცვით მიმართავენ წარჩინებულებს. წარჩინებულნი მიდიან ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხელ პირველად ნაგებ ტაძარში, იღებენ ცვილის ხანთლებს საჭურისთ - მთავართაგან (ცხადია, მეხაწოლე საჭურისთ - მთავართაგან გადაცემულს) და ამ ხანთლებით სამგზის თაყვანს-სცემენ და მადლს სწირავენ ღმერთს. შემდეგ წმინდა სამების უახლოეს სამლოცველოში, ხელთ ხანთლებით, სამგზის თაყვანს-სცემენ და მადლს სწირავენ ღმერთს. მერე ვიწრო შეხახველით შედიან სამკალეში და იქ ხანთლებით სამგზის თაყვანს-სცემენ და მადლს სწირავენ ღმერთს. მერე შედიან ხანათლაკში, რომელშიც დგას სამი დიდი და მშვენიერი ჯვარი, და, ანიშნებს თუ არა საჭურისთ - მთავარი, ამაგრებენ ხანთლებს მეხაწოლენი. პატრონები გაივლიან სამეუფო სატრაპეზოს, რომელშიც ოქროს სატრაპეზოს ხეფე - კაცი მიიღებიან. იქ ლოცვით მიმართავენ წარჩინებულებს სამხრეების და სარტყელის მტკვითველებთან ერთად. წარჩინებულნი იმპერატორის მეხაწოლე საჭურისებთან ერთად მიემართებიან რეაკუთხოვანი სახარეცლე (მოსასვენებელი) პალატისაკენ, რომელიც წმინდა ხტეფანეს წინ არის; პალატში ძვეს იმპერატორის სამოსი; იქ დადგებიან მეხაწოლე საჭურისები და წარჩინებულებისთვის ლოცულობენ. იქიდან წარჩინებულნი იმპერატორის საჭურისთ - მთავრებთან ერთად მიდიან წმინდა ხტეფანე პირველმოწამის ტაძარში და ცვილის ხანთლებით სამგზის თაყვანს-სცემენ და მადლს სწირავენ ღმერთს. შემდეგ ასევე თაყვანს-სცემენ წმინდა კონსტანტინეს დიდსა და ფრიად მშვენიერს და პატიოხან ჯვარს. ამის შემდეგ შედიან დაფნეს მოსასვენებელ პალატში, ელოდებიან ნიშანს მოხელისას, რომელიც პატრიარქის რწმუნებულია საეკლესიო ცერემონიების აღსრულების საქმეში, და შედიან იმპერატორის საჭურისთ - მთავარნი და აცრობებენ წარჩინებულებს ამ ნიშნის მიცემას. შესულნი არიან წარჩინებულნი რეაკუთხოვან სახარეცლე პალატში და იმპერატორის საჭურისთ - მთავარი ხმამაღლა აცხადებს: „სამოსელთ - მტკვითველნი“. შედიან სამოსელთ - მტკვითველნი, წარჩინებულთა ირველიც აწყობენ ამათს ბრწყინვალე ქლამინდებს და მყისვე გამოდიან. საჭურისთ - მთავარნი გვირგვინებს ადგამენ წარჩინებულებს; ცხადია, იმ დროს იქ არის ყველა მეხაწოლე. ეს რომ გასრულდება, წარჩინებულთა გვირგვინებით შემოსვის შემდეგ, მიემართებიან აგუსტეს სატრაპეზოს გავლით, ხოლო იქ ლოგოთეტის სახსპარეზოა, დგანან ისინი, ვისაც უჭირავს სამელნე და კალამი, ხეფე - კაცი, სამხრეების და სარტყელის მტკვითველნი და პირადი მცველნი. აგუსტეს დიდი კარიბჭის შიგნით დგანან დამბანელნი,

პატიოსანი თვლებით შემკული ოქროს ხელთსაბანელის მტვირთველნი და დგანან წარჩინებულნი ოქროს ხელის მომლოდინენი /sic/ ავეუსტეს სტოვაში, დიდი კარიბჭის მიღმა; იქვე დგანან ოქროს სატრაპეზოს ხეფე - კაცნი. ანიშნებს თუ არა წარჩინებული პატრონი, იმპერატორის საჭურისთ - მთავარი თავს ხრის წარჩინებულთა წინაშე, თავისი ქლამინდით ანიშნებს ეკლესიის მცველს, რომელსაც უჭირავს ოქროს სკიპტრა (ოთხნი მცველნი ეკლესიისა არიან პატიოსანი თვლებით მოოჭვილ ოქროს სკიპტრათა მტვირთველნი); გამოდის და შეჰყავს დიდ - დიდნი მოხელენი, ანთიპატოსები (პროკონსულები), ზეპურნი (პატრიციები), მხედართმთავარნი, ოფიციალური გამგებელნი სახელოთა, მეკლიტულთ - უხუცესნი; ესენი, ჩვეულებისამებრ, თაყვანს-სცემენ წარჩინებულებს თავ-თავის დასებად მდგომარენი; იმპერატორი თავის დახრით ანიშნებს და საჭურისთ - მთავარი წყნარი და მოზომილი ხმით ამბობს: „ბრძანეთ“. მათი გამოსვლის შემდეგ, წარჩინებულებთან ერთად ონოპოდიონ-ზეც, სადაც დგანან დაცვის დრუნგარიოხი და ზღვაოსანთა ძალებისა, იმპერატორის საჭურველთ - მტვირთველ სპათარიოხებთან ერთად, ხედებიან მაგისტროსებს და სხვებს და წესია წარჩინებულთა მისხალმება, - ცხადია, პატრონისა, მწყობრის შუაში რომ დგას, და იმპერატორის დასტურით, ჩვეულებისამებრ, იმპერატორის საჭურისთ - მთავარი თავისი ქლამინდით ანიშნებს იქ განწყობილთა და ამბობს: „ბრძანეთ“. იქიდან წარჩინებულებთან ერთად გამოდიან მაგისტროსები და დანარჩენი მოხელენი და დიდი კონსისტორიონისკენ, ანუ ასამბლეისკენ მიემართებიან, სადაც წმინდა კონსტანტინეს ჯვარი და მოხეს კვერთხია. იქ მწიგნობართუხუცესთან და მდივანთუხუცესთან იკრიბებიან მწიგნობრები, სახელმწიფო მდივნები, სხვა მდივან - მწიგნობარნი და ხარტულარიონი და სხვანი. წარჩინებულნი დგებიან შემადლებულ ადგილზე (კულპიტონზე) კამელაკციონის წინ და ისევ, დახრის რა თავს იმპერატორი, ჩვეულებისამებრ, იმპერატორის საჭურისთ - მთავარი ანიშნებს სილენციარეოსს (იქ, კონსისტორიონის შუაში, დგანან სილენციარეოსნი) და დიდებულად იტყვის: „ბრძანეთ“. იქიდან წარჩინებულნი მიდიან კანდიდატთა სატრაპეზომდე, სადაც დგანან სამღვდლონი, და წარჩინებულნი პატივს მიაგებენ უფლის ჯვარს, გამოსვენებულს წარჩინებულთათვის იმ ეკლესიის დოშიარის¹, ანუ საგანძურის მცველის მიერ. იქიდან წარჩინებულნი მიემართებიან რვა - სვეტიანი ტალავარისაკენ, ანუ სწავლულთა პირველი საკრებულოსაკენ, სადაც ძველად ფულს ჭრიდნენ და სადაც აღმართულია ვერცხლის უმძვენიერესი ჯვარი; ხანთლებით სამგზის თაყვანისცემის შემდეგ მადლს სწირავენ ღმერთს. იქიდან გამოივლიან სასახლის მცველთა სატრაპეზოს და ჩამწკრივდებიან მარჯვნივ და მარ-

¹ იხ. ზერძელ - ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი X. V. თხაფაშვილი.

ცხნივ თავ - თავის დახედად. წარჩინებულებს ელოდება სკიპტრები. წინ არის პროტექტორთა და სენატორთა საჭურჭლე, დრაკონარიოსთა საჭურჭლე, ლაბურა¹, კამპედექტორია და სხვ. სასახლის მცველთა სატრაპეზოში მარცხენა მხარეს გრძელ სკამზე დგას პირველი დასი - კანკელარიოსნი, ანუ ლოგოთეტები, რომელნიც მათს დომესტიკოსთან ერთად რომაულად შესძახებენ და ეს შეძახილები დღესასწაულს ესადაგება. მეორე დასისანი დგანან აგრეთვე გრძელ სკამზე. მათ უწოდებენ დიპანიტებს. ისინიც, ჩვეულებისამებრ, კეთილხშიერად წარმოთქვამენ შეძახილებს. მესამე დასისანი, მოსეს ხეულის მოძღვარი (ნომიკოსნი), დგანან გრძელ სკამზე და, როგორც წესი და ადათია, ღოცულობენ წარჩინებულთათვის. იქიდან მიემართებიან სასანთლეებისაკენ, სადაც აღმართულია სხვა, ასევე ვერცხლისგან ნაჭედი ჯვარი, და ხანთლებით სამგზის თაყვანისცემის შემდეგ მადლს სწირავენ ღმერთს და სამსჯავროში იმართება პირველი პურობა. და ასე, სასანთლეებისკენ რომ მიდიან, თაღებ - ქვეშ, სადაც მეფენი დგანან ხოლმე, იქ შედღესასწაულებს მიიღებს ბენეტების დემარქოსი /?/?², ანუ სქოლათა დომესტიკოსი, ბენეტებთან ერთად. დემარქოსი, ანუ დომესტიკოსი მხარტმევეს უფალს მცირე წიგნს; იგი მიჰყავთ იმპერატორთან; იმპერატორი ამ წიგნს გადასცემს ხატურისთ - მთავარს და ხალხი დახდასად ესაღმება წარჩინებულებს ადათის მიხედვით; ამ მისაღმების დროს დომესტიკოსი ჯვარს გამოხაზავს და ხალხი კეთილხშიერად შესძახებს. სამსჯავროს ამკობენ მესამოსენი და ვერცხლის - მჭედელნი პორფირის და სხვა ძვირფახი სამოსით, პეპლოსებით და ოქრო - ვერცხლის ყოველგვარი ტურჭლით. იმ სამსჯავროში მარჯვნივ და მარცხნივ, სასანთლეების ახლოს, დგას დემოსი, იმ დროსათვის ქალაქს მყოფნი მწირნი, აგრეთვე ქალაქის მმართველი კოლეგიის წევრები, პრეფექტის გარშემო - ოფიციალური პირები პრეტორის თანამეშვესა და ლოგოთეტთან ერთად. შემდეგ წარჩინებულნი მიდიან სქოლათა სატრაპეზომდე და წმინდა მოციქულთა პროპილეაში (კარიბჭეში) სამგზის თაყვანს-სცემენ (ხელთ ხანთლები უყრიათ) და მადლს სწირავენ ღმერთს. იქ გაიმართება მეორე პურობა. პრახინების (მწვანეთა) დემარქოსი /?/?³ მიიღებს შედღესასწაულებს და სრულდება ადათი, როგორც ითქვა პირველი პურობის აღწერისას. შემდეგ იმართება მესამე პურობა ქალკეში, ე. ი. სქოლათა ალაყაფის კარში; ეს არის შესასვლელი სპილენძის მრგვალ შენობაში. შედღესასწაულებს მიიღებს ბენეტების დემარქოსი, ანუ სქოლათა დომესტიკოსი, ბენეტებთან ერთად. დიდი, მრგვალი შენობის სპილენძის კარიბჭეში მარჯვნივ არის ხალო-

¹ ლათინური *labarum*.

² იხ. ე. ა. სოვოკლესის ლექსიკონი, *ს. v. Νεμοκράτης*.

³ იხ. იქვე. პრახინების დემარქოსი, ლათინური თარგმანის მიხედვით, არის *tribunus*.

ცავი და სამსახურებელი წარჩინებულთათვის, მარცხნივ კი მოასპარეზეთა საწვრთნელი ადგილია. წარჩინებულებს ხვდებიან ხადიდებელი შეძახილით: „მრავალქამიერ კარგად გამყოფოთ ღმერთმა“ და ა. შ. წარჩინებულნი შედიან სპილენძის კარიბჭეში. იქ მარჯვნივ და მარცხნივ დგანან მოხელენი, რომლებიც შეძახილებით ხვდებიან, როგორც წესია. შემდეგ იმართება მეოთხე პურობა სპილენძის კანკელის გარეთ. მდღეხასწაულეებს მიიღებს ბენეცტიის დემარქოსი თეთრ დემოსთან ერთად, რომელიც დემარქოსის უკან დგას და მის ნათქვამს იმეორებს. იმართება მეხუთე პურობა ავეგუსტონში შესახველელი დიდი კარიბჭის წინ, სადაც მდღეხასწაულეებს მიიღებს პრასინების დემარქოსი წითელ დემოსთან ერთად... მეექვსე პურობა იმართება წმინდა სოფიის სამლოცველოში. იქ მდღეხასწაულეებს მიიღებს ბენეცტიის დემარქოსი თეთრ დემოსთან ერთად. შემდეგ წარჩინებულნი მდიდრულ კარიბჭეს გაივლიან და იმპერატორის საჭურისთ - მთავარნი გვირგვინებს ადგამენ მათ კრეტსაბმელის მიღმა ატრიუმში, ანუ ნართეკის კარიბჭეში. პატრიარქი ელოდება მდღეხასწაულეებს ნართეკის კარიბჭეში მახთან შეჩვეული მსახურებისა და მღვდელმთავართა თანხლებით და წარჩინებულთა გვირგვინებით შემოსვის შემდეგ შედიან პატრიარქთან. უპირველესად თაყვანს-სცემენ წმინდა სახარებას, რომელიც გამოაქვს არქიდიაკონს, შემდეგ ესალმებიან პატრიარქს ამბორის - ყოფით და მიემართებიან კარისაკენ, საიდანაც იმპერატორი შედის, და იქ ხანთლებით სამგზის თაყვანისცემას მოსდევს მადლის შეწირვა ღმერთისთვის; ეს მთავრდება პატრიარქის ლოცვით და იმართება შესვლის ცერემონიალი. ყოველი ზემოაღწერილი დახი შედის ეკლესიაში და იკაყებს თავის ადგილს მარჯვნივ და მარცხნივ... საკურთხეველის მარჯვენა მხარეს აღმართულია წმინდა კონსტანტინეს ჯვარი. მოხელენი, ანთიპატოსნი და დანარჩენნი სენატორნი სეფე - კაცთა დასებთან ერთად ეკლესიის მარჯვენა ნაწილში დგანან თავ-თავის ადგილას; იქითვე მიემართებიან წარჩინებულნი. როდესაც ისინი მიადწევენ წმინდა კარებს და პორფირით შემოსილ შუაგულს, კანკელის შიგნით შემოდის მხოლოდ პატრიარქი და დგას წმინდა კარში. ხანთლებით სამგზის თაყვანისცემის შემდეგ წარჩინებულნი კმადლობენ ღმერთს; შედიან და თაყვანს სცემენ პატრიარქის მიერ დაჭერილ წმინდა კარს. წმინდა ტრაპეზს მიახლებულნი ეამბორებიან წმინდად შემოსილ ტაბლას, რომელიც უყრია პატრიარქს და რომლითაც ეგებება წარჩინებულებს. წმინდა ტრაპეზზე დებენ ორ თეთრ დასაფარებულს და თაყვანს-სცემენ პატრიარქის ხელით მათთვის გადაცემულ ორ ბარსიმ - ფეშხემს და წმინდა სახვეველს. შემდეგ წარჩინებულნი პატრიარქთან ერთად მიემართებიან საკურთხეველის მარჯვენა მხარეს კონქისაკენ, სადაც აღმართულია ოქროთი ნაჭედი წმინდა ჯვარცმა, და

იქ კვალად ხელთ ხანთლებით სამგზის თაყვანს-სცემენ და მადლს სწი-
 რავენ ღმერთს. პატრიარქი გადასცემს იმპერატორს სასაკმევლეს და უკ-
 მვეს იმ წმინდა ჯვარცმას. გამბორებიან პატრიარქს და ემშვიდობებიან.
 შედიან ეგპტურში, რომელიც მეტატორიონის¹ წინ არის; იქ ხელთ ხან-
 თლებით სამგზის თაყვანს-სცემენ და მადლს სწირავენ ღმერთს. გამბო-
 რებიან პატიოხან ჯვარს, რომელიც სახეობრივად გამოხატავს უფლისა
 ჩვენის და ღმერთის ვნებებს, და შედიან მეტატორიონში. როდესაც წმინ-
 და საბოძვარს წმინდა ტრაპეზთან მიიტანენ, შედიან საჭურისთ - მთა-
 ვარნი, ახსენებენ წარჩინებულებს და მოხავენ მათ თავიანთი ქლაძინდე-
 ბით. შემდეგ გამოდიან ქლაძინდებით შემოხილი წარჩინებულები, გაივ-
 ლიან ეკლესიის მარჯვენა ნაწილს მესაწოლეებთან და სინკლიტთან ერ-
 თად (თან აახლებენ სკიპტრებს და სახმარს) და მიემართებიან საფხალ-
 მუნის უკან; იქ წმინდა ჭურჭელია და წარჩინებულთა ანთებული ხან-
 თლები. მივლენ წარჩინებულნი, ხოლო საჭურისთ - მთავარნი აიღებენ
 ხანთლებს, გადასცემენ ხელთ მათ (წარჩინებულებს) და ესენი განაგ-
 რძობენ გზას ხანთლებით, სინკლიტისა და მესაწოლეთა თანხლებით.
 სკიპტრანი და დანარჩენი წმინდა სახმარი აქვთ საკუთრად დასებს. წარ-
 ჩინებულნი გამოივლიან ამალღებულ ადგილს ეკლესიის შიდა სამლოც-
 ვულოს წინ (თიქას) და დგებიან წმინდა კარის გარეთ: პირველი წარჩი-
 ნებული - მარჯვნივ, მეორე - მარცხნივ; ამაგრებენ ხანთლებს წმინდა
 კარის შუაში. შეტანილ სიწმინდეს ხოლუაში დგამენ, მიდის არქიდიაკო-
 ნი და უკმევს ჯერ წარჩინებულებს, შემდეგ პატრიარქს; მოაველებს საკმე-
 ველს წმინდა ტრაპეზს. შეაქვთ ყველა სიწმინდე, რის შემდეგაც წარჩი-
 ნებულნი ემშვიდობებიან პატრიარქს, მოუვლიან ტახტს (საყდარს) მარ-
 ჯვენა მხრიდან, შედიან მეტატორიონში და კვლავ გამოდიან სქემა - შე-
 მოხილნი ალაპისათვის. ტახტის მარჯვენა მხარეს, მეტატორიონისკენ,
 კანკელის შიგნით, დგას პატრიარქი. როდესაც იგი გამობრძანდება კან-
 კელის გარეთ, წარჩინებულნი პირველად ესალმებიან პატრიარქს, შემ-
 დეგ ხვინგელოზს, მიტროპოლიტებს, არქიეპისკოპოსებს, ეკლესიის პრო-
 ტოპაპას და პატრიარქის მოხელე - გამგებლებს (არქონთს); ესენი ყველა-
 ნი წარჩინებულთა საამბორებლად მიჰყავს რეფერენდარიოსს. შემდეგ
 კვალად გამბორებიან პატრიარქს, დგებიან კანკელის ცოტა ქვემოთ და
 ამბორის - ყოფით ესალმებიან სინკლიტის ყველა წევრს, რისთვისაც
 ისინი მიჰყავს საცერემონიოდ დანიშნულ მოხელეს. წარჩინებულები ემ-
 შვიდობებიან პატრიარქს და შედიან მეტატორიონში. როდესაც დგება
 ზიარების ფაში, გამობრძანდებიან წარჩინებულნი, კვლავ ზემოხსენებუ-
 ლი სქემა კმოსავთ, გამოივლიან ტახტის მარჯვენა მხარეს, იღებენ წმინ-
 და ზიარებას და, ადათისამებრ, გამბორებიან პატრიარქს.

¹ ე. ა. ხოყოკლესი განარტავს, როგორც დიაცნას ადგილს შიდა სამლოცველოში.

იოსებ გენესიოსი

ჩამომაკვლობით გეტუენოდა წარჩინებულ ბიზანტიურ საგვარეულოს; მისი მამა - კონსტანტინე - მიქაელ III-ის დროს იყო ლეიბგვარდიის წინამძღოლი და ლოკოთუქტი. გენესიოსი იმ სწავლულთა წრის წარმომადგენელი გახლდათ, რომლებიც კონსტანტინე პორფიროგენეტმა დაიას-ლოვა. იმპერატორის დაკვლებით, 945-959 წლებში დაწერა მეფეთა ისტორიის (βασιλειών) ოთხი წიგნი, სახელდობრ, ისტორია ლეონ V-ის (813-820 წ. წ.), მიქაელ II-ის (820-829 წ. წ.), თეოფილესი (829-842 წ. წ.), მიქაელ III-ის (842-867 წ. წ.) და ბასილი I-ის (867-886 წ. წ.). თავდაპირველად განზრახული ჰქონდა, ნაშრომს მოეცვა მხოლოდ პირველი ოთხი იმპერატორის მეფობა, ანუ პერიოდი მაკედონურ დინასტიამდებასილის ისტორია, რომელიც მიქაელ III-ის ისტორიას მოსდევს, არის მწირი მონათხრობი და გვევლინება მთელი ნაშრომის დანართად, რომელიც აუტორმა, ორი პერიოკული დისტიქის მიხედვით, იმპერატორ კონსტანტინეს მიუძღვნა. როგორც თავადვე ამბობს პირველი წიგნის დასაწყისში, მისი ისტორიის წყარო იყო მოთხრობილი ამბების თანამედროვეთა და მომსწრეთაგან მომდინარე გადმოცემები. ზეპირი ნაამბობით უხვად შეიძლებოდა სარგებლობა, რაც აიხსნება აუტორის წარჩინებით საზოგადოებაში, იმ პატივით, რომლითაც მისი ოჯახი იყო გარემოხილი მიქაელ III-ის კარზე. მისი ცნობები წინასწარმეტყველებების, წილკების და სასწაულების შესახებ დაფუძნებული იყო ხალხურ ტრადიციებზე. ამავე დროს გენესიოსი ადვილად ენდობოდა ორთოდოქსული მხარისაგან ხატთმებრძოლი იმპერატორის წინააღმდეგ გავრცელებულ სიცრუეს. მაგრამ იგი იყენებდა წერილობითს წყაროებსაც: იგნატიოსის მიერ აღწერილ ნიკიფორე პატრიარქის ცხოვრებას, ნიკიტა პაფლაგონელის მიერ აღწერილ იგნატიოს პატრიარქის ცხოვრებას და, ბოლოს, გიორგი მონაზვნის ქრონიკის თავდაპირველ რედაქციას. ასე რომ გენესიოსს საკმარისი მასალა ჰქონდა - კრიტიკულად განსასჯელიც და ხანდოც. მას უნდა შეეუნდოთ გატაცება მინიშნებებით და სასწაულებით, ამასთან ხატთმებრძოლობის საშინელი სიძულვილი, რომელიც აკავშირებდა თავისი წერილობითი წყაროების აუტორებთან და სხვა ქრონის-

ტბთან და რომელიც ადვილად აიხსნებოდა მისი დროის ორთოდოქსული მხარის რეაქციით; თუმცა ხაეჭავია უკანასკნელ წიგნში აშკარად გამოკვეთილი თვალსაზრისი, როდესაც იგი ნიღბავს ბახილი I-ის ცხოვრების შავ ლაქებს, განსაკუთრებით მისი მიზეზით მიქაელ III-ის მკვლელობას. ეს ალბათ კონსტანტინე VII-ის დავალებით უნდა აიხსნას, რის საფუძველიც იხაა, რომ უნდოდა თავისი პაპის შესახებ დაწერილი საკუთარი თხზულებისთვის, რომლის ობიექტურობა ადვილად დააყვევებდა შთამომავლებს, გვერდით დაყენებინა მეორე თხზულება როგორც საყრდენი. მიუხედავად ასეთი ნაკლისა, გენესიოსი ფასდება როგორც პირველი წყარო ერთი მნიშვნელოვანი ეპოქისა და ენის ისტორიისთვისაც საყურადღებო ძეგლი. მისი ტენდენციური გადმოცემა, როგორც ნიშნად, განაგრძებს თეოფანემ, სვიმეონ ლოგოთეტმა და იოანე სკილიციემ, უფრო გვიანდელმა ავტორებმაც.

გენესიოსის ენა კიდევ გვაგრძნობინებს VIII-IX სს. ბარბაროსულ ხიცარიელეს, ხელოვნურია, მოუქნელი და არა - მწყობრი. კლასიკური ლიტერატურის მწიფი ნაკითხობის ნაყოფს წარმოადგენს უკუმოცნობა ჰომეროსიდან ციტატების ბალანთან ერთად მოწვდისა და შეუფერებელი ეტიმოლოგიური, ისტორიული და მითოლოგიური გადახვევები.

მეფეთა ისტორია

წიგნი I

ლენ აძლეის შესახებ.

ვითარ ბრძანებდი, შრომა ვარდამხდა მემატიანას,
დიდო მეუფეჲ ბერი ვიზრუნე და გვიხარჯე,
შენ შემოგწირე, თითქოსდა იყო გადაწყვეტილი,
ბრძანებელისთვის შე სიყვარულით რომ მიმერთმია.

ძველად დამაშვრალ მემატიანეთაგან დანატოვები, რის შევსებასაც ჭეშმარიტად დიდი სარგებელის მოტანა შეუძლია, სრულად აღწერას მოითხოვს. ამის გამო მეც მის გადმოცემას გულმოდგინებით შეუდეგ და ათასგვარი გასაჭირი ვნახე, სანამ ვიძიებდი იმათგან დღემდე მოღწეულ ამბავს, ვინც იმ დროების მომსწრე იყო; მე, ამ ასპარეზობისათვის წაქეზებული, ვიძიებდი ყველაფერს, რასაც კი ჩემს შემდგომთათვის რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლო და რასაც ჩემთვისაც მოვიხთვლიდი; ამ გადაწყვეტილების მიღება იმპერატორ კონსტანტინეს ბრძანებაზე იყო დამოკიდებული; იმპერატორი მშვენიერების მეტრფე გახლდათ ბუნებით და მისწრაფებით და ყველა მეფეზე უფრო განსწავლული, ყოველად ბრძენი და მარად კეთილად სახსენებელი ხელმწიფის - ლეონის ძე; მამასა-

დამე, ამ ახპარეზობისათვის წაქეზებული, აღწერ მას, რაც არ ყოფილა გადმოცემული საისტორიო წიგნებით და რაც ეხება ლეონ ამალეკის მეფობას, ურწმუნოებით დაბნელებულს.

იმპერატორ ნიკითორუს სიძის - მიქაელის - მეფობის მეორე წელს, საწყაროს შექმნიდან 6322 წელს, მეშვიდე ინდიკციონს, როდესაც კრუმობაბულგარელების მხედართმთავარმა და არქეგოსმა, დაარღვია ხელშეკრულება რომაელებთან, ეს იყო აღმოსავლეთში ლეონის მხედართმთავრობის ჩანა, ლეონისა, რომელსაც ბრძოლა არ შემთხვევია, არამედ მოუხეშავად და უგუნურად დაინია უკან თავისი ლაშქრით და ეძებდა ხელსაყრელ შემთხვევას, რომ ძალაუფლება ხელთ ეგადო, როდესაც უკუქცეულ იქნა იმპერატორი მიქაელი გადარჩენილ ხალხთან ერთად.

ხოლო როგორც ზოგნი ამბობენ, მხოლოდ ლეონი ერთი რომელიღაც ნაწილით დაეხია თავს ბულგარელებს, დიდებულად სძლია და მით დიდი სახელი და დიდება მოიპოვა; იმპერატორმა შემობრუნება გაიადვილა, ქვეშევრდომნი დიდად დაადანაშაულა იმის გამო, რომ თითქოს ფიცის ჩაწერას კი არ ფიქრობდნენ, არამედ განხეთქილებამდე მანძილს იმოკლებდნენ, რის შედეგადაც დამარცხება დამარცხებას მოხდევდა. უბრძანა ლეონს, თავისი მხედრობით ქალაქგარეთ მდგარიყო: რამდენადაც ძლიერებით ბულგარელებს აღემატებოდა, ამათ, ბულგარელებს, ეჭვი არ უნდა შეჰპარვოდათ რომაელთა სიმცირეხა და ღტორღვილობაში. მხედრობამ დაგმო იმპერატორის გულუბრყვილობა, მომხრე გახდა მისი გადადგომისა და ერთხმად აირჩია იმპერატორად ლეონ მხედართმთავარი. სიტყვა ვერ აღწერს, რა მშფოთვარებამ მოიცვა და დასცა მიქაელ ამორეველი, რომელიც ოდესღაც ხიდზე გაიუს იულიუს კეისრის მიერ გადაწყვეტილების მიღებას იმოწმებდა. მან მოითხოვა მხოლოდ ამ არჩევანის უგულებელყოფა, ქალაქამდე და თავის სამეფომდე გზის გაკვალვა ადვილად იკისრა, სინამდვილეში კი ეს გზა მისმა მხედრობამ გაკვალა.

სანამ ეს მოხდებოდა, როდესაც იმპერატორი მიქაელი ქალაქს მიადგა, მას შეხვდა კაცთ ვინმე სახელგანთქმული, ექსაბულიონთა გვარისა, რომელსაც ქალაქის კედლებზე ზრუნვა ჰქონდა მინდობილი, და იმპერატორი სინდისის ქენჯნას რომ არ შეეწუხებინა, მისი სატყვივარი გაიზიარა და ჰკითხა: „მბრძანებულო, ვინ უნდა იყოს მხედართმთავართაგანი, რომელსაც სცნობს დარჩენილი მხედრობა?“ იმპერატორმა მიუგო: „ლეონი, პირველი თემის პრეფექტი, კაცთ გონებაგამჭრიაჩი და პირდაპირობითა და სამართლიანობით გამორჩეული“. კაცმა პახუნად ესლა უთხრა, რადგან უხარგებლო იქნებოდა ამ საქმეში წინ მოქცეოდა: „არა ვინმე შენი საკუთარი მსახური და შემწე“. იმპერატორს ამის საწინააღმდეგოდ არაფერი აუჭკებდა, რომ დახაბუთებისათვის მიემართა ექსაბულიონის წინა-

შე, თითქოს განუსაზღვრელი ძალაუფლების მოპოვება არასოდეს განეზრახოს ლეონს. სამეფოხაგან არცთუ შორს იყო იმპერატორი, რომ ლეონის ტირანად არჩევა გამოცხადდა. იმპერატორ მიქაელს უმძიმდა ეს, ზოგნი ურჩევდნენ, რომ ყოველგვარი საშუალებით გაემყარებინა თავისი ტირანია. გონებით მშვიდს, არც ხისხლისმიერი აღტყინება ჰკარანახობდა ამ არჩევანს, ყოველგვარი მკვლელობით შებღალვისაგან შორს ეჭირა თავი, ღვთის განაჩენს ელოდა კეთილგონიერად. და როგორც ვინმე ეზარზნოსი, თავისი სახლეულიდან უგზავნის ლეონს იმპერატორის ინსიგნიებს, ხინკლიტს წინასწარ ამზადებს შესახვედრად: თითქოს ერთი წვეთი ქრისტიანული სისხლიც არ დაღერილიყოს მისი გულისთვის. თავის თანამეცხედრეს პროკოპიას, რომელიც ეჭვიანობს, ამას ეტყვის: „საშინელია, საშინელი, რომ ტირანის მეუღლე ლეონის საზომით ფასობდეს“. ქალს გონივრული სიტყვებით იგერიებს და ეუბნება: „კარგია უფლის ნებას მიდევდეს ის, რაც ხდება“.

ტირანი ოქროს კარიბჭით შედის, იკაპებს წინამორბედის ტაძარს, რომელიც სტუდიოსმა აღაშენა; უზუცესთაგან ბევრი თუ თითქმის ყველა ეგებება მას და შუბოსან მცველებს იქ შეკრებილ ხალხთან ერთად მიჰყავთ სასახლეში. ხანამ შევიდოდეს მრგვალ შენობაში, დგება სპილენძით ნაჭვედი კარიბჭის წინ, სადაც მეწამული ფერის მარმარილოა დაგებული, სამადლობელ ღოცვას წარმოთქვამს ქრისტე ღმერთის ხატისადმი, რომელიც იქ არის დახვეწებული, ან ჭეშმარიტად სცემს თავკანს, ან მოსაჩვენებლად, იმოსება რომაული არწივით დაშშვენებული ვარდისფერი უსახელო სამოსით, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეუნი კოლობიონს უწოდებენ. იხსნის სარტყელს, ძველთაგან სტრატეილარტა შორის დაცული ჩვეულების მიხედვით, და უბოძებს მიქაელს, თავის მეჯინბეთურუცესს. მიქაელის მხრივ სარტყელის მიღება საქმის მცოდნეთაგან გაგებულ იქნა, როგორც ნიშანი ლეონის შემდეგ ძალაუფლების მიღებისა. სასახლესთან, რომლის სახელწოდება იყო სკილა, მიქაელმა ლეონის სამოსი შედიდურად გაქვლა და, ეს რომ მოიმოქმედა წინდაუხედავად, ისიც მონიშნა, რაც განგებით ელოდა. იგრძნო ეს ლეონმა და თავისთავს უწინასწარმეტყველა, რომ მიქაელისგან რაღაც გადატრიალება იყო მოსალოდნელი.

ლეონი წავიდა სასახლეში, მაშინვე საცოდავი თამაოკვეცილი იმპერატორი მიქაელი, მისი მეუღლე და შვილები, რომლებიც შეწყალებას ითხოვდნენ, აღმოჩნდნენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეგეტერში, რომელსაც ფაროსი ეწოდებოდა, და შეწყალებას ეღირსნენ. სირცხვილით დაჰყვა ლეონი და სიცოცხლე აჩუქა მათ, მიქაელი სწავლულთა სკოლაში გაგზავნა, რათა შეეისწოებულს, მარტო ეცხოვრა ბოლომდე, რათა წლითი წლამდე სარგო ოქროს საბოძვარი რაღაც წინასწარ გან-

საზღვრულ ვადაში დაეხარჯა. მეუღლე და შვილები გააცალკევა, მათგან იგნატიოსი, მისი ბრძანებით, დაასაჭურისეს.

როდესაც ხელმწიფობის სადავეები ლეონმა იპყრა ხელთ, მზის სინათლეზე გამოიტანა საიდუმლო, რომელიც გაანდო წარჩინებულ (პატრიკიოს) ვარდანოსს, თურქად წოდებულს.

ამ ვარდანოსს, როდესაც აღმოსავლეთის თემის პრეფექტი (წინამძღოლი) იყო, განზრახული ჰქონდა მიეღწია იმპერატორობის პატივისათვის. ეს საქმე წინდაჩედულად გაანდო ერთ მონაზონს, რომელსაც გასაზრვის უნარი ჰქონდა და ფილომელიოსის რომელიღაც კუთხე გაეზადა საცხოვრებლად, ასეთი განზრახვის მოწმედ გაიხადა ლეონი, კაცი ფრიად და აღმატებით კეთილშობილი, თვალად მხნე და ახოვანი, გადაწყვეტილების მიღების დროს მკაცრი, საშუალო ასაკისთვის ფრიად თავაზიანი, გარდილი იმავე თემში, იმ ადგილას, რომელსაც პიდრას უწოდებდნენ და სადაც მასთან ერთად (როდესაც ენას უკიდებდა) მოხვდა მიქაელ ამორეველიც, მათთან ერთად თომა გაძურელიც, ტომით არმენიელი, მაგრამ მამაცი და ფრიად საქმიანი (სხვის საქმეებში ფრიად ჩახედული). ამრიგად, ვარდანოსი მივიდა მონაზონთან, ყოველივე გულისნადები უთხრა და ისე, თითქოს წინასწარ ემცნოთ მისთვის, ხოლო თავად ზედმეტი მოეკლოს და ამ საქმისთვის თვალის სინათლეც შეეწიროს. მონაზონმა ეს წინასწარ განდობა არასასურველად ჩათვალა, თანაც ღოცვის წესის დარღვევით უკმაყოფილო იყო და მოხული უკან დასახვევად განაწყო, მსახურებმა ცხენები მოკგვარეს, მონაზონმა ისე შეხედა მათ, რომ დიდად თავის მომაბეზრებლობა გამოეჩა და ვარდანოსს უკან დაბრუნება ურჩია. მას, ვინც დიდი სიხარულით ბრუნდებოდა უკან (კაცი იფიქრებდა, თითქოს მისთვის სულიდან ამოეღოთ შეგონება რამ და აზრი, ფრინველთა ფრენაზე დაკვირვებით გამოტანილი), მისი იმედების საწინააღმდეგოდ უთხრა ღვთისსაფერმა: „არცერთი შენი განზრახვა და სანადლეული, რომელიც კი უსუსური სიტყვით გადმომეცი, გონებით კარგად და დაბეჯითებით მოაზრებული არა გაქვს. მაგრამ რაკი, უკვე გითხარი, შენი თვალისჩინის და ყველა სიკეთის მოკლება და გაუცხოება დაგითმენია, მსახურთაგან, რომელთაც შენ ცხენები მოკგვარეს, პირველი და მეორე დიაღმებით შეიმკობიან, მესამეს კი სიკვდილი ელის“. მაშინ ვარდანოსმა თავისი ნაფიქრი და გულისნადები ღაღადისით ამცნო ლეონს, მიქაელს და თომას, მის ქვეშევრდომებს, და მონაზონის მრისხანების გამო ასე უთხრა: „ო, ლეონ, ძალაუფლებას რომ იგდებ ხელთ თომასთან ერთად, მოგკლავს მიქაელი, თავად კი უვნებლად იქნება დაცული, როგორც ხელისუფალი“.

ამის შემდეგ სულით გაბოროტებული ვარდანოსი მისთვის ჩაბარებული თემში ბრუნდება თავის ღაშქართან და სხვებთან ერთად, რომელ-

თაც განზრახული აქვთ მისი მოტყუება, ნიკიფორე იმპერატორის წინააღმდეგ დაბანაკდება ბითონიაში, რაც მის უგუნურებას მოწმობს. ამას შეიტყობს იმპერატორი, შეკრებს ლაშქარს და მის წინააღმდეგ გზავნის, როგორც იმსახურებს. იგი მარცხდება, შეუკრდება იმპერატორს და სთხოვს თავდებობას გახათავისუფლებლად. ამას ადვილად აღწევს; მიიყვანენ ჯვარცმის სიმბოლოსთან, მორჩილებას გამოხატავს და აგზავნიან კუნძულ პროტეზე, მისგან სიყვარულით მოვლილ მიწაზე. დიდი ხანი არ გაივლის, რომ მავანნი ლიკაონიიდან, ან თავდაჯერებულნი, ან სახახლესთან შეთანხმებულნი, ან თავად იმპერატორ ნიკიფორესთვის თავის მოწონების მოხურნენი, მიუხდებიან ვარდანოსს და დააბრმავებენ, შემდეგ ეკლესიაში მიდიან და ცოდვისაგან მსუბუქდებიან.

რადგან ვარდანოსისგან მდგომარეობა გართულდა, იმპერატორმა აღარ იკმარა ლეონი არმენიელთა და ასირიელთაგან, მოითხოვა თომა გაძურელი და მიქაელ ამორეველიც, რომელთაგან ერთი ფედერატების პრეფექტი იყო, ხოლო მეორემ კომსის კურიის ძალაუფლება იგდო ხელთ. თომამ თავისი პატრონის საფრთხეში ჩავარდნამდე რწმენის კალი აღასრულა. გამოხდა ხანი და ლეონმა მოიპოვა აღმოსავლეთის მეორე რანგის მხედართმთავრობა, დიდად გამოიდო თავი ისმაელიტთა წინააღმდეგ ბრძოლაში და იმპერატორ მიქაელისგან, რომელიც სახელმწიფოს სათავეში ედგა სტავრაკიოსის შემდეგ, მიიღო პატრიკიოსთა შესაფერი პატივი.

ამ მიქაელს ჰყავდა ყმაწვილი ქალი, რომლის საშუალებითაც ურჩხულ პითონის სული მოქმედებდა. ეს ყმაწვილი ქალი მიდის ქვიან ადგილას, რომელსაც ბუკოლეონს უწოდებდნენ, და განწირული ხმით უჩმობს იმპერატორს: „მოდი, მოდი, დაუთმე უცხოებს“. ამ ძახილის განშირებით შემრწუნებულ იმპერატორს უარესისა აღარ ეშინოდა, ამასთან დაკავშირებით რჩევას ჰკითხავდა შინაურად ნაგულვებ საჭურველთმტვირთველობის კანდიდატს თეოდოტოსს, პატრიკიოს მიქაელის, ტომით შელისენოსის, ძეს, რომლის საგვარეულო სახელი იყო კასიტერასი, იხე ეთათბირებოდა, თითქოს ღვთივ შთაგონებული ყმაწვილი ქალი ჰყოლოდეს, ყოვლად საკუთარი. როდესაც ყმაწვილმა ქალმა გამოუცხადა, რასაც ეძიებდა, სთხოვა მიქაელს ხელსაყრელ დროს მისულიყო აკროპოლისთან, სადაც უნდა შეხვედროდა ორ მამაკაცს, რომელთაგან ერთი სახედარზე იქნებოდა შემჯდარი სამეფო ტახტზე ასვლის ნიშნად. ყმაწვილი ქალი ფიქრობდა, რომ სამეფო ძალაუფლებისათვის მზრუნველი იმპერატორის სიმკაცრე და გულმოდგინება ჯილდოზე უფრო საინტერესო იყო. თეოდოტოსი უარყოფდა, რომ იცოდა რაიმე პითონიას ავიზრახვების შესახებ. იგი შორს გაეცალა, უცხოეთს წავიდა, როგორც პირველად გავრცელდა ხმა, და თან წაიყვანა კაცი, რომელთან ერთადაც

მივიდა პავლე მოციქულის ტაძარში, იქ ობოლთა საქმეების გამგებელად თავს აფარებდა. თეოდოტოსმა ლეონის მიმართ სითამამე გამოიჩინა და ეს თქვა: „ღვთაებრივი ხილვით გადმომცეს შენს შესახებ ბევრი, რაც მოხალოდნელი იყო. აქედანვე ვიცი, რომ რომაელთა ძალაუფლებას ხელთ იგდებ“.

აღყდა ომი რომაელთა და ბულგარელთა შორის და მხედართმთავარი კრუმუსი ამტკიცებდა, რომ ბულგარელთა, ისე როგორც რომაელთა ლტოლვილებს დააბრუნებდა, რაზედაც იმპერატორი დაეთანხმა და რამაც ბევრი დიდად აღაშოფოთა, და არა ნაკლებ თეოკტისტოს მაგისტროსი. ორივე მხარე უკმაყოფილო იყო. ერთმანეთის წინააღმდეგ აღიმძრნენ რომაელები და ბულგარელები. მარცხდება რომაელთა ჯარი, ასეც უნდა მომხდარიყო ღვთაებრივი წინასწარხედვით.

იონანი ზონარა

ცხოვრობდა XI ს. ბოლოდან XII ს. შუახანებამდე. ეთარცა ერისკაცა, ავი იყო *μεγας δρουγγαριος της βιγλης και πρωτατοκρητης*. შემდეგ იონანი ბერად შედგა წმინდა გლაკერიაში. განდევნილობის დროს, 1118 წლიდან მოყოლებული, მანუელ კომნენოსის მეფობის პირველ - მეორე ათწლეულთა განსაკუთრებულად იწერებოდა ზონარას „ქრონიკა“. XII ს. უძველესი და ერთ - ერთი უდიდესი ქრონისტი გახლავთ. კ. კრუმბახერი ურადლებას ამჩვილებს მის წყაროთა, მათ შორის დაკარგულთა /მხოლოდ ზონარას ქრონიკით ცნობილთა/, ხიმდიდრეზე და არა ზონარას სრულ დამოკიდებულებაზე მათგან, არამედ წყაროთა თავისუფალ, კრიტიკულ შეფასებაზე. არ არსებობს მყარი მეცნიერული საფუძველი, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა ქრონისტი ზონარას ილენტიფიკაცია იმ ზონარასთან, რომელსაც უმუშავია წმინდანთა ცხოვრებებზე, ჰომილეთიკის, ეპიგრაფიკის, საეკლესიო სამართლის ხეფროში, განუმარტავს საქრისტიანო პოეზიის ტერმინები /კანონი, ირმოსი, ტროპარი, ოდა/. მაგრამ ვერც ვადაქრით ვიტყვი, რომ ეს სხვა ზონარაა. ქრესტომათიაში მაინც ქრონისტად წარმოუადგინეთ.

„ქრონიკის“ შესავალი

ადვილად მისახვედრი იქნებოდა ჩემთვის, ვინმეს დაცინვით რომ გადაეკრა სიტყვა, საქმეზე უფრო მნიშვნელოვანი შენთვის წვრილმანალო. ჭეშმარიტად უნდა მიმეტოვებინა ძველი საქმეები, თავი შემეკავებინა მღელვარებისაგან, ხადმე შორს განაპირებულს, მარტო მყოფელობა მერნია და ხამუდამო ღტოლვილობის განაჩენი გამომეტანა ჩემი თავი-ხათვის; ჩვენი საშინაო საქმეები უნდა განეგო მას, ვინც მბრძანებლობს ჩვენზედ, მას შემდეგ რაც ამხსნა შებოჭილობისაგან, მომწყვიტა უძვირფასესი, რომელთაც გადმოცემით იცნობდა, რაც მტკავნეული იყო ჩემთვის, თუმიცაღა ხახარგებლი და გამოხავლანი; არცარა სხვა დამანება, გარეშე მისა, რაც ხელს ამშვიდებს და აწმინდავებს ცუდად დამპრომის ხრწნილებსაგან და რაც ღვთაებრივ საწყისს დაამორებს და ღვთაებრი-

ობას მოაკლებს მათ, ვისზედაც აღიძვრის ჩემ გამო, როდესაც გადაუხვევ მის მცნებებს და სამართალს და, ასე, ვეძიებ ცოდვითა შენდობას. მე საქმეზე არ ვნაღვლობ, რადგან საქმენი მშვენიერი მომეწყინნენ; წერილმანი, მეორესხარისხოვანი ამბებისაკენ მაქვს მიპყრობილი გულისწერი.

გაგრამ შინიდან არავის წაუუქეზებივარ, რომ რითმე ვიწყო ჩემი თავის გამოხარსა; მეგობრებმა წარმიმართეს ეს გზა, როდესაც მოცლილი მნახეს და მოთხრეს: ეგ თავისუფალი დრო საყოველთაოდ სახარებლო საქმეს მოახმარე და შეგენახებო დაუნჯებული ღვთისგან ხანაც ველოდ და საზღაურად. დასძენდნენ, რომ მეისტორიეებს და ძველად მომხდარ ამბავთა აღმწერლებს შედარებით ვრცელად და გამოწვლილვით აქვთ აღწერილი ფაშადახულ კაცთა სხვა საქმეებიც და სტრატეგიული სვლანიც; იხინი მოგვითხრობენ სამხედრო მწყობრთა შესახებ, ხელჩართული ბრძოლების, ბანაკის დაცემის, მესერით და თხრილებით შემოვლების შესახებ და ა. შ.; ამას მოხდევს აღწერილობანი ადგილთა, მოუხერხებელ გზათა, კლდიან და უვალ მთათა, ხეობათა ვიწრობების, აღწერილობანი გამაგრებული ქალაქებისა და მდლა, შეიძლება ითქვას, ვთერში ატყორცნილი ციხე - კოშკების; სიცხადისათვის ისეთ თხზულებებს ურთავენ, რომ წარმოხადგენი იყოს მათი წერის ძალა და ხელოვნებაც, ამითვე აზაკებენ საჯაროდ წარმოსათქმელ სიტყვებს და მეტ ყურადღებას წიაღსვლებს უთმობენ და უფრო ენამკვერობენ. სხვათა პატივმოყვარობა შემდეგნაირად კმაყოფილდება დიალოგებით: როდესაც მათს პასუხად, ვისაც რამე საგანზე სხვა აზრი აქვს და ცდება, სწორ მოსაზრებებს წერენ, ისე ესაუბრებიან როგორც პირისპირ მყოფთა, გმობენ მათს ცუდ სახელს, წმინდა წერილიდან მოაქვთ სამხელი მტკიცებანი ან კიდევ იუდეველებსაც ეკამათებიან და წარმოადგენენ მათ ვითარცა ბოროტის მოხურნეებს, თუ ჩვენს საიდუმლოს ეწინააღმდეგებიან, წინასწარმეტყველთა სიტყვებს სესხულობენ, უპირისპირდებიან ელენებს, მათს ვითომ სისულელეებს შუაში რთავენ, დასცინიან მუზლაპყრობისათვის და მათი ნაწერები სახელგატყნილობის საბუთად მოაქვთ; ეს არისო სენტენციებით მოსაუბრის და ზნეობაზე მოკამათის წესი. როგორც ამბობდნენ, მკითხველთა მეტი წილი, თანაბრად რომ არ გაეკერცლოთ ყველაზე, ამ ისტორიულ თხზულებებს მომაბეზრებლად და გაჭიანურებულად თვლიდა, ისე რომ თავისუფალი დროის დიდი ნაწილი სჭირდებოდა და, რომ კიდევაც მიეცეს ვისმე ეს დრო ნებისმიერ ავტორთა ისტორიული თხზულებებისათვის, ამაოდ ჩაივლისო მათს წახაკითხად გაწეული შრომა; იგულისხმება ვრცელი მოთხრობები სამხედრო წესრიგის, ბრძოლების, მეომართა განლაგების შესახებ და სხვ., რაც ახსლტება ზოლმე მენსიერებიდან; საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, საუბრები

და უმნიშვნელო, ცუდუბრალოდ გადმოსაცემი გარემოებანი აღიწერებაო როგორც ისტორია. ვის რა ხარვეზლობას მოუტანსო იმის ცოდნა, თუ რა სიტყვით მიმართა ხალხს ამა და ამ წინამძღოლმა, ან მეომრებს - მხედართმთავარმა, ან მავანმა თვითმპყრობელმა რა პასუხი გასცა სპარსთა ელჩობას, ან სხვამ - კელტების ან სკვითების ან ეგვიპტელ ელჩებს ან დაკების და ტრიბალებისას, ან რა უთხრა მავანმა სინკლიტის რჩევით, ან შემოჯარული ერის წინაშე რა სიტყვა წარმოთქვაო. აი, ასე ხასიათდებოდნენ ერთნი მეისტორიენი, რომელთა თხზულებებიც აშკარად გაწეულილია და თითქოს პატივმოყვარეობას უფრო აკმაყოფილებს. მეორენი კი, მათს ხაპირისპიროდ, ისე აღაგებენო ისტორიას, რომ მოკლედ გამოთქვამენ და, აქედან გამომდინარე, აუცილებელს და არსებითს აკლებენ მას, თუმცა ფრიალი მოწადინებით იღვწიან თავიანთი თხზულებებისთვის, - აკლებენ, რამდენადაც გვერდს უკლიან მატიაწებში ხსენებულ მოღვაწეთა შედარებით უფრო მნიშვნელოვან საქმეებს, ამასთან, ზოგი ასეთი საქმე სწორედ რომ გალობით შემკობის ღირსია, მაგრამ ძალიან მოკლედ გადმოგვცემენ მათზე და ეს მონათხრობი ვერც მათს ხასიათს, ვერც ბუნებას ვერ ხდის ნათელს, ვერც არჩევანს, ვერც იმას, თუ თითოეულმა შეფუძრო როგორ დაიპყრო სამეფო ტახტი, ან ვინ შეფობდა მანამდის, ან ვისგან იშვაო. იმასაც ამბობდნენ, რომ ზოგი ამ თხზულებათაგანი ამბავს უფრო უბრალოდ გადმოგვცემს, შედარებით მოუქნელი აგებულება აქვს, ახასიათებს მდაბიოთათვის და ზოგჯერ თვით ბარბაროსებისათვის ჩვეულებრივი მეტყველება, რის გამოც უსიამოვნოდ განაწყობსო მათ, ვინც დაკავშირებულია სიტყვის ხელოვნებასთან. ასე კიცხავდნენ ისტორიულ ნაწარმოებებს და ხშირად მეც მაგულიანებდნენ, ამელო ხელში წიგნები, უარი მეთქვა ბევრ ისეთ რამეზე, მენსიერება განზე რომ ტოვებს სიდიდის გამო, უგულვებელმეფო სრულიად უხარვეზლოდ გასრულებული ნაწერები, შემეკვეცა ვრცელი თხრობა და დაძვეწერა მოკლე ისტორია, რომელიც ყოვლისმომცველი განსჯით და თვალთახედვით ასწავლიდა შთამომავლობას უფრო მნიშვნელოვან საქმეებს ან განსხვავებულად გადმოსცემდა მათს თავგადასავალს, რომელთა შესახებაც მატიაწე მოგვითხრობს.

ამრიგად, ისინი მაქვზებდნენ, ასეთი ნაშრომი შემექმნა და ამ ისტორიის წერას შევდგომოდი. მე კი, ჯერ-ერთი, ეს აზრადაც არ მომდიოდა /ჩიმართლე ითქმის/ და უზრუნველადაც კვხოვრობდი, მეორეც, ვხედავდი, რომ საქმე გასაქანს აღარ მომცემდა და ბევრი წიგნი გახლებოდა საჭირო, რის გამოც დაწყებას ვშიშობდი და ვაყოვნებდი. მაგრამ ჩემი მეგობრები არ მომეშენენ და გამუდმებით ცდილობდნენ დაყოლიებას ამ საქმის შესასრულებლად. თუ წვეთის გამუდმებას მაგარი ქვის გახვეწვა შეუძლია, გამუდმებით ყურში ნაჩიჩინები სიტყვა ხომ უფრო შეძლებდა,

ისეთი აზრით განვეწყვე, რომ ეს არჩევანი გამკეუთებინა. მერე ვიფიქრე, რომ ხულის ხასარგებლოდ უქმი არ იქნებოდა ეს შრომა, მატიანეზე და-
 ხარჯული დრო; რადგან უძრავსა და უმოქმედო გონებას უფრო სწევია
 გააღვიოს საეშმაკოდ ხულის კეუთება, ჩან ერთი და ხან მეორე მწირი
 ფიქრის და განსჯის მძაფრი ღელვა გამოიწვიოს და, მათი განუწყვეტ-
 ლი მოზღვაუებით დაფლული¹, ან ცოდვებს აეხსლიტება, თუ საქმეებით
 არა, ამ ასწლუტაზე თანხმობით მაინც, ან ჯერ ცხოვრების ღელვა - გვი-
 მულებას სცდის. თუ ვისიმე გონება საქმით არის დაკავებული, იგი ხაზე-
 ბით განრიდება დიდი ანგარიშიანობის და ბოროტი ფიქრების უმაღლეს
 ტალღას. მოკლედ, მეგობართა ჩაგონებით და უწმინდური და ამოი ფიქ-
 რების თავიდან მოშორებით ამ ნაშრომის დასაწერად განვეწყვე.

და ასე, წინამდებარე მატიანის დაწერა მომენდო. თუ თითოეული მო-
 ნაკეუთი გულმოდგინედ და საფუძვლიანად დამუშავებული არ იქნება,
 მკითხველებს ჰატეებას ვთხოვ. მოპოვებული ვველა წიგნი ერთნაირად
 არ გამომადგება თხზულებისათვის, რომელზედაც ეხლა ეშუშაობ, რად-
 გან ესეცაა, რომ მეისტორიენი ერთსა და იმავე მოვლენაზე ერთსა და
 იმავეს არ წერენ; თუ მეტწილს არა, ბევრს რასმე მაინც ურთიერთსაწი-
 ნააღმდეგოდ აფასებენ. კიდევაც რომ მოვიხსლოთ თითოეული ისტორიუ-
 ლი გადმოცემის ზედმიწევნით გამოკვლევა და გაცხადება იმისა, თუ რას
 ამბობს ესა და ეს შემატანე ამა და ამ მოვლენის შესახებ, თითოეულ
 მათგანზე მეც ვრცელი ნაწარმოები გამომივიდოდა. ამის გამო დახათობ-
 ბი შეჩვენება, რასაც მეისტორიენი ურთიერთსაპირისპიროდ აღწერენ,
 თუ რამ მეტად ხერიოზული არ იქნება და ის, რასაც გვერდი აეგლება,
 მნიშვნელოვანს და შესაფერს არას დააკლებს მატიანეს. მეტყველების
 ხასიათი რომ არა-ერთფეროვანი იყოს და თავის თავს ყოველთვის არ
 ჰკავდეს, ნურავინ გაიკვირებს, ნურც ვინმე ხამარაზავად გახდის სიტყვას
 და ნურც მე დამძრახავს, როგორც მის შემოქმედს, რადგან ისტორიანი
 ბევრი წიგნიდან გამოკვირებე და, თუმცაღა იმ მატიანეებთან მისადაგე-
 ბით და სტილის შეფარდებით, ბევრს რასმე თავადაც ჩაუერთავ, ოღონ-
 დაც მათს ხასიათს მიუყუენებ ჩემი სიტყვის გვარობას, რათა ნაწერი თავ-
 ვიდან ბოლომდე მწყობრი ჩანდეს.

მაგრამ, სანამ ისტორიას დავისყვებდე, შედარებით უფრო მნიშვნელო-
 ვანი ამბები წინასწარ უნდა გადმოვცეთ, რომ მატიანის მომავალმა
 მკითხველებმა უწყოდნენ, რარიგ ბევრი აუცილებელი ისტორია ექნებათ
 ხაცოდნელი. მაშასადამე, აქ მოკლედ არის მოთხრობილი ბიბლიის რვა-
 წიგნდში აღწერილი ამბები; ჩვენი ქრონიკა მოიცავს აგრეთვე მეფეთა
 წიგნებს, ნესტთას, ებრაელი იოხიპოსის სიტყვათდასაბამობას ან მას,

¹ დაფლას იგი? καταστρέφειν αὐτόν.

რაც, ძველთაგან გადმოცემული, უამბნია, ანუ უფრო გადახვევებით ანუ სხვარიგად რაც მოუყოლია - ძველთაგან გაგონილი; აქ არის ეზრა, ებრაელთა ტყვეობის წიგნები, მათგან პირველი - ათი თემის შესახებ - ისტორიაა ასირიელი საღმანახარისა, რომელმაც სამარიას ალყა შემოარტყა, აიღო, ტყვექმნილი სამარიელები ევფრატს გაღმა გაიყვანა და დაახახლა, ხოლო სამარია დაუმკვიდრა ტომს, რომელსაც ხუთეუბად უხმობდნენ; მერე მეორე წიგნია - ნაბუქოდონოზორისგან იერუსალიმზე თავდასხმისა: უდაბნოდ აქცია ქალაქი, ტაძარი აღგავა და მთელი ერი დაიმონა. სამოცდაათი წლის შემდგომ, თანახმად წინასწარმეტყველთა თქმულისა, კვიროსი, რომელმაც დაამჩო ასირიელთა მეფობა, ტყვე იერუსალიმის ერს უფლებას აძლევს დაბრუნდეს, აღადგინოს იერუსალიმი და განაახლოს ტაძარი. ხოლო ვინ იყო კვიროსი, როგორ მოუღო ბოლო ასირიელთა მეფობას, მის შემდეგ ვინ იყრა სამეფო ტახტი, ვინ და როგორ აღუდგა წინ ქალაქის აღმშენებლობას და ხელახლა მისი აღორძინების ნება ვინ დართო. აქ არის გადმოცემა დანიელ წინასწარმეტყველზე - ნაბუქოდონოზორის ძილისშორისის განმარტება და ბალტასარის ხილვა... წინასწარმეტყველის ყოველი ჩვენება მოთხრობილია მოსხვლევითი განმარტებით. არის ამბავი სამი ყრმის შესახებ, გაუგონარი ამბები, რომლებიც ღმერთმა მათ მიმართ ან მათ გამო ქმნა; ესთერის შესახებ, როგორ იხსნა ებრაელთა მოდგმა ხრულად აღყხვრისაგან; ივლითის შესახებ, რომელმაც გზაკვალი აუბნია ოლოფერნესს, სძლია და მისი ლაშქარი ამოწვიტა; ტომიას შესახებ, სიბრძავეთ გვემულს როგორ დააეიწვა გაჭირვებამ შება და ფუფუნება და მერე ღმერთის საჩიურებით როგორ მისწვდა წინასწარ გასაგონ ხედვას და მით დიდი სიმდიდრე მოიპოვა. აქ მოკლედ მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელის ამბავიც; მისი ისტორიის გაჩვენება აუცილებლად მივიჩნიეთ სხვა მიზეზებითაც და იმის გამოც, რომ ისხოსში დარიოსის პირველი დამარცხების შემდეგ ალექსანდრე იერუსალიმს მივიდა და უზენაესი მღვდელთმთავრის განსაკუთრებული პატივით შეიმოხა, და ამას მოხდევს, როგორ შემუხრა სპარსთა სამეფო, რამდენ ხანს იმეფა, როგორ განაწილდა სამეფო ოთხად მისი სიკვდილის შემდეგ და რა გადახდათ თავს იუდეველებს ანტიოქოს ეპიფანესგან, რომელიც ალექსანდრეს მემკვიდრე და მიმდევარი იყო; როგორ აღუდგნენ წინ ასამონეები და როგორ იხსნეს მეთვისტომენი მისი ტირანიისაგან, ვინ იყვნენ ეხენი, როგორ და რამდენხანს უდგნენ სათავეში თავიანთ თემს; რომ ასირიელთა ტყვეობიდან იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ აღარ არსებობდა სამეფო იუდეველებისა, არამედ იყო მღვდელთმთავართა საგანმგებლო და

სამთავრო; რომ ხსენებული ასამონებების ჩამომავალნი სამღვდელთ-
მთავრო პატივით იყვნენ შემოხილნი, ხალხს გზას წარუმართავენ და
დიადელები თავად დაიდგეს; ძმებმა პირკანოსმა და არისტობულემ, რო-
მელთაც განაწილებული ჰქონდათ იუდეველთა სამეფო, როგორ მიიწვი-
ეს რომაელთა მაშინდელი მხედართმთავარი პომპეიუს დიდი, რათა მოე-
რიგებინა ისინი, ვინც იყვნენ სისხლი სისხლთაგანნი და ხორცი ხორ-
ცთაგანნი, ხოლო პომპეიუს დიდმა აიღო ქალაქი იერუსალიმი და ვრი
მისი რომაელებს დაუმორჩილა; ამის შემდეგ როგორ იგდო ხელთ იუდე-
ველთა სამეფო ძალაუფლება პეროდემ, ანტიპატროსის ძემ, ვინ იყო იგი,
რა ჩამომავლობისა, რამდენი რამ გადახდა სასახლეში და როდემდე შე-
ფობდნენ მისიანები; როგორ და რა მიზეზით გაგზავნეს წინამძღვარნი
/ჰეგემონები/ რომიდან იუდეას; რამდენი რამ აღწერა იოსიპოსმა
მაცხოვრის ჩვენის - იესუ ქრისტეს შესახებ, ამასთან იოვანე ნათლის-
მცემელზე; რა მიზეზებით თქვეს უარი იუდეველებმა რომაელთა წინაშე
უკანდახევაზე, რა ბრძოლა გადახდა ამ ხალხს რომაელებთან და ვისგან
და როგორ მოიხრა ძირფეხვიანად იერუსალიმი, უკანასკნელ დღეს უდა-
დადისოდ ჩამკვდარი.

საჭიროდ ჩავთვალე მომეგონებინა და აღმეწერა რომაელების და რო-
მის ისტორია: საიდან მოდის რომაელთა მოდგმა, სადა აქვს საწყისი, ვინ
სახლობდა მანამდე იტალიის მიწაზე; საიდან გაჩნდა ქვეყნად რომულუ-
სი, რომის დამაარსებელი, როგორ იქნა მოკლული რომუსი - მისი ძმა,
და მერე ისიც როგორ გაუჩინარდა; როგორ იმეფა იმ ქალაქში პირველ-
მა მეფემ, რა ადამიანი - წესებს მიმართა; როგორ შეცვალა მეფობა ტირანი-
ით სუპერბუს ტარკვინიუსმა და როგორ დაემხო; რაოდენი ბრძოლები
გადაიტანა რომმა მისი დამხობის მიზეზით; როგორ ჩაჰბარდა რომა-
ელთა საქმეები წარჩინებულებს, მერე დემოსის ხელთ გადავიდა, პიპა-
ტოსნი /კონსულები/ და დიკტატორნი, მერე დემოსის მთავარნიც /დემარ-
ქოსნი/ მართავდნენ საერთო საქმეს; რას გულისხმობდა ძველად კონსუ-
ლობა და დიკტატორობა, რაში მდგომარეობდა ცენზორთა საქმე და რა
დროით განისაზღვრებოდა თითოეული ეს სახელი; როგორი იყო მათში
ტრიუმფი და საიდან მომდინარეობს ეს სახელი - თრიაშობის; რა ხდე-
ბოდა კონსულების ხანაში, ყველაფერი არ ვიცით იმ წიგნების ნაკლე-
ლობის გამო, რომლებიც ამ ამბებს მოგვითხრობენ; როგორ გადატრი-
აღდა შემდეგ რომაელთა იმპერია და როგორ შეიცვალა ერთმთავრო-
ბით /მონარქიით/; პირველი მოთავე ამ გადატრიალებისა, თუმცა ჯერ
კიდევ არა სრულის, არის გაიუს იულიუს კეისარი, ხოლო მას შემდეგ,
რაც მოკლავენ მას ხენატში ისინი, ვინც თავისუფლებას იცავენ, აგგუს-
ტუს ოკტავიუს კეისარი, მოკლული კეისარის დისწული და ნაშვილები,
მამობილის მკვლელებს დასჯის, ისე რომ საქმის თანამონაწილედ ჰყავს

ანტონიუსი, მერე ეს უკანასკნელი განუდგება, ავგუსტუსი მოიგებს საზღვაო ბრძოლას აკტიონთან, ამის შემდეგ დაეწევა ალექსანდრიაში კლუპატრასთან ერთად ლტოლვილ ანტონიუსს და ხელთ იგდებს მას; რამდენი რომაელი დაიღუპა ამ შინა ომებში, ჯერ ბრუტუსი და კასიუსი და სხვანი, რომელნიც განწყვიტეს ოკტავიუს კეისრისა და ანტონიუსის მოწინააღმდეგეთაგან, დაიღუპნენ შემდეგ ერთმანეთს შორის დარეულნი; ჩვენს მატრიანეში აღწერილია, როგორ ჩავარდა ტყვედ კლუპატრა, ეგვიპტის დედოფალი, პტოლემეების ჩამომავალი, და თავის მოსაკლავად, როგორც ფიქრობენ, ახპიტს აკბენინა; რომ ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ რომში დაბრუნებული ოკტავიუსი ერთადერთი ხელისუფალი გახდა და რომაელთა პრინციპატი /ჰეგემონია/ სრული მონარქიით შეცვალა; ვინ იყვნენ შემდგომნი ერთმთავერნი /მონარქები/, როგორ იწყებდა მმართველობას თითოეული, როგორ და რამდენხანს მბრძანებლობდა და როგორ აღესრულებოდა; ვინ იყვნენ, ამათი მმართველობის ხანაში, წმინდა მოციქულების შემდეგ, საყდარნი რომ დაამშვენეს ოთხი დიდი ეკლესიისა: რომის ეკლესია მაქკეს მხედველობაში, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმის; რომელნი ამათგანნი ეღირსნენ მოწამებრავ აღსასრულს; სხვათა უმეტესად როგორ გააფთრდნენ ქრისტიანებზე დიოკლეტიანოსი და მაქსიმიანოს ჰერკულიოსი, როგორ აიყარეს მბრძანებელთა პატივი და თავიანთ ნაცვლად სხვა კეისრები აირჩიეს, რომელთაგანიც გახლდათ კონსტანტიოს ქლოროსი, კონსტანტინე დიდის მამა, გალიის და ბრეტანიის მთავრობა რომ წილკვდა; როგორ გადასცა მან, მომაკვდავმა, თავის პირმშოს, მოციქულთა სწორ კონსტანტინეს, თავისი ხაიმპერატორო ძალაუფლება; როგორ გახდა იგი ერთმთავერი /მონარქი/, სძლია დანარჩენებს და ცაზე ვარსკვლავთა განწყობით ეჩვენა მას ჯვარის ნიშანი; როგორ შევერდომოდა ქრისტეს მანამდეც, სარწმუნოებას აერცვლებდა და გაცხადებული ქადაგების ნება დართო; როგორ მისცა ქალაქ ბიზანტიონს ეპონიამდ თავისი სახელი, ახალი რომი უწოდა და სატანტო ქალაქი ძველი რომიდან იქ გადაიტანა; მის შემდეგ ვინ იყვნენ იქ იმპერატორნი, რა ადათ - წიხებს მისდევდა თითოეული, რას ესაუდნენ და ეგრძალებოდნენ, რამდენხანს ეყვრათ ძალაუფლება და როგორ აღესრულნენ; ვინ უდგნენ სათავეში კონსტანტინეპოლის ეკლესიას და რამდენხანს - თითოეული; რომელი მათგანი იცავდა მართლადმსარებლობას და რომელნი გახდნენ სხვა, უცხო მოძღვრების აღმსარებელნი და როგორ მიემჩრო თითოეული ამ მოძღვრებას; რომელ თვითმპყრობელთა /იმპერატორთა/ და პატრიარქთა საყდრობისას და ვის წინააღმდეგ შედგა საეკლესიო კრებები. და ასე ჩვენ დრომდე მოხული ხიტყვა გარდახულთა თვითმპყრობელთა განსაზღვრავს და ქმნის ისტორიას და ბევრიც სხვა რამ დაფარული იხსენი-

ება მასში. ისტორია იმით უნდა დავიწყო, რომ ვახსენო გამოუთქმელი პირველი ხაწყისი, ყოველთა მიზეზი, დაუსაბამო და უქამო, და მის მიერ უარსობიდან ანუ არ - არსებობიდან არსად /არსებად/ მოყვანილთა სიტყვათ - გამომდინარეობა და წარმოშობა.

[მაშასადამე, იყო მარადის ღმრთეება, ზესთა ყოველი მიზეზისა და ძალისა მნათობი უქამოდ, მშვენიერებით თავისი დიდებისა და ელვარების აღმძვრელი საუკუნოდ და დაუსაბამოდ არა სჩვიხგან რისამე მთარებული უწინარეს არსებისა (οὐσώματος), არცა შემდგომ თავისთავად ქმნილი არა - არსთაგან და თავისი დიდების აღმძვრები სულმცირებით, არამედ მარადის მყოფი და უცვალებელი, როგორც საკვებით შეიცნო იგი მხოლომან, ღმრთეების ყველა ხილრმის გამომეძიებელმა ყოველად წმინდა სულმა, მათდა თანამარადისად ნეტარმა და ხარებულმა. შემდეგ უმაღლესი სიკეთის, ზღვა მაღლის და გამოუთქმელი გულმოწყალების გამო ხწორედ ამ ხილული სამყაროს გამოსახვა იქნა განზრახული და მერე შუაგულში მოქცევა მეორისა, რომელსც ქმნილი იყო მკორედ, ხოლო პირველი სამყარო გაჩლიდათ, ვით მაღლსით უჩვეულო და გაუგონარი, ხატისაებრ ღვთისა ქანდაკებული, - ადამიანზე ვამბობ, რომელსც შემოქმედებისაკენ სავალ ურჩეულეს გზას დაადგა...]

ნოქოზორე პრინციპი

მიმოიხილავს რა XI-XII საუკუნეების ბიზანტიურ საისტორიო მწერლობას, სიმ. ვაუხნიშვილი წერს: „ნიკიფორე ვრიენისომა /1062-1137 წწ./, სამხედრო საქმეების კარგმა მცოდნემ და სახელმწიფო მმართველობის აქტიურმა მონაწილემ, თავის „ისტორიაში“ აკვისაზა ის ბრძოლა, რომელიც მეფის კარზე წარმოებდა“ /ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1963 წ. გამოცემა, გვ. 273/.

ისტორია

თავი 1. სახელგანთქმული მანუელ კომნენოსი უფლებამოსილად ცნეს, რათა ხელშეკრულებით დაეზავებინა ბასილი, რომელთა იმპერატორი, და ცნობილი ბარდა სკლიაროსი, რომლის აჯანყებაც იმპერიის წინააღმდეგ ამდენი წელი გრძელდებოდა და რომელმაც თითქმის მთელი აღმოსავლეთი დაიმორჩილა. ამგვარად, მანუელ კომნენოსი შეეცადა, რომელთა იმპერიის გაფანტული ნაწილები ერთმანეთთან დაეკავშირებინა და გაეერთიანებინა; ამას მიაღწია ექსტრემალური ცოდნით და ჭაბუკური ენერგიით. მას ორი გაყი ჰყავდა, რომელთაგანაც უფროსს ერქვა ისაკი და უმცროსს იოანე. ორნივე ჯერ კიდევ ყრმანი იყვნენ, როცა მამა აუად შეიქმნა და, სიცოცხლის აღსასრულის მოახლოება რომ იგრძნო, გადაწვევითა რომივე შეიღო იმპერატორისათვის მიენდო, მით უფრო, რომ დედაც დიდი ხანია აღარ ჰყავდათ. მანუელმა ეს განზრახვა შესანიშნავად განახორციელა კიდევ. იმპერატორმა ბასილიმ, რომელიც მისადმი კეთილად იყო განწყობილი და პატივს სცემდა მის კეთილშობილ ჩამომავლობას, ამის დასტურად ყურადღება და დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ბავშვების მიმართ. იმპერატორმა მათ მასწავლებლები მიუწინა, რომ ყრმათა ჩასხიათი ზომიერად ჩამოეყალიბებინათ, ესწავლებინათ ხაომარი ხელოვნება: როგორ უნდა გამოეყენებინათ შესაფერისი იარაღი და როგორ უნდა დაეცვათ თავი, თუ მტრები ხელშეკრულებას დაარღვევენ და აჯანყდებოდნენ; ასწავლიდნენ შუბის ხმარებას, მარჯველ და მარცხველ კრებას ცხენზე, ისრის მიზანში ტყორცნას და არსებითად

ტაქტიკას, აცნობდნენ, თუ როგორ უნდა მოეწესრიგებინათ ფაღანები და ბატალიონები /*ლათინის*/, როგორ განეღობებინათ გონიერულად ბანაკი, როგორ შემოეზღუდათ, მოკლედ, ასწავლიდნენ ყველაფერს, რასაც ხომარა ტაქტიკა ითვალისწინებს. ორივეს ასწავლეს, რომ სტუდიის მონახტერში ყოფნას ორი მიზანი ჰქონდა: ხათნობის მოხმობით უნდა მიებაძათ წმინდა მამებისათვის, რომლებიც ასე განმარტოებით ცხოვრობდნენ, და უნდა შესძლებოდათ ქალაქის გარეთ გასვლა სანადიროდ და სამხედრო საქმეში საგარჯიშოდ.

თავი 2. როდესაც ყრმობის ასაკმა განვლო, ორივე შევიდა ცხენოსან სახელმწიფო გვარდიაში; რომაელთა იმპერიაში მოქმედი წესით, ამ სამსახურში შეხვლა შეეძლოთ მხოლოდ წარჩინებულთა და სამსახურში დაწინაურებულთა შვილებს; მოკლე ხანში მათ დაიკავეს უფრო მაღალი თანამდებობანი, ვაპარქოსები გახდნენ, ფაღანების მეთაურები და სტრატეგოსები. მათი დიდება ბრწყინვალე ქორწინებებმაც დაადასტურა. ისააკმა შეირთო ბულგარეთის მეფის - ხამუელის - უფროსი ასული, სახელად ეკატერინა, ხოლო იოანე ქორწინებით დაუკავშირდა ქარონ ალექსის ქალიშვილს და იმპერატორმა იტალიის მმართველობა მიანდო. ქარონი იყო კეთილგონიერი და სამართლიანი მამაკაცი, მკლავ - მაგარი და მსხე - ხულით, მამაცობით რომ გაამართლა თავისი სახელი; მოწინააღმდეგე რომ დაეცემოდა, მოაკვდინებდა და ამის გამო მტრისთვის ქარონად რჩებოდა. მის ქალიშვილზე, რომლის სახელი გახლდათ ანა, იქორწინა იოანემ. დედის მხრივ ანა დალახენოხთა შთამომავალი იყო, ადრიანეთა, თეოფილაქტითა. მისგან იოანეს შეეძინა ჩინებული ბავშვები, ხუთი ვაჟი: მანუელი, ისააკი, ალექსი, ანდრიანე, ნიკიფორე - და სამი ქალიშვილი: მარია, ეკდოკია და თეოდორა, რომელნიც მამის სიკვდილს შეესწრნენ; მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკებ. მივყვით ჩვენს თხრობას.

თავი 3. აღზევების შემდგომ პერიოდში დიდებიდან დიდებისაკენ მავალ ძმებს ბოლომდე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, უმცროსი ყოველთვის უთმობდა უფროსს, ესეც პატივისცემით ეპყრობოდა. როდესაც ისააკმა იმპერიის სათავეს მიადგინა, თავის ძმას კუროპალატობა უბოძა და დასავლეთის ჯარების მთავარი გახდა; ასეთ მთავარს წინათ სქოლების /*თუღანის*/ დომესტიკოსს უწოდებდნენ, ესლა კი დიდ დომესტიკოსად უჩმობენ. ისააკის გამეფების ისტორიაზე, მის მეფობაში მომხდარ ბევრ ამბავზე ზედმეტია ლაპარაკი... რაც შეეხება იოანე კუროპალატს, რომელსაც დასავლეთის მთავრობა წილკვდა, მან თავისი ხიდიადის შესაფერისი დაუეწიყარი ძველები დაუტოვა თრაკიელებს, მაკედონელებს, ილირიელებს და ბულგარელებს. არ არსებობდა ადამიანი, რომ მისი სიმტკიცე და სიკეთე არ ეგრძნო. მისმა შემწყნარებლობამ და თავდაჭერამ, ავ-

რეთვე სისწრაფემ და ენერგიამ ყველა მოიხიბლა. მაგრამ ხელ სხვა იყო მისი საქციელი, როდესაც ხელისუფლება უარყო. როგორ ვითარებაში მოიმოქმედა ეს, ჩემი მოთხრობა გიჩვენებთ.

თავი 4. ისააკის მეფობიდან სამი წელი იყო გახული. იმპერატორმა განვლო პროპონტიდა და ქალაქ ონორატონის შემოგარენში გაჩერდა, ხადაც ჩმირად ნადრობდა და სხეულს იწრობდა. მაგრამ ფიზიკურმა ვარჯიშმა კერაფერი უშველა, რადგან გვერდში ჭკალი დაადგა, სამი დღე ითმინა და, შეუძლოდ მყოფი, ტივით გაეშურა თავისი სასახლისაკენ. ფიქრობდა იმაზე, თუ ვინ იძულებდა მის შემდეგ, და ყველას არჩია მძა, რადგან იცოდა მისი სიკეთე და სახელმწიფო საქმეების გონიერ განმგებლად ეგულებოდა. დაუყოვნებლივ უჩმო და მძიმედ დასაფიქრებელი საუბარი დაუწყო: „უძვირფასესო მძაო, ჩემი სიცოცხლის აღსასრული მოახლოვდა. შენ უნდა იტვირთო ხაერთო საქმე და უნდა დათანხმდე იმპერიის განმგებლობაზე. ეს გადაწვევტილება სასიკეთო ჩანს არა მხოლოდ ჩვენი სიხლით ხანათესაოსთვის, არამედ მთელი რომის იმპერიისათვის. სანამ თავად ვხუნთქავ და სამეფო დიადემა მამკობს, ჩაიბარე საქმე, რადგან შენ იცი, ბერო უთვალთვალეხს იმპერიის ძალაუფლებას“. ეს რომ მოისმინა, იოანე კუროპალატმა უფრო მოიძაგა ამ საქმეების მართვა, უარყო შეთავაზებული და განაცხადა, რომ მზად არის ყველაფერი გადაიტანოს, ვიდრე დათანხმდეს ქვეყნის მმართველობაზე. მაგრამ იოანეს მეუღლემ იცოდა ამ მოლაპარაკების ამბავი, მოუთმენლობისაგან იტანჯებოდა იმპერატორობის უარყოფის გამო და ქმარს უბეჯითებდა: „ჩემო მბრძანებელო, გამოუცდელად და შეუბრალებლად რატომ მიმართავ შენს ხმალს საკუთარი თავის წინააღმდეგ და იმათ წინააღმდეგ, ვინც ყველაზე ძვირფასნი არიან შენთვის, შენი უახაკო შეიღებისკენ მოაქციე მახვილს? განა არ იცი, რომ, თუ ვინმე ხელში ჩაიგლებს იმპერიას, ჩვენს ოჯახს დაუყოვნებლივ მოსპობს იმის იმედით, რომ ამით თითქოს საბოლოოდ უზრუნველყოფდეს თავის ძალაუფლებას. რატომ უნდა მოიქცე ასე უგუნურად, რითაც ჩვენც აშკარად საფრთხეში გვერი და სხეებსაც? რატომ ამბობ უარს ტანტზე, ყველასთვის რომ ეგრე სასურველია? თუ შენდობი, იქარე, გემუდარე, და მოიქციე ისე, როგორც შენი მძა და იმპერატორი გთავაზობს, - ხელთ იყარ იმპერია“.

თავი 5. თქვა რა ეს და კიდევ სხვა რაღაც, ვერ დაარწმუნა თავისი ქმარი, მაშინ ხეყვნა - მუდარას მიმართა, რახაც თან ახლდა ცრემლები და ოხვრა. მაგრამ იოანე შეუვალი და ურჩი დარჩა. ქალი დამარცხების გამო სასოწარკვეთილებაში ჩაეარდა და გაჩუმდა. ღრმად შეურაცხყოფილი იყო მისი თავმოყვარეობა და ღვარძლი მოეძალა მეუღლისადმი. აი, ასე უარყო იოანემ იმპერიის ხელისუფლება. რაც შეეჩება იმპერატორს, ავადმყოფობის გამწვავებით მასაც სასოწარკვეთა და, რადგან

ვერც ძმა დაიყოლია, პირი იბრუნა წარჩინებული და დამსახურებული კაცის - კონსტანტინე დუკასკენ. მოუხმო მას, მოელაპარაკა საქვეწმითო საქმეებზე, ანდო თავისი ოჯახი და იმპერატორის გვირგვინი დაადგა; შემდგომ თავისი მეწამული სამოსი ბერის ნაჩვევ ხამოსზე გაცვალა და ამგვარად ისააკი სტუდიის მონასტერში შედგა. დუკამ, თავის მხრივ, რა ხელთ იპყრა იმპერიის მმართველობა, სწრაფად აღაგმა პატივმოყვარენი და იწყო მეფობა მოკრძალებულად და სამართლიანად. როდესაც დაინახა, რომ წარჩინებულნი უმეტესწილად უღირსად ეყვრობოდნენ ხალხს, მათ კანონის უღელი დაადგა. იმათი თანხმობის გარეშე, ვინც სამართალს სჯიდა, მიჰყვა წინასწარმეტყველის მოსწავებას, არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ გადახრილა, ისე წარემართა სამეფო გზით; საშინელი და მრისხანე გამოჩნდა უსამართლოდ მოქმედოათვის, აჩმობდა რა მათს მტრულ წინააღმდეგობას კანონისაღმძი; ტყბილს და მშვიდობიანი იყო დაჩაგრულთათვის. არაკეთილშობილური არაფერი ჩაუღვინია მის მიმართ, ვინც მას იმპერია გადასცა. ისააკი დამკვიდრდა სტუდიის მონასტერში და მაშინ, როცა სიკვდილს ელოდა, დაუბრუნდა ჯანმრთელობა. დუკა არ იშლიდა მის პატივით შემოსვას, თავის ბატონს და მეუფეს უწოდებდა და მადლა აყენებდა, როცა ეწვეოდა ხოლმე. ხშირად მიდიოდა მასთან, ეაზღებოდა მთელი ოჯახით - მეუღლითურთ, ვაჟით, ძმით და ყველა ახლობლით. კომნენოსმა კიდევ ერთი წელი იცოცხლა ტახტის უარყოფისა და დუკას გამეფების შემდეგ.

თავი 6. დუკა შეიღი წელი მართავდა რომის იმპერიას, შემდეგ ბუნებრივი სიკვდილით მიიციკვალა. იმპერია იმემკვიდრა მისმა თანამეცხედრემ - ევლოკიამ - ვაჟიშვილებთან ერთად; ესენი იყვნენ კონსტანტინე და მიქაელი. იოანე კუროპალატი, დუკას სიკვდილიდან ცოტა ხანი გავიდა, რომ გარდაიცვალა. მან დატოვა რვა შვილი, ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ: ხუთი ვაჟი და ხამი ქალი, რომლებიც დედამ ბრწვინივალედ აღზარდა და მათში ყველა საგვარეულო ღირსება გამოაჩინა. ქალიშვილთაგან ორნი მამის სიცოცხლეშივე შეეუღლნენ კეთილშობილსა და მდიდარ მამაკაცებს, უფროსი - მარია - მიქელ ტარონიტესს, ხოლო უმცროსი - ევლოკია - ნიკიფორე მელისენოსს, გონიერსა და საკვირველ კაცს, რომელიც მამის მხრივ მორტიოების გვარის ჩამომავალი იყო. ყველაზე უმცროსი - თეოდორა - მამის სიკვდილის შემდეგ გათხოვდა დიოგენეს ვაჟზე - კონსტანტინეზე, რომლის მამახაც წილად ჰხვდა რომაელთა სკიპტრა. ეს ქორწინება დედამ მოაგვარა. კონსტანტინე კეთილშობილი და მამაცი იყო, მაგრამ ყოველად მოსაწონი ხახიათი არ ჰქონდა, როგორც მომავალმა გვიჩვენა. ასე დაქორწინდნენ იოანე კუროპალატის ქალიშვილები. უფროსი ვაჟი - მანუელი - მამის სიცოცხლეშივე შევიდა არმიამი; სწრაფვას იწენდა, მიებამა მამისათვის, და მიაღწია კიდევ ხარისხს და

ღირსებას. მომდევნო - ისააკი - მამყევბოდა თავისი ძმის კვალს. მესამე - ალექსი - ხაზეხ იყო ხათნოებით. მის ხაზეხ ისეთი მადლი და მიმზიდველობა ჰქონდა, როგორც ხზევის ხაზეხე არახოდეს არავის უნახავს. ყოველთვის მხიარული იყო და უსაზღვროდ კეთილი. რა შეიძლება ითქვას ალექსიზე, რა სიტყვები შეიძლება მიუხადაგოთ მისი ხახიათის მიმზიდველობას და ხათნოებას? მასში შერწყმული იყო ურთოერთხაპირისპირო თვისებები. ხაზრიანს, გონიერს და მეტად ხაქმიანს, ისეთი ნაზი და რბილი ხული ჰქონდა, რომ თითქმის შეუძლებელი ჩანდა მისი ოდნავაც კი გამოყვანა წონახწორობიდან. ჯერ კიდევ არ გაველო სიტაბუქის წლებს, მან ძლივს გაბედა დედისთვის ეთქვა, რომ ნება მიეცათ წახულიყო ხალაქროდ ძმასთან ერთად. სიმწიფის ახაკამდეც აჩვენა თავისი ღირსება, შეხანიმნავად იფარებდა ფარს და იხე იქნეულა შუბს, რომ მისი ხაზელი ყველას პირზე ეკერა. მაგრამ მისი გამარჯვებების თხრობა მცირე ხნით უნდა გადავდო და მივევე დაწეებულ ამბავთა მიმდინარეობას. დრო მოუა და მე ვილაპარაკებ მის მადალ ხაქმეებზე მას შემდეგ, რაც მის ძმებს მოუთგონებ - აღრიანეს და ნიკიფორეს, რომელსაც, ჯერ კიდევ ვრმებს, დედამ მიუჩინა აღმზრდელები ყოველმხრივი განათლების მისაცემად.

თავი 7. რომაელმა დიოგენემ ის - ის იყო დაიპყრო ტახტი, რომ ძმათაგან პირველს - მანუელს, რომელსაც მისი ნათესავი გაჩდა, უბოძა პროტოხატორის ღირსება. ხულ მალე მანუელს მიენიჭა აღმოსავლეთის ჯარების თვითმპყრობელი ხტრატეგოსის ხარისხი. მან გადალახა პროპონტიდა და გალატების ქვეყანაში დაიდო ბინა იმ დროს, როდესაც თურქები იწყებდნენ აღმოსავლეთ პროვინციების აოხრებას. ვინ იყვნენ თურქები და ხაიდან მოვიდნენ? როდის გახდნენ რომაელთა მეზობლები? ამის გახარკვევად აუცილებელია უფრო შორეული წარსულიდან მოვვევთ. თავდაპირველად ისინი მოვიდნენ ხაცხოვრებლად ჩრდილოეთის მხარეში, ტანაისის და ბოხოროის გაღმა, არცთუ შორს კავკასიონის მთებიდან. თვით-რჯული /აუტონომოსი/ გვარტომი იყო და რძით იკვებებოდა. მრავალრიცხოვანი და ფრიად მეომარი, იგი არახოდეს არცერთ ხალხს არ დაუმონებია. ხპარხეთის იმპერიაში განიცადა აგარენთა შემოსევა; ხარკინოხთა ბატონობა ვრცელდებოდა ხპარხეთზე, მიდიაზე, ბაბილონზე, ასირიაზე, ამას გარდა, ეგვიპტეზე, ლიბიაზე და ეეროპის არცთუ მცირე ნაწილზე. აგარის შეილებმა, რომლებიც ერთმანეთს ვერ იტანდნენ, გაიყვეს დიდი ხაზელმწიფო, ხადაც მრავალი ხამთაგრო ჩამოყალიობდა, ხხვადახხვა მმართველის ხაქვეშევრდომო. დაიწყო შინა ომების პერიოდი აგარენათთვის. ხპარხელთა, მიდების /Μηδών/, აბრიტანების და მიდიელთა /Μηδίων/ მამინდელმა წინამძღვარმა /ἀρχηγός/ მუხუშეთმა, იამბრაელის გაემა, იმპერატორ ხახილის ხანაში გაილაშქრა ინლოუ-

ლებსა და ბაბილონელებზე. როცა ნახა, რომ მისი საქმე უკან მიდიოდა, გადაწყვიტა ელჩები გაეგზავნა ჰუნებთან და მაშველი ძალა ეთხოვა. ელჩებს ძვირფასი საჩუქრები გაატანა. მათ ჩამოიყვანეს სამი ათასი მეომარი; მეთაურნი იყვნენ სტრანგოლიპისი /თოღრულ - ბეგი?/ და მუკალეთი, მაკვილის ძე. გადალახეს არაქსი, აიღეს ორივე ნაპირზე ციხე - ბურჯებით გამაგრებული ხიდი და შევიდნენ სპარსეთში. მუხუმეთმა თავის ჯარს შეუერთა რა დაქირავებული თურქები, თავს დაეცა არაბთა მთავარს /არხოთა/ პისარიოსს და ადვილად სძლია. შემდეგ იგი დაბრუნდა თავის ქვეყანაში იმ განზრახვით, რომ მოწინააღმდეგე ინდოელებს /Iv-dius/ მაშველ ძალებთან ერთად შეებოდა. მაგრამ თურქებმა უარი უთხრეს და უკან გაგზავნა სთხოვეს თავიანთ მიწაზე, ჰპირდებოდნენ არაქსის ხიდის დაცვას. მიუხედავად მუხუმეთის დაჟინებითი მოთხოვნისა, ხელი არ ეხლოთ მათთვის და მოეფიქრებინათ, როგორ გამოეყენებინათ ძალით, თურქები ამოწყვეტის შიშით განუდგნენ; კარბონიტისის უდაბნოში დაიძალნენ, რადგან მცირერიცხოვანთ ვერ გაბედეს შებრძოლებოდნენ ათუელ ათასობით მოწინააღმდეგეს. გამოდიოდნენ საფარიდან, ძარცვავენ და აქცევდნენ ხარკინოზების ქვეყანას.

თავი 8. მომხდარი ამბებით გაღიზიანებულმა მუხუმეთმა შეკრიბა ოცი-ათასიანი ჯარი და გაგზავნა თურქთა წინააღმდეგ, ჩაუყენა რა სათავეში ათი სტრატეგოსი, რომელიც სიმაძაცით და კეთილგონიერებით გამოარჩია ხარკინოზთაგან. მიადგნენ ესენი კარბონიტისის უდაბნოს. მაგრამ ვერ მოისაზრეს, რომ იქ შესაღწევად აკლდებოდათ წყალი და საკვები. დაბანაკდნენ რაც შეიძლებოდა ახლოს უდაბნოს საზღვართან და ბრძოლისათვის თადარიგი დაიჭირეს. ხოლო სტრანგოლიპისი უდაბნოს სიღრმეში დაბანაკდა. როგორც კი შეიტყო მის წინააღმდეგ განლაგებული მტრის ამბავი, გამართა ბჭობა თავის ხალხთან. არჩიეს ხელსაყრელ დროს, ღამით, დასცემოდნენ აგარენებსა და სპარსელებს. ორი დღის სწრაფი სიარულის შემდეგ, მესამე ღამეს, თავს დაეცა მათ სტრანგოლიპისი, როცა აგარენები და სპარსელები სრულიად არ ელოდნენ და არც შიში ჰქონდათ მტრისა; მრუმზადებელნი და დაუცველნი ადვილად დაამარცხა. ამის შემდეგ იგი წამოვიდა უდაბნოდან დიდძალი ნადავლითა და ტყვეებით, ეტლებითა და ცხენებით; მალულად აღარ დახსნია თავს ღვთაებებისა და ყაჩაღის წესით, გადაწყვიტა პირდაპირ შეებოდა. მის ბანაკში თავმოყრილნი იყვნენ სიკვდილით დასასჯელნი, უამრავი მონა, ნადავლს დახარბებული ხალხი; ცოტა ხანში შემოიკრიბა მნიშვნელოვანი ძალა, არა ნაკლებ 50 000 კაცისა. ასე დაიწყო სტრანგოლიპისის ამბავი. მუხუმეთმა, რომელსაც რისხვა სულ უფრო და უფრო ეძალებოდა საქმის ასე შემოტრიალების გამო, თვალები დასთხარა ათხავე სტრატეგოსს, ჯარისკაცებს დაემუქრა, რომ ქალის ტანსაცმელს ჩააცმევდა და ბრბოს აჩვენებდა აბუჩად ასაგდებად; თვით თურქებთან საბრძოლველად მოემზადა.

თავი 9. ამ მუქარიტ შეშინებული ჯარისკაცები გაიქცნენ და სტრანგოლიპისს შეუერთდნენ. მან ნახა, რომ ამ გადასვლით მიხი ძალები ივსებოდა, შეკრიბა მთელი ჯარი და გაილაშქრა მუხუმეთის წინააღმდეგ. ძირითადი ბრძოლისათვის ემზადებოდა. მაგრამ მუხუმეთმაც შეკრიბა სარკინოზები, სპარსელები, კაბირები და არაბები და შექმნა 500 000 - კაციანი ლაშქარი ასი კოშკის-მტკვართველი სპილოს თანხლებით. მთელ თავის ძალებთან ერთად იწვიოდა სტრანგოლიპისთან პირისპირ შეყრის სურვილით. და შეხვდა მას ასპანთან, სადაც მოხდა საშინელი ბრძოლა. ბევრი მეომარი დაკარგა ორივე მხარემ. მუხუმეთიც დაეცა, ოღონდ არც ისარი შეჰჩებია, არც შუბი. როდესაც იგი ცხენზე იჯდა და ამხნევებდა თავისიანებს, ცხენმა წაიბოროძიკა, მხედარი მასთან ერთად დაეცა, კისერი მოიტეხა და იქვე დაიღუპა. ამის გამო სპარსელთა ხიმრავლე სტრანგოლიპისის მხარეზე გადავიდა; იგი დაუყოვნებლივ აღიარეს გამარჯვებულად და სპარსეთის მეფედ გამოაცხადეს. უმაღლ მოხსნა არაქსის ხიდას დაცვა და თავისთან მოუხმო თურქ ხალხს. თურქთათვის გაიხსნა სპარსეთის კარი, საშუალება მიეცათ გადაეღაზათ მდინარე არაქსი, შეერთდნენ და თავიანთი სამშობლოს მტრებს მუსრი გააველეს. თურქებმა მოხსეს სპარსელები და სარკინოზები, დაეპატრონნენ სპარსეთს, სტრანგოლიპისს უწოდეს ხულთანი, როგორც არქმევდნენ მეფეთ - მეფეს და ყოვლისმპყრობელს. ასე რომ მან სპარსელთა და სარკინოზთა მთელი ძალაუფლება თურქებს გადასცა ხულთ და მთელი სპარსეთი მათ დაუმორჩილა.

თავი 10. ასე გახდნენ თურქები რომაელთა მოსაზღვრენი სპარსეთზე გაბატონების შემდეგ. მაგრამ, ვკონებ, აუცილებელია სწორედ ის გაამბოთ, რა მიზეზით დაიწყო ომი რომაელებთან, თურქები რომ ასე უფროთხოვდნენ თავიდან და შიშობდნენ იმის ხსენებასაც კი, რა სამამაცო საქმენი ჭმნეს სამთა იმპერატორთა; მე ვგულისხმობ ნიციფორე ფოკას, იოანეს და ბახილი პოროფიროვენეტს. თურქები ფიქრობდნენ, რომ ამ სამთა ხიმხნე და ძლევამოსილება კიდევ ცოცხლობდა რომაელებში. სტრანგოლიპისმა, როგორც ვთქვით, დაიმორჩილა სპარსელთა სამეფო, დიდი სიმდიდრის და ჯარების მპყრობელი გახდა, გაიმარჯვა სარკინოზებზე, რომელნიც უწინ სპარსელთა მოსაზღვრენი იყვნენ და იბრძოდნენ მუხუმეთის წინააღმდეგ, ხელშეკრულებით დაზავდნენ ისინი და სპარსელთა წინააღმდეგ ომი მოამზადეს. შეუდგა რა ამ განზრახვის განხორციელებას სტრანგოლიპისი, ჯერ თავს დაესხა პიხასირიოსს, ბაბილონის მთავარს, მრავალ ბრძოლაში სძლია, ბოლოს სიკვდილით დასაჯა და გამეფდა ბაბილონზე. არაბთა არქეგოსის - კარმესისის - წინააღმდეგ გაგზავნა კუტლუმუსი, თავისი ბიძაშვილი, და მას ანდო მნიშვნელოვანი ძალა. კუტლუმუსი შეება არაბებს, მაგრამ ბრძოლის ველიდან სამარ-

ცხინოლ მოკურცხლა. უკანდახვეის დროს, როდესაც მიდების ქვეყანაზე ელო გზა, მოისურვა დაბანაკება ბაასის ახლოს. მაგრამ შეეშინდა რომაელებისა, რომელთაც ეპყრათ მაშინ მდიოა, ელჩები აახლა პროვინციის /*χώρας*/ მთავარს, ხოლო მიდიის მთავარი იყო სტეფანოზი, ბიძა კონსტანტინესი, მაშინდელი მეფის თანამმართველისა /*παρὰδυναστεύοντος*/, რომელსაც ლიკუდიასაც უწოდებდნენ. კუტლუმუხის ელჩები სიხოვდნენ რომაელ მმართველს, ნება დაერთო გაჩერებულ იყვნენ მის ტერიტორიაზე და სიტყვას აძლევდნენ, რომ თავს შეიკავებდნენ ქვეყნის გამარცხისაგან. პროვინციის მთავარმა /*პრეტორმა*/ იფიქრა, რომ ეს თხოვნა გამოწვეული იყო შიშით, შეკრიბა ადგილობრივი მცხოვრებლები და თავს დაესხა თურქებს. ეს იყო ომში გამოუცდელის ბრძოლა გაწვრთნილ მეომრებთან. მთავარმა - სტეფანოზმა - ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია, იგი დამარცხდა. დიდი რაოდენობა რომაელებისა დაიღუპა და მათი მეთაური ტყვედ ჩავარდა. გამარჯვებული კუტლუმუხი მივიდა ბრიდიოსს, გაყიდა თავისი ტყვე როგორც მონა, დაბრუნდა სულთანთან და წარუდგინა ანგარიში, ხადაც ის ბოდიშს იხდიდა თავისი სამხედრო ოპერაციის გამო. სიცრუით შეთხზა მიდიის გადაღახვის ამბავი; რომ ეს იყო ნაყოფიერი ქვეყანა, რომელიც ეპყრათ ქაღებს, ამით სურდა დაეჩახიათებინა ცუდი ჯარისკაცები, რომლებთანაც ბრძოლა მოუხდა. ასეთი მოხსენებით გათამამებულმა სულთანმა გაგზავნა დაახლოებით ოცი ათასი კაცი რომაელების წინააღმდეგ, ჩაუყენა სათავეში თავისი ძმისწული ახანი, ზედწოდებით „ერუ“, და მიხცა გეგმა, ხასწრაფოდ ჩახულიყო მიდიაში და დაეპყრო, თუ არ დაემორჩილებოდა მას. ახე დაიწყო ომი თურქებისა რომაელთა წინააღმდეგ, - ომი, რომელიც დღემდის გრძელდება.

თავი II. მანუელ კუროპალატი, მთელი აღმოსავლეთის ჯარების მხედართმთავრად გამოცხადებული დიოგენეს მიერ, ხალტიკოსთან იღვა და აკვირდებოდა თურქების სამხედრო მოძრაობას. მზეგრაკებმა შეატყობინეს, რომ თურქების ბრბოს მეთაურობდა ხრისოსკულოსი, სულთანთა დინასტიის ჩამომავალი, რომელსაც სპარსეთის იმპერიაზედაც ეჭირა თვალი და რომელმაც დაიწყო რბევა არმენიაკთა პატარა დაბებისა. მანუელ კომნენოსმა გააერთიანა თავისი ძალები და გაილაშქრა თურქებზე. ისინი გაფანტული იყვნენ სამარცხვავად და ადვილი ჩანდა მათი განდევნა. რომაელები ხელ ახლოს მიადგნენ თურქების ბანაკს, შეეჯახნენ მათს დამოუკიდებელ რაზმებს, რომლებიც მუდმივად არსებობდნენ, და გულადად შეებრძოლნენ. მაგრამ ბრძოლის განგრძობა ვერ შეძლეს და მათმა ფაქტობრივმა გაქცევით უშველეს თავს, დაიშალნენ და მხედართმთავარიც იძულებული შეიქნა გაქცეულიყო. იგი ხელთ იგდეს თურქებმა ორ სიძესთან - მელისენოსთან და ტარონიტესთან - ერთად. რომაე-

ლებმა დაკარგეს მხოლოდ რამდენიმე კაცი. მანუელს, რომელიც წარუდგინეს თურქ ხრისოსკულოსს, მიაჩნდა, რომ არ შეპყროდა შეუსრულებლობა რამდენიმე აქტისა მისი ჩაღის ღირსების დახატავად. მან მოიმოქმედა ფრთად დასაფასებელი რამ, რაზედაც საჭიროა ვილაპარაკოთ. იგი მიხვდა, რომ მისი მოწინააღმდეგე განდგომილი იყო სულთანისაგან და სპარსეთის იმპერიის ხელში ჩაგდებაც სურდა. მანუელმა მოხინჯა შესაფერი გზა. მოლაპარაკების დროს, როცა მასთან პირისპირ იმყოფებოდა და ამის გარკვევის საშუალება ეძლეოდა, ნახა, რომ მისი მტერი შიშით იყო აღსავსე, რადგან თავისი ძალებით სულთანისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. მაშინ მან ტკბილად დაუწყო ხაუბარი და, მიაღწია რა მტრის სიუხემის შერბილებას, უფრო ძლიერ არგუმენტებს მიმართა და ახლად სცადა მოწინააღმდეგის ცთუნება. ხრისოსკულოსს სპარსეთის ტახტი სურდა, მაგრამ რადგან საკუთარი ძალებით თავის განზრახვას ვერ განახორციელებდა, უნდა შეკავშირებოდა რომაელთა იმპერატორს და ეს კავშირი გამოეყენებინა თავისი მიზნის მისაღწევად. ხრისოსკულოსმა მოუსმინა ტყვეს, მისი რჩევა მიიღო და კონსტანტინეპოლში გაემგზავრა. მან, ვინც დამარცხდა იარაღით, გაიმარჯვა მტკვერმეტყველებით. ამ გმირობამ დიდი სახელი მოუტანა კუროპალატ მანუელ კომნენოსს. მისი მიღწევა იმსახურებდა კიდევაც ხოტბას და დიდებას. იმპერატორმა მანუელი და ხრისოსკულოსი მიიღო როგორც კეთილმოხურნემ და ძვირფასი ძღვენი უბოძა.

სსს კონვენცია

„აღუქსიადა“

წინახიტყვა

თითქმის ნახევარსაუკუნოვანი კრიზისის შემდეგ, XI საუკუნის II ნახევარში, ბიზანტიის იმპერიას ხათავეში ჩაუდგა კომნენოსთა დინასტია. აღუქსი I-ის /1081-1118 წწ./, მისი შვილის იოანე II-ის /1118-1143 წწ./ და შვილიშვილის მანუელ I-ის /1143-1180 წწ./ მმართველობის დროს ეკონომიკურ სტაბილიზაციასა და იმპერიის შინაგანი მდგომარეობის განმტკიცებასთან ერთად არნახულ წარმატებას მიაღწია კულტურისა და მეცნიერების განვითარებამ.

კომნენოსთა დინასტიის დამაარსებლის, იმპერატორ აღუქსი კომნენოსის ქალიშვილი ანა, თავისი დროის ერთ - ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო. კარგად იცნობდა ბერძნულ ლიტერატურას, ფილოსოფიას, ლეთისმეტყველებას, აინტერესებდა ასტროლოგია და მედიცინა. იგი ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწის, მეცნიერისა და მწერლის ნიკიფორე ვრიენიოსის მეუღლე იყო და მისი გარდაცვალების შემდეგ დაასრულა ნიკიფორეს ისტორიულ ჩანაწერებზე მუშაობა. ანა კომნენეს მთავარი ნაწარმოებია „აღუქსიადა“, მამის - აღუქსი კომნენოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონიკა, რომლის მიზანია განადიდოს და უკვდავოს იმპერატორი აღუქსი, ვინც მართლაც უდიდესი როლი ითამაშა XII საუკუნეში ბიზანტიის იმპერიის აღორძინებაში. სიცოცხლის ბოლო წლებში მონასტერში განმარტოებულმა ანა კომნენემ დაგვიტოვა დახვეწილი ბერძნული ენით დაწერილი, ელნისთა პოეტების ციტატებით შემკული შესანიშნავი ეპიკური თხზულება, რომელიც დღესაც დიდი ინტერესით იკითხება.

თ ა ვ ი I

1. მამაჩემმა, იმპერატორმა აღუქსიმ, ძალაუფლების მიღებამდე დიდი ხარკებლობა მოუტანა რომის იმპერიას. სამხედრო სამსახური მან 196

ჯერ კიდევ რომანოზ დიოჯენეს დროს დაიწყო. გასაოცარი აღმიანი იყო და ტოლ - ხწორთა შორის არნახული ხიმამაცით გამოირჩეოდა. თოთხმეტი წლისას ძლიერ სურდა იმპერატორ დიოჯენეს მიერ ხპარსელთა წინააღმდეგ წარმოებულ მძიმე ომში მიეღო მონაწილეობა და დაუოკებელი ხწრაფვით ემუქრებოდა ბარბაროსებს, რომ ხელჩართულ ბრძოლაში მახვილს მათი ხისხლით შეღებავდა. ასეთი მებრძოლი ხელი ჰქონდა ამ ჭაბუკს. მაგრამ მამის იმპერატორმა დიოჯენემ ნება არ დართო თან გაჰყოლოდა, რადგანაც ალექსის დედა დიდ მწუხარებას შეეპყრო. იგი დასტიროდა თავის პირში მანუელს, რომელმაც დიადი და სახელოვანი საქმენი აღახრულა რომის იმპერიის სადიდებლად. დიოჯენეს არ სურდა უნუგეშოდ დაეტოვებინა დედა, რომელმაც ჯერ ისიც არ იცოდა, ხად დაეხაფლაკვებინა ერთი გაჟი, მეორე კი საბრძოლველად უნდა გაეგზავნა და შიშობდა, ვითუ ჭაბუკს უბედურება შეემთხვეს და ხადმე უცნობ ადგილას დაეცესო. ამიტომ ყრმა ალექსი იძულებული გახდა დედასთან დაბრუნებულიყო. მართალია, მამის თავისი სურვილის წინააღმდეგ ჩამოშორდა მებრძოლთ, მაგრამ დადგა დრო და მას ფართო ახპარეზი გადაეშალა გმირულ საქმეთა აღსახრულებლად. ალექსის ხიმამაცე ნათლად გამოჩნდა იმპერატორ მიხეილ დუკას მმართველობისას ურსელიოსის წინააღმდეგ ბრძოლაში, მას შემდეგ, რაც დამხობილ იქნა იმპერატორი დიოჯენე.

ეს კელტი რომაელთა ჯარში იბრძოდა, მაგრამ წარმატებებით დიდად გაამაყებულმა მრავალრიცხოვანი ლაშქარი შემოიკრიბა გარშემო, რომელიც ნაწილობრივ მის თანამემამულეთაგან შედგებოდა, დანარჩენნი კი სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები იყვნენ, და ამის შემდეგ მრისხანე ტირანად იქცა. ურსელიოსი იმ დროს დაესხა თავს რომის იმპერას, როდესაც მისი ძლიერება შერყეული იყო, თურქები სჯაბნიდნენ რომაელებს და ისინი იხე იხეედნენ უკან, როგორც ქვიშა - ფეხქვეშ. ურსელიოსს ძალაუფლების მოყვარე სული ჰქონდა, ხოლო, როცა სახელმწიფოს შავად წაუყიდა საქმე, მასში ნამდვილმა ტირანმა გაიღვიძა და თითქმის მთელი აღმოსავლეთი დაარბია. და თუმცა მის წინააღმდეგ საბრძოლველად გზავნიდნენ სამხედრო საქმეში განაფულსა და ხიმამაცით სახელგანთქმულ სარდლებს, ურსელიოსი სძლედა მათ მრავალნაცადობას; ზან თვისთონ უტყვედა, გრიგალავით ატყდებოდა თავს და უკუაქცევდა მოწინააღმდეგეთ, ზან კი თურქ მოკავშირეებს იშველიებდა. შეუძლებელი იყო მისი შეტევის მოკერება; მრავალი დიდებული ჩაიგდო ტყვედ და მიმოფანტა მათი რაზმები.

იმხანად შამაჩეში ალექსი უმცროსი სტრატეგოსი და ხელქვეითი იყო თავისი ძმისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლაშქართა ხარდლობა. და რადგანაც იმ დროს რომაელებს

შავი დღე აღვათ, ეს ბარბაროსი კი მეჩვიეთ მუხრავდა ვეფლაფერს, გა-
დაწყდა, რომ სახელოვანი ალექსი მას ღირსეულ მეტოქეობას გაუნწვდა
და იმპერატორმა მიხეილმა იგი სტრატეგოს - ავტოკრატორად დანიშნა.
მამაჩემმა გამოიყენა მთელი თავისი გამჭრიახობა და საკმაოდ მოკლე
ხანში შექმნილი მხედართმთავრისა და მეომრის გამოცდილება /დიდი
შრომისმოყვარეობისა და ფიზიკური გონების წყალობით საომარი ხე-
ლოვნების მწვერვალს მიაღწია და ისეთ სახელოვან ადამიანებს გაუ-
ტოლდა, როგორც იყვნენ რომაელი ემილიუს ხციპიონი და კართაგენე-
ლი ჰანიბალი, თუმცაღა, როგორც ამბობენ, ძალზე ახალგაზრდა იყო და
ახლად წვერ - უღვაჟ აშლილი, ამიტომაც დიდი დრო არ დასჭირვებია
ურსელიოსის შესაპყრობად, წაღვეკვას რომ უქაღდა რომაელებს, და აღ-
მოსაველეობის საქმეთა მოხაზვარებლად. ის ხომ სწრაფად იღებდა გა-
დაწვევტილებებს და კიდევ უფრო სწრაფად ახორციელებდა ჩანაფიქრს.

ალექსის მიერ ურსელიოსის შეპყრობას დაწერილებით აგვიწერს კე-
ხარი თავისი „ისტორიის“ მეორე წიგნში, მე კი იმდენად შევეჩვიე ამას,
რამდენადაც საჭიროა ჩემი თხრობისათვის.

2. დაახლოებით ამავე დროს აღმოსავლეთის შორეული ქვეყნებიდან
რომაელთა დახარბევად უძლიერესი ღაშქრით გამოემართა ბარბაროსი
ტუტახი. ურსელიოსი კი, სტრატოპედარქოსისაგან მრავალგზის შევიწ-
როებულს, ერთიმეორის მიფრლებით კარგავდა ციხე - სიმაგრეებს და,
მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვანსა და ბრწყინვალედ შეიარა-
ღებულ ღაშქარს სარდლობდა, მამაჩემი ალექსი აშკარად ჩრდილავდა
საზრიანობით. ამიტომ ურსელიოსმა გადაწყვიტა ტუტახისათვის მიე-
მართა. ბოლოს, სრულიად უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი ჩვება
ტუტახს, მეგობრობას აღუთქვამს და ვვედრება მოკავშირეობაზე დათან-
ხმდეს. მაგრამ სტრატოპედარქოსი ალექსი წინ აღუდგება და უფრო
სწრაფად დაიახლოვებს ბარბაროსს; სიტყვებით, ხარუქრებით, ათასნაი-
რი გზითა და საშუალებით მიიმჩრობს მას. ის მართლაც ხეებზე მო-
ხერხებულს იყო და შეეძლო მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი მოე-
ძებნა. ტუტახის მიმჩრობის ვეფლაზე უკეთესი საშუალება, მოკლედ რომ
ვთქვათ, შემდეგი სიტყვები გახლდათ: „შენი ხელათანი და ჩემი იმპერა-
ტორი მეგობრები არიან. ეს ბარბაროსი ურსელიოსი კი ბედავს ორივეზე
აღმართოს ხელი, ორივეს უმტროს, შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწი-
ოს ერთსაც და მეორესაც. გამუდმებით თავს ეჩხმის რომაელთა სამ-
ფლობელოებს, ნაწილ - ნაწილ იტაცებს მათ და, იმავედროულად, სპარ-
ხელებსაც ართმევს მიწა - წყალს, რომელიც შეიძლებოდა მათ დარჩე-
ნოდათ. ურსელიოსი ვეფლაფერს მოხერხებულად წვევტს. ამჟამად შენი
ღაშქრით ჩემს დაშინებას ცდილობს, ხოლო როდესაც ხელსაყრელი
დრო დაუდგება და ჩემი შიში აღარ ექნება, უკანვე მოგიბრუნდება და
198

შენზე აღმართავს ხელს. თუკი მერწმუნები, როდესაც კვლავ მოვა შენთან, შეიპყარი და შეკოჭილი გამომიგზავნე მრავალრიცხოვანი რაზმის თანხლებით. ამრიგად, - განაგრძობდა ალექსი, - სამსაგ ხარგებელს ნახავ: ჯერ ერთი, იმდენ ფულს მიიღებ, რამდენიც არახოდეს აუღია ვინმეს; მეორეც, თვითმპყრობელის კეთილგანწყობას დაიმსახურებ, რისი წყალობითაც ბედნიერების მწვერვალს მიაღწევ, და, შესამოკ - ხელთან დიდად დაგიმადლებს ესოდენ მძლავრ მტერს რომ მოაშორებ, რომელიც რომაელებსაც ებრძოდა და სპარსელთა წინააღმდეგაც ილაშქრებდა“.

აი, ეს შეუთვალა ელჩების პირით ზემოთხსენებულ ტუტახს მამაჩემმა, რომელიც იმ დროს რომაელთა ლაშქარს სარდლობდა; დათქმულ დროს გაუგზავნა მძევლებად დიდებულნი, დიდძალი ფული აღუთქვა ტუტახის ბარბაროზებს და ურხელიოსის შეპყრობაზე დაითანხმა. მათ ძალე აღასრულეს დანაპირები და ურხელიოსი სტრატოპედარქოსთან გაგზავნეს ამასიაში. მაგრამ იქიდან ფულმა დაიგვიანა, რადგანაც ალექსის საკმარისი სახსრები არ გააჩნდა, იმპერატორი კი არას დაგიღვედათ ამას. ფული, ტრაგედიის სიტყვებისა არ იყოს, ნელა კი არ მოდიოდა, ხაერთოდ არ ჩანდა. ტუტახი დაჟინებით მოითხოვდა დაპირებულ თანხას ან იმას, რომ უკან დაებრუნებინათ ნაყიდი ურხელიოსი და ნება დაერთოთ მისთვის წახულიყო იქ, სადაც დაიჭირეს. ალექსის კი არ ჰქონდა ტყვეში გადასახდელი ფული.

მიმივ ფიქრებით შეპყრობილმა გაატარა მთელი ღამე და გადაწყვიტა, ამასიის მცხოვრებთათვის გამოერთმია საჭირო თანხა. როდესაც გათუნდა, სიძნელის მიუხედავად, მოუხმო მათ, განსაკუთრებით კი გავლენიანსა და შეძლებულ მოქალაქეებს, და ძირითადად ამ უკანასკნელთ მიმართა: „ვეულას მოვეხსენებათ, როგორ მოექცა ეს ბარბაროსი არმენიაკის ქალაქებს, რამდენი დაბა და სოფელი დაარბია, რამდენ კაცს დაატეხა თავს აუტანელი უბედურება, თქვენც რამდენი ფული გამოგძაღათ. ახლა კი შეგიძლიათ, თუკი მოიხურებთ, თავი დაიხსნათ მისი სიავისაგან. ამიტომაც არ შეიძლება ურხელიოსის გაშვება. თქვენ ხედავთ, რომ ღვთის წყალობითა და ჩვენი მცდელობით ეს ბარბაროსი შეკოჭილი გყავს, მისი შემპყრობი ტუტახი კი საფასურს მოითხოვს. ჩვენ გვიჭირს, რადგანაც დიდი ხანია უცხო მხარეში ვიმყოფებით და ბარბაროსებთან ბრძოლაში შემოგვეხარჯა ყველაფერი, რაც გვებადა; იმპერატორი ასე შორს არ იყოს და ეს ბარბაროსი ცოტას გვაცლიდეს, ვეცდებოდი კონსტანტინეპოლიდან მიმეღო საჭირო თანხა. მაგრამ აკი თვითონვე ხედავთ, რომ ეს შეუძლებელია, ამიტომ ერთად შემოიტანეთ ფული და იმპერატორი ჩემი მემურობით დაგიბრუნებთ ყველაფერს, რაც გავციოთ“. მისმა ნათქვამმა, რომელიც მაშინვე უარყვეს, ამასიელთა აღშფოთება და საშინელი აურზაური გამოიწვია. გამოჩნდნენ ავის მზრახველი შუო-

თისთავეები, რომლებიც მღელღარებას აღვივებდნენ და სამტროდ აქეზებდნენ ხალხს. წარმოუდგენელი ხმაური ატყდა. ზოგს არ უნდოდა ურსელიოსის გაშვება და მის შესაპყრობად აქეზებდა შუკრებილთ, ზოგი კი მძვინვარებდა /ახეთია სულმადბალი ბრბო/, ურსელიოსის მოტაცებას და ბორკილებისგან მის განთავისუფლებასაც კი აპირებდა. ხალხის ასეთი გააფთორება რომ დაინახა, სტრატოპედარქოსი მიხვდა, რა განსაცდელშია ცხადგლო თავი, მაგრამ არ შემდრკალა, გული გაიმადგრა და შეეცადა ხელის აწვეით დაემშვიდებინა ბრბო. ძლივს დააცხრო მღელღარება და ამ სიტყვებით მიმართა შუკრებილთ: „მიკვირს, ამასიელნო, როგორ ვერ ამჩნევთ მათ შხაკრობას, ვინც თქვენს მოტყუებას ცდილობს, ხაკუთარ კეთილდღეობას თქვენი ხისხლის ფახად ყიდულობს და ერთავად უდღეს ზიანს გაყენებთ. რას გარკვებთ ურსელიოსის ტირანია მკვლელობის, ხანძრობის, ხელ - ფეხის მოკვეთის გარდა? ავის მხრახველნი, ერთის მხრივ, ბარბაროსს ემსახურებიან და ამით იცავენ თავიანთ ხაკუთრებას ხელყოფისგან, მეორეს მხრივ კი, იმპერატორის წყალობას იმსახურებენ, რომელსაც თავს აწონებენ - ბარბაროსს არც ქალაქი ამასია დაეუთმეთ და არც მისი მცხოვრებნიო; ხინამდვილემი კი ხრულებით არ ადარდებთ თქვენი ბედი. მათ იმიტომ სურთ ტირანისის დამყარება, რომ მიელაქეცონ, კეთილი იმედებით აღავსონ ბარბაროსი და ხელუნლებლად შეინარჩუნონ თავიანთი ქონება, იმაკდროულად კი იმპერატორისგან მოითხოვენ პატყსხა და ხადომკარს. ახალი გადატრიალება რომ მოხდეს, კვლავ განზე გადგებიან და მბრძანებლის რისხვას თქვენ დაგატყვენ თავს. თუკი მერწმუნებით, ზურგი აქციეთ იმათ, ვინც შფოთისაკენ მოვიწოდებთ, შინ წადით, აწონ - დწონეთ ჩემი სიტყვები და მიხედებით, ვინა თქვენი კეთილმოხურნე.“

3. ეს რომ მოისმინეს, ამასიელებმა მაშინვე შეიცვალეს აზრი და დაიშალნენ. მაგრამ სტრატოპედარქოსმა იცოდა, რომ ბრბო, ჩვეულებრივ, გადამწვევტ მომენტში იცვლას ზოლმე აზრს, განსაკუთრებით კი თუ მას ავის მხრახველნი აქეზებენ. აღუქსი შიმობდა, ღამით არ მოსულიყვენ მისი მოწინააღმდეგენი, რათა ციხიდან დაეხსნათ და ბორკილებისგან გაეთავისუფლებინათ ურსელიოსი. და რაკი ძალა არ შესწევდა, რომ გამკლავებოდა, პალამედუსის შესაფერ ფანდს მიმართა. ხალხს მოაჩვენა, თისქოს ურსელიოსის დაბრმავება სურდა. ტყვე მიწაზე დაავდეს და, როდესაც ჯალათი რკინას მიუახლოვებდა, დაჭრილი ლომივით გმინავდა და ღმუოდა. გარეგნულად ყველაფერი თვალების დათხრას მიავავდა; ურსელიოსს თავი ისე უნდა მოეჩვენებინა, თისქოს მართლაც აბრმავებდნენ და, ბრძანებისამებრ, გმინავდა და ბლაოდა, ხოლო ის, ვისაც ჯალათობა მიანდეს, მრისხანედ დახცქეროდა მიწაზე განრთხმულს და ისე მძვინვარედ ირჯებოდა, რომ ყველას ეგონა, ნამდვილად თვალეხხა

სიხრიზო. ასე დაუბრძალებლად დააბრძავეს ტყვე. ხალხი კი აზრიალდა და ყველგან დაირჩა ხმა ურსელიოსის დასჯის შესახებ. ამ თვალთმაქცობამ აიძულა ამასიელნიც და უცხოელებიც, ფუტკრებივით თავიანთი წელილი შეეტანათ ხაერთო ხარჯში. ყოველივე ეს, ალექსის ჩანაფიქრით, იმას ისახედა მისხნად, რომ ვინც ფულის მიცემას თავს არიდებდა და მამაქემის ჩელიდან ურსელიოსის დახსნა ხურდა, - დარწმუნებულიყო თავისი განზრახვის უნაყოფობაში, დამცხრალყო და იმედგაცრუებული დაჰყოლოდა სტრატოკლემარქოსის ნებას, რათა მისი კეთილგანწყობა მოეპოვებინა და თავიდან აეცილებინა იმპერატორის რისხვა. ამნაირად რომ დაინარჩუნა ურსელიოსი, სახელოვან ხარდალს ისე ჰყავდა იგი, როგორც ლომი - გალიაში. ტყვეს თვალეები ახეული ჰქონდა მოჩვენებითი ხიბრძავის ნიშნად.

მამაქემი ამას არ დახეერდა, სახელი კი მოიხვეჭა, მაგრამ არც სხვა ხაქმეებზე აუღია ჩელი. ურსელიოსის ამბოხების დროს განმდგარი ბევრი ქალაქი და ციხე - ხიმაგრე აიღო და კვლავ იმპერატორის ძალაუფლებას დაუმორჩილა. შემდეგ ციხეი შემოაბრუნა და ხამყოფო ქალაქს მიაშურა. მამაქაქეულ ქალაქში ჩახულმა თავის თავსაც და ლაშქარსაც ხულის მოიქმის ხაშუალება მისცა ხანგრძლივი გაჭირვების შემდეგ და იქ ისეთივე სახწაული მოახდინა, როგორიც ჰერაკლემ აღმეტეს მეუღლის ალექსტიდას დახსნიხას.

როდესაც დოკიანემ, უწინდელი იმპერატორის ისააკ კომნენოზის დისწულმა და ალექსის მამიდაშვილმა (ჩამომავლობითაც და ღირსებითაც წარჩინებულმა კაცმა), დაინახა თვალახევეული ურსელიოსი, რომელიც ზელაჩიღებულს მოჰყავდათ, დიდად დამწუხრებული ატირდა, ყვედრება დაუწყო ხარდალს და გულჭკაობის გამო ჰკიცხავდა, რატომ დახსნარე თვალეები ამ კეთილშობილ კაცსა და ნამდვილ გმირს, რომელიც ხაერთოდ არ იყო დასჯის ღირსიო. ამაზე ალექსიმ მიუგო: „ ჩემო მეგობარო, ახლავე გაივებ მისი დაბრძალების მიზეზს“. სწრაფად შეიფვანა ოთახში დოკიანე და ურსელიოსი, ტყვეს ხაზიდან ხაჩვევი მოხსნა და დოკიანეს მისი ცუცხლევითი მოელვარე თვალეები დაანახა. ეს უკანახკენეო სახტად დარჩა და გაოგნებულმა აღარ იცოდა, რა უფიქრა ესოდენ დიდი სახწაულის მიხილველს; თვალეებზე ხელს ადებდა, რომ დარწმუნებულიყო, გრძნეულება იყო, რასაც ხედავდა, სიზმარი თუ ცხადი. როდესაც მიხვდა, რა კაცთმოფვარეობა გამოიჩინა მისმა ბიძაშვილმა ამ კაცის მამართ, გაიგო მისი მოხერხებულობა, ძლიერ გაიხარა, გადაეხვია და გადაჰკოცნა ალექსი და განცუთფრება სიხარულით შეეცვალა. ასევე გაიხარეს მბრძანებლის მხლებლებმა, თვით იმპერატორმა მიხვილმა და მთელმა ხალხმა.

4. შემდეგ იმპერატორმა ნიკიფორემ, რომელსაც უკვე ხელთ ეყრა რომის იმპერიის კვერთხი, დახაველეთით, ნიკიფორე კრესინოზის წინა-

აღმდეგ ხაბრძოლველად გაგზავნა ალექსი, ვინაიდან კრიენსიოსმა ააფორიაქა მთელი დასავლეთი, დიადუმა დაიდგა და რომაელთა იმპერატორად გამოაცხადა თავი. იმპერატორი მიხეილ დუკა დამხობილ იქნა და გვირგვინისა და მანტიის ნაცვლად ხაქსკოპოსო პოდირი და ეპიმედე ჩაცვა. იმპერატორის ტახტზე დაჯდა ბოტანიატეხი; როგორც უფრო დაწვრილებით შეიტყობთ ქვემოთ, მარიამ დედოფალი შეერთო ცოლად და სახელმწიფოს მართვას შეუდგა. მაგრამ ნიკიფორე კრიენსიოსმა, რომელიც იმპერატორ მიხეილის დროს დირაქიოსის დუკა იყო, ჯერ კიდევ ნიკიფორეს ტახტზე ახელამდე დააპირა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება და მიხეილის წინააღმდეგ შეთქმულების მოწვიობა განიზრახა. ზედმეტად მიამანია იმის აღწერა, თუ როგორ და რატომ მოხდა ეს: კესარის თხზულება გვაუწყებს ნიკიფორეს ამბოხების მიზეზს. მაგრამ სრულიად აუცილებლად ვთვლი მოკლედ გადმოგვით, როგორ გამოიყენა ნიკიფორემ ქალაქი დირაქიოსი საყრდენ ბურჯად, თავს დაესხა დასავლეთ პროვინციებს, დაამორჩილა იხინი და, ბოლოს, როგორ შეიპყრეს თვით მეამბოხე ვისაც ხურს დაწვრილებით შეიტყობს ეს ამბავი, მე მიუუთითებ კესარის წიგნზე.

კრიენსიოსი ზედმიწევნით განაფული იყო ხაომარ ხელოვნებაში და, თანაც, დიდად წარჩინებულაი გვარის შვილი გახლდათ; ახოვანებითა და სილამაზით შემკული, მრავალს ჩრდილაუდა გონების გამჭრიახობით და მკლავის ხიმტაციით, ახე რომ, ნამდვილად იმპერატორობის ღირსი იყო. დარწმუნების უჩვეულო ძალას ფლობდა და შექმლო ერთი შეხედვითა და გულთაღი საუბრით მოენადირებინა ჩაღხის გული, ახე რომ ყველანი, შემომრებიცა და კერძო პირნიც, ერთხულოვნად ანიჭებდნენ პირველობას და მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთზე მბრძანებლობის ღირსადა თვლიდნენ. ყველა ქალაქის მცხოვრებნი ხელგამდისნი ეგებებოდნენ მოაჩლოებულ ნიკიფორეს და მეზობელ ქალაქამდე ტაშის კვრით მიაცილებდნენ. ყოველივე ამან შეამოფოთა ბოტანიატეხი, არეულ-დარეულობა გამოიწვია მის ლაშქარში და საგონებელში ჩააგდო მთელი სახელმწიფო. გადაწყდა კრიენსიოსის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი თავისი ლაშქრით გაეგზავნათ მამანეში ალექსი კომნენოსი, რომელიც ცოტა ხნის წინათ დანიშნულ იქნა სხოლების დომესტიკოსად. რომის იმპერიას ამ მხარეთა მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. აღმოსავლეთის ლაშქარი სხვადასხვა ადგილებში იყო მიმოფანტული, თურქებმა კი გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო და თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს ექსინოს პონტოსა და კელესპონტს, ეგეოსისა და სირიის ზღვებს შორის, შემოსახლვრული ხარობითა და სხვა მდინარეებით, რომლებიც პამფილიასა და კილიკიაში მიედინებიან და ეგვიპტის ზღვას ერთვიან. ახეთი იყო აღმოსავლეთის ლაშქრის მდგომარეობა. და-

საკლუთით კი იმდენი მეომარი მიემხრო კრიენიოსს, რომ რომის იმპერიას ძალზე მცირერიცხოვანი მხედრობა დარჩა. ამ ლაშქარს შეადგენდა ზოგიერთი „უკვდავი“, რომელთაც, დიდი ხანი არ იყო, რაც მაჩვილი და შუბი აედოთ ხელში, ხომატიელთა მცირერიცხოვანი რაზმი და კელტების ლაშქარი, რომელიც საგრძნობლად შეთხელებულიყო.

აი, ასეთი ჯარი მისცა იმპერატორმა მამაჩემ ალექსის, მოკავშირეობა ხსიოვა თურქებს და უბრძანა კრიენიოსის წინააღმდეგ გალაშქრება; თუმცა კი სარდლის გამჭრიახობისა და საომარი ხელოვნების იმედი უფრო ჰქონდა, ვიდრე მისი ლაშქრის. ალექსი აღარ დაელოდა მოკავშირეებს; როდესაც შეიტყო, რომ მტერი სწრაფად ახლოვდებოდა, კარგად აღჭურვა მეომრები, თვითონაც შეიარაღდა და სატახტო ქალაქი დატოვა. თრაკიას რომ მიაღწია, მდინარე აღმერთან დასცა ბანაკი, იხე რომ თხრილები და ზღუდე არ შემოუვლია. მან გაიგო, რომ კრიენიოსის ჯარი კიდოკტის ხეობაში განლაგებულიყო და უმჯობესად მიიხნია ორივე ლაშქარი - მისიც და მოპირისპირისაც - ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით ყოფილიყო დაშორებული. ალექსიმ კრიენიოსის პირისპირ არ განაღაგა მეომრები, რათა ამ უკანასკნელს არ შეეგჭო მისი ძალების სიმცირე. იგი მცირერიცხოვანი და გამოუცდელი რაზმით უნდა შეებოდა მრავალრიცხოვანსა და ბრძოლებში ნაცად ლაშქარს და, რადგანაც მოწინააღმდეგესთან მამაცურად, პირისპირ შეებმა ფუჭი იქნებოდა, გადაწყვიტა მოხერხებით გამოეტაცა მისთვის გამარჯვება.

5. წემი თხრობა ამ ორი დიდებული ვაჟკაცის - კრიენიოსისა და მამაჩემ ალექსის შეტაკებამდე მივიდა /არცერთი არ აღემატებოდა მეორეს სიმამაცით, არცერთი არ ჩამოუვარდებოდა მეორეს გამოცდილებით/. რაკილა მოწინააღმდეგეებმა ურთიერთსაპირისპიროდ განაღაგეს თავიანთი მოლაშქრენი, ბრძოლის ბედსაც უნდა მივადევნოთ თვალი. ორივე ვაჟკაცი საუცხოო და დიდებული იყო; ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ მკლავის სიმტკიცითა და გამოცდილებით, ჩვენ კი უნდა ვნახოთ, საით გადახარა ბედმა სასწორი. კრიენიოსი სამხედრო ძალაზე, საკუთარ გამოცდილებაზე და ლაშქრის ხელსაყრელ განლაგებაზე ამყარებდა იმედს, ალექსის კი თავისი ლაშქრის იმედი ნაკლებად ჰქონდა და მხოლოდ თავისი ხელოვნების ძალასა და საომარ ხრიკებს იყო მინდობილი.

ორივემ თვალი ჰკიდა ერთმანეთს და მიხვდა, რომ უკვე მოაწია ბრძოლის დაწყების დრომ. როცა გაიგო, რომ ალექსიმ წინსვლა შეწყვიტა და მდინარე კალაურისთან დასცა ბანაკი, კრიენიოსი მის წინააღმდეგ გამოემართა. მან შემდეგნაირად განაღაგა თავისი ლაშქარი: ორ ფრთად დააწყო მეომრები; მარჯვენას სარდლობა თავის ღვიძელ ძმას იოანეს მიანდო; ამ ფრთას შეადგენდა ხუთი ათასი მოლაშქრე: იტალიელები, მანიაკეს რაზმელები, თესალიელი მხედრები და ჰეტერიის საკმაოდ მრავალ-

რიცხოვანი მეომრები. მარცხენა ფრთას ხათავეში ედგა კატაკალონ ტარხანიოტი, ვის განკარგულებაშიც იყო ხაში ათასი კარგად შეიარაღებული მაკედონელი და თრაკიელი. თვით ვრიენიოსი კი ორივე ფრთის შუაგულს ხარდლობდა. მის ხელქვეით იყვნენ მაკედონელები, თრაკიელები და დიდებულთა რჩეული რაზმი. ყველანი თხალღიურ ცხენებზე იხდნენ, ელავედა მათი რკინის აბჯარ - ჩაჩქანი; ცხენები ყალფზე დგებოდნენ; თავზარდამცემი იყო ფარების ქღრიალი, საჭურვლისა და მუზარადების ბზინვა. თვით ვრიენიოსი არეხივით თუ გიგანტივით ტრიალებდა ლაშქრის შუაგულში, მთელი ერთი წყრითთ ზემოდან დაჰყურებდა ყველას და განცვიფრებითა და ძრწოლით ავხებდა მხედველთ. საომარი წყობიდან ასე ორი სტადიონის დაშორებით განლაგებულ იყვნენ მოკავშირეები - ბარბაროსულად აღჭურვილი სკვითები. გაცემულ იქნა ბრძანება: როგორც კი გამოიხსნებოდა მტერი და ბუკის ხმა საომრად მოუწოდებდა მოლაშქრეთ, სკვითები ზურგიდან უნდა დასცემოდნენ მოწინააღმდეგეს, სეტყვასავით დაეყარათ ისრები და შეევიწროვებინათ იგი; დანარჩენებს კი უნდა შეეშვიდროვებინათ თავიანთი რიგები და მიჯრით მისწოლოდნენ მტერს.

ხოლო მამაჩემმა ალექსი კომნენოსმა გულდახმით დაათვალიერა იქაურობა და ლაშქრის ნაწილი ღარტაფებში განალაგა, ნაწილი კი მოწინააღმდეგის პირისპირ. საომრად რომ განაშაზადა ორივე ნაწილი, ჩახაფრებულნიცა და გაშლილ ადგილას მდგარიც, ფრთიანი სიტყვით მიმართა მეომრებს და გაამჩნევა თითოეული მათგანი. ჩახაფრებულ რაზმს უბრძანა, როგორც კი ზურგში მოექცეოდა მტერს, მოულოდნელად დახსმოდა თავს და მთელი ძალით შეეტია მარჯვენა ფრთისათვის. ეგრეთწოდებულნი უკვდავნი და კელტების ნაწილი თვითონვე იახლა, ხომატიელებისა და თურქების ხარდლობა კი კატაკალონს მიანდო, რომელსაც უბრძანა მთელი ყურადღება სკვითებზე გადაეტანა და მოეგერიებინა მათი შეტევა.

ახეთი იყო საქმის ვითარება. როგორც კი ვრიენიოსის ლაშქარი ღარტაფებს მიუჩლოვდა, მამაჩემ ალექსის ნიშანზე ხაომარი ყიფინით ამოცვივდნენ ჩახაფრებულნი მეომრები და მოულოდნელი თავდახსნით არივდარივს მოწინააღმდეგის რიგები; დაუნდობლად ელეტდნენ და მუსრს ავლებდნენ ყველას, ვინც ხელთ მოხვდებოდათ, და უკუაქციეს მტერი. მაგრამ იოანე ვრენიოსმა, მთავარხარდლის ძმამ, გაიხსენა ძველი მხნეობა, რისხვით აივხო, ცხენი შემობრუნა და ერთი დარტყმით ძირს დასცა უკვდავი, რომელიც მოხაკლავად მისდევდა, შეაჩერა უკუაქციული ფალანგა, საომრად დააწყო და დაიფრინა მტერი. უკვდავი აირ - დაირივნენ და თავქუდმოვლუკიღონი გაიქცნენ, მტერი კი მისდევდა და მუსრს ავლებდა მათ.

ამახობაში მამაჩემი მტრის შუაგულში შეიჭრა, მამაკურად იბრძოდა და გამარჯვებული გამოდიოდა ყველგან, ხადაც გამოჩნდებოდა; ჩეხავდა

და მუსრს აკლებდა ყველას, ვინც მასთან შებმას გაბედავდა. გააფთრებით მებრძოლს ეგონა, ჩემი მეომრები უკან მომყვებიან და ზურგს მიმაგრებენო. მაგრამ როდესაც დაინახა, რომ მისი ფალანგა დაირღვა და უკუიქცა, გარს შემოიკრიბა რამდენიმე მამაცი მეომარი /სულ ექვსნი იყვნენ/ და გადაწყვიტა ხმლით გაეკაფა გზა კრიენიოსისაკენ, დაურიღებლად დასხმოდა თავს და, თუ საჭირო იქნებოდა, მასთან ერთად დაცემულიყო.

მაგრამ ერთ - ერთი მეომარი - თეოდოტე, რომელიც სიყრმიდანვე მსახურებოდა მამაჩემს, წინ აღუდგა ამ ჩანაფიქრს და ესოდენ სახსოფათო განზრახვაზე პატრონს ხელი ააღებინა. აღუქსიმ აზრი იცვალა და გადაწყვიტა მცირეოდენი მანძილით გასცლოდა კრიენიოსის ლაშქარს. უკუიქცულ მეომართაგან თავი მოუყარა ყველაზე მამაცთ, საომრად დააწყო ისინი და კვლავ საბრძოლველად განემზადა. მაგრამ ადგილიდან დაძვრაც ვერ მოახწრო, რომ სკეითები საომარი ყოფინით ეკვეთინენ კატაკალონის ხომატიელთ, სწრაფად მიმოფანტეს ისინი და თავიანთ ჩვეულ საქმეს - ძარცვას შეუდგნენ. ასეთია სკეითების ტომი: მტრის საბოლოო დამარცხებასაც აღარ დაელოდებიან, მყისვე ძარცვას მიჰყოფენ ხელს და წყალში ყრიან გამარჯვების ნაყოფს. მსახურები, რომლებიც უკან მიხედვდნენ კრიენიოსის ლაშქარს, სკეითების შიშით მწყობრძში შეცვივდნენ, თავიანთი უთავბოლო ლტოლვით არივ - ღარიეს საომარი რიგები და საბრძოლო აღმები ერთმანეთში აილუფხნენ. ამასობაში მამაჩემმა აღუქსიმ, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, ჯერ კიდევ მტრის გარემოცვაში იმყოფებოდა, ანახლად თვალი შეახწრო, რომ კრიენიოსის ერთ მეჯინიბეს ძოწის ახალით დაბურული და ოქროცურვილი აკაზმულობით დარახტული ცხენი მოჰყავდა, გვერდით კი, როგორც წესი და რივი მოითხოვს, რომიყვებით მოხდევდა ამაღა. ამის დანახვაზე აღუქსიმ მუზარადის პირბადე ჩამოიფარა და ზემოხსენებული ექვსი მეომრით თავს დაესხა მათ. ძირს დასცა მეჯინიბე, ხელთ იგდო სამეფო ცხენი, მასთან ერთად რომიყვებიც და შეუმჩნეველად გამოვიდა გარემოცვიდან. უსაფრთხო ადგილას რომ დაიგულა თავი, ეს ოქროცურვილი აკაზმულობით დარახტული ცხენიცა და რომიყვებიც, რომლებიც თან დააქვეთ იმპერატორის ორსავ მხარეს დარაზმულ მცველებს, ერთ მჭკქარე ხმის პატრონ მაცნეს გაატანა და უბრძანა, მთელი ლაშქარი დაეელო და ხმაამაღალი ყვირილით ეუნყებიანა ყველახათვის, რომ კრიენიოსი დაეცა.

ამ ცნობამ აიძულა ერთად მოეყარათ თავი და მობრუნებულ იყვნენ მამაჩემის - ხოლოების დიდი დომესტიკოსის - გაფანტული მეომრები, დანარჩენებს კი მხნეობა ჩაუნერგა გულში. მოლაშქრენი იმავე ადგილას გაქვავდნენ, სადაც მაცნეს ხმა მისწვდათ, უკან მოიხედეს და გაოგნებულნი დარჩნენ მოულოდნელი ხანაზობით. უჩვეულო სურათი იყო: ცხენებს წინ გაეშვირათ თავი, მხედრები კი უკან იყურებოდნენ, არც წინ

წახვლის ხურვილი ეტყობოდათ, არც სადავის მოზიდვის და მობრუნებისა, არამედ განცვიფრებულნი და გაოგნებულნი იყვნენ ყოველივე იმით, რაც მოხდა. სკვითები კი, რომლებიც დაბრუნებაზე ოცნებობდნენ და უკვე სახლის გზას აღგნენ, აშკარად აღარ აპირებდნენ მათ დევნას, არამედ, ორივე ლაშქარს განშორებულნი, თავიანთი სადავლითურთ ხაღდაც დაძრწოდნენ. მაცნეს ყიფინმა, ვრიენიოსი შეიპყრეს და მოკლესო, თანდათანობით გაამხსენა მხდალნი და უკუქცეულნი. ეს ცნობა მართალსა ჰგავდა, ვინაიდან ყველგან უჩვენებდნენ ხამეფოდ დარაჩტულ ცხენს, ხოლო რომფეები თავისთავად მოწმობდნენ იმას, რომ მცველებით გარშემორტყმული ვრიენიოსი მტრის ხელით დაეცა.

6. შემდეგ ბედმა ასე იხება: სქოლების დომესტიკოსს ალექსის მოკავშირე თურქთა რაზმს ეახლა. როდესაც გაიგეს, ბრძოლა შეწყდაო, თურქებმა მოისურვეს შეეტყოსო, ხად იღგა მტერი, და მამაჩემმა ალექსი კომნენოსმა, რომელიც მათთან ერთად ავიდა ბორცვზე, ხელით ანიშნა, აი, იქაა მტრის ლაშქარიო, თურქები კი თითქოს სამზირიდან დაჰყურებდნენ მოწინააღმდეგეს. მტრის ხაქმე ასე იყო: ერთად შექუჩებული და არეულ - დარეული მჟომრები ისე გულარზეინად იყვნენ, თითქოს გამარჯვება უკვე მოუპოვებინოთ, და საფრთხის გარეშე ეგონათ თავი. ამ დაუდევრობის მიზეზი უპირატესად ის გახლდათ, რომ მამაჩემის თანამებრძოლი ფრანკები უკუქცევისას ვრიენიოსის მხარეს გადავიდნენ. როცა იხინი ცხენებიდან ჩამოსტნენ და მარჯვენა ხელი გაუწოდეს ვრიენიოსს, რითაც, მამაპაპური ჩვეულებისამებრ, ერთგულებას აღუთქვამდნენ, ამ ხანაჯობის საყურებლად ყოველი მხრიდან მოჯარდნენ მოლაშქრენი. ვრიენიოსის ლაშქარში ბუკის ხმასავით დაირხა მითქმა - მითქმა, ფრანკებმა მიატოვეს არქისტრატეგოსი ალექსი და ჩვენ შემოგვიერთდნენო. ასე ერთად შექუჩებული მოლაშქრენი რომ დაინახეს, მამაჩემმა და ახლად მოხულმა თურქებმა ხამად დაჰყვეს მთელი ლაშქარი; ორ რაზმს ჩახაფრება უბრძანეს, მესამეს კი მტერზე იერიშის მიტანა. მთელი ეს გეგმა მამაჩემ ალექსის ეკითხნოდა.

თურქები ფალანგებად დაწყობილნი კი არ უტყვდნენ, არამედ ცალკეულ რაზმებად განლაგებულნი, რომლებსაც მცირეოდენი მანძილი აშორებდათ ერთმანეთისაგან. თვითველი რაზმი ჭენებით უნდა მისჭროდა მტერს და ხეტყვასავით დაეფარა ისრები მისთვის. თურქებს მიჰყვებოდა მამაჩემი ალექსიც, რომელმაც ეს ხერხი მოიგონა. თავისი გაფანტული მჟომრებიდან მან შეკრიბა იმდენი ხალხი, რამდენის შეკრებაც შეეძლო ამ დროის განსაველობაში. აქ მამაჩემის მხლებელმა ერთმა უკვდავმა, გამბედავმა და შეუპოვარმა კაცმა, ცხენს დეზი ჰკრა, წინ გაიჭრა და სადავეშიშვებული ჯიქურ ეკვთა ვრიენიოსს, რომელსაც მთელი ძალით შიგ გულში ამგერა შუბი, მაგრამ ვრიენიოსმა ხამინელი ხისწრაფით იმიშველა ხმალი და, ვიდრე შუბი ღრმად შეერტობოდა, თვითონვე გა-

დაჭრა იგი, შემდეგ დამჭრელს მთელი ძალით დაკრა ხმალი ლავიწზე და აბჯრითურთ მოაკვეთა მკლავი. თურქები ერთიმეორის მიყოლებით მიიწვედნენ და ისრებს ისრებზე აყრიდნენ მტერს. ვრიენიოსის მეომრები გაოგნებულნი იყვნენ ამ ანახდეული თავდასხმით, მაგრამ შეერთდნენ, მწვობრად დაეწვევნენ, თავიანთ თავზე მიიღეს ბრძოლის ხიმშიმე და ხაომრად აღაგზნეს ერთმანეთი. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ თურქებმა და მამაჩემმა მოწინააღმდეგეს იხე მოაჩვენეს თავი, თითქოს ნელ - ნელა უკან იხევდნენ, თან გაიყოლეს და ჩასაფრებულთა შორის შეიტყუეს მტერი. პირველ საფარს რომ გაუსწორდნენ, შემობრუნდნენ და პირისპირ შეეგებნენ მდეკარს. დათქმულ ნიშანზე აქეთ - იქიდან კრაზანებივით ამოცვივდნენ ჩასაფრებული მეომრები, ხაომარი ფიფინით, გნაახითა და ისრების უწყვეტი ზუზუნით დააყრუეს და ყოველი მხრიდან თავდატყნილი ისრების წვიმით დააბრმავეს ვრიენიოსის მეომრები. ამას კი ველარ გაუძღვს ვრიენიოსის მოლაშქრეებსა /უკვე ყველა დაჭრილი იყო - ცხენებიც და ადამიანებიც/, აღამი დახარეს უკან დახვეის ნიშნად და საშუალება მისცეს მტერს ზურგიდან ეკაყა იხინი. თუმცაღა ვრიენიოსი, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლით ქანცგაწყვეტილი იყო და მტრებისაგან შევიწროებული, დიდ ხიმამაცესა და მხნეობას იჩენდა, დაუნდობლად მუსრავდა ყოველი მხრიდან მიხეულ მომხდურს და მამაცურად წარმართავდა უკან დახევას. ვრიენიოსის ერთ მხარეს მისი ძმა იბრძოდა, მეორე მხარეს კი - გაეი; გმირულად მებრძოლნი ნამდვილ სასწაულებს ახდენდნენ.

ვრიენიოსის ცხენი დაიღალა, აღარც გატყევის თავი ჰქონდა და აღარც ღვეისა /ვისნიდან უწყვეტი ჭენებით ხიკვლილის პირას იყო მიხული/; მხედარმა სადავე მოზიდა, კეთილმობილი ათლეტივით შედგა, ხელჩართული ბრძოლისათვის გამზადებული, და ორ მამაც თურქს მოუჩნო შესარკინებლად. ერთმა მათგანმა შუბი აძგრა, მაგრამ, ვიდრე მისივე ჭრილობას მიაყენებდა, გაცილებით უფრო მძიმე დარტყმა იწვინია ვრიენიოსის ხელისთ. ამ დარტყმით ვრიენიოსმა მკლავი მოაკვეთა, რომელიც შუბთან ერთად დაკარდა ძირს. მეორე თურქი დაქვეითდა, ჯიქივით მივარდა ვრიენიოსის ცხენს, გავას უტაცა ხელი, მაგრად მიეკრა და ზედ ახტომა დააპირა. ვრიენიოსი გააფთრებული შემოტრიალდა, უნდოდა ხმლით გაეგმირა თურქი, მაგრამ ვერახდილებით ვერ შესძლო ეს, ვინაიდან თურქი აქეთ - იქით იხრებოდა მის უკან და დარტყმას იცილებდა. ბოლოს, მარჯვენა რომ მოუღუნდა ხმლის ფუჭად ქნევით, ათლეტიც დაიქანცა და მტრებს დანებდა.

როცა შეიპყრეს და ამით დიდი სახელი მოიხვეჭეს, აღუქნია კომნენოხს მიჰკვარეს იგი. მამაჩემი ვრიენიოსის დატყვევების აღვილიდან შორს როდეს იდგა, თავის მეომრებსა და ბარბაროსებს ფალანგებად აწყობდა და ხაომრად აქეზებდა მათ. ჯერ მაცნეთა პირით აუწვევს ვრიენიოსის

დატყვევების ამბავი, შემდეგ კი თვითონ მიჰგვარეს სტრატეგოსს. ვრიენი-
ოსი საშინელი სანახავი იყო ბრძოლაშიაც და ტყვეობაშიაც. ასე და ამ-
რიგად ხელს რომ იგდო ვრიენიოსი, ალექსიმ იმპერატორ ბოტანიატეს
გაუგზავნა იგი; ტყვის თვალებისთვის კი ხელი არ უხლია. იხეთი კაცი არ
იყო კომნენოსი, რომ დატყვევების შემდეგ ანგარიში გაეწვროებინა თავი-
სი მტრობისათვის. მისი აზრით, ბრძოლის ველზე ტყვედ ჩაგარდნაც საე-
სებით საკმარისი სასჯელი იყო. ამიტომ დიდ კაცთა მოყვარეობას, კეთილ-
მოსურნეობასა და შემწყნარებლობას იჩენდა ტყვეების მიმართ; ასევე
მოუქცა იგი ვრიენიოსსაც. მისი შეპყრობის შემდეგ საკმაო მანძილზე
გაჰყვა ტყვეს, ხოლო როდესაც მიუახლოვდნენ... წოდებულ ადგილს,
ალექსიმ, რომელსაც სურდა კეთილი იმედით გაეპარებინა ტყვის მწუ-
ხარება, თქვა: „მოდე, ჩამოხდეთ ცხენებიდან, მცირე ხნით ჩამოვხედეთ
და შევისვენოთ.“ ვრიენიოსი კი, რომელსაც ემინოდა, სიცოცხლეს მო-
მისწრაფებენო, შეშლილსა ჰგავდა და დახვეწება აღარც ახსოვდა. მაშ,
რა მოუვიდოდა კაცს, რომელსაც სიცოცხლის არავითარი იმედი აღარა
ჰქონდა? ასე მონა, მით უმეტეს, დატყვევებული, უყოყმანოდ ემორჩილება
ნებისმიერ ბრძანებას.

ორივე ბელადი ჩამოქვეითდა. ალექსი, როგორც სარეცელზე, მაშინვე
წამოწვა მწვანე მდელოზე, ვრიენიოსმა კი ვარჯჯანიერი მუხის ფეხზე
შიდო თავი. ალექსის ჩაეძინა, ვრიენიოსს კი, ტყილხმიანი ლექსისა არ
იყოს, „არ გაეკარა ნეტარი ძილი.“ აიხედა და ტოტზე დაკიდებული ხმა-
ლი დაინახა; ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო; თავისი დათრგუნვილობა
დახსლია, მხნეობა მოიკრია და გადაწყვიტა მამაჩემი მოეკლა. მალე
აღასრულებდა კიდევ განზრახულს, ერთგვარ უზენაესსა და ღვთაებრივ
ძალას რომ არ შეეშალა ხელი, რომელმაც დააცხრო მისი მძინვარება
და აიძულა ვრიენიოსი მოწყალება გამოეჩინა სტრატეგოსისადმი. მე
ხშირად მომხმენია, როგორ ყვებოდა მამაჩემი ამ ამბავს. აქედან ყველას
შეუძლია დაასკვნას, რომ ღმერთი როგორც ძვირფას საუნჯეს, უფრო
ღირსეული ხვედრისათვის იფარავდა მამაჩემს, რათა მისი შემეუობით
აემაღლებინა რომაელთა კვერთხი. ხოლო თუ ამის შემდეგ ვრიენიოსს
სავალალო რაღაც შეემთხვა, ეს იმპერატორის კარისკაცების საქმეა, მა-
მაჩემს ბრალი არ მიუძღვის ამაში.

7. ასე დასრულდა ლაშქრობა ვრიენიოსის წინააღმდეგ. მაგრამ მამა-
ჩემს, დიდ დომესტიკოსს ალექსის, მოსვენება არ ეწერა; იგი იძულებული
იყო ბრძოლა ბრძოლაზე გადაეხადა.

ბორილოსი, ბოტანიატესთან დაახლოებული ერთ-ერთი ბარბაროსი,
ქალაქიდან გამოემართა მამაჩემის – დიდი დომესტიკოსის – შესახვედ-
რად ჩაიბარა ვრიენიოსი და დამართა მას ის რაც დამართა. ხოლო მამა-
ჩემს იმპერატორის სახელით შემოუთვალა, ვახილაკიოსის წინააღმდეგ
გაელაშქრა, რომელმაც ასევე დაიბადა თავს სამეფო დიადემა და ვრიენი-
208

ოსის შემდეგ განუწყვეტლივ ამღვრედა წყალს დასაუღელთში. განსაცვიფრებელი ადამიანი იყო ვასილაკიოსი თავისი სიმამაცით, სულის სიმხნევით, შეუდრეკელობითა და სიმლიერით. ძალაუფლების მოყვარე სული ჰქონდა და უმაღლეს პატივსა და ტიტულებს ითვისებდა, ზოგს ცბიერებით, ზოგსაც - ძალით. ვრიენიოსის დამარცხების შემდეგ მის შემკვიდრედ გამოაცხადა თავი და მთელი მისი ძალაუფლება ჩაიგდო ხელთ. ეპიდამნოსით დაიწყო /ილირიკოსის მთავარი ქალაქით/, გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდა და თითქმის მიაღვა კიდევ თესალიელთა ქალაქს; თვითონვე გამოაცხადა თავი იმპერატორად და, საითაც მოეპრიანებოდა, იქით მიჰყავდა ვრიენიოსის თავგზააბნეული მეომრები. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეს კაცი განცვიფრებას იწვევდა ახოვანებით, მკლავის სიმტკიცით და ზეიადი იერით; სწორედ ეს თვისებები იყრობს ყველაზე მეტად უხეში და მეომარი ხალხის გულს, ხალხისა, რომელიც არ იხედება ადამიანის სულში და არას დაგიდევს სიჭეულეს, სხეულის სრულქმნილებით კმაყოფილდება, აღფრთოვანებული რჩება სიმამაცით, ძლიერებით, სიმკვირცხლითა და ახოვანებით და თვლის, რომ ეს საკმარისია პორფირისა და დიადემის მოსაპოვებლად. თუმცა ამ ღირსებებთან ერთად ვასილაკიოსს კეთილშობილი, მამაცი და უდრეკი სულიც ჰქონდა. და საერთოდ, იყო რაღაც მბრძანებლური მის სწრაფვასა და მზერაში. მუხივით მგრგვინავი ხმა ჰქონდა და მთელ ლაშქარს თრგუნავდა, მისი შეძახილი კი, ვისაც გნებავთ იმას მიჰხდიდა სულის სიმხნევებს. ვერაინ შეედრებოდა მჭევრმეტყველებაში და თანაბარი წარმატებით შეეძლო საომრადაც წაექეზებინა მეომრები და უკან დახვევაც ეიძულებინა. აი, ასეთ უპირატესობას ფლობდა ეს კაცი, უძლეველი ლაშქარიც შემოიკრიბა გარს და, როგორც მოგახსენეთ, თესალიელთა ქალაქს მიაღდა.

მამაჩემი ალექსი კომნენოსი, თავის მხრივ, ისე აღიჭურვა მის წინააღმდეგ საბრძოლველად, თითქოს საშინელ ტიფონს ან ასმკლავიან გიგანტს უნდა შეებასო; მთელი თავისი საომარი ხელოვნება და სულის სიმხნევე მოიშველია და ღირსეულ მოწინააღმდეგესთან შესარკინებლად განეშადა. ჯერ კიდევ არ ჩამოებერტყა გარდახდილი ბრძოლების მტკერი, არც სისხლი ჩამოერეცხა ხელებიდან და მახვილიდან, - მან როგორც მძეივარე ლომმა აღიგზნო რისხვა და ეშვებალეხილი ტახის - ვასილაკიოსის წინააღმდეგ გაილაშქრა.

ალექსი უახლოვდება მდინარე ვარდარიოსს, როგორც მას იქაურები უწოდებენ. ეს მდინარე მისიის მომიჯნავე მთებიდან მოედინება, მრავალ მხარეს გადასერავს, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ყოფს კერიისა და თესალონიკის მიმდებარე მიწებს და ჩვესს სამხრეთის ზღვას ერთვის. დიდ მდინარეებს ასე სჩვევიათ: როდესაც ჩამონატანი შლაში საკმაოდ მაღალ მიწაყრილად გროვდება, მდინარე თავის ძველ მიმართულებას იცვლის და უფრო დაბლა მიედინება, წყლისაგან დაცლილი ძვე-

ლი კალაპოტი შრება, ახალი კი მთლიანად ივსება ნაკადით. მამანქმა აღუქსიმ, დიდად გამოცდილმა მხედართმთავარმა, ორ კალაპოტს - ძველსა და ახლად წარმოქმნილს შორის დარჩენილი სივრცე შენიშნა. რაკილა თვლიდა, რომ მდინარის დინება ერთი მხრიდან დაიფარავდა, მის მახლობლად დასცა ბანაკი და ბუნებრივ თხრილად გამოიყენა ძველი კალაპოტი, რომელიც მძაფრი დინების წყალობით ციცაბო ხრამად ქცეულიყო; ორსავე კალაპოტს ერთმანეთისაგან არა უმეტეს ორი თუ სამი სტადიონი ჰყოფდა. მაშინვე ყველას ებრძანა დღის განსაულოებაში დაეხვეწათ, კარგად გამოეძინათ და საეკმარისი საკვები მიეცათ ცხენებისათვის; რადგან შებინდების შემდეგ ფნიზლად უნდა ყოფილიყვნენ, რომ მტერი მოულოდნელად არ დახსმოდათ თავს.

უფიქრობ, მამანქმა იმიტომ გასცა ამნაირი ბრძანება, რომ იმ ხალხის მტრის თავდასხმის შიში ჰქონდა. იქნებ თავისი მრავალნაცადობის წყალობით წინასწარ გრძნობდა საფრთხეს, ან იქნებ სხვა რამ ნიშნის მიხედვით ხვდებოდა ამას. ყველაფერი ბრძოლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე იწინასწარმეტყველდა; წინასწარვე გაითვალისწინა ყველაფერი და ხათანადო თადარიგიც დაიჭირა. ბანაკი აჰყარა და თავისი მეომრებით, საჭურვლით, ცხენებითა და ყოველივე იმის თანხლებით, რაც საჭიროა ბრძოლისათვის, იქაურობას გაეცალა. ბანაკში მან დატოვა ანთებული კოცონები, რომლებიც ყოველი მხრიდან ჩანდა და ერთი თავისი მხლებელი იოანიკიონი, რომელსაც დიდი ხანია სამონაზვნო ცხოვრების წესი აერჩია. მას მიახლო თავისი კარავი, სურსათ - ხანოვავე და დანარჩენი ავლადიღებდა. თვითონ აღუქსი შორიანლოს გაჩერდა შეიარაღებული ლაშქრითურთ და დაელოდა, რა მოხდებოდა. ამით მას სურდა, რომ ვახილაკიონს, რომელიც დაინახავდა ანთებულ კოცონებსა და მამანქმის განაჩინებულ კარავს, უფიქრა, აღუქსი იქ არის და არ გამიჭირდება მისი შეპყრობა და დატყვევება.

8. მამანქმს, როგორც მოგახსენეთ, წინასწარმეტყველება არ გაუცრუვდა. ვახილაკიონი მხედართა და ფეხოსანთა მრავალრიცხოვანი ლაშქრითურთ მალე მიადგა იმ ადგილს, სადაც ბანაკი ეგულებოდა. ყოველი მხრიდან ცეცხლის ალით განათებული სადგომები და სტრატეგოსის განაჩინებულ კარავი რომ დაინახა, თავზარდამცემი ყიჟინითა და ღრიალით ჯიქურ შეიჭრა შიგ. მაგრამ რაკი არხად ჩანდა ის, ვისი ხელში ჩაგდებაც სურდა, და კარვიდან საერთოდ არ გამოსულა არავინ, არც მეომარი და არც სარდალი, თუ არ ჩავთვლით ბანაკში დატოვებულ რამდენიმე საცოდავ მსახურს, ვახილაკიონი კიდე უფრო ხმამაღლა აყვირდა: „სად გაქრა ენაბლუ?“ ის მასხარად იგდებდა დიდი დომესტიკოსის ნაკლს. მამანქმ აღუქსის სიტყვა უჭრიდა და მხელად თუ ჰკოცნიდა მას. ზე უფრო დახვეწილ რიტორს მხედლობისას თუ მტკიცებისას, მაგრამ „რო“ ბგერის წარმოთქმისას, ცოტა არ იყოს, ენა ებმოდა და ბორძიკობ-

და, თუმცა საეკსპედიციო გამართულად წარმოსთქვამდა სხვა ბეგრებს. ასე შეურაცხყოფილად ყვიროდა ვასილაკიოსი, მერე ჩხრეკას მიჰყო ხელი და ვველაფერი გადააქოთა: სკივრები, ხალაშქრო ხარეცლები, ჭურჭელი და თვით მამაჩემის ხაწოლიც - სადმე ხომ არ დამალაო. თან თვალს არ ამორებდა ბერს, რომელსაც სახელად იოანიკიოსს უხმობდნენ. შვილზე ზრუნვას გადაყოლილი დედა ცდილობდა, რომ მამაჩემს ლაშქრობისას მუდამ თან ზღუბოდა ერთი ღირსეული ბერი, და მოხიყვარულე შვილიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა დედის ნებასურვილს, არა მარტო ბავშვობაში, არამედ სიჭაბუკეშიაც, ცოლის შერთვამდე. ვასილაკიოსმა მთელი კარავი გაჩხრიკა; არისტოფანეს სიტყვებით რომ ვთქვათ, გამწარებით იკვლევდა „ერებოისი იღუქმალ უკუნს“ და თან იოანიკიოსს ეეთხებოდა დომესტიკოსის ასაკულ - დასაკვალს. რაკილა ბერი ჯიუტად იმეორებდა, აღუქსი კაი ზანია თავისი ლაშქრითურთ წავიდარო, ვასილაკიოსი მიხვდა, რომ სასტიკად მოტყუვდა, ბლავილი მორთო და ბოლოს იყვირა: „მოგატყუეს, მოლაშქრენო! მტერი წასულა!“ სიტყვის დასრულებაც ვერ მოახწრო, რომ ვასილაკიოსის მოლაშქრეების წინაშე, რომლებიც უკვე ტოვებდნენ ბანაკს, მოულოდნელად გამოჩნდა მამაჩემი აღუქსი, რამდენიმე მეომართან ერთად ჭენებით რომ მოუძლოდა წინ თავის ლაშქარს. როცა დაინახა, რომ ერთი კაცი საომრად აწვობდა ფაღანგებს (ვინაიდან ვასილაკიოსის მოლაშქრეთა უმრავლესობამ ძარცვა - გლეჯას მიჰყო ხელი, - სწორედ ამაზე ამყარებდა იმედს მამაჩემი, - და ვიდრე თავმოყრასა და საომრად დაწვობას მოახწრებდნენ, დიდი დომესტიკოსი მოულოდნელ უბედურებასავით დაატყდათ თავს), დიახ, როცა დაინახა ეს კაცი, საომრად რომ აწვობდა ფაღანგებს, არ ვიცი, ახოვანი ტანისა თუ მოლაპლაპე საჭურველის გამო (მისი აბჯარი ირეკლავდა ვარსკვლავთა ციმციმს), მამაჩემს ვასილაკიოსი ეგონა იგი; სწრაფად მიეჭრა, მახვილი მოუქნია და ხელი, რომელსაც ამოწვდილი ხმალი ეჭირა, მიწაზე დაეკრდა, რამაც დიდი არეულ - დარეულობა გამოიწვია მტრის რიგებში. მაგრამ ეს კაცი ვასილაკიოსი კი არ იყო, არამედ მისი ერთი მძღვეთა - მძღვე მეომართაგანი, რომელიც სიმაპაცით არ ჩამოუვარდებოდა თვით ვასილაკიოსს.

შემდეგ მამაჩემმა ფიცხლად შეუტია მოწინააღმდეგის ლაშქარს, ისრებს აყრიდა, შუბებით ჰგმირავდა და ლამის სიბნელეში საომარი ვიჟინით აფეთებდა მტერს. გამჭრიახი გონებითა და მახვილი აზრით ვველაფერი გაითვალისწინა: ადგილიც, დროც, საჭურველიც და მოხერხებულად გამოიყენა ყოველივე ეს გამარჯვების მოსაპოვებლად. აღუქსი თავს უვლიდა აქეთ - იქით მიმოფანტულ მეომრებს და ამ ორომტრიალში ახერხებდა თავისიანებისაგან გაერჩია მტერი. ერთმა კაპადოციელმა, სახელად გულემ, მამაჩემის სანდო მხახურმა, მკლავედრეკმა და სულით მხნე კაცმა, თვალი მოჰკრა ვასილაკიოსს, მაშინვე იცნო და მუზარადზე

მახვილი დაჰკრა, მაგრამ იგივე დაემართა, რაც მენელაოსს ალექსანდრესთან შერკინებისას: მარჯვენიდან გაუკარდა სამად თუ ოთხად დამხვერული სატყვარი და ხელთ შერჩა მხოლოდ ხმლის ვადა. გულეს დანახვისას სტრატეგოსმა ლანძღვა დაუწყო, უხმლოდ რატომა ხარო, და მხდალი უწოდა მას, მაგრამ მეომარმა ხელში შერჩენილი ხმლის ვადა უჩვენა და დიდი დომესტიკოსის რისხვა დააცხრო.

მეორე მეომარი, მაკედონელი, რომელსაც პეტრე ტორნიკოსი ერქვა სახელად, მტრების შუაგულში შეიჭრა და სიცოცხლე მოუსწრაფა მრავალ მათგანს. მაგრამ ფალანგა წინ მოიწვედა, თუცა წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ხდებოდა ირგვლივ: ბრძოლა სიბნელეში მიმდინარეობდა და ვერაინ ვერაფერს ხედავდა. კომნენოსი ჩან ჯერ კიდევ მწყობრად დარაზმულ ფალანგას უტყვდა, ხან თავისიანებს უბრუნდებოდა და მოუწოდებდა მათ დაერღვიათ ვასილაკოსის ის ფალანგები, რომლებსაც ჯერ კიდევ შეენარჩუნებინათ საბრძოლო წესრიგი; მაცნეებს უგზავნიდა და უბრძანებდა უკან დარჩენილთ, დაუყოვნებლივ დაწინაურებულიყვნენ და ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ.

ამასობაში დომესტიკოსის მხლებელმა ერთმა კელტმა, მამაცმა და არესის სულით აღვსილმა, თვალი მოჰკრა მამაჩემს, რომელსაც გასისხლიანებული ხმალი ეჭირა ხელში და მტრების შუაგულიდან გამოდიოდა; მოწინააღმდეგე ეგონა იგი, ფიცხლად დაესხა თავს და ისეთი ძალით აძგერა შუბი მკერდში, რომ უთუოდ ცხენიდან ჩამოაგდებდა მას. მაგრამ სტრატეგოსმა თავი შეიმაგრა, სახელით უხმო მეომარს და დაემუქრა, ახლავე თავს წაგაცილო. კელტმა თავი იმართლა, ამ სიბნელესა და ბრძოლის ორომტრიალში ვერ გიცანიო, და ასე შეინარჩუნა სიცოცხლე.

9. აი, როგორი საქმენი აღასრულა იმ ღამეს სწოლების დომესტიკოსმა თავისი მცირერიცხოვანი მეომრებითურთ. როგორც კი ირიფრაჟა და თვალსაწიერზე მზე ამოიწვერა, ვასილაკოსის რაზმების მეთაურებმა სცადეს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, შეეკრიბათ ბრძოლის ველიდან გაქცეული მეომრები, რომლებსაც მარცვა - გლეჯისათვის მიეყოთ ხელი. თავის მხრივ, დიდმა დომესტიკოსმაც დარაზმა ლაშქარი და ვასილაკოსის წინააღმდეგ დაიძრა. დომესტიკოსის მოლაშქრეებმა შორიდანვე შეინისნეს ვასილაკოსის მეომრები, რომლებიც თავიანთ ლაშქარს ჩამოშორებოდნენ, ფიცხლად დაეხსნენ თავს და ზოგი გააქციეს, ზოგიც შეიპყრეს და ალექსის მიჰგარეს.

ამასობაში ვასილაკოსის ძმა მანუელი ბორცვზე ავიდა და ლაშქრის გასამხნეველად იყვირა: „ეს დღე ვასილაკოსის დღეა, ძლევის დღე!“ ერთი მეომარი, რომელსაც სახელად ვასილიოსი ერქვა, მეტსახელად კი კურტიკოსს უხმობდნენ, კაცი ომში შეუპოვარი, იმ ნიკიფორე კრიენიონის ნაცნობი და შეგობარი, ვისი ამბავიც ზემოთ მოგახსენეთ, - კომნენოსის ლაშქრიდან გამოიჭრა და ბორცვზე ავარდა. მანუელ ვასილაკი-

ოსმა ხმალი იმიშველა და მთელი ძალით მისკენ გამოექანა. ხოლო კურტიკიოსმა ხმალს კი არ სტაცა ხელი, არამედ უნაგირზე დაკიდებულ გურზს, მუზარადზე დასცხო მანუელს და წამსვე ჩამოავლო ცხენიდან. მერე გათოკა და, როგორც ძვირფასი ნადავლი, თრევით მიჰკვარა მამაჩემს. აქ კომსენოზიც გამოინდა თავისი მემორებითურთ და მის დანახვაზე ვახილაკიოსის ლაშქრის ნაშთმა მცირეოდენი წინააღმდეგობის შემდეგ გასაქცევად იბრუნა პირი. ახლა ვახილაკიოსი გარბოდა, კომსენოზი კი მისდევდა გაქცეულს. თესალონიკეს რომ მიღწიეს, იქაურებმა გალავანს შიგნით შეუსვეს ვახილაკიოსი, სტრატეგოსს კი ცხვირწინ მიუხურეს ალაყაფის კარი. მაგრამ მამაჩემი არ მოეშვა, ტანთ არ გაიძრო აბჯარი, არ მოიხადა მუზარადი, დაბლა არ დაუშვა ფარი და არც ქარქაშში ჩააგო მახელი, არამედ ბანაკი დასცა და თესალონიკელებს დაემუქრა, იერიშით ავიღებ და დაექცევ თქვენს ქალაქსაო.

რაკილა ვახილაკიოსისათვის სიცოცხლის შენარჩუნება სურდა, მამაჩემმა მისი თანმხლები ბერის იოანიკიოსის /თავისი სიქველით ხაზელგანთქმული კაცის/ პირით ზავი შესთავაზა ვახილაკიოსს და აღუთქვა, არაფერს დაგისაკვებ, თუკი თვითონვე დამხმელები და ქალაქსაც ჩამაბარებო. ვახილაკიოსმა უარი შემოუთვალა, მაგრამ თესალონიკელებმა, რომლებსაც ეშინოდათ, ვაითუ სტრატეგოსმა ქალაქი აიღოს და უბედურება დაატრიალოსო, გალავნის კარი გაუღეს კომსენოსს. როდესაც გაიგო, რა ჩაიდინა ბრბომ, ვახილაკიოსმა აკროპოლისს შეაფარა თავი და იქიდან დაუწყო რბევა ქალაქს. მანამდე იბრძოდა და ომობდა, ხანამ დომესტიკოსმა ხარწმუნოდ არ აღუთქვა, არას გავენდა. ამ მიმეგ განხაცდვლისა და გაჭირვების უამს ვახილაკიოსმა დიდი შეუპოვრობა გამოიჩინა; ოდნავადაც არ შემდრკალა და არ მოუხრია ქედი, ვიდრე აკროპოლისის მცხოვრებლებმა და მცველებმა შეიარაღებული ძალით არ გამოავდეს იქიდან და დატყვევებული არ მიჰკვარეს დიდ დომესტიკოსს.

აღექსიმ დაუყოვნებლივ აუწყა იმპერატორს ვახილაკიოსის შეპყრობის ამბავი, ერთხანს თესალონიკეში შეჩერდა, იქაური საქმეები მოაკვანა და ძლევამოსილი გამობრუნდა უკან. ფილიპოსა და ამფიპოლისის შორის მამაჩემს იმპერატორის მაცნეები შემოხვდნენ, მბრძანებლის სიგელი გადასცეს და ტყვე ჩაიბარეს. ხლებინად წოდებულ ადგილას მიიყვანეს ვახილაკიოსი და იქ, წყაროს მახლობლად, თვალები დასთხარეს. იქიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე ამ წყაროს ვახილაკიოსის წყარო ეწოდება. ასეთი იყო მესამე საკმრო საქმე, რომელიც გამეფებამდე აღასრულა ამ ახალმა ჰერაკლემ - დიდმა აღექსიმ, რადგან არ შეეცოდავთ ჭეშმარიტების წინაშე, თუ ვახილაკიოსს ერიმანთიელ ტახტს უწოდებთ, ხოლო ჩემს უმამაცეს მამას - ჰერაკლეს. ასეთი გახლდათ აღექსის მიღწევები და წარმატებები ტანტზე ასვლამდე. ყოველივე ამის ხანაცვლოდ ავტოკრატორმა სევესტოსის ტიტული უბოძა და სინკლათის მიერ სევესტოსად იქნა გამოცხადებული.

კონსტანტინე მანასე

XII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა. თავის დროზე პოპულარული მისი „ქრონიკა“ ქვეყნიერების დასაბამიდან მოდის 1081 წლამდე, ხანამ „ლადირს გავიდოდეს“, როგორც თავად ამთავრებს იგაიით, ანუ ხანამ თავისი თანამედროვე იმპერატორის ცხოვრებას აღწერდეს.¹ „ქრონიკის“ ისტორიული პირები ცოცხალ ფიგურებად რჩებიან მეჩხიერებაში, რასაც ჩვეულებრივი მატიანეების და ისტორიული რომანების მისამართით ბანაღურად ნათქვამ „გაცოცხლებასთან“ არაფერი აქვს საერთო. მანასეს ჰქონია კიდევ რომანი „არისტანდრეს და კალითეას სიყვარულის ცხრა წიგნი“, ჩვენამდე მოუღწეველი. მხოლოდ ვრცელი ფრაგმენტებია დაცული მაკარი ქრიზოკეფალეს /XIV ს./ „როდონიაში“, ანუ „ვარდფანჯებში“.

„ქრონიკის“ დენის მეტრი - ე. წ. პოლიტიკური ლექსი - პროზის უმხგავსესი ლექსია, როგორც მკვლევარნი წერენ: *prosaic simillimus*. თანაბარმარცვლიანობა და პაროქსიტონაცია ქმნიან ხაზომს. ადგეკატურობისათვის ავიღეთ ქართული ლექსის საშენი ფრიად დარბაისლური მუხლი - ხუთმარცვლიანი, გამეორებული ორგზის ვველა პწკარში, და დავურთეთ ვველგან ორმარცვლიანი მონაკვეთი, რომლის მეტრული მისადაგება სისტემურად ბოლოდან მეორე მარცვალზე მახვილის მქონე მონაკვეთთან ბერძნული ლექსისა ძნელად მისახვედრი არ გაზღავთ /მამ, ასე: თარგმანის პწკარის რიცხვითი გამოხატულებაა 5 5 2/.

მკითხველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჩვენ მანასეს ტექსტს არავითარ შემთხვევაში არ ვურთავთ პოეტურ სამკაულს რასმე /და ასე ექცეოდით ყოველთვის/. იგი თავად შემკობილია.

მ ა ტ ი ა ნ ე

**ღაწვებული ქვეყნიერების შექმნიდან, ნიკაფორე ბოტანიატგხადმი
ნივთს ეხარბება სული, ნივთების მეტრფე,
ყოველს იღონებს, რომ მიაღწიოს ნანდომს;**

¹ შტრ. ფსკვილიონის მითილოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, თ. ოთხმუხურის გამოცემა, თბილისი, 1989, გვ. 6: ღალირი ადამასური შესაძლებლობების ზღვარის მეტაფორა.

- შენ, დედუფალო სიტყვის მეტრფეო ხულო,
 მეცნიერება და დამოძღვრება გწვურის,
- 5 წიგნებს აღკრულო, განგაცხრობს სიტყვის სიტყბო,
 ცხოვრების შენის სრულ იწერება ჟამი.
 მოიწადინე, ვით მესძეურმა სიტყვის,
 რომ საკითხავე დაწერილიყო ცხადად,
 ხასწაველად სიტყვათ - დასაბამობის ხილვის.
- 10 ზოგმა დაიწყო დასაბამითგან დღემდე
 მოთელა შეფეთა, ვის უმეფია როდის,
 და ჩვენ ვიკისრებთ ხიმძიმეს ამა შრომის,
 საქმეს საძნელოს და სამუშაოს ძვირად;
 ყოველი სიტყვა არის წამების ახსნა,
- 15 შენ რომ მიბოძებ ამპარტავნებით შენით;
 დაღლილ ნასიცხარს საწამებელის თმენა
 მონახობები მაღიმაღ ფუჭად ამცვრევს.
 იხე მოკვებები მე აქანამდის ყოველს,
 რომ პირფერობით ნათქვამს არ ჰგავდეს სიტყვა,
- 20 მიზანი მიძრჩეს და სხვას მივხდიო საგანს.
 მემატინებს, ჟამთააღმწერელს მრავალს
 უცდია თხრობა ოდენ სწორად და მართლად,
 სხვადასხვაგვარად აღუწერიათ საქმე,
 ჩვენ კი ის მოგვაქვს, ზედმიწევნილად რაც ჩანს,
- 25 ჭეშმარიტებას რაც გააცხადებს უფრო,
 შენ დაგიაძებთ ჩვენი შეძლების გვარად.
 სრულქნილმა ღმერთისამ და შემოქმედმა სიტყვამ
 უვარსკვლავებო ცის დაარსებით იწყო, -
 ცით, რომელი ჰფენს უზომო ნათელს ხაღმართოს,
- 30 ყოველად გამდელი დედამიწით და ნათლით.
 მოუკაზმავი და უჩინარი მიწის
 ზურგზედ ღრმა ბნელი გაწოლილიყო ჯანლად.
 მერმე ნათელი დამოედინა ყოვლგნით
 და ეღვარებდა თეთრი პეპლოსი დღისა.
- 35 წინათ უჩინო იხილვა და ბნელს მრუმეს
 ცეცხლად აღედო ისრები ნათლის სხივთა
 და გაირბინა აგრე პირველმან დღემან.
 გამოანათა თვალმან მეორე დღისამ
 და მეორე ცა მრგვლად შემოწერა სიბრძნით
- 40 და მიწიერთა ყოველად საფარად უქმნა
 და პრქვა სამყარო დიდმა ოსტატმა ღმერთმა

- ხიმრგველებს - პირისპირ უკარსკვლავებო ხიმრგველის.
 განაგო მაშინ ბუნება წყალთა წთოლვის
 და უფსკრულები განაპო და ხულ ზემოთ
 45 ერთი ზესკნულად ასხლიტა უცხოოდ მაღლა,
 ერთიც მიწაზე დატოვა და მათ შუა
 ცა დაამყარა ურყევ კედლად და ძგიდედ -
 ეს მეორე დღის ხაწუთისოფლო ჟამი.
 დადგა მესამე, ხევა საქმეთათვის კვალად
 50 ბრძენს მოეცაღნა, ყოველად შემოქმედს ოსტატს;
 მრთელს დედამიწას ზედ დახდენოდა რადგან, -
 ცის ქვეშ რამდენიც გადმოლვრილყო წყალი
 და დაეფარა სოველი პირი მიწის;
 ნაღვარი ხრულად იქ შეკრებილი იდგა,
 55 ვინმემ თეთრი რძის ტკბილად ნაწვეთი წვენი
 რომ შეადედოს, ამოსაყვანი ვეველად.
 და რა განქარდა მიწის ხაფარი ძველი,
 იხილვა მისი პირი, გამოჩინდა ხახე
 კლდეთა უღალთა და თავმადლათა მთათა.
 60 მას მერე მთელი შესაკრებელი წყალთა
 ზღვად იწოდება, ხოლო ბუნება ჩემლის
 რიყე ალაგთა თუ ხინოყვირის გამო
 მიწად ჩმობილ არს ოსტატისაგან ღმერთის.
 მან გააცხადა დამეტებული ძალი;
 65 აღცისკრებამდის თავად გიგანტი მზისგან
 ნაირ ბალახთა აღმოცენება ბრძანა,
 ხანაჩაობას რათა დაეტყბო მზერა
 სიცოცხლისათვის, მიწიერთათვის ხარგოდ.
 პირველ ემოსა მიწას ნათელი უფრო,
 70 მოუკაზმავენ ვიდრე შეეჩიერ ხასძლოს
 ოქროვანს და მარგალიტიან პეპლოსს.
 და ანათებდა იის პასუხად ვარდი.
 ნაირგვარ იებს ფერი მღიმარე ჰქონდათ:
 მეწამული და ლურჯი, ღიმონის ფერი.
 75 და მქვამული ტოგა ემოსათ ვარდებს,
 ზოგსაც - სპეტაკი, ხანაცკლოდ უფრო მცხრალი.
 ზამბახს გვერდთ ედგა შროშანი თოვლის ფერი.
 იყო სუმბუელი, იყო ნარგიზი უცხო,
 ფურისულები, გაზაფხული რომ მოაქვთ.
 80 იყო უჩუმრად დანამძიმარი ყანა

- და რტოს არსევედა შავ - ფურცლიანი სურო
და უნდებოდათ ნათელ - მდიდართა ნამი;
იყო სურნელის შეზავებულის კმევა.
- 85 საქონს ხაძოვრად ჰქონდა ბალახი ლბილი,
ცხენებიც სძოვდნენ მდელთანსა და ცვრიანს.
ასეთი ჭრელი ემოსა მიწას კაბა,
რგებოდა თხზული ყვავილებისგან უცხოდ.
იყო ნერგები, ამხვართულიყვნენ ხენი,
მათ მშვენიერთა ჰქონდათ მწიფობის ჟამი.
- 90 ვაშლის ტოტებში ნათელი ედგა ნაყოფს,
ზეთისხილისზე იდგა, საამო ლედვი,
მუხა და თელა, ნაძვი, ტანად მძლე ფიჭვი.
ტოტებს ფიჭვისას რომ ეხლებოდა ქარი,
მაშინ შრიალი ჰგავდა უტკბილეს ჩურჩულს.
- 95 იქ ალუბალი იყო, ფინიკი ტკბილი
და საყურძენი, ახლად ჩაყრილი ბაღჩა -
და სანექტარე ვენახს ვეენა სარი.
ყოველად მწიფობა და სრულქმნილება ყოველად.
არცრა უსრული, ხიბლს მოკლებული არცრა.
- 100 და მოიბურა სამდღის ნათელმა ჰირი;
გამოანათა ჰირმა მომდევნო დღისამ.
იწყება საქმე და შემოქმედის ნებით
ცას შეუთხზავენ ვარსკვლავებისგან გვირგვინს;
ისე მოუხდა ცას ვარსკვლავებით მორთვა,
- 105 მარგალიტით თხზვა როგორც უნდებდა ჰეპლოსს,
105^ა დაგვირისტება ოქროეანი ძაფით,
ანდა უნავირს - რთვა ცეცხლისფერი თვლებით.
მაშინ გამოჩნდა თვალი დღისიერ ნათლის -
გიგანტი დიდი ნათლის ცხოვლის მზეი,
ნათლის წყარო და სახლი უნიეთო ცეცხლის.
- 110 მაშინ შემსხვერპლის იპურა ჩირალი ღამემ -
მთოვარ-ხელენეს ბუს ნათლიერი ხფერო,
ყოველად ნათელი და მოლაპლაპე წმინდად.
და ცამ ჰირველად იგრძნო ვარსკვლავნი დიდნი,
უნაკლოდ მრგვალნი, დამტერებულნი ერთურთს,
- 115 მას ამშვენიებდნენ, როგორც ყვავილნი მდელოს.
ელვა გაქქონდათ შავი კრონოსის გვერდით
ვერცხლისფერ ზევსს და ცეცხლის სახიან არესს,
ოქროეანი მზე ვრცელად ჰვენდა ნათელს

- და აფროდიტეს სვერო ენთო ვით კალა,
 120 ხპილენძისფერი ჰქონდა ჰერმესის ჩირაღს,
 მთოვარის ნათელს - გამჭვირვალობა მინის.
 ესრეთ იხილვა ჭრელი პეპლოსი ცისა.
 მრუში კრონოსი ხუშბულს ემსგავსა ფერით,
 ზეესი - შროშანს და არეხი ჰგავდა იახ,
 125 ოქროს ალევსო მზე - მეწამული ვარდი,
 როგორც ირისი, ცისკრის ვარსკვლავი ენთო
 და უღვიოდა ჰერმესს, ვით ყვავილს, ხაზე,
 ნარგიზი იყო ფურცელ - ლამაზი მთვარე.
 ცაბ ყვავილების ფეროვანება რთავდა,
 130 ესე პირთათვის ყვავილ - ხატულა ცისა
 სწორედ მჯდომარედ გალობის წესი იყო¹.
 მცენარეებად ექმნენ ვარსკვლავნი წალკოტს,
 ღმერთი უკლიდა; ჰქონდა მნათობთა ნათელს
 მირიადობით მცენარეების ფერი.
 135 „ვითარცა ცისკარ ოდენ იყო“² მზე მაშინ
 და ცის სამყარო და ღლის სიტურფე ჩანდა
 და, მონა ეყო რა შემოქმედის ნებას,
 მეოთხე დღემაც ასე დახუჭა თვალი

და ა. შ.

- 6323 და კონსტანტინეს გარდაცვალების უმაღ
 დედოფალ ზოეს დას - თეოდორას - მიჰყვდა
 6325 ძალაუფლება, - შეიღს ხელმწიფეთა გვარის
 /თავად ზოე ხომ განისვენებდა უკვე/
 თუმიცა აღზევდა იგი მცირე ხნით ოდენ,
 სულ თორმეტი თვე იჯდა მბრძანებლის ტახტზე,
 აიხსნა ხული ზორციელისგან ჭურჭლის
 6330 /განუცდებლობა მამრის რომელზედ უთქვამთ/
 კაცს ვისმე დროულს³ და დამძიმებულს წლებით
 თავის ხელმწიფურს მაღალ ხავარძელს უთმობს.
 ის, მიქელად სახელდებული, დიდჩანს
 ეომებოდა გადაბერებულ ყვაკებს,
 6335 ეწივნენ კიდევ აღსასრულს მასზე უწინ,

1. დედანია: Ἰφιγένεια. შეიძლება ცოტა შორს წავედით, რის მიზეზიც Ἰφιγένεια-ს ერთადერთი მნიშვნელობაა. ლათინური თარგმანის მიხედვითაც შეწირვას, შესხვერაქლებას ესება საქმე.

2. შდრ. მუშანის წამება, VII, I.

3. „დროული“ ქიხიერ კალიში შენახულია „ხნიერის“, „მოხუცებულის“ აზრით.

- გამარჯვებისთვის ზრუნვა¹ არ იყო უქმი,
 თან ღვთის მორწმუნე ყოვლად ხაჭები ჩანდა,
 მაგრამ ვერ შეძლო, აღმონაცენი გულში
 გამოეხეზა და ნათელ - ვყო ხილრმით,
 6340 ვინათგან მსახურთ შარავანდელთა სერგის -
 თეოდორასთა - ხელთ მშართველობა იპყრეს
 და მიქაელი მოძაგებელი მათთვის
 ბებერ კომბოსტოს ფურცელ - დაცენილს ჰგაუდა,
 შეკრული თურმე უხაშინელეს ფიცით,
 6345 რომ დაუთმობდა ყოველ სიტყვას და ხაქმეს;
 ჩრდილი თუ იყო, იღენ ხაჩელად მეფე,
 იმართებოდა ხაქმე იმათი ხელით,
 ვის თეოდორამ შეურვეობა ანდო
 და მფარველობა და ზრუნვის-ღება ფრმისთვის,
 6350 რადგან იგავით მოხუცი ორგზის ყრმაა.
 პირფერობით რომ დაუახლოვდნენ იმათ
 და ხაამისოდ ნიშანს კმარობდნენ მცირეს,
 იქმნენ უძღებნი ვითომ კეთილი ხაქმით.
 ხოლო მხედარნი, ომის მცოდნელნი ფრიად,
 6355 ამონაყარნი კეთილშობილთა ძირზე
 შეწიერ გამრთა წინაპართანი რტონი
 გაუყვასურდნენ, როგორც ჭურჭელი თინის.
 და ნათლად მოწმობს თქმულს კომწენოხი იგი,
 ისააკაოსის რომელს უხმობენ, - ქებულს
 6360 და ხაჩელაანს რჩეულ ხაქმეთა გამო;
 ემარჯვებოდა ხელოვანება მხედრის
 თითუბითაც კი წვრთნილს შებრძოლებად მტერთან;
 იგი მიქაელს ეახლა, რადგან სწადადა
 შრომის ნაყოფი მისგან მოესთელო მდიდრად,
 6365 იმედდაკარგულს, ტყვილიანად მზირალს
 ტირანიისას, ნაცვლად ვარდების კრეფის
 მეტნი ეკალნი ფიცხელისანი მიჰხდნენ
 მეფურ მღელღოხედ უადრესთაგან ზრდილთა.
 და კონსტანტინე დუკასთან შეკრავს კავშირს,
 6370 ბევრთანაც სხვახთან უმდიდრესთაგან კაცთა,
 მბრწყინვალეთაგან ხანათესავო ძირით;
 აზიადან თხზავს მძიმედ შეჭურვილ ლაშქარს,
 რომელთაც უტყვს, ავღებს ტახტიდან მეფეს.

¹ მღრ. Amat victoria curam.

- 6375 შიშით ატანილ მოხუც მიქაელს ესმა,
 ცნა თავი უფრო უჩინარობის ღირსად,
 ვით ბერიკაცმა; განმზადებული იყო
 კომნენოსისთვის ძალაუფლების ძლევად.
 მაგრამ ვისაც ჰხედა შენავეობა ქვეყნის,
 ხსნა არ ეწადათ, ნავის ჩაძირვა სურდათ,
- 6380 საბედისწეროდ დაფლვა ტაღლების ცემით;
 ბრძოლად აღძრავდნენ მის უნებურად მოხუცს,
 მოდრეკილს ლამის სახედ სამარის ბორცვის.
 [სხვანი ამბობენ, რჩეულ რომეებს თითქოს,
 მთავარ - მეშხვეპლეთ, სენატორთაგან პირველთ,
- 6385 კვლავ ეხმოდ მისთვის, რომ გვირგვინოსან - ვუთ;
 მას, მხედართმთავარს, ხსნისთვის შესწევდა რადგან
 წმინდა საქვეყნო საჭეთ - მკყობლობის ძალი, -
 მიმხვედრს, მუომარს და ისე მარჯვეს, რომ ძველ
 დიდ მეფეთაგან ჩამორჩებოდა არცვის.
- 6390 მაშ, კომნენოსი შედის სატახტო ქალაქს,]
 ხად იმეტებენ რომაელები ერთურთს,
 უსაკუთრესთა ზედა იწვდიან მახვილს
 და კლვით თვისტომთა დაემცვრევიან სისჩლად,
 მოცულილები თვისთა ძმათაგან ძმანი,
- 6395 ბრძამდ მიხეულნი ვით უმთვარეო ბნელში,
 წაქეზებულნი თანა - მამითნი ყრმანი¹.
 და კომნენოსი შეიმოსება ძლევით
 და მიქაელი ძალაუფლებას დათმობს
 საამფო სკიპტრა მას ერთ წელიწადს ეყვრა/.
- 6400 და კომნენოსი ჩვილის სიფიცხით გვირგვინს
 წაეტანება და თავნებობით აღწევს,
 წყვეტლეს საქმეთა სახელმწიფოთა მკაცრად;
 ღირსებისამებრ ექცევა იგი ყოველს:
 ახლობელს ანუ შორეულს ანუ მძლეოთა.
- 6405 სძულს პირისწყალი გადამლაშების მერე,
 ხულისმიერად სძულს ცუდუბრალო ლიქნა.
 მით უამურად სხვათა უმეტეს თვლიან,
 ვიდრემდე ჯერ - არს, ამაყიყო მეტად.
 მის მეფობაში მცირე გზა განვლო მშემან,
- 6410 სიამე მისი ჰკავდა ბალახის ბიბინს;
 დაისს განიცდის მალე, მიმქარალი სნებით,

¹ καίνας ταυτοτάτορας. შტრ. ლექსტელთა, 18, 11: თანამაითი, v. 1. ერთისა მამისა.

- სულ ორ წელიწადს მეფობა მისი გასტანს,
 ამკობს სამეფო რეგალიებით ღუკას,
 განმლებელს მისთვის საცხოვარისას მალევით,
 6415 მიწვევისათვის ტირანიისა მშველელს;
 თავად წებს იცავს, ღმერთის მოსაწონს, მკაცრად,
 შავი ქიტონი სამოსელია მისი,
 შრომით ქანცს იწვევებს, არ ეზოგება თავი
 და ყველასაგან ნათავყვანები ბოლოს,
 6420 ცხოვნიდება კიდევ ნაოცნებარის ფერად.
 და რა ხელმწიფურს იპყრობს სადავეს ღუკა,
 ოქროს ეტლს ყოვლად მიუკერძებლად მართავს,
 მშვიდად აბიჯებს, სელი წიაღსვლა იცის,
 არც დასთმობს ყოველს - დაუდინებლად მსრბოლი,
 6425 თითქოს ზვაობის კარი დაესმოს გულში,
 უფრთხის დაშვებას მოულოდებლად თავქვე
 ურმის თვალს გაკვრის საშინელების რიდით;
 სახლსაც დააყრდნობს შეიდრიცხვედ ყრმათა ზედა,
 როგორც შეიდ სვეტზე უძრეველად ნაგებ საყდარს;
 6430 განშხადებული წუთისოფლითგან განსლვად,
 თან განუზომელ ნაღველს ატარებს გულით
 და საფიქრებელს საფიქრებელი ერთვის;
 სურს, რომ საყვარელ დედოფალს დაქრჩეს ყრმათა
 მეურვეობა და ხელმწიფობის წილი,
 6435 აკრთობს დედოფლის კვლად სინაზე ბავშვის,
 რიდი გზნებისა და ხორციელი აღძრვის¹;
 აშინებს მისი დაქორწინება სხვაზედ,
 არ იქმნეს დედა ყრმათა უცხოის ძირის,
 მით არ დაღუპოს აღმცენარენი თვისნი,
 6440 წუხს გახასება - გახელმწიფებას სხვათა.
 ღელვაგვემული იგი გულისთქმით მსგავსით,
 მუნით დედოფლის სხვაგან წაყვანას ცდილობს,
 წულთა სამეფო თავისუფალი დაქრჩეთ²,
 ვით ყრმათა, სხვანი ზაზინადარნი ესხდნენ.
 6445 ხოლო მყოობადს მძლედ მიუჩანდა პირი,
 გულის - სიტყვათა დაზესთავებად ფრიად.
 და დედოფალი, რომელმან იგრძნო ესე,
 თანამეცხედრის რომ ცნა ყოველი ზრახვა,

¹ არ არის გამოცხადებული, ეს სტრიქონი გავებულ იქნას სრულიად საპირისპიროდ.
² სხვათაგან: წულთათვის ქნებს ათავისუფლოს ტახტი.

- შეიკრძალებდა თავს ხამინელი ფიცით,
 6450 რომ არ შეიქმნა არცვის ხარეცლის ზიარს,
 არ შევიდოდა ხსენა საქორწინო პალატს,
 ყმაწვილთა თანა იხელმწიფებდა თვისთა.
 და მაშინ დუკა წესს ბუნებისას მიჰყვა,
 [ფიქრის] ხამინის ჩამოიშორა ტვირთი
- 6455 /სულ შეიდი წელი იჯდა ხელმწიფედ პრომთა/.
 და ეედოკიას, ზღვაოხანს შეილთა თანა,
 აქვს ხელმწიფობის ხაქვე-ლამაზი ნავი.
 თუმცა მგზებარედ მოქცევისათვის მცდელნი
 ვნებათაღელვის ქარს აღვიძებენ ავად,
- 6460 თავბრუს ახვევენ, გულისრევასაც ჰკერიან
 და ღელვით გვემას მეტს უქადიან უფრო,
 აქარცივებულს¹ ზღვა პირს დააღებს ოდეს.
 მეტი რაღაა? ამომეთქმოდე, სიტყვაჲ,
 სიმს მუსიკობის გალობას ნუღარ ახლებ.
- 6465 სპასკეტს რომანოსს, დიოგენესად ხმობილს,
 ზრდილს, პირმშვენიერს, კაპადოკიელს ტომით,
 წმინდად შემსახველს ახოვანისა ტანის,
 მეფობის საფერს, ხაზით მდიდარს და ჰამოს,
 რომელს უნახავს ხაქმე და ძალი პრომთა,
- 6470 ლაღად დანდობილს პატარქალური ნდობით,
 მისანდობელად ნიშნის ჰყოლია ყრმანიც:
 ხმა გველესპაის ზომ ენიშნებათ ბარტყებს
- 6472² [და ვესპაისაც ზომ ესმით ლეკეთა მისთა²];
 შთანთქმას უქადის გავეშებული იგი
 დედა - ბელურას თავის ბარტყებთან ერთად,
- 6475 ვერ ცნობს, ტირიფის მშვილდად მორთხმული წნელი
 ცად მონაგარდე არწივს რომ ახლის მიწას
 და ხელის ბადით რომ ნადირობენ დათვზე.
 ოდეს ქალაქნი მოვლო თრაკიის ირგვლივ,
 შეკრიბა ჯარი, აღმრა, წარმართა გზნებით,
- 6480 ჰქირდაედა ყველა მებაღესა და მეზერეს
 და განძარცვაედა მცველთა საკუთარ მიწის.
 მცირე ხნის შემდეგ ძაღლებმა სტაცეს პირი
 ხარს მობუბუნეს, მკერდით დიდი რომ იყო;
 ტანჯვა სახჯელად კადნიერების მიჰხვდა.

1. მთავრის საცარი საღვთა გულკტიონის აქარცივებისა.

2. შდრ. იერუსის ვოდება.

- 6485 დედოფალს, მისი მშვენიერებით განმკრთალს,
 მზერისგან გული მოწყვლული ექმნა ტროფობით,
 ურიდად ქცევა რომანოსისა არ ცნა
 და დაარღვია ის საშინელი ფიცი,
 ტროფობით შეერთო და შეეწება ტყვე - ქმნილს;
- 6490 საპყრობილის წილ უხსნის სანეფო პალატს,
 ხუნდებს უნაცვლებს მარგალიტიან პეპლოსს
 და მოვანებით მიწის სარეცელს უცვლის
 და მეფეს დასვამს სიკვდილისაგან დახსნილს,
 ვის განსაცდელად ჰქონდა ქადესის ხანა.
- 6495 ყოფნის ბორბალო, ეპა, თამაში შენი.
 რომანოსს ამგვარ ვითარებაში საქმის
 უჩვენებია თვისი პირველი ხრბითვე,
 რა მხურვალეა სიმხნის ემარჩა მკერდში.
 არცა ხორციელს დაჰხარებია ტყბობას,
- 6500 არც მოუხიბლავს იგი ძოწეულ სამოხს,
 უბადრუკ ჭიას ჰგავდა ცხოვრების წესით,
 შეფარებული ძალვით სამეფო პალატს,
 მტრებს გაურბოდა, თავს არიდებდა ბრძოლას,
 არც ხაწუნარის საქმის აფრთხობდა მქმნელთა;
- 6505 შებმა ინება აგარეანთა მხოლოდ,
 აღმურეებულმან მათზედ იშიშველა ხრმალი,
 როგორც თაველით, მიწა მოფინა გვამით
 და დააგუბა სისხლის რუები ზღვებად,
 მძლე აუსონების გამოაჩინა ჯიში,
- 6510 რა ღონიერი ჰქონდათ ბრძოლაში მკლავი.
 ვერ დაიჭერდა აღკრძალვის შიში უტყხს
 და ვერ შეძლებდა გაეჟაკის შთანთქმას გველი,
 არც მიპრიდებდა ხრმალს ხამართლისას იგი
- 6513 პირფორი, რომელს ზელთ ეყურა წმინდა ცეცხლი;
 ბოროტის ეკალს, ძალთსაცემელსაც შურის
- 6515 ეღონებინათ მორიელებზე მეტად
 და დაეთხარათ რომანოსისთვის თვალნი.
 იყო ბუნებით პირდაპირი და მკაცრი,
 მედიდური და მცდელი თავისი განხჯის
 და ძოწეული მაშინ უფრორე ამაყს
- 6520 და ამპარტაუნს ზდიდა მბრძანებელს ჰრომთა,
 თანაც მერყევი უხშირდებოდა აზრი
 და უცხო ჩვევა, ეჭვით უმხურდა ყველას -

- ქვეგამხედვარი თავისიანის, სხვისის,
 ვითარ მზაკართა, მისთა ფეხდაფეხ მდევთა;
- 6525 უმძიმდათ არა დიდგვარიანთა ოდენ,
 არამედ ცოლსაც და მასთან დუკას შეილებს,
 რასაც ბეზღება და ვერაგობა მოჰყვა;
 სძულდათ სხვა ტომი, ერთურთს უგებდნენ მახეს.
 უკარებელი, განშაადებული მხეცი -
- 6530 სრულ გაურჯელად გაცემულ იქნა მეფე,
 ხოლო ღალატი მოხდა კეისრის ხელით,
 ვინ კონსტანტინე დუკას ძმა იყო მკვიდრი;
 სარდლობდა მისი ძე ანდრონიკე მაშინ.
 გაანდო აზრი სხვა სარდლებსაც და შეილსაც,
- 6535 საცოდავისთვის დაწნეს ხაშიში ბადე
 და სასიკედილოდ შეთხზეს ჰეპლოსი შავი.
 თვით რომანოსი ბიზანტიონის გაღმა
 ღალატს ნადირის ხოცვით და დევნით მგლებს,
 თავს დაესხმიან რომელნი წმინდა ფარებს.
- 6540 და მოფრენილი სითმე გელური მტრედი
 მუხლზედ აჯდება /ხმა სულ არ ისმის ფრთების/,
 ისე კი არა, კიდობანზედ რომ დაჯდა
 და წარღვნისაგან ხსნას აუწყებდა უწინ,
 ფოთლის /sic/ მზიდველი - რომ ამშვიდებდა ნოეს,
- 6545 კიდობნის მარხულს და ტომის-მთაყარს ახალს, -
 არა, აწ მტრედი მიანიშნებდა ბოროტს,
 მარცხი აუწყა თვისი მისნობით ავით.
 და გაუგზავნის ფრინველს დედოფალს მეფე,
 რადგან ხარებას მისგან ხაეჭვოდ ჰგონებს.
- 6550 რასაც მიელტვის, იმასვე ფიქრობს ვველა,
 გვაქვს საგონებლად, რასაც ვისურვებთ ნებით;
 მაგრამ წილხვედრი უმძიმესია კაცის,
 ვის ეგულვიან მტერნი საკუთარ ჭერქვეშ:
 თუ შინ გყავს მტერი, ანუ კერაზე თუ ზრდი,
 ვერ შეეფარო თვით ბაბილონის ზღუდეს,
 ხემირამისის კოშკებს, გოდოლთა საფარს.
 თუ ბედშავ გამცემს აქვს შენი ხახლის წილი,
 ან დაურღვეველს თუ ჰზიხარ მასთან ციხეს,
 რღვევადი იქმნეს, არცვინ ჰფარვიდეს ქალაქს.
- 6560 მე გიყვებოდით დიოგენესის ამბავს.
 ორივე მხრიდან, შორის პრომთა და სპარსთა,

- ხასტიკი ომი ატყდა, კიჟინა დასცეს,
 აღჭურვილიყვენენ რისხვით სარდალნი ორნიც;
 რბოდა არესი, მაოტებელი მამრთა,
- 6565 ხელდაბანილი იყო მოკლულთა ხისხლით,
 კკლავდა წყურვილი ხისხლის, დამდგარის ზღვებად.
 დაჰქროდა მეფე, მტრებს ფერდს უგმერდა, სღვედა
 და ჰოროლის კერით იქმდა ნაწლევთა თხევას,
 თითქოს ბარტყებზე ქორს ენადიროს ფრთაძაღს,
- 6570 მას ჰქონდეს ბრალად ნაზი ბუმბულის ცვენი;
 ქარს მიემგვანა მტრისთვის, ეტლოსანს ცეცხლის,
 ზეგარდმო ქროლილს და ღრუბლებიდან მსხერეულს;
 სისხლით შეზელილ მტკერს შეესვარა ხელი
 და მკლველობანი წვეთ - წვეთ ხდიოდა ხმლის ჰირს,
- 6575 მათგან დაედო სიმეწამულე სამოსს,
 ლომი რომ შეხვდეს მფრთხალს და გულდედალ ცხოველს,
 ფერდს რომ უფლეთდეს, მის ნაღვარ სისხლს რომ სეღუქდეს
 და შესვარული გამოაჩინოს ტუჩი.
 ქმნა ასმკლავიანი ბრიარეოსზე¹ მეტი,
 6580 ენკელადოსზე², გულ - ზევე ტიფონზე მეტი -
 კლკათა წვიმასაც ანდამატივით უძლო.
- კეთილი თვალით მოჰხედა ნიკემ პრომოთა
 და გაულიმა, თუმცაღა დიდხანს სცდიდა.
 მაგრამ მოქუფრა დღე სანათელი ეგზომ
 6585 ბასკანელების სამგზის ველურმა ტომმა
 და ბოროტების ჯავრმა და ჯანღმა შურის.
 და კეისარმა რაჟამს დაიწყო ლტოლვა,
 წარვლო ყოველმან, მარტოდ დააგდეს მეფე
 და დაკორტნილმა სრულად მტრისაგან იქვე
 6590 მიმოიხედა, ცნა, რომ გაებათ მარტოდ
 მახეში, რომელს დაეხსნებოდა კერვინ.
 თაენი მიუხტენ მას ბარბაროსთა მერმე,
 ერთურთს ასწრებდნენ, ედავებოდნენ ცხარედ,
 ვინ შეიპყრობდა რომანოსს ცოცხლად. ბოლოს
 6595 ვარდება მეფე ბარბაროსების ხელში,
 ლომი მიჰხედებათ ნანადირევედ ჯიქთა
 და მღამიობნი ეუფლებიან არწივს
 ფრთა - ოქროეანს. ამას რა მოჰყვა? როგორ?

1. ბრიარეოსი - ასმკლავიანი ბუმბურაზი, რომელიც ღმერთებს იცავდა ტიტანებისაგან.
 2. ენკელადოსი - ასმკლავიანი ვიკანტი.

- ველური იგი ტომის - მთავარი იცხრობს
- 6600 მოულოდებლად თავის ხელის - თქმას ველურს და ტავექმნილ მეფეს კაცთმოფარებით განსჯის, რადგან ველურსაც სტკენს მბრძანებელის ძლევა. მეთვისტომეებს მეფის, რომელთაც გასცეს, სამგზის ველური ის უცხო - თესლი ამხელს, -
- 6605 წინდახედული მის ახლობლებზე უფრო, მზრუნველი მისთვის ნათესავებზე მეტად. დაეზაგება, ხელს საშველადაც უწვდის, ძალაუფლების დასაბრუნებლად გზავნის. და რომანოსი ჰგაუდა ამეებულ ნადირს,
- 6610 ნასკვიდან - არწივს, თევზს - ანკეხიდან ახსნილს; მიიქცა კვალად დასაბრუნებლად ტაჩტის. მაგრამ გასაქანს არ აძლევს იმედს შური: ყველგან წერილი აფრინეს, არცერთ ქალაქს რომ არ გაეღო რომანოსისთვის კარი.
- 6615 საბრალობელი, მარტოდ მოქვლიდა სოფელს, მომწყდარი, ვით ხევა ბელუროფონტი, მერის, ვით პეგახითგან, ესრეთ მომხელტარი ტაჩტით, - ხულ სამ წელიწადს ძალაუფლების მქონე. შურის ცეცხლი კი არა ცხრებოდა, რადგან
- 6620 კონსტანტინეს ძე - მიქაელ ღუკა - შაჰი სიჭაბუკისას ეწია ფერს და ასაკს, რაც ცხადდებოდა პირველი ღინღლით პირზედ. მას კეისარი, მამის ძმა, შემწედ ჰგაუდა, წარჩინებულნი და მხედრობათა თავნიც
- 6625 და, დაბრძანდება რა მამისეულ ტაჩტზე, დედას, რომელიც ხშირად კენესის და გოდებს, მის უნებურად მეფის სახლითგან დევნის, შეამონაზუნებს და ჰკვიცს ნაწნაუებს, რომელ მისთვის ქარიტებს ეზარდნათ ზეთის ცხებით,
- 6630 და ოქროს პეპლოსს ჩალამებულთ უცვლის. მფლობის ხურვილს რომანოსისას რომ ცნობს, იმ დაკარგული ხელისუფლების წადილს და მხედრობათა ღრიანკალიხებრ აღძვრას, გზავნის მემორებს, ჯარს შემოიკრებს დიდძალს.
- 6635 ბედშავ რომანოსს ისევ უგებენ მახეს, ცოცხლად შეპვრობილს დაუნაცრავენ თვალებს და მიუჩენენ მწიარს და აედრიან კუნძულს.

- თვით მიქაელი, განრიდებული საფროთხეს,
 წენარად მართავდა ძალაუფლების ხომალდს;
- 6640 თორიხნობას და საომარ კიეისს მამრთა,
 მხედრულ ზახებას, განსაცდელსა და ტანჯვას
 განსცდიდა არა სიხმრად, უძილო ღამეს
 წიგნზე ათუვდა, - სხვა დემოსთენე იყო,
 დიდმოხსს ჰგავდა, აღექვსანდრიელს ტომით,
- 6644⁴ | კრქვეს დიდმოხი სპილენძის აბჯრით მოხილს, |
 6645 რადგან ატკობდა მას მწიგნობრობა იხე,
 რომ უცხოობდა მყოვარ - ჟამ საზრდელს რასმე.
 აღატყდებიან ბარბაროსები ზავითთ,
 ყოველს მხრიდან კვლავ ქარიშხალი ტყდება
 და გრივალები ხაზარულ გრვესნვას იქმან.
- 6650 არ ჩანს მენავე, რომ ღელვისაგან იხსნას.
 მიწას აღმოხდა რაღაც მცენარე ავი;
 სწორედ მოლუსკის ცხოვრება ჰქონდა მთესველს,
 გაჩოჩდებოდა და კვლავ იხვედა უკან,
 ნიჟარასავით ტოვებდა თავის სახლსაც,
- 6655 ზღვის ფსკერზე მიწით ნაზარდს მოჰგავდა ჰინას,
 6655⁵ | აბრეშუმის და ხადაფის მომცემ მოლუსკს |;
 მისი იარა სჭიროდა ქვეყნის საქმეს,
 მოაგონებდნენ, რომ წინ უძლოდა პრომთა.
 კვლავ ირღვეოდა მიწა დრაკონთა ხოხვით,
 ვით ბარტყის, იქმნა პრომთა ხაზღვრების ხვეა.
- 6660 მძიმდება მეფის ხანივარი და შფოთი
 და ცხარობს ყველა, შემეფურე პრომთა საქმის:
 ეს არ ჰგავს მუხლის მოკვეთას, პირის აკვრას, -
 საქმე, რომელიც იფიტება და ჭკნება.
 და იყო კაცი, კეთილშობილთა მოდგმის,
- 6665 მოხუცი ნესტორ სხვა პილოსელი ვინმე,
 მას ნიკიფორე ბოტანიატესს ვეტყვით,
 ჭრილობა - მრავალს, ნაჩეხს და ნაცადს ომში,
 სიყმაწვილითვე წვრთნილს ვით გულოვან მხედარს
 და მძლეს არეხის ოლიმპიადის ბევრწილ;
- 6670 დაიმეგობრებს ის ათასობით მებრძოლს,
 იპყრობს ნიკეას, მეფეს აახლეებს წერილს,
 რომ შეაგონოს და დაარწმუნოს იგი,
 რათა დაუთმოს სკიპტრა უსისხლოდ მოხუცს,
 თვით, უცოდნელმა ომის, იცხოვროს მშვიდად.

- 6675 განა რა დარჩა? ბიზანტიონსაც იპყრობს¹
და ძოწეული ოქრო - კემსული ჰპეწენის;
მიქაელს მეფედ-ყოფილს კი ჰმოსავს შავი,
სულ ექვს წელიწადს რომელს მეფობა ჰქონდა.
ხოლო სიბერე დაავიწყდება თვისი
- 6680 ამ ნიკიფორეს, მოხუცებულს და დროულს,
და მიქაელის ცოლ - ყოფილს ცოლად ირთავს, -
ქალს ნორჩს და ყმაწვილს შეეუღლება ბერი
და დაიმდურებს მიქაელს მძიმე ხვედრით
და ვფესულთა ქალაქს მიუჩენს სამწყსოდ.
- 6685 განეშორება თავად სამხედრო საქმეს
და ზის მორთული ოქროს სამოსით, რომელს
ხდის ცეცხლისფერი ოქროეანი სხივი;
ბანა, მოღზენა - მით სიბერე აქვს ტყბილი
ფრთა - ოქროეან გედს მინამგვანებს თითქოს.
- 6690 საფლავს დადებით რადგან ზომავდა მყობადს,
სამგზის მოხუცმა² ცხოვრებით ტყბობა იწყო,
ნებიერი და საფერებელი გახდა.
საქმე მეტყველთა ბარბაროსულად ანდო,
მათ ლაპარაკი არც - კი შეეძლოთ სწორად,
- 6695 მთელი დღე ღვინით სავსე კრატერებს სცლიდნენ, -
სამგზის მონები მამა - ჰაპით და ჯიშით,
სულით და განსჯით ბარბაროსები ფრიად,
მოლაქლაქენი უნდოდ ენაზე სკვითთა,
გამოუცდელთა მენაკეთათვის ვინმეს
- 6700 თითქოს ტვირთ - მძიმე ხომალდის საჭე ენდოს.
ბაღთით იკრავდა თავად ელვარე ჰეპლოსს,
ბისონს ოქრო - თხზულს, მარგალიტიან სამოსს,
ოქროსფრად მნათობს და ძოწეულის ფერად;
ხშირად იცვლიდა მეფურ სამოსელს, როცა
- 6705 ვერცხლის ღურსმნებით დანატყდ ტანტყე იჯდა.
ჩინი უბოძა, ვინაც ეახლა, ყველას:
მჭედელს, შემისმჭირელს, მიწისმთხრელს, გლეხს და ვაჭარს,
მეწაღეს, საბლის ოსტატს, მენაბდეს, მეზერეს;
მეძავეს პატივს სცემს და ჰსვრის ბრწყინვალე საქმეს,
- 6710 ხოლო ხელოსნებს სახელს მიაწევს იმგვარს,
რომ გაიღებდნენ უწინ მეფენი ჯილდოდ

¹ v. 1. დედოფალს ასწრებს.

² τριτοῦσαι: ფრიად მოხუცი.

- მამაცობისად, ძლიერებისად მკლავის -
 სულ რჩეულთათვის ნათესავით და სისხლით.
 ამგვარი საქმით გართული მისთვის ფინიზლობს,
- 6715 არ მოიძიოს ვინმემ ხარისხი შეტი,
 ტანჯვას იფერებს, თითქოს დახჯა სურს თავის;
 სხვა საქმეებს კი არ თელის მიხედვის ღირსად:
 თუნდ ბარბაროსნი იკლებდნენ პრომთა საზღვრებს,
 თუნდ მანქანებით აქცევდნენ მრავალ ქალაქს.
- 6720 სამ წელს უსინჯა მან ხელმწიფობას გემო,
 ხოლო მას უკან დაათმობინეს ტახტი.
 აქ კი დუმილის სანავე პოვოს სიტყვამ.
 ზღვა გარდაიხსნა ატლანტიკისა ჩემ წინ:
 დიდ - დიდ მეფეთა რჩეულ საქმეებს მივწვდი -
- 6725 გმირთა, სულდიდთა, კეთილშობილთა, მხნეთა;
 მათი ცხოვრების თხრობა არ ძალუძს ენას,
 ფრიად რჩეულნი სკიპტრის-მპყრობელნი მოდგნენ -
 კომენიადთა კეთილშობილი გვარის
 და დააყენეს ზღვანი ძლევათა დიდთა,
- 6730 პერაკლეც რომ ვერ გადალახავდა სიმხნით.
 მაშ, დაკამაგროთ საჭის ბაგირი ახლა,
 შევწყვიტოთ ნიჩბის მოსმა, დაუშვათ აფრა,
 ვერ გადავალთო, თქმულა, ღადირის გაღმა.

წ ი ნ ა თ ქ მ ა (პახუხისმგებელი რედაქტორისა).....	3
✓ ხეივონ ახალი ღვთისმეტყველის	
41 - ე საგალობელი, (წინასიტყვა და თარგმანი ლიანა კვიციანიშვილისა).....	5
42 - ე საგალობელი, (თარგმანი შიხივე).....	13
55 - ე საგალობელი, (თარგმანი შიხივე).....	20
მე - 3 საგალობელი, (თარგმანი ქეთევან ბეზარაშვილისა).....	26
57 - ე საგალობელი, (თარგმანი შიხივე).....	27
გიორგი ხკელიცხ	
გალობანი წმიდისა მთავარმოწამისა და ძლევაშემოხილისა გიორგისნი (წინასიტყვა და თარგმანი ლიანა კვიციანიშვილისა).....	28
იოანე გეომეტრუხ	
საგალობელისა ფრაგმენტი ზესთა - წმინდა ღმრთისმშობელისაღმე (თარგმანი ლიანა კვიციანიშვილისა).....	37
✕ ანონიმის	
წამებული ქრისტე (ფრაგმენტები ტრაგედიიდან), (წინასიტყვა და თარგმანი ლიანა კვიციანიშვილისა).....	38
ანონიმის	
ტიმარიონი, ანუ მის ვნებათა შესახებ, (წინასიტყვა და თარგმანი შიხივე).....	58
თეოდოროს პროდრომოსის	
წმინდა და ბრძენი პოეტთა-კოზმანის და იოანე დამასკელის-საუფლო ღვთისმეტყველებზე დასადებელი კანონების განმარტება, (წინასიტყვა და ფრაგმენტის თარგმანი ლიანა კვიციანიშვილისა).....	90

Xმიქაელ პხელოსი

„ქება ქებათა“-ს განმარტება,
(წინასიტყვა და თარგმანი ანა ხარანულისა)..... 100

Xმიქაელ პხელოსი

ეპისტოლე - ტრაქტატი საღვთისმეტყველო სტილის შესახებ,
(შესავალი და თარგმანი ჭუთუან ბუზარაშვილისა)..... 108

Xიოანე იტალოსი

ფილოსოფიური განმარტებანი,
(წინასიტყვა და თარგმანი პაულა მკვლდიძისა)..... 157

Xკონსტანტინე პორფიროგენეტის

ბიზანტიის საიმპერატორო კარის ცერემონიების და ადათწესებების შესახებ,
(წინასიტყვა და ფრაგმენტის თარგმანი ლეილა წერეთლისა)..... 164

იოხებ გენესიოსის შესახებ

(თარგმანი კ. კრუმბახერის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიიდან“)..... 172

იოხებ გენესიოსის

მეფეთა ისტორია,
(ფრაგმენტის თარგმანი ზაირა ყოლბაისი)..... 173

იოანე ზონარას

ქრონიკის შესავლის ფრაგმენტი
(წინასიტყვა და თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა)..... 179

ნიკოფორე ურიენოსის

ისტორიის ფრაგმენტი,
(თარგმანი ნანა შირაშვილისა)..... 187

Xანა კომნენეს

აღუქსიადა,
(წინასიტყვა და ფრაგმენტის თარგმანი ჭუთუან ბრეგვაძისა)..... 196

კონსტანტინე მანახეს

მატიანე,
(წინასიტყვა და ფრაგმენტების თარგმანი ლიანა კვირიკაშვილისა)..... 214

ზნდუკი..... 230

5977